

# მნათობი



საქართველოს  
საბჭოთაო  
ბიბლიოთეკა

12

საბჭოთა კავშირი  
ტფილისი 1936

# მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭ. შერთუბის  
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,  
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო  
ქურონალი

წელიწადი მცხამება

# 12

დეკემბერი



ს ა ს ე ლ ბ ა მ ი

ტფილისი 1936

ა/შპ, რედაქტორი ა. თათარიშვილი



სარედაქციო კოლეგია:

ირაკლი აბაშიძე  
ნიკო ლორთქიფანიძე  
კონსტ. ლორთქიფანიძე  
ბრ. მუშიშვილი  
შალვა კადიანი  
ბალაქტიონ ტაბიძე  
ტიციან ტაბიძე  
ლევო შიკაძე  
კანტალიეზონ ჩხიკვაძე  
დემნა შინგელაია

რედაქციის მისამართი: ტფილისი, შაბაძის ქ. № 13. ტელ. № 3 — 55 — 25.  
გვ. ნინოშვილის სახელ. შუქრალთა სასახლე.  
კანტორის მისამართი: ტფილისი, კარაივის ქ. № 7. პერიოდსექტორი.

შთავლ. რწმუნ. № 16801. შტკ. № 437. ტირაჟი 7000

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, უორცისის ქ. № 5.



ქართული  
ენების ცენტრი



ი. ვ. სტალინი



# ი. ბ. სვანიძე

## სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენება საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე

ამხანაგ სტალინის გამოჩენას ტრიბუნაზე მთელი დარბაზი ხანგრძლივი, მქუხარე ოვაციით ხვდება. მთელი დარბაზი ფეხზე დგება. ყოველი მხრიდან გაისმის ძახილი „ვაშა აშხანაგ სტალინს“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“, „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „დიდ გენიოსს ამხანაგ სტალინს ვაშა!“, „ვივატ!“, „როტ ფრონტ!“, „ამხანაგ სტალინს დიდება!“

### საკონსტიტუციო კომისიის შექმნა და მისი ამოცანები

ამხანაგებო!

საკონსტიტუციო კომისია, რომლის პროექტი განსახილველად წარედგინა ამ ყრილობას, როგორც ვიცით, შექმნილი იყო სსრ კავშირის საბჭოების VII ყრილობის სპეციალური დადგენილებით. ეს დადგენილება მიღებულ იქნა 1935 წლის 6 თებერვალს. იქ ნათქვამია:

„1. შეტანილ იქნას სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებანი შემდეგი მიმართულებით:

ა) მოხდეს საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაცია იმ მხრივ, რომ არა სავსებით თანასწორი არჩევნები შეიცვალოს თანასწორით, მრავალსაფეხურიანი — პირდაპირით, აშკარა — ფარულთ;

ბ) დაზუსტდეს კონსტიტუციის სოციალურ-ეკონომიური საფუძველი იმ მხრივ, რომ კონსტიტუცია შეესაბამოს კლასობრივ ძალთა ახლანდელ თანაფარდობას სსრ კავშირში (ახალი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნა, კულაკობის განადგურება, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება, სოციალისტური საკუთრების, როგორც საბჭოთა საზოგადოების საფუძვლის, დამკვიდრება და ა. შ.).

2. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს აირჩიოს საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც დაევალოს კონსტიტუციის შესწორებულ ტექსტის შემუშავება

1070174



პირველ პუნქტში აღნიშნულ საფუძვლებზე და მისი წარდგენა სსრ კავშირის ცაკის სესიაზე დასამტკიცებლად.

3. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების უახლესი მსახურების არჩევნები სსრ კავშირში ჩატარდეს ახალი საარჩევნო სისტემის საფუძველზე“.

ეს იყო 1935 წლის 6 თებერვალს. ამ დადგენილების მიღებიდან ერთი დღის შემდეგ, ე. ი. 1935 წლის 7 თებერვალს, შეიკრიბა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სესია და სსრ კავშირის საბჭოების VII ყრილობის დადგენილების შესასრულებლად შექმნა საკონსტიტუციო კომისია 31 კაცის რაოდენობით. მან საკონსტიტუციო კომისიას დაავალა სსრ კავშირის შესწორებული კონსტიტუციის პროექტის შემუშავება.

ასეთია ფორმალური საფუძვლები და სსრ კავშირის უზენაესი ორგანოს დირექტივები, რომელთა ბაზაზე უნდა გაეშალა თავისი მუშაობა საკონსტიტუციო კომისიას.

ამრიგად საკონსტიტუციო კომისიას უნდა შეეტანა ცვლილებანი ამჟამად მომქმედ კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულია 1924 წელს, და ამასთან გაეთვალისწინებინა ის ძვრანი სსრ კავშირის ცხოვრებაში სოციალიზმის მიმართულებით, რომელნიც განხორციელდნენ 1924 წლიდან დღევანდლამდე განვლილ პერიოდში.

## II

### ცვლილებანი სსრ კავშირის ცხოვრებაში

1924 წლიდან 1936 წლამდე

#### განვლილ პერიოდში

როგორია ის ცვლილებანი სსრ კავშირის ცხოვრებაში, რომელნიც განხორციელდნენ 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში და რომელნიც უნდა აესაზა საკონსტიტუციო კომისიას თავის კონსტიტუციის პროექტში?

რაშია ამ ცვლილებათა არსება?

რა გეჭონდა ჩვენ 1924 წელს?

ეს იყო ნების პირველი პერიოდი, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ დაუშვა კაპიტალიზმის ერთგვარი გამრცოცხლება სოციალიზმის ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად, როცა ის ითვალისწინებდა, რომ მეურნეობის ორი სისტემის, კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების, შეჯიბრების მსვლელობაში შეექმნა სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის მიმართ. ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ამ შეჯიბრების მსვლელობაში გაგვემტკიცებინა სოციალიზმის პოზიციები, მიგვეღწია კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისა-



თვის და დაგვემთავრებინა სოციალისტური სისტემის, რეგულირებადობა მუდრეობის ძირითადი სისტემა, გამარჯვება,

ჩვენი მრეწველობა მაშინ წარმოადგენდა არასახარბიელო სურათს, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობა. მართალია, ხდებოდა მისი თანდათანობითი აღდგენა, მაგრამ მას ჯერ კიდევ სრულიადაც ვერ მიეღწია თავისი პროდუქციის ომახდელ დონემდე. იგი ემყარებოდა ძველ ჩამორჩენილ და არამდიდარ ტექნიკას. რა თქმა უნდა, იგი ვითარდებოდა სოციალიზმის მიმართულებით. ჩვენი მრეწველობის სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა მაშინ შეადგენდა დაახლოვებით 80 პროცენტს. მაგრამ კაპიტალიზმის სექტორს მაინც ჰქონდა მრეწველობის არანაკლებ 20 პროცენტისა.

ჩვენი სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო არასახარბიელო სურათს წარმოადგენდა. მართალია, მემამულეთა კლასი უკვე ლიკვიდირებული იყო, მაგრამ სამაგიეროდ სასოფლო-სამეურნეო კაპიტალისტების კლასი, კულაკების კლასი, ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. მთლიანად სოფლის მეურნეობა მაშინ მოგვაგონებდა წერილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა თვალუწვდენ ოკეანეს თავიანთი ჩამორჩენილი შუასაუკუნოებრივი ტექნიკით. ამ ოკეანეში ცალკეული წერტილებისა და პატარა კუნძულების სახით არსებობდნენ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, რომელთაც, კაცმა რომ სთქვას, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ცოტად თუ ბევრად სერიოზული მნიშვნელობა ჩვენს სახალხო მეურნეობაში. კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი სუსტნი იყვნენ, ხოლო კულაკი ჯერ კიდევ ძალაში იყო. ჩვენ მაშინ ვლამბარაკობდით კულაკობის არა ლიკვიდაციაზე, არამედ მის შეზღუდვაზე.

იგივე უნდა ითქვას საქონელბრუნვაზე ჩვენს ქვეყანაში. სოციალისტური სექტორი საქონელბრუნვაში შეადგენდა რაღაც 50—60 პროცენტს, — არა მეტს, ხოლო მთელი დანარჩენი არე ეკავათ ვაჭრებს, სპეკულანტებს და სხვა კერძოებს.

ასეთი იყო ჩვენი ეკონომიკის სურათი 1924 წელს.

რა გვაქვს ჩვენ ახლა, 1936 წელს?

თუ ჩვენ მაშინ გვქონდა ნების პირველად პერიოდი, ნების დასაწყისი, კაპიტალიზმის ერთგვარი გამოცოცხლების პერიოდი, ახლა ჩვენ გვაქვს ნების უკანასკნელი პერიოდი, ნების დასასრული, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში კაპიტალიზმის სრული ლიკვიდაციის პერიოდი.

დავიწყით თუნდაც იქიდან, რომ ამ პერიოდში ჩვენი მრეწველობა გიგანტურ ძალად გაიზარდა. ახლა უკვე არ შეიძლება ვუწოდოთ მას სუსტი და ტექნიკურად ცუდად შექმნილი. პირიქით, ახლა იგი ემყარება ახალ, მდიდარ თანამედროვე ტექნიკას ძლიერ განვითარებული მძიმე ინდუსტრიით და კიდევ უფრო მეტად განვითარებული მანქანათმშენებლობით. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ კაპიტალიზმი სრულიად

განდევნილია ჩვენი მრეწველობის სფეროდან, ხოლო წარმოების სოციალისტური ფორმა ახლა წარმოადგენს განუყოფლად გაბატონებულ ფაქტორს ჩვენი მრეწველობის დარგში. წერილშიანად არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ის ფაქტი, რომ ჩვენი ახლანდელი სოციალისტური ინდუსტრია პროდუქციის მოცულობის თვალსაზრისით შეიძვერ და კიდევ უფრო მეტად სჭარბობს ოპიმდელი დროის ინდუსტრიას.

სოფლის მეურნეობის დარგში ნაცვლად წერილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ოკეანისა, მათი სუსტი ტექნიკით და კულაკის ძალაგაუღწეობით, ახლა ჩვენ გვაქვს მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მაშინიზებული, ახალი ტექნიკით შეიარაღებული წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოვლისშემცველი სიატემის სახით. ყველა სათვის ცნობილია, რომ კულაკობა სოფლის მეურნეობაში ლიკვიდირებულია, ხოლო წერილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა სექტორს თავისი ჩამორჩენილი შუააატყუნოებრივი ტექნიკით ახლა უმნიშვნელო ადგილი უჭირავს; ამასთან მისი ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობაში სათვის ფართობების ოდენობის მხრივ შეადგენს არაუმეტეს 2 — 3 პროცენტს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ახლა კოლმეურნეობებს თავიანთ განკარგულებაში აქვთ 316 ათასი ტრაქტორი 5 მილიონ 700 ათასი ცხენისძალის სიმძლავრით, ხოლო საბჭოთა მეურნეობებთან ერთად აქვთ 400 ათასზე მეტი ტრაქტორი 7 მილიონ 580 ათასი ცხენისძალის სიმძლავრით.

რაც შეეხება საქონელბრუნვას ჩვენს ქვეყანაში, ვაჭრები და სპეკულანტები სრულიად განდევნილი არიან ამ დარგიდან. ახლა მთელი საქონელბრუნვა სახელმწიფოს, კოოპერაციისა და კოლმეურნეობების ხელში იმყოფება. წარმოიშვა და განვითარდა ახალი, საბჭოთა ვაჭრობა, ვაჭრობა უსპეკულანტებოდ, ვაჭრობა უკაპიტალისტებოდ.

ამგვარად, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სოციალისტური სისტემის სრული გამარჯვება ახლა ფაქტს წარმოადგენს.

ხოლო ეს რას ნიშნავს?

ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია მოსპობილია, ლიკვიდირებულია, ხოლო საწარმოო იარაღებისა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება დამკვიდრებულია, როგორც ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ურყევი საფუძველი. (ზ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დარგში ყველა ამ ცვლილების შედეგად ჩვენ ახლა გვაქვს ახალი, სოციალისტური ეკონომიკა, რომელმაც არ იცის კრიზისები და უმუშევრობა, არ იცის სიღატაკე და გაჩანაგება და რომელიც აძლევს მოქალაქეებს ყოველგვარ საშუალებას შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის.



ასეთია ძირითადად ის ცვლილებანი, რომლებიც მოხდა ჩვენი ეკონომიკის დარგში 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში.

სსრ კავშირის ეკონომიკის დარგში მომხდარ ამ ცვლილებათა შესაბამისად შეიცვალა ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა.

მემამულეთა კლასი, როგორც ცნობილია, უკვე ლიკვიდირებული იყო სამოქალაქო ომის ძლიერამოსილად დამთავრების შედეგად. რაც შეეხება სხვა ექსპლოატატორულ კლასებს, მათ მემამულეთა კლასის ბედი გაიზიარეს. აღარ არის კაპიტალისტთა კლასი მრეწველობის დარგში. აღარ არის კულაკების კლასი სოფლის მეურნეობის დარგში. აღარ არიან ვაჭრები და სპეკულანტები საქონელბრუნვის დარგში. ამგვარად, ყველა ექსპლოატატორული კლასი ლიკვიდირებული აღმოჩნდა.

დარჩა მუშათა კლასი.

დარჩა გლეხთა კლასი.

დარჩა ინტელიგენცია.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ამ სოციალურ ჯგუფებს ამ ხნის განმავლობაში არავითარი ცვლილება არ განეცადოთ, თითქოს ისინი დარჩენილიყვნენ ისეთებადვე, როგორც ისინი, ვთქვათ, კაპიტალიზმის პერიოდში იყვნენ.

აეილოთ, მაგალითად, სსრ კავშირის მუშათა კლასი. მან ძველი ჩვეულების მიხედვით ხშირად პროლეტარიატს უწოდებენ. მაგრამ რა არის პროლეტარიāti? პროლეტარიāti არის კლასი, მოკლებული საწარმოო იარაღებსა და საშუალებებს მეურნეობის ისეთი სისტემის დროს, როდესაც საწარმოო იარაღები და საშუალებანი კაპიტალისტებს ეკუთვნით და როდესაც კაპიტალისტთა კლასი ეწევა პროლეტარიატის ექსპლოატაციას. პროლეტარიāti — ეს არის კაპიტალისტების მიერ ექსპლოატირებული კლასი. მაგრამ ჩვენში კაპიტალისტთა კლასი, როგორც ცნობილია, უკვე ლიკვიდირებულია, საწარმოო იარაღები და საშუალებანი ჩამოერთვა კაპიტალისტებს და გადაეცა სახელმწიფოს, რომლის ხელმძღვანელ ძალას მუშათა კლასი წარმოადგენს. მაშასადამე, აღარ არის კაპიტალისტთა კლასი, რომელსაც შეეძლოს ექსპლოატაცია გაუწიოს მუშათა კლასს. მაშასადამე, ჩვენი მუშათა კლასი არა თუ მოკლებული არ არის საწარმოო იარაღებსა და საშუალებებს, არამედ, პირიქით, იგი მათ ჰფლობს მთელ ზალხთან ერთად. რაკი იგი მათ ჰფლობს, ხოლო კაპიტალისტთა კლასი ლიკვიდირებულია, — გამორიცხულია მუშათა კლასის ექსპლოატაციის ყოველგვარი შესაძლებლობა. შეიძლება თუ არა ამის შემდეგ ჩვენს მუშათა კლასს პროლეტარიāti ეწოდოს? ცხადია, არ შეიძლება. მარჟი ამბობდა: იმისათვის, რომ პროლეტარიატმა თავი გაინთავისუფლოს, მან უნდა გაანადგუროს კაპიტალისტთა კლასი, ჩამოართვას კაპიტალისტებს საწარმოო იარაღები და საშუალებანი და მოსპოს წარმო-

ეისი ის პირობები, რომლებიც პროლეტარიატს წარმოშობენ. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ სსრ კავშირის მუშათა კლასმა უკვე განხორციელა თავისი განთავისუფლების ეს პირობები? უაათუოდ მსგავსება და უნდა ითქვას. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ სსრ კავშირის პროლეტარიატი გადაიქცა სრულიად ახალ კლასად, სსრ კავშირის მუშათა კლასად, რომელმაც მოსპო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა, დაამკვიდრა საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება და საბჭოთა საზოგადოებას კომუნისმის გზით წარმართავს.

როგორც ხედავთ, სსრ კავშირის მუშათა კლასი — ეს სრულიად ახალი, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული, მუშათა კლასია, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ კიდევ არ სცოდნია.

გადავიდეთ გლეხობის საკითხზე. ჩვეულებრივ ამბობენ, რომ გლეხობა — ეს წვრილ მწარმოებელთა ისეთი კლასია, რომლის წევრნი ატომიზებული, მთელ ქვეყანაში გაბნეული არიან, ცალცალკე ცოდევილობენ თავიანთ წვრილ მეურნეობებში თავიანთი ჩამორჩენილი ტექნიკით, წარმოადგენენ კერძო საკუთრების მონებს და მათ დაუსჯელად უწევენ ექსპლოატაციას შემამულენი, კულაკები, ვაჭრები, სპეკულანტები, მევახშენი და მათი მსგავსნი. და მართლაც, გლეხობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, თუ მხედველობაში მის ძირითად მასას მივიღებთ, სწორედ ასეთ კლასს წარმოადგენს. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენი თანამედროვე გლეხობა, საბჭოთა გლეხობა, თავისი მასით ამგვარ გლეხობას წააგავს? არა, ამის თქმა არ შეიძლება. ასეთი გლეხობა ჩვენში უკვე აღარ არის. ჩვენი საბჭოთა გლეხობა სრულიად ახალ გლეხობას წარმოადგენს. ჩვენში აღარ არიან შემამულეები და კულაკები, ვაჭრები და მევახშეები, რომელთაც შეეძლოთ გლეხთა ექსპლოატირება. მაშასადამე, ჩვენი გლეხობა არის ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული გლეხობა. შემდეგ, ჩვენი საბჭოთა გლეხობა თავისი უდიდესი უმრავლესობით არის კოლმეურნე გლეხობა, ე. ი. იგი თავის მუშაობასა და თავის დოვლათს ამყარებს არა ერთპიროვნულ შრომასა და ჩამორჩენილ ტექნიკაზე, არამედ კოლექტიურ შრომასა და თანამედროვე ტექნიკაზე. ბოლოს, ჩვენ გლეხობის მეურნეობას საფუძვლად უდევს არა კერძო საკუთრება არამედ კოლექტიური საკუთრება, რომელიც კოლექტიური შრომის ბაზაზე გაიზარდა.

როგორც ხედავთ, საბჭოთა გლეხობა — ეს სრულიად ახალი გლეხობაა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ კიდევ არ სცოდნია.

დასასრულ, გადავიდეთ ინტელიგენციის საკითხზე, საკითხზე ინჟინერთექნიკოს მუშაკთა, კულტურული ფრონტის მუშაკთა, საერთოდ მოხამსახურეთა და სხვ. მან აგრეთვე დიდი ცვლილებანი განიცადა განვლილ პერიოდში. ეს უკვე ის ძველი დახვავებული ინტელიგენცია კი არ არის, რომელიც ცდილობდა თავისი თავი კლასებს შვიით დაეყენებინა, ნამდვილად კი თავისი მასით ემსახურებოდა შემამულეება



და კაპიტალისტებს. ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია — ეს სრულყოფილი ინტელიგენციაა, რომელიც მთელი ფესვებით დაკავშირებულია მუშათა კლასთან და ვლენობასთან. ჯერ-ერთი, შეიცვალა ინტელიგენციის შემადგენლობა. თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის წრიდან გამოსულები შეადგენენ ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის მცირე პროცენტს. საბჭოთა ინტელიგენციის 80 — 90 პროცენტი — ეს მუშათა კლასის, ვლენობის და მშრომელთა სხვა ფენებიდან არის გამოსული. ბოლოს, შეიცვალა თვით ინტელიგენციის საქმიანობის ხასიათიც. წინათ მას უნდა ემსახურნა მდიდარი კლასებისათვის, ვინაიდან მას სხვა გამოსავალი არა ჰქონდა. ახლა იგი უნდა ემსახუროს ხალხს, ვინაიდან უკვე აღარ არიან ექსპლოატატორული კლასები. და სწორედ ამიტომ იგი ახლა წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრს. სადაც იგი მუშებთან და გლეხებთან ერთად, მათთან ხელიხელ ჩაკიდებული, ეწევა ახალი უკლასო სოციალისტური საზოგადოების შენებას.

როგორც ზედავთ, ეს სავესებით ახალი, მშრომელი ინტელიგენციაა, რომლის შგავსს დედამიწის ვერც ერთ ქვეყანაში ვერ იპოვიოთ.

ასეთია ის ცვლილებანი, რომლებიც განვლილი დროის მანძილზე მოხდა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის დარგში.

რას გვეუბნებიან ეს ცვლილებანი?

ისინი გვეუბნებიან, ჯერ-ერთი, იმას, რომ საზღვარი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, ისევე როგორც ამ კლასებსა და ინტელიგენციას შორის — იშლება, ხოლო ძველი კლასობრივი განკერძოებულობა — ჰქრება. ეს იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო და უფრო მცირდება მანძილი ამ სოციალურ ჯგუფებს შორის.

მეორე, ისინი გვეუბნებიან იმას, რომ ეცემა, იშლება ეკონომიური წინააღმდეგობანი ამ სოციალურ ჯგუფებს შორის.

დასასრულ, ისინი გვეუბნებიან იმას, რომ ეცემა და იშლება აგრეთვე პოლიტიკური წინააღმდეგობანი მათ შორის.

ასეთია საქმის ვითარება სსრ კავშირის კლასობრივი სტრუქტურის დარგში ცვლილებათა მხრივ.

სსრ კავშირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცვლილებათა სურათი არ იქნებოდა სრული, რამდენიმე სიტყვა რომ არ გვეთქვა ცვლილებებზე კიდევ ერთ დარგში. მე მზედველობაში მაქვს სსრ კავშირში ნაციონალურ ურთიერთდამოკიდებულებათა სფერო. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში შედის დაახლოვებით 60 ნაცია, ნაციონალური ჯგუფი და ეროვნება. საბჭოთა სახელმწიფო მრავალეროვანი სახელმწიფოა. გასაგებია, რომ სსრ კავშირის ხალხებს შორის ურთიერთდამოკიდებულებათა საკითხს არ შეიძლება არ ჰქონდეს ჩვენთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, როგორც ცნობილია, შეიქმნა 1922 წელს სსრ კავშირის საბჭოების პირველი სესიონებზე. იგი შეიქმნა სსრ კავშირის ხალხთა თანასწორობისა და წინაყოფილობის საფუძვლებზე. ამჟამად მომქმედი კონსტიტუცია, მიღებული 1924 წელს, არის სსრ კავშირის პირველი კონსტიტუცია. ეს იყო პერიოდი, როცა ხალხებს შორის ურთიერთობანი ჯერ კიდევ არ იყო წესიერად მოგვარებული, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამჭრალი ველიკოროსებისადმი უნდობლობის ნაშთები, როცა ცენტრსრბოლი ძალები ჯერ კიდევ განაგრძობდნენ მოქმედებას. საჭირო იყო ამ პირობებში მოგვეგვარებინა ხალხთა ძმური თანამშრომლობა ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთდახმარების ბაზაზე, მათი ერთ საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოდ გაერთიანებით. საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო არ დაენახნა ამ საქმის სიძნელენი. მის თვალწინ იყო ბურჟუაზიულ ქვეყნებში მრავალეროვან სახელმწიფოთა მარცხით დამთავრებული ცდები. მის თვალწინ იყო ძველი ავსტრია-უნგრეთის მარცხით დამთავრებული ცდა. და მან მიიჩნეა მიმართა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდას, ვინაიდან მან იცოდა, რომ სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილმა მრავალეროვანმა სახელმწიფომ უნდა გაუძლოს ყველა და ყოველგვარ განსაცდელს.

მას შემდეგ 14 წელმა განვლო. პერიოდი საკმარისია იმისათვის, რომ შევამოწმოთ ცდა. და მერე? განვლილმა პერიოდმა უქველად დაგვანახვა, რომ სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდა სრული წარმატებით დამთავრდა. ეს არის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის უქველი გამარჯვება. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ე ი ტ ა შ ი.).

რით უნდა აიხსნას ეს გამარჯვება?

არარსებობამ ექსპლოატატორთა კლასებისამ, რომლებიც ნაციონალური შორის ჩხუბის, ძირითად ორგანიზატორებს წარმოადგენენ; არარსებობამ ექსპლოატაციისამ, რომელიც ურთიერთუნდობლობას ნერგავს და ნაციონალისტურ ვნებებს აღვივებს; იმან, რომ ძალაუფლების სათავეში სდგას მუშათა კლასი, რომელიც მტერია ყოველგვარი დამონებისა და ერთგული მატარებელია ინტერნაციონალიზმის იდეებისა; ხალხთა ურთიერთდახმარების ფაქტურმა განხორციელებამ სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში; ბოლოს, სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურის, ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებამ, — ყოველივე ამან და მათმა მსგავსმა ფაქტორებმა მიგვეყვანა იქამდე, რომ ძირფესვიანად შეიცვალა სსრ კავშირის ხალხთა სახე, გააქრა მათში ურთიერთუნდობლობის გრძნობა, განვითარდა მათში ურთიერთმეგობრობის გრძნობა და, ამგვარად, მოგვარდა ხალხთა ნამდვილი ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში.

ამის შედეგად ახლა ჩვენ გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებული მრავალ-ეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსა-ცდელს გაუძლო და რომლის სიმტკიცეც შეშურდებოდა რომელიც ვნებ-ბათ ნაციონალურ სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც ვნებათ ნა-წილში. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

ასეთია ის ცვლილებანი, რომლებიც განვლილი პერიოდის მანძილზე მოხდა სსრ კავშირში ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ უ რ თ ი ე რ თ დ ა შ ო კ ი-დ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა სფეროში.

ასეთია სსრ კავშირის სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების იმ ცვლილებათა საერთო შედეგი, რომლებიც 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში მოხდა.

### III

#### კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი


რა ასახვა ჰპოვა სსრ კავშირის ცხოვრებაში მომხდარმა ყველა ამ ცვლილებამ ახალი კონსტიტუციის პროექტში?

სხვანაირად რომ ვთქვათ: როგორია ძირითადი თავისებურებანი კონს-ტიტუციის პროექტისა, რომელიც ამ ყრილობის განსახილველად არის წარმოდგენილი?

საკონსტიტუციო კომისიას დავალებული ჰქონდა შეეტანა ცვლილე-ბანი 1924 წლის კონსტიტუციის ტექსტში. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის შედეგად მივიღეთ კონსტიტუციის ახალი ტექსტი, სსრ კავში-რის ახალი კონსტიტუციის პროექტი. ახალი კონსტიტუციის პროექტის შედგენისას საკონსტიტუციო კომისია იქიდან ვამოდოდა, რომ კონსტი-ტუცია არ უნდა იქნას არეული პროგრამასთან. ეს ნიშნავს, რომ პრო-გრამასა და კონსტიტუციას შორის არსებითი განსხვავება არის. მაშინ როდესაც პროგრამა ლაპარაკობს იმაზე, რაც ჯერ კიდევ არ არის და რაც ჯერ კიდევ მიღწეულ და მოპოვებულ უნდა იქნას მომავალში, კონსტიტუცია, პირიქით, უნდა ლაპარაკობდეს იმაზე, რაც უკვე არის, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია ახლა, აწმყოში. პროგრამა უმთავ-რესად ეხება მომავალს, კონსტიტუცია — აწმყოს.

ორი შავალითი ილუსტრაციისათვის.

ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებამ მიიღწია იმას, რომ ძირითადად უკვე განახორციელა სოციალიზმი, შექმნა სოციალისტური წყობილება, ე. ი. განახორციელა ის, რაბაც მარქსისტები სხვანაირად კომუნისმის პირველ ანუ დაბალ ფაზას უწოდებენ. მაშასადამე, ჩვენში ძირითადად უკვე გან-ხორციელებულია კომუნისმის პირველი ფაზა, სოციალიზმი. (ხ ა ნ-გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი). კომუნისმის ამ ფაზის ძირითად პრინციპს, რო-



გორც ცნობილია, წარმოადგენს ფორმულა: „თვითთულნიან მისი უნარის ძიხედვით, თვითთულა — მისი შრომის მიხედვით“ თუ არა ჩვენმა კონსტიტუციამ ეს ფაქტი, სოციალიზმის მოპოვების ფაქტი? უნდა დაემყაროს თუ არა იგი ამ მონაპოვარს? უსათუოდ უნდა დაემყაროს. უნდა დაემყაროს, რადგან სოციალიზმი სსრ კავშირისათვის არის ის, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია.

მაგრამ საბჭოთა საზოგადოებას ჯერ კიდევ არ მიუღწევია კომუნისმის მაღალი ფაზის განხორციელებისათვის, სადაც გაბატონებული პრინციპი იქნება ფორმულა: „თვითთულნიან მისი უნარის მიხედვით, თვითთულს მისი მოთხოვნის მიხედვით“, თუმცა კი იგი მიზნად ისახავს მიაღწიოს მომავალში კომუნისმის უმაღლესი ფაზის განხორციელებას. შეუძლიან თუ არა ჩვენს კონსტიტუციას დაემყაროს კომუნისმის უმაღლეს ფაზას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის და რომელიც ჯერ კიდევ მოპოვებულ უნდა იქნას? არა, არ შეუძლიან, რადგან კომუნისმის უმაღლესი ფაზა სსრ კავშირისათვის არის ის, რაც ჯერ კიდევ არ განხორციელებულა და რაც მომავალში უნდა განხორციელდეს. არ შეუძლიან, თუ არ უნდა მას გადაიქცეს პროგრამად, ან დეკლარაციად მომავალ მონაპოვართა შესახებ.

ასეთია ჩვენი კონსტიტუციის ჩარჩოები მოცემულ ისტორიულ მომენტში.

ამგვარად, ახალი კონსტიტუციის პროექტი წარმოადგენს განვლილი გზის შედეგს, უკვე მიღწეულ მონაპოვართა შედეგს. იგი, მაშასადამე, წარმოადგენს იმის რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, რაც საქმით უკვე მიღწეული და მოპოვებულია. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

ამაშია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის პირველი თავისებურება.

შემდეგ ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციები ჩვეულებრივ განვიხილავთ კაპიტალისტური წყობილების ურყევლობის რწმენიდან. ამ კონსტიტუციათა მთავარ საფუძველს შეადგენენ კაპიტალიზმის პრინციპები, მისი ძირითადი საყრდენები: მიწის, ტყეების, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა საწარმოო იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრება; ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაცია და ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა არსებობა; მშრომელი უმრავლესობის არაუზრუნველყოფა საზოგადოების ერთ პოლუსზე და არამშრომელი, მაგრამ უზრუნველყოფილი უმცირესობის ფუფუნება მეორე პოლუსზე; და სხვ. და ა. შ. ისინი ეყრდნობიან კაპიტალიზმის ში და მათ მსგავს საყრდენებს. ისინი იმით ასახავენ, ისინი იმით განამტკიცებენ საკანონმდებლო წესით.

მათგან განსხვავებით სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოდის კაპიტალისტური წყობილების ლიკვიდაციის ფაქტიდან, სსრ კავშირში სოციალისტური წყობილების გამარჯვებინ ფაქტიდან. სსრ კავ-



შირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მთავარ საფუძველს შეადგენენ სოციალიზმის პრინციპები, მისი ძირითადი საყრდენები, ~~ხეცხეც~~ ~~ხეცხეც~~ ბუნლი და განხორციელებულნი: მიწის, ტყეების, ფაბრიკების, ~~ქარხნებისა~~ და სხვა საწარმოო იარაღებისა და საშუალებების სოციალისტური საკუთრება; ექსპლოატაციისა და ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია; უმრავლესობის სილატაკისა და უმცირესობის ფუფუნების ლიკვიდაცია; უმუშევრობის ლიკვიდაცია; შრომა, როგორც თვითეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმე ფორმულით: „ვინც არ მუშაობს, ის ვერც სჭამს“. შრომის უფლება, ე. ი. თვითეული მოქალაქის უფლება მიიღოს გარანტირებული სამუშაო; დასვენების უფლება; განათლების უფლება; და სხვ. და ა. შ. ახალი კონსტიტუციის პროექტი ეყრდნობა სოციალიზმს ამ და მათ მსგავს საყრდენებს. იგი მათ ასახავს, იგი მათ განამტკიცებს საკანონმდებლო წესით.


ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მეორე თავისებურება.

შემდეგ. ბურჟუაზიული კონსტიტუციები მდუმარედ გამოდიან იმ წინამძღვარიდან, რომ საზოგადოება შესდგება ანტაგონისტური კლასებისაგან, იმ კლასებისაგან, რომლებიც სიმდიდრესა ჰფლობენ, და იმ კლასებისაგან, რომლებიც მას არ ჰფლობენ, რომ რომელი პარტიაც უნდა ჩაუდგეს ხელისუფლებას სათავეში, საზოგადოების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა (დიქტატურა) უნდა ეკუთვნოდეს ბურჟუაზიას, რომ კონსტიტუცია საჭიროა იმისათვის, რათა განმტკიცდეს საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია შემლებული კლასებისათვის.

ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოდის იქიდან, რომ საზოგადოებაში უკვე აღარ არიან ანტაგონისტური კლასები, რომ საზოგადოება შესდგება ორი ერთმანეთის მეგობრული კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან, რომ ხელისუფლების სათავეში დგანან სწორედ ეს მშრომელი კლასები, რომ საზოგადოების სახელმწიფო ხელმძღვანელობა (დიქტატურა) ეკუთვნის მუშათა კლასს როგორც საზოგადოების მოწინავე კლასს, რომ კონსტიტუცია საჭიროა იმისათვის, რათა განვამტკიცოთ საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია მშრომლებსათვის.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მესამე თავისებურება.

შემდეგ. ბურჟუაზიული კონსტიტუციები მდუმარედ გამოდიან იმ წინამძღვარიდან, რომ ნაციები და რასები არ შეიძლება თანასწორუფლებიანი იყვნენ, რომ არიან სრულუფლებიანი ნაციები და არიან არასრულუფლებიანი ნაციები, რომ, ამას გარდა, არსებობს კიდევ ნაციებისა ან რასების მესამე კატეგორია, მაგალითად, კოლონიებში, რომლებსაც კიდევ უფრო ნაკლები უფლებები აქვთ, ვიდრე არასრულუფლებიან ნა-



ციებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ეს კონსტიტუცია თავისი საფუძვლით წარმოადგენს ნაციონალისტურს, ე. ი. გაბატონებული ნაციონალისტურ ციებს.

ამ კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, პირიქით, ღრმად ინტერნაციონალურია. იგი გამოდის იქიდან, რომ ყველა ნაცია და რასა თანასწორუფლებიანია. იგი გამოდის იქიდან, რომ განსხვავება კანის ფერისა ან ენისა, კულტურული დონისა ან სახელმწიფო განვითარების დონისა, ისევე როგორც სხვა რომელიმე განსხვავება ნაციებსა და რასებს შორის — არ შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ გავამართლოთ ნაციონალური არათანასწორუფლებიანობა. იგი გამოდის იქიდან, რომ ყველა ნაცია და რასა, მათი წარსული და ახლანდელი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, მათი ძალიან ან სისუსტიანაგან დამოუკიდებლად, — უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებით საზოგადოების სამეურნეო, საზოგადოებრივი, სახელმწიფო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მეოთხე თავისებურება.

ახალი კონსტიტუციის პროექტის მეხუთე თავისებურებას წარმოადგენს მისი თანმიმდევრობითი და ზოლომდე დაცული დემოკრატიზმი. დემოკრატიზმის თვალსაზრისით ბურჟუაზიული კონსტიტუციები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: კონსტიტუციათა ერთი ჯგუფი პირდაპირ უარყოფს ან ფაქტიურად არააზობად აქცევს მოქალაქეთა უფლებების თანასწორობას და დემოკრატიულ თავისუფლებებს. კონსტიტუციათა მეორე ჯგუფი ხალხისათვის ღებულობს და საქვეყნოდაც კი გააქვივის დემოკრატიულ საწყისებზე, მაგრამ ამასთან უკეთებს იმეთ შენიშვნებსა და შეზღუდვებს, რომ დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებანი სრულიად დამახინჯებულს გამოდის. ისინი ლაპარაკობენ თანასწორ საარჩევნო უფლებებზე ყველა მოქალაქისათვის, მაგრამ იქვე ზღუდავენ მათ ბინადრობით, განათლების ცენზით და ქონებრივი ცენზითაც კი. ისინი ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორ უფლებებზე, მაგრამ იქვე უკეთებენ შენიშვნას, რომ ეს არ შეეხება ქალებს, ან შეეხება მათ ნაწილობრივ. და სხვ. და ა. შ.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავისუფალია მსგავსი შენიშვნებისა და შეზღუდვებისაგან. მისთვის არ არსებობენ აქტიური ან პასიური მოქალაქენი. მისთვის ყველა მოქალაქე აქტიურია. იგი არა სცნობს განსხვავებას მამაკაცთა და დედამკაცთა, „ბინადართა“ და „არაბინადართა“, შქონებელთა და უქონელთა, განათლებულთა და გაუნათლებელთა უფლებებში. მისთვის ყველა მოქალაქე თანასწორია თავის უფლებებში. არა ქონებრივი მდგომარეობა, არა ნაციონალური წარმოშობა, არა სქესი, არა სამსახურებრივი მდგომარეობა, არამედ თვითთელი მოქალაქის პირადი



უნარი და პირადი შრომა განსაზღვრავენ მის მდგომარეობას საზოგადოებაში.

დადასრულ, ახალი კონსტიტუციის პროექტის კიდევ ერთი თავისებურება. ბურჟუაზიული კონსტიტუციები ჩვეულებრივ სჯერდებიან მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას და არ ზრუნავენ ამ უფლებათა განხორციელების პირობებზე, მათი განხორციელების შესაძლებლობაზე, მათი განხორციელების საშუალებებზე. ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორობაზე, მაგრამ ივიწყებენ, რომ არ შეიძლება ნამდვილი თანასწორობა შებატონება და მუშას შორის, მემამულესა და გლეხს შორის, თუ პირველთა აქვთ სიმდიდრე და პოლიტიკური წონა საზოგადოებაში, ხოლო მეორენი მოკლებული არიან ერთსაც და მეორესაც, თუ პირველნი წარმოადგენენ ექსპლოატატორებს, ხოლო მეორენი — ექსპლოატირებულთ. ან კიდევ: ლაპარაკობენ სიტყვის, კრებებისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე, მაგრამ ივიწყებენ, რომ ყველა ეს თავისუფლება შეიძლება მუშათა კლასისათვის ლიტონსიტყვად გადაიქცეს, თუ იგი მოკლებულია შესაძლებლობას იქონიოს თავის განკარგულებაში შესაფერისი შენობები კრებებისათვის, კარგი სტამბები, საბეჭდო ქაღალდი. საკმაო რაოდენობა და ა. შ.

ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ სჯერდება მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას, არამედ სიმძიმის ცენტრი გადააქვს ამ უფლებათა გარანტიების საკითხზე, ამ უფლებათა განხორციელების საშუალებების საკითხზე. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს მოქალაქეების უფლებათა თანასწორობას, არამედ კიდევ უზრუნველყოფს მას ექსპლოატაციის რეჟიმის ლიკვიდაციის ფაქტის, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან მოქალაქეთა განთავისუფლების ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს შრომის უფლებას, არამედ კიდევ უზრუნველყოფს მას საბჭოთა საზოგადოებაში კრიზისების არარსებობის ფაქტის, უმუშევრობის მოსპობის ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს დემოკრატიულ თავისუფლებებს, არამედ კიდევ უზრუნველყოფს მათ საკანონმდებლო წესით გარკვეული მატერიალური საშუალებებით. ამიტომ განაგებია, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტის დემოკრატიზმი წარმოადგენს არა „ჩვეულებრივსა“ და „საყოველთაოდ აღიარებულ“ დემოკრატიზმს საერთოდ, არამედ სოციალისტურ დემოკრატიზმს.

ასეთია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი.

ასეთია სსრ კავშირის სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების იმ ძვრათა და ცვლილებათა ანახვა ახალი კონსტიტუციის

პროექტში, რომლებიც განხორციელდნენ 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში.

წარმოადგენს  
საბჭოთა კავშირის  
საინჟინერო-ტექნიკურ  
საბჭოს

## IV

## კონსტიტუციის პროექტის ზუსტუაზიული კრიტიკა

რამდენიმე სიტყვა კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიული კრიტიკის შესახებ.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს კონსტიტუციის პროექტს უცხოეთის ბურჟუაზიული პრესა, უდაოდ წაიხილავდა ყველა ინტერესს. რამდენადაც უცხოეთის პრესა ახახავს ბურჟუაზიულ ქვეყანათა მოსახლეობის სხვადასხვა ფენების საზოგადოებრივ აზრს, ჩვენ არ შეგვიძლიან გვერდი ავუხვიოთ იმ კრიტიკას, რომელიც ამ ბრეჟამ კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ გაშალა.

კონსტიტუციის პროექტის მიმართ უცხოეთის პრესის რეაქციის პირველი ნიშნები გამოიხატა გარკვეულ ტენდენციებში — დუმილით შეხვედროდნენ კონსტიტუციის პროექტს. მე ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ყველაზე უფრო რეაქციული, ფაშისტური პრესა. კრიტიკოსთა ამ ჯგუფს უმჯობესად ჩასტვალა უბრალო დუმილით შეხვედროდა კონსტიტუციის პროექტს, ისე წარმოედგინა საქმე, თითქოს პროექტი არ ყოფილიყო და იგი საერთოდ არ არსებობდეს ბუნებაში. შეიძლება სთქვან, დუმილით შეხვედრა არ არის კრიტიკა. მაგრამ ეს არაა მართალი. დუმილით შეხვედრის მეთოდიც, როგორც უგულვებელყოფის განსაკუთრებული საშუალება, არის აგრეთვე კრიტიკის ფორმა, მართალია, სულელური და სისაცილო, მაგრამ მაინც კრიტიკის ფორმა. (საერთო სტკილი ტაში). მაგრამ დუმილით შეხვედრის მეთოდიდან მათ არაფერი გამოუვიდათ. ბოლონაბოლოს ისინი იძულებული გახდნენ აეხსნათ სარქველი და ეუწყებინათ მსოფლიოსათვის, რომ რაღაც სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს, მსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი მაინც არსებობს, და არა თუ არსებობს, არამედ მაგნე ზემოქმედებასაც ახდენს ადამიანთა გონებაზე. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან მაინც არის ჭეყნად რალაც საზოგადოებრივი აზრი, მკითხველები, ცოცხალი ადამიანები, რომელთაც სურთ იცოდნენ სიმართლე ფაქტების შესახებ, და მათი დიდხანს ყოლა მოტყუების მარწუხებში ყოვლად შეუძლებელია. მოტყუებით შორს ვერ წახვალ...

მეორე ჯგუფი კრიტიკოსებისა აღიარებს, რომ კონსტიტუციის პროექტი ნამდვილად არსებობს, ბუნებაში, მაგრამ იგი სთვლის, რომ პროექტი არ წარმოადგენს დიდ ინტერესს, რადგან იგი არაერთხელ არის არა კონსტიტუციის პროექტი, არამედ ფარატირა ქალაქი, ცალიერი

დაპირება, ნავარაუდევია ერთგვარი მანერის გასაკეთებლად და ბაზისის მოსატყუებლად. ამასთან ისინი დასდენენ, რომ უკეთესი მოწყობა მოცულება საბჭოთა კავშირს არც შეეძლო, რადგან თვითონ სსრ კავშირის წარმოადგენს არა სახელმწიფოს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ — გეოგრაფიულ ცნებას (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი) ხოლო რაკი იგი სახელმწიფოს არ წარმოადგენს, ამიტომ მისი კონსტიტუცია არ შეიძლება ნამდვილი კონსტიტუცია იყოს. კრიტიკოსთა ამ ჯგუფის ტიპური წარმომადგენელია, რაიკ უცნაურიც არ უნდა იყოს ეს, გერმანიის ოფიცოზი „დეიტშე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენც“. ეს ყურნალი პირდაპირ ამბობს, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი წარმოადგენს ცალკე დაპირებას, მოტყუებას, „პოლიომკინის სოფელს“. იგი უყოყმანოდ აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი არ არის სახელმწიფო, რომ საბჭოთა კავშირი „სხვა არაფერია, თუ არა ზუსტად განსაზღვრული გეოგრაფიული ცნება“ (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი), რომ ამიტომ საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია არ შეიძლება ნამდვილ კონსტიტუციად იქნას აღიარებული.

რა შეიძლება ითქვას ასეთ, უკაცრავად პასუხია, კრიტიკოსებზე? ერთერთ თავის ზღაპარ-მოთხრობაში დიდი რუსი მწერალი შჩედრინი იძლევა თავნება ბიუროკრატის ტიპს, რომელიც ძალიან შეზღუდულია და გონებაჩლუნგი, მაგრამ უაღრესად დარწმუნებული თავისთავში და ფიცხი. მას შემდეგ, რაც ამ ბიუროკრატმა მისდამი „რწმუნებულ“ ოლქში „წესრიგი და სიწყნარე“ დაამყარა, რისთვისაც ათასობით მცხოვრებნი გაელიტა და ათობით ქალაქები გადასწვა, მან ირგვლივ მიმოიხედა და პორიზონტზე შენიშნა ამერიკა, რასაკვირველია, ნაკლებადცნობილი ქვეყანა, სადაც, თურმე, არის რაღაც თავიუფლებები, რომლებსაც ხალხმშფოთი შეაქვთ და სადაც სახელმწიფოს სხვა მეთოდებით მართავენ. ბიუროკრატმა ამერიკა შენიშნა და აღშფოთდა: ეს რა ქვეყანაა, საიდან გაჩნდა იგი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი? (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი, ტ ა შ ი). რასაკვირველია, იგი შემთხვევით აღმოაჩინეს რამდენიმე საუკუნის წინათ, მაგრამ განა არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოს? (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი). და, სთქვა თუ არა ეს, დაადო რეზოლუცია: „კვლავ დაიხუროს ამერიკა!“ (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი).

მე მგონია, რომ ვაებატონები „დეიტშე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენციდან“ როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგვანან შჩედრინის ბიუროკრატს. (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი, მ ო წ ო ნ ე ბ ი ს ტ ა შ ი). ამ ვაებატონებს საბჭოთა კავშირი უკვე დიდი ხანია თვალში ეჩხირებათ. ცბრამეტი წელიწადია იგას საბჭოთა კავშირი, როგორც შექტრა, რომელიც განთავისუფლების სულით მსკვალავს მთელ მსოფლიოს. მუშათა კლასს და ცოფს ჰგვრის მუშათა კლასის მტრებს. და იგი, ეს საბჭოთა

კავშირი, თურმე, არა თუ მხოლოდ არსებობს, არამედ იზრდება კიდევ, და არა თუ იზრდება, არამედ წარმატებებსაც აღწევს, და არა თუ წარმატებებს აღწევს, არამედ ახალი კონსტიტუციის პროექტსაც კი სთხოვს, პროექტს, რომელიც ალაგზნებს ადამიანთა გონებას, ახალ იმედებს უნერგავს დაჩაგრულ კლასებს. (ტაშვი). როგორ არ უნდა აღმფრთხილდნენ ამის შემდეგ ვაჟბატონები გერმანული ოფიციალიზიდან? რა ჭეშქანაა ეს ჭეშქანა, ვოდებენ ისინი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი (საერთო სიცილი), და თუ იგი 1917 წლის ოქტომბერში აღმოაჩინეს, რატომ არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენებაც აღარ ყფოს? და, სთქვებს რა ეს, დაადგინეთ: კვლავ დაიხუროს საბჭოთა კავშირი, ყველას გასავიწოდებლად გამოცხადდეს, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო, არ არსებობს, რომ საბჭოთა კავშირი სხვა არაფერია, თუ არა უბრალო გეოგრაფიული ცნება! (საერთო სიცილი).

ადებდა რა რეზოლუციას იმის შესახებ, რომ კვლავ დახურულიყო ამერიკა, შვედრინის ბიუროკრატმა, მიუხედევად მთელი თავისი სიჩლუნგისა, შინც მონახა თავისთავში რეალურის გაგების ელემენტები, ჩაილაპარაკა რა იქვე თავისთვის: „მაგრამ, მგონი, საქმე ესე ჩემზე არ არის დამოკიდებული“ (მხიარული სიცილის გრიალი, მქუხარე ტაშვი). მე არ ვიცი, ეყოფათ თუ არა ჭკუა ვაჟბატონებს გერმანული ოფიციალიზიდან მიხვდნენ, რომ ამათუიმ სახელმწიფოს „დახურვა“ ქალაღზე მათ, რასაკვირველია, შეუძლიანთ. მაგრამ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, „საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული“... (მხიარული სიცილის გრიალი, მქუხარე ტაშვი).

რაც შეეხება იმას, ვითომც სსრ კავშირის კონსტიტუცია წარმოადგენდეს ცალიერ დაპირებას, „პოტიომკინის სოფელს“ და ა. შ., მე მინდა მივეუთითო მთელ რიგ დადგენილ ფაქტებზე, რომლებიც თავისთავად მეტყველებენ.

1917 წელს სსრ კავშირის ხალხებმა დაამხეს ბურჟუაზია და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა, დაამყარეს საბჭოთა ძალაუფლება. ეს ფაქტია და არა დაპირება.

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა მემამულეთა კლასის ლიკვიდაცია და გლეხებს გადასცა 150 მილიონზე მეტი ჰექტარი ყოფილი მემამულური, სახაზინო და სამონასტრო მიწები და ეს — იმ მიწებზე, ვარაოა, რომლებიც წინათაც გლეხთა ხელში იყო. ეს ფაქტია და არა დაპირება.

შემოგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა კაპიტალიზმთა კლასის ექსპროპრიაცია, ჩამოართვა მათ ბანკები, ჭარხნიები, რკინიგზები და სხვა საწარმოო იარაღნი და საშალებანი, გამოაცხადა ისინი სოციალისტურ საკუთრებად და ამ საწარმოთა სათავეში დააყენა მუშათა კლასის სა-

უკეთესო აღმჩანები. ეს ფაქტია და არა დაპირება. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

შემდეგ მოაწყო რა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ახალ, სოციალისტურ საფუძველზე, ახალი ტექნიკური ბაზით, საბჭოთა ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ ამჟამად მიწათმოქმედება სსრ კავშირში იძლევა ერთნახევარჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე ომამდე იძლეოდა, ინდუსტრია აწარმოებს შვიდჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე ომამდე, ხოლო სახალხო შემოსავალი გაიზარდა ერთიოთხედ ომამდელ დროსთან შედარებით. ყოველივე ეს — ფაქტებია და არა დაპირებანი. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო უმუშევრობა, ცხოვრებაში გაატარა შრომის უფლება, დაგეგმვის უფლება, განათლების უფლება, უზრუნველყო უკეთესი მატერიალური და კულტურული პირობები მუშებისა, გლეხებისა და ინტელიგენციისათვის, უზრუნველყო საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების გატარება ცხოვრებაში მოქალაქეთა ფარული კენჭისყრით. ყოველივე ეს — ფაქტებია და არა დაპირებანი. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

დასასრულ, სსრ კავშირმა მოგვცა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც წარმოადგენს არა დაპირებას, არამედ ამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, იმის რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია.

კითხვა ისმება, რა აზრი აქვს ყოველივე ამის შემდეგ გერმანული ოფიციალის ვაგბატონთა ლაყბობას „პოტიომკინის სოფლების“ შესახებ, თუ არა ის, რომ მათ მიზნად დაიხაზეს დაუმადონ ხალხს სიმართლე სსრ კავშირის შესახებ, შეიყვანონ ხალხი შეცდომაში, მოატყუონ იგი.

ასეთია ფაქტები. ხოლო ფაქტები, როგორც იტყვიან, ჯიუტი რამ არის. ვაგბატონებს გერმანული ოფიციალიდან შეუძლიანთ სთქვან: მით უარესი ფაქტებისათვის. (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი). მაგრამ მაშინ მათ შეგვიძლიან ვუპასუხოთ ცნობილი რუსული ანდაზის სიტყვებით: „რეგვენათთვის კანონი არ იწერება“. (მ ხ გ ა რ უ ლ ი ს ი ც ი ლ ი, ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

მესამე ჯგუფი კრიტიკოსთა არ უარობს ალიაჩოს კონსტიტუციის პროექტის გარკვეული ღირსებანი, იგი მას დათვებით მოაღონაო მიაჩნია, მაგრამ იგი, თორმე ნუ იტყვიან, ძალიან ეჭობს, რომ შეიძლება მის მთელ რიგ თებულებათა ცხოვრებაში გატარება. ეინაიდან იგი დარწმუნებულია, რომ ეს თებულებანი საერთოდ განახორციელებილია და ქაღალდზე უნდა დარჩინ. ეს, რბილად რომ ითქვას, სიპტიკოსები არიან. ისინი, ეს სკეპტიკოსები, ყველა ქვეყანაში მოიპოვებან.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ მათ პირველად როდი ვხედდებით. ჩვენს შტაბ-შევიკები 1917 წელს ძალაუფლებას ხელში იღებდნენ, სკეპტიკოსები ამბობდნენ: ბოლშევიკები, შეიძლება ითქვას, ცუდი ადამიანები არ არიან, მაგრამ ხელისუფლების მხრივ მათ საქმე არ გამოუვათ, ისინი ჩაფლავდებიან. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ჩაფლავდნენ არა ბოლშევიკები, არამედ სკეპტიკოსები.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის დროს სკეპტიკოსთა ეს ჯგუფი ამბობდა: საბჭოთა ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ცუდი რამ არ არის, მაგრამ დენიკინი და კოლჩაკი პლუს უცხოელები მას, ალბათ, დასძლევენო. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ სკეპტიკოსები აქაც მოტყუვდნენ ანგარიშში.


როცა საბჭოთა ხელისუფლებამ პირველი ხუთწლიანი გეგმა გამოაქვეყნა, სკეპტიკოსები კვლავ გამოვიდნენ სცენაზე და ამბობდნენ: ხუთწლიანი, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ არა გეგონია მისი განხორციელება შეიძლებოდეს, უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლშევიკებს ხუთწლიანის მხრივ საქმე არ გამოუვათო. მაგრამ ფაქტებმა დაგვანახვეს, რომ სკეპტიკოსებს კვლავ უმტყუნა ბედმა: ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში იქნა განხორციელებული.

იგივე უნდა ითქვას ახალი კონსტიტუციის პროექტზე და მის კრიტიკაზე სკეპტიკოსთა მხრივ. საკმარისი იყო პროექტის გამოქვეყნება, რომ კრიტიკოსთა ეს ჯგუფი კვლავ გამოჩენილიყო სცენაზე თავისი ნაღვლიანი სეფესისით, თავისი ეჭვებით კონსტიტუციის ზოგიერთი დებულების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ. არავითარი საფუძველი არ არსებობს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ სკეპტიკოსები ამ შემთხვევაშიაც ჩაფლავდებიან, ახლაც ისევე ჩაფლავდებიან, როგორც ისინი წარსულში არაერთხელ ჩაფლავებულან.

მეოთხე ჯგუფი კრიტიკოსებია, იერიში შიაკს რა ახალი კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ, ახასიათებს მას, როგორც „ძვრას მარჯვნივ“, როგორც „ხელის აღებას პროლეტარიატის დიქტატურაზე“, როგორც „ბოლშევიკური რეჟიმის ლიკვიდაციას“. „ბოლშევიკები მარჯვნივ გადაქანდნენ, ეს ფაქტია“ — ამბობენ ისინი სხვადასხვა ჰანგზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გულმოდგინეობენ ზოგიერთი პოლონური და ნაწილობრივ ამერიკული გაზეთები.

რა შეიძლება ითქვას ამ, უკაცრავად პასუხია, კრიტიკოსებზე?

თუ მუშათა კლასის დიქტატურის ბაზის გაფართოვებას და დიქტატურის გადაქცევას საზოგადოებისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის უფრო მოქნილ, მაშასადამე, — უფრო მძლავრ სისტემად ისინი განმარტავენ არა როგორც მუშათა კლასის დიქტატურის გაძლიერებას, არამედ როგორც მის დასუსტებას ანდა მასზე ხელის აღებასაც კი, მაშინ



უფლება გვაქვს ვიკითხოთ: იციან კი საერთოდ ამ ვაუბატონებმა — რა არის მუშათა კლასის დიქტატურა?

თუ სოციალიზმის გამარჯვების საკანონმდებლო განმტკიცებისათვის დუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და დემოკრატიზაციის წარმატებათა საკანონმდებლო განმტკიცებას იხინი უწოდებენ „ძვრას მარჯვენე“, მაშინ უფლება გვაქვს ვიკითხოთ: იციან კი საერთოდ ამ ვაუბატონებმა — რითი განსხვავდება მარცხენა მარჯვენისაგან? (საერთო სოციალი, ტაშო).

არ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ეს ვაუბატონები საბოლოოდ დაიბნენ კონსტიტუციის პროექტის თავიანთ კრიტიკაში და, რაკი დაიბნენ, ერთმანეთში აურიეს მარჯვენა და მარცხენა.

ამ შემთხვევის გამო არ შეიძლება არ გავისხენოთ შინაყმა „გოგო“ პელაგია გოგოლის „მკვდარი სულებიდან“. მან, როგორც გოგოლი მოგვითხრობს, ერთხელ როგორღაც იკისრა გზა ეჩვენებინა ჩიჩიკოვის მეტლე სელიფანისათვის, მაგრამ, რადგან ვერ შესძლო გაერჩია გზის მარჯვენა მხარე მისი მარცხენა მხარისაგან, დაიბნა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენი კრიტიკოსები პოლონური გახეთქებიდან, მთელი მათი ამბიციის მოუხედავად, მაინც ბევრად ვერ გასცილებიან „მკვდარი სულების“ შინაყმა „გოგო“ პელაგიას გავების დონეს. (ტაშო). თუ გაიხსენებთ, მეეტლე სელიფანმა საჭიროდ ჩასთვალა დაეტუქსა პელაგია იმისათვის, რომ მან ერთმანეთში აურია მარჯვენა და მარცხენა, და უთხრა მას: „ეხ, შე შეფეხეხე... არ იცი, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა“. მე მგონია, მართებული იქნებოდა ასევე დაგვეტუქსა ჩვენი კუთამოკლე კრიტიკოსები და გვეთქვა მათთვის: ეხ, თქვე ვი-კრიტიკოსებო... არ იცით, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა. (ხანგრძლივი ტაშო).

დასასრულ, კიდევ ერთი ჯგუფი კრიტიკოსებია. თუ წინა ჯგუფი ბრალსა სდებს კონსტიტუციის პროექტს იმაში, რომ იგი ხელს იღებს მუშათა კლასის დიქტატურაზე, ეს ჯგუფი, პირიქით, ბრალსა სდებს მას იმაში რომ იგი არაფერს არა სცვლის სსრ კავშირში არსებულ მდგომარეობაში, რომ იგი ხელუხლებელს სტოვებს მუშათა კლასის დიქტატურა, დაუშვებლად სთვლის პოლიტიკური პარტიების თავისუფლებას და ძალაში სტოვებს კომუნისტთა პარტიის ახლანდელ ხელმძღვანელ მდგომარეობას სსრ კავშირში. ამასთან, კრიტიკოსთა ამ ჯგუფს მიაჩნია, რომ სსრ კავშირში პარტიათა თავისუფლების არარსებობა დემოკრატიზმის საფუძვლების დარღვევის ნიშანს წარმოადგენს.

მე უნდა აღვიარო, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი მართლაც ძალაში სტოვებს მუშათა კლასის დიქტატურის რეჟიმს, ისევე როგორც უცვლელად სტოვებს სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ახლანდელ ხელმძღვანელ მდგომარეობას. (მქუხარე ტაშო). თუ პარტიეებულ

კრიტიკოსებსა ეს კონსტიტუციის პროექტის ნაკლად მიიჩნიათ, მაშინ შეგვიძლიან მხოლოდ სინანული გამოვთქვათ ამის გამო. ჩვენ კი მხოლოდ შევიკებები, ამას კონსტიტუციის პროექტს ღირსებად ვთვლით. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

რაც შეეხება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის თავისუფლებას, ჩვენ აქ რაოდენადმე სხვა შეხედულებებისა ვართ. პარტია არის კლასის ნაწილი, მისი მოწინავე ნაწილი. რამდენიმე პარტია და, მაშასადამე, პარტიების თავისუფლება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც არიან ანტაგონისტური კლასები, რომელთა ინტერესები მტრული და შეურიგებელია, სადაც არიან, ვთქვათ, კაპიტალისტები და მუშები, მემამულეები და გლეხები, კულაკები და ღარიბები და ა. შ. მაგრამ სსრ კავშირში უკვე აღარ არიან ისეთი კლასები, როგორც კაპიტალისტები, მემამულეები, კულაკები და ა. შ. სსრ კავშირში არის მხოლოდ ორი კლასი — მუშები და გლეხები, რომელთა ინტერესები არათუ მტრული არ არის, არამედ პირობით — შეგობრულია. მაშასადამე, სსრ კავშირში არ არის ნიადაგი რამდენიმე პარტიის არსებობისათვის და, მაშასადამე, ამ პარტიების თავისუფლებისათვისაც. სსრ კავშირში არიან ნიადაგი მხოლოდ ერთი პარტიისათვის, კომუნისტური პარტიისათვის. სსრ კავშირში არსებობა შეუძლიან მხოლოდ ერთ პარტიას — კომუნისტთა პარტიას, რომელიც გაბედულად და ბოლომდე იცავს მუშათა და გლეხთა ინტერესებს. ზოლო რომ იგი ამ კლასთა ინტერესებს ცუდად არ იცავს, ამაში არა მგონია შესაძლებელი იყოს რაიმე ექვის შეტანა. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

ლაპარაკობენ დემოკრატიაზე. მაგრამ რა არის დემოკრატია? დემოკრატია კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ანტაგონისტური კლასები არსებობენ, საბოლოო ანგარიშით არის დემოკრატია ძლიერთათვის, დემოკრატია მქონებელი უმცირესობისათვის. დემოკრატია სსრ კავშირში, პირობით, არის დემოკრატია მშრომელთათვის, ე. ი. დემოკრატია ყველასათვის. მაგრამ აქედან გამომდინარეობს ის, რომ დემოკრატიაში საფუძვლებს არღვევს არა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, არამედ — ბურჟუაზიული კონსტიტუციები. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ სსრ კავშირის კონსტიტუცია წარმოადგენს მსოფლიოში ერთადერთ ბოლომდე დემოკრატიულ კონსტიტუციას.

ასეთია საქმის ვითარება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიული კრიტიკის მხრივ.



საქართველოს  
საბჭოთაო რესპუბლიკა

V

## შესწორებანი და დამატებანი კონსტიტუციის პროექტისათვის

გადავიდეთ პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისას მოქალაქეთა მიერ კონსტიტუციის პროექტისათვის შემოტანილ შესწორებათა და დამატებათა საკითხზე.

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვამ, როგორც ვიცით, შეაწორებათა და დამატებათა საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა მოგვცა. ყველა ისინი გამოქვეყნებულია საბჭოთა პრესაში. შესწორებათა დიდ მრავალფეროვანებასა და მათი არაერთნაირი ღირებულების გამო, ჩემის აზრით, მართებული იქნებოდა მათი დაყოფა სამ კატეგორიად.

პირველი კატეგორიის შესწორებათა განმასხვავებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი კონსტიტუციის საკითხებს კი არ შეეხებიან, არამედ მომავალი საკანონმდებლო ორგანოების მიმდინარე საკანონმდებლო მუშაობის საკითხებს. დაზღვევის ცალკეული საკითხები, საკოლმეურნეო მშენებლობის ზოგიერთი საკითხი, პამრეწველო მშენებლობის ზოგიერთი საკითხი, საფინანსო საქმის საკითხები, — ასეთია ამ შესწორებათა თემები. როგორც სჩანს, ამ შესწორებათა ავტორებს ვერ გაუთვალისწინებიათ განსხვავება საკონსტიტუციო საკითხებსა და მიმდინარე კანონმდებლობის საკითხებს შორის. სწორედ ამიტომ ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი კანონი ჩასჭედონ კონსტიტუციაში, მიჰყავთ რა საქმე იქით, რომ კონსტიტუცია გადააქციონ კანონთა რაღაც კრებულის მაგვარად. მაგრამ კონსტიტუცია არ არის კანონთა კრებული. კონსტიტუცია არის ძირითადი კანონი, და მხოლოდ ძირითადი კანონი. კონსტიტუცია არა თუ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს მომავალი საკანონმდებლო ორგანოების მიმდინარე საკანონმდებლო მუშაობას. კონსტიტუცია იძლევა იურიდიულ ბაზას ასეთი ორგანოების მომავალი საკანონმდებლო მუშაობისათვის. ამიტომ ისეთი ხასიათის შესწორებანი და დამატებანი, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ კონსტიტუციასთან, ჩემის აზრით, უნდა გადაეცეს ქვეყნის მომავალ საკანონმდებლო ორგანოებს.

მეორე კატეგორიის უნდა მივაკუთვნოთ ისეთი შესწორებანი და დამატებანი, რომელნიც ცდილობენ შეიტანონ კონსტიტუციაში ისტორიულ ცნობათა ელემენტები ან დიკლარაციის ელემენტები იმაზე, თუ ჯერ კიდევ რას ვერ მიაღწია საბჭოთა ხელისუფლებამ და რას უნდა მიაღწიოს მან მომავალში. ათინიშნოს კონსტიტუციაში, თუ რა სიძნილებები გადალახეს მრავალი წლის მანძილზე პარტიამ, მუშათა კლასმა და ყველა მშრომელმა სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში; მითითებულ

იქნას კონსტიტუციაში საბჭოთა მდებარეობის საბოლოო მიზანი, ე. ი. სრული კომუნისტური საზოგადოების აგება, — ასეთია ამ შესწორებების მიზნები, რომლებიც სხვადასხვა ვარიანტით შეორდება. მკაცრად ასეთი შესწორებანი და დამატებანი აგრეთვე განზე უნდა გადაიდოს, რადგან მათ არა აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება კონსტიტუციასთან.

კონსტიტუცია არის იმ მიღწევათა რეგისტრაცია და საკანონმდებლო განმტკიცება, რომლებიც უკვე მოპოვებულია და უზრუნველყოფილი. თუ ჩვენ არ გვინდა კონსტიტუციის ამ ძირითადი ხასიათის დამახინჯება, იგი არ უნდა აეავსოთ ისტორიული ცნობებით წარაუღზე, ანდა დეკლარაციებით სსრ კავშირის მშრომელთა მომავალ მონაპოვრებზე. ამ საქმისათვის ჩვენ გვაქვს სხვა გზები და სხვა დოკუმენტები.

ბოლოს, მესამე კატეგორიას უნდა მიეკუთვნონ ისეთი შესწორებანი და დამატებანი, რომელთაც აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება კონსტიტუციის პროექტთან.

ამ კატეგორიის შესწორებათა მნიშვნელოვან ნაწილს სარედაქციო ხასიათი აქვს. ამიტომ შეიძლებოდა ისინი გადაგვეცა ამ ყრილობის სარედაქციო კომისიისათვის, რომელსაც, ვფიქრობ, ყრილობა შექმნის და დავალებს მას დაადგინოს ახალი კონსტიტუციის ტექსტის საბოლოო რედაქცია.

რაც შეეხება მესამე კატეგორიის დანარჩენ შესწორებებს, მათ უფრო არაერთი მნიშვნელობა აქვთ, და მათ შესახებ, ჩემის აზრით, აქ უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა.

1) უწინარეს ყოვლისა შესწორებებზე კონსტიტუციის პროექტის 1-ლი პუნქტისათვის. არის ოთხი შესწორება. ერთნი წინადადებას იძლევიან — ნაცვლად სიტყვებისა „მუშათა და გლეხთა სახელმწიფო“ ითქვას: მშრომელთა სახელმწიფო“. მეორენი წინადადებას იძლევიან — სიტყვებს „მუშათა და გლეხთა სახელმწიფო“ დაემატოს: „და მშრომელი ინტელიგენციის“. მესამენი წინადადებას იძლევიან — ნაცვლად სიტყვებისა „მუშათა და გლეხთა სახელმწიფო“ ითქვას: „სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა რასიისა და ეროვნების სახელმწიფო“. მეოთხენი წინადადებას იძლევიან — სიტყვა „გლეხთა“ შეიცვალოს სიტყვით „კოლმეურნეთა“, ან სიტყვებით: „სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელთა“.

უნდა მივიღოთ თუ არა ეს შესწორებანი? მე ვფიქრობ, რომ არ უნდა მივიღოთ.


რაზე ლაპარაკობს კონსტიტუციის პროექტის 1-ლი პუნქტი? იგი ლაპარაკობს საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ შემადგენლობაზე. შევვიძლიან თუ არა ჩვენ, მარქსისტებს, კონსტიტუციაში გვერდი ავუაროთ ჩვენი საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობის საკითხს? არა, არ შეგვიძლიან. საბჭოთა საზოგადოება, როგორც ცნობილია, შესდგება ორი კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან. კონსტიტუციის პროექტის პირ-

ველი მუხლი სწორედ ამაზე ლაპარაკობს. მაშასადამე, კონსტიტუციის პროექტის 1-ლი მუხლი სწორად ასახავს ჩვენი საზოგადოების უმთავრეს მოთხოვნებს. შეიძლება გვკითხონ: მშრომელი ინტელიგენცია არასოდეს არ ყოფილა კლასი და არც შეიძლება იყოს, — იგი იყო და რჩება ფენად, რომელიც თავის წევრებს იძენს საზოგადოების ყველა კლასს შორის. ძველ დროს ინტელიგენცია თავის წევრებს იძენდა თავიდანაშაურთა, ბურჟუაზიასა, ნაწილობრივ გლეხთა შორის და მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით მუშათა შორის. ჩვენს, საბჭოთა დროში, ინტელიგენცია თავის წევრებს იძენს უმთავრესად მუშათა და გლეხთა შორის. მაგრამ როგორადაც უნდა სდგებოდეს იგი და რა ხასიათი უნდა ჰქონდეს მას, ინტელიგენცია მაინც არის ფენა და არა კლასი.

ხომ არ ლაბავს ეს გარემოება მშრომელი ინტელიგენციის უფლებებს? სრულიადაც არა! კონსტიტუციის პროექტის პირველი მუხლი საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა ფენის უფლებებზე კი არ ლაპარაკობს, არამედ ამ საზოგადოების კლასობრივ შემადგენლობაზე, საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა ფენის უფლებებზე, მათ შორის მშრომელი ინტელიგენციის უფლებებზე, ლაპარაკობს უმთავრესად კონსტიტუციის პროექტის მეათე და მეთერთმეტე თავებში. ამ თავებიდან ნათლად სჩანს, რომ მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია სავსებით თანასწორი არიან ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. მაშასადამე, მშრომელი ინტელიგენციის უფლებათა შელახვაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

იგივე უნდა ითქვას სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ნაციებისა და რასების შესახებ, კონსტიტუციის პროექტის მეორე თავში უკვე ნათქვამია, რომ სსრ კავშირი არის თანასწორუფლებიანი ნაციების თავისუფალი კავშირი. განა ღირს ამ ფორმულის განმეორება კონსტიტუციის პროექტის პირველ მუხლში, რომელიც ლაპარაკობს საბჭოთა საზოგადოების არა ნაციონალურ შემადგენლობაზე, არამედ მის კლასობრივ შემადგენლობაზე? ცხადია, რომ არა ღირს. რაც შეეხება სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ნაციებისა და რასების უფლებებს, ამაზე ლაპარაკობს კონსტიტუციის პროექტის მეორე, მეათე და მეთერთმეტე თავებში. ამ თავებიდან ნათლად სჩანს, რომ სსრ კავშირის ენები და რასები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. მაშასადამე, ნაციონალურ უფლებათა შელახვაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

ასევე უმართებულო იქნებოდა შეგვეცვალა სიტყვა „გლეხი“ სიტყვით „კოლმეურნე“, ან სიტყვებით „სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელი“. ჯერ-ერთი, გლეხთა შორის გარდა კოლმეურნეებისა ჯერ კიდევ არის მილიონზე მეტი კომლი არა-კოლმეურნენი. რა ვუყოთ მათ? ხომ



არ ფიქრობენ ამ შესწორების ავტორები, რომ ისინი სათვალავში არ მივიდნენ? ეს გონივრული არ იქნებოდა. მეორე, — თუ გვსურს, რომ გვინდა ახალი უკვე გვევა საკოლმეურთაი. იეურხეობას, ეს უკვე არ არის ნაეს, რომ იგი აღარ არის გლეზობა, რომ მას უკვე ათა აქვა თავისი პირადი მეურნეობა, პირადი კაოშიდამო და ა. შ. მქამე, მამის საკირო ვახდებოდა შეგვეცვალა აგრეთვე სიტყვა „მუშა“ სიტყვებით „სოციალისტური მრეწველობის მშრომელი“. მაგრამ შესწორების ავტორები ასეთ წინადადებას რატომღაც არ იძლევიან. დასასრულ, განა ჩვენში უკვე გაქტრნენ მუშათა კლასი და გლეზთა კლასი? ხოლო თუ ისინი არ გაქტრალან, განა საკიროა ამოვშალოთ ლექსიკონიდან მათთვის დადგენილი სახელწოდებანი? შესწორების ავტორებს, როგორც ეტყობათ, მხედველობაში აქვთ არა ახლანდელი, არამედ მომავალი საზოგადოება, როცა კლასები აღარ იქნებიან და როცა მუშები და გლეზები გადაიქცევიან ერთიანი კომუნისტური საზოგადოების მშრომელებად. მაშასადამე, ისინი აშკარად წინ მირბიან. მაგრამ კონსტიტუციის შედგენისას უნდა გამოვდიოდეთ არა მომავლიდან, არამედ აწმყოდან, აქიდან, რაც უკვე არის. კონსტიტუციას არ შეუძლიან და არც უნდა მირბოდეს წინ.

2) შემდეგ მიდის შესწორება კონსტიტუციის პროექტის მეჩვიდმეტე მუხლისათვის. შესწორება მდგომარეობს იმაში, რომ მოითხოვენ სრულიად გამოირიცხოს კონსტიტუციის პროექტიდან მეჩვიდმეტე მუხლი, რომელიც ლაპარაკობს სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების თავიუფლად გამოსვლის უფლების შენარჩუნებაზე. მე ვფიქრობ, რომ ეს წინადადება არ არის სწორი და ამიტომ იგი არ უნდა მიიღოს ყრილობამ. სსრ კავშირი არის თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი კავშირი. სსრ კავშირიდან თავისუფლად გამოსვლის უფლების მუხლის გამორიცხვა კონსტიტუციიდან — ნიშნავს ამ კავშირის ნებაყოფლობითი ხასიათის დარღვევას. შეგვიძლიან თუ არა ჩვენ გადავდგათ ეს ნაბიჯი? მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან და არც უნდა გადავდგათ ეს ნაბიჯი. ამბობენ: სსრ კავშირში არ მოიპოვება არცერთი რესპუბლიკა, რომელსაც სურდეს სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლა, ამის გამო მეჩვიდმეტე მუხლს არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩვენში რომ არ არსებობს არცერთი რესპუბლიკა, რომელსაც სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლა სურდეს, ეს, რასაკვირველია, მართალია. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ ჩვენ არ უნდა ჩაეწეროთ კონსტიტუციაში სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკათა თავისუფლად გამოსვლის უფლება. სსრ კავშირში აგრეთვე არ არსებობს ისეთი მოკავშირე რესპუბლიკა, რომელსაც სურდეს დასთრუნოს მეორე მოკავშირე რესპუბლიკა. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციიდან გამო-



რაცხულ უნდა იქნას მუხლი, რომელიც ლაპარაკობს მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებების თანასწორობაზე.

3) შემდეგ არის წინადადება, კონსტიტუციის პროექტის მეორე თავი შეეცასოთ ახალი მუხლით, რომლის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, როცა ისინი სამეურნეო და კულტურული განვითარების სათანადო დონეს მიაღწევენ, შეიძლება გარდაიქმნან მოკავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად. შეიძლება თუ არა მივიღოთ ეს წინადადება? მე ვფიქრობ, რომ მისი მიღება საჭირო არ არის. იგი არ არის სწორი არა მარტო თავისი შინაარსის მხრივ, არამედ თავისი მოტივების მხრივაც. შეუძლებელია ავტონომიური რესპუბლიკების გადაყვანა მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში მოტივირებულ იქნას მათი სამეურნეო და კულტურული მომწიფებით, ისევე როგორც შეუძლებელია მოტივირებულ იქნას ამა თუ იმ რესპუბლიკის დატოვება ავტონომიურ რესპუბლიკათა სიაში მისი სამეურნეო ან კულტურული ჩამორჩენილობით. ეს იქნებოდა არა-მარქსისტული, არა-ლენინური მიდგომა. მაგალითად, თათართა რესპუბლიკა რჩება ავტონომიური, ხოლო კახახთა რესპუბლიკა ხდება მოკავშირე, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ კახახთა რესპუბლიკა კულტურული და სამეურნეო განვითარების თვალსაზრისით უფრო მალლა დგას, ვიდრე თათართა რესპუბლიკა. საქმე სწორედ რომ პირიქით არის. იგივე უნდა ითქვას, მაგალითად, ვოლგის მხარის გერმანელთა ავტონომიურ რესპუბლიკაზე და ყირგიზთა მოკავშირე რესპუბლიკაზე, რომელთაგან პირველი კულტურული და სამეურნეო მხრივ უფრო მალლა დგას, ვიდრე მეორე, თუმცა იგი ავტონომიურ რესპუბლიკად რჩება.

როგორია ის ნიშნები, რომელთა არსებობაც საფუძველს გვაძლევს გადავიყვანოთ ავტონომიური რესპუბლიკები მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში?

ისინი, ეს ნიშნები, — სამია.

ჯერ-ერთი, საჭიროა, რომ რესპუბლიკა იყოს განაპირა, რომელიც ყოველმხრივ არ არის გარშემორტყმული სსრ კავშირის ტერიტორიით. რატომ? იმიტომ რომ, თუ მოკავშირე რესპუბლიკას რჩება სსრ კავშირიდან გამოსვლის უფლება, მაშინ საჭიროა ამ რესპუბლიკას, რომელიც მოკავშირე გახდა, საშუალება ჰქონდეს ლოგიკურად და ფაქტიურად დააყენოს სსრ კავშირიდან თავისი გამოსვლის საკითხი. ხოლო ასეთი საკითხის დასაშუქლად მხოლოდ ისეთ რესპუბლიკას, რომელიც, ვთქვათ, ესაზღვრება უცხოეთის რომელიმე სახელმწიფოს და, მაშასადამე, ყოველი მხრიდან არ არის გარშემორტყმული სსრ კავშირის ტერიტორიით. რასაკვირველია, ჩვენში არ არიან ისეთი რესპუბლიკები, ფაქტიურად რომ აყენებდნენ სსრ კავშირიდან გამოსვლის საკითხს. მაგრამ რაკი მოკავშირე რესპუბლიკას რჩება სსრ კავშირიდან გამოსვლის უფლება, მაშინ ისე უნდა მო-

ვაწყობთ საქმე, რომ ეს უფლება არ გადაიქცეს ფარატინა და უაზრო ქა-  
ლაღდად. ავიღოთ, მაგალითად, ბაშკირეთის ან თათარეთის რესპუბლიკა.  
ვთქვათ, ეს ავტონომიური რესპუბლიკები გადავიყვანეთ მოკავშირე რეს-  
პუბლიკათა თანრიგში. შეეძლოთ თუ არა მათ ლოგიკურად და ფაქტი-  
ურად დაეყენებინათ სსრ კავშირიდან თავიანთი გამოსვლის საკითხი? არა,  
არ შეეძლოთ. რატომ? იმიტომ, რომ ისინი ყოველმხრივ გარშემორტყმუ-  
ლი არიან საბჭოთა რესპუბლიკებითა და ოლქებით და, კაცმა რომ სთქვას,  
მათ სსრ კავშირის შემადგენლობიდან არსად წაესვლებათ. (ს ა ე რ თ ო  
ს ი ც ი ლ ი, ტ ა შ ი). ამიტომ ასეთი რესპუბლიკების გადაყვანა მოკავ-  
შირე რესპუბლიკათა თანრიგში სწორი არ იქნებოდა.

მეორე მხრივ, საჭიროა, რომ ეროვნება, რომლის სახელიც საბჭოთა  
რესპუბლიკას ეწოდება, წარმოადგენდეს ამ რესპუბლიკაში ცოტად თუ  
ბევრად კომპაქტურ უმრავლესობას. მაგალითად, ავიღოთ ყირიმის ავტო-  
ნომიური რესპუბლიკა. იგი არის განაპირა რესპუბლიკა, მაგრამ ყირიმელ  
თათრებს არა ჰყავთ უმრავლესობა ამ რესპუბლიკაში. პირიქით, — ისინი  
იქ უმცირესობას წარმოადგენენ. მაშასადამე, უმართებულობა და ულო-  
გიკობა იქნებოდა ყირიმის რესპუბლიკის გადაყვანა მოკავშირე რესპუბ-  
ლიკათა თანრიგში.

მესამე: საჭიროა, რომ რესპუბლიკა არ იყოს ძალიან პატარა თავისი  
მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, რომ მას ჰყავდეს მოსახლეობა,  
ვთქვათ, არა ნაკლებ, არამედ მეტი თუნდაც ერთი მილიონისა. რატომ?  
იმიტომ რომ უმართებულო იქნება იმის ფიქრად, თითქმის პატარა საბჭო-  
თა რესპუბლიკას, რომელსაც მოსახლეობის მინიმალური რაოდენობა და  
უმნიშვნელო არმია ჰყავს, შეეძლოს ჰქონდეს დამოუკიდებელი სახელმწი-  
ფობრივი არსებობის იმედი. მგონი ექვი არ უნდა ვიჭანოთ, რომ იმპე-  
რიალისტური მტაცებლები სწრაფად ჩაიგდებდნენ მას ხელში.

მე ვფიქრობ, რომ თუ ეს სამი ობიექტური ნიშანი არ არსებობს, სწო-  
რი არ იქნებოდა ამ ისტორიულ მომენტში დაეაყენოთ ამა თუ იმ ავტო-  
ნომიური რესპუბლიკის მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში გადაყვანის  
საკითხი.


4) შემდეგ წინადადება შემოაქვთ ამოვშალოთ მე-22, 23, 24, 25, 26,  
27, 28 და 29 მუხლებში დაწვრილებითი ჩამოთვლა მოკავშირე რესპუბ-  
ლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა მხარეებად და ოლ-  
ქებად. მე ვფიქრობ, რომ ეს წინადადებაც მიუღებელია. სსრ კავშირში  
არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან დიდის ხალისით და დაუღალა-  
ვად ხელახლა გამოსვრან მხარეები და ოლქები და ამით არეიდარევა  
და რწმენის უქონლობა შეიჩანონ მოშაობაში. კონსტიტუციის პროექტი  
ასეთი ადამიანებისათვის ჰქმნის ლაგამს. და ეს ძალიან კარგია, იმიტომ  
რომ აქ, ია როგორც სხვა ბევრ რამეში, ჩვენში საჭიროა რწმენის ატმო-  
სფერო, საჭიროა სტაბილობა, სიცხადე.

5) მეხუთე შესწორება ეხება მე-33 მუხლს. მიზანშეუწონლად სთვლიან, რომ პალატის შექმნას და წინადადებას იძლევიან მოიხსნას ეროვნულ-საბჭოთა. იგი ფგონია, ეს შესწორება აგრეთვე სწორი არ არის. ერთაალატრიანი სისტემა ორპალატიანზე უკეთესი იქნებოდა, საბჭოთა კავშირი რომ ერთიან საციონალურ სახელმწიფოს წარმოადგენდეს. მაგრამ საბჭოთა კავშირი ან არის ერთიანი ნაციონალური სახელმწიფო. საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, არის მრავალეროვანი სახელმწიფო. ჩვენ გვაქვს უზენაესი ორგანო, სადაც წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის საერთო ინტერესები დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა. ეს არის კავშირის საბჭო. მაგრამ საბჭოთა კავშირის ეროვნებებს საერთო ინტერესებზე გარდა აქვთ კიდევ თავისი განსაკუთრებული, სპეციფიკური ინტერესები, რომლებიც დაკავშირებული არიან მათს ნაციონალურ თავისებურებებთან. შეიძლება თუ არა ამ სპეციფიკური ინტერესების უგულვებელყოფა? არა, არ შეიძლება. საჭიროა თუ არა სპეციალური უზენაესი ორგანო, რომელიც სწორედ ამ სპეციფიკურ ინტერესებს ასახავდეს? უთუოდ საჭიროა. არავითარი ეჭვი არაა, რომ ასეთი ორგანოს გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ისეთი მრავალეროვანი სახელმწიფოს მართვა, როგორცაა საბჭოთა კავშირი. ასეთ ორგანოს წარმოადგენს მეორე პალატა, სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭო.

მიუთითებენ ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოთა საპარლამენტო ისტორიაზე, მიუთითებენ იმაზე, რომ ორპალატიანმა სისტემამ ამ ქვეყნებში მხოლოდ მინუსები მოგვცა, რომ მეორე პალატა ჩვეულებრივ რეაქციის ცენტრად და წინსვლის საწინააღმდეგო მუხრუჭად გადაგვარდებოდა. ყველაფერი ეს მართალია. მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ამ ქვეყნებში პალატებს შორის არ არის თანასწორობა. როგორც ვიცით, მეორე პალატას ხშირად მეტ უფლებებს აძლევენ, ვიდრე პირველს, და შემდეგ როგორც წესი, მეორე პალატა ეწყობა არადემოკრატიული გზით, ხშირად მისი წევრების ზევიდან დანიშვნის გზით. უეჭველია, ეს მინუსები არ იქნება, თუ გავატარებთ თანასწორობას პალატებს შორის და მეორე პალატას მოვაწყობთ ისევე დემოკრატიულად, როგორც პირველს.

6) შემდეგ კონსტიტუციის პროექტისათვის იძლევიან დამატებას, რომელიც მოითხოვს ორთავე პალატის წევრთა რაოდენობის გათანასწორებას. მე ვფიქრობ, ამ წინადადების მიღება შეიძლებოდა. იგი გვადლევს, ჩემის აზრით, აშკარა პოლიტიკურ პლუსებს, რადგან ხაზს უსვამს პალატების თანასწორობას.

7) შემდეგ მიდის კონსტიტუციის პროექტის დამატება, რომლის ძალით წინადადებას იძლევიან იმგვარადვე ავირჩიოთ დეპუტატები ეროვნებათა საბჭოში, როგორც კავშირის საბჭოში, პირდაპირი არჩევნების გზით. მე ვფიქრობ, რომ ამ წინადადების მიღებაც შეიძლებოდა. მართალია, მას შეუძლიან ზოგიერთი ტექნიკური უხერხულობის შექმნა არჩევ-



ნების დროს. სამაგიეროდ იგი დიდ პოლიტიკურ მოგებას მოგვცემს, რადგან იგი ასწევს ეროვნებათა საბჭოს ავტორიტეტს.

8) შემდეგ მიღის მე-40 მუხლის დამატება, რომლის ძალით წინადადებას იძლევიან მივანიჭოთ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს უფლება გამოსცეს დროებითი საკანონმდებლო აქტები. მე ვფიქრობ, რომ ეს დამატება არ არის სწორი და არ უნდა მიიღოს ყრილობამ. ბოლოსდაბოლოს საჭიროა ბოლო მოეღოს იმ მდგომარეობას, როცა კანონმდებლობს არა ერთი რომელიმე ორგანო, არამედ მთელი რიგი ორგანოები. ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება კანონების სტაბილობის პრინციპს. ხოლო კანონების სტაბილობა ახლა უფრო მეტად გვჭირდება, ვიდრე ოდესმე. საკანონმდებლო ძალა უფლებას სსრ კავშირში უნდა ანხორციელებდეს მხოლოდ ერთი ორგანო, სსრ კავშირის უზენაესი საბჭო.

9) შემდეგ შემოაჭვთ კონსტიტუციის პროექტის მე-48 მუხლის დამატება, რომლის ძალით მოითხოვენ, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე არჩეულ იქნას არა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ, არამედ ქვეყნის მთელი მოსახლეობის მიერ. მე ვფიქრობ, რომ ეს დამატება არაა სწორი, ვინაიდან იგი არ შეესაბამება ჩვენი კონსტიტუციის სულს. ჩვენი კონსტიტუციის სისტემით სსრ კავშირში არ უნდა იყოს ერთპიროვნული არჩეიდენტი, რომელსაც აირჩევს მთელი ხალხი, უზენაესი საბჭოს თანაბრად, და რომელსაც შეეძლება თავისთავი დაუპირისპიროს უზენაეს საბჭოს. საბჭოთა კავშირში პრეზიდენტი კოლექტიურია, — ეს არის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ჩათვლით, არჩეული არა მთელი მოსახლეობის, არამედ უზენაესი საბჭოს მიერ და ანგარიშვალდებული უზენაესი საბჭოს წინაშე. ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უზენაესი ორგანოების ასეთი აგება ყველაზე უფრო დემოკრატიულია და უზრუნველყოფს ქვეყანას არაასურველი შემთხვევითობისაგან.

10) შემდეგ მიღის შესწორება იმავე მე-48 მუხლისათვის. იქ ნათქვამია: გადიდდეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობა თერთმეტამდე იმ ანგარიშით, რომ თეთელი მოკავშირე რესპუბლიკიდან იყოს ერთი მოადგილე. მე ვფიქრობ, რომ ამ შესწორების მიღება შეიძლებოდა, ვინაიდან იგი აუშჯობისება ზაქმეს და შეუძლიან მხოლოდ განამტკიცოს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ავტორიტეტი.

11) შემდეგ მიღის შესწორება მე-77 მუხლისათვის. იგი მოითხოვს მოეწიოს ახალი საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატი, — თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარიატი. მე ვფიქრობ, რომ საჭირო იქნებოდა ამ შესწორების მიღებაც (ტ ა შ დ), ვინაიდან მომწიფდა დრო იმი-სათვის, რომ გამოვეყოთ ჩვენი თავდაცვის მრეწველობა და მივცეთ მას



სათანადო გაფორმება სახალხო კომისარიატის სახით. მე ვთხოვ, რომ ეს მხოლოდ გააუფკრამდესება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეზე.

12) შექმნილი კონსტიტუცია პროექტის ასოციაციონით მუხლის შესწორება, რომელიც მოითხოვს ამ მუხლის შეცვლას იმ მიმართულებით, რომ აიკრძალოს რელიგიურ წესთა შესრულება. მე ვფიქრობ, რომ ეს შესწორება უარყოფილ უნდა იქნას, როგორც ჩვენი კონსტიტუციის სულის მუხსაბამო.

13) დასასრულს, ვაძევ ერთი შესწორება, რომელსაც ცოტად თუ ბევრად არსებითი ხასიათი აქვს. მე ვლაპარაკობ შესწორებაზე კონსტიტუციის პროექტის ასოციაციონით მუხლისათვის. იგი წინადადებას იძლევა ჩამოერთვას საარჩევნო უფლებები კულტის მსახურთ, ყოფილ თეთრგვარდიელთ, ყველა ყოფილ ადამიანსა და პირა, რომელნიც კი საერთო-სასარგებლო შრომას არ ეწევიან, ანდა, ყოველ შემთხვევაში, — შეიზღუდოს ამ კატეგორიის პირთა საარჩევნო უფლებანი, — მიენიჭოთ მათ მხოლოდ უფლება — აირჩიონ, მაგრამ არ იქნან არჩეული. მე ვფიქრობ, ეს შესწორებაც უარყოფილ უნდა იქნას. საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა საარჩევნო უფლებანი არამშრომელ და ექსპლოატატორულ ელემენტებს არა უკუნიით უკუნიამდე, არამედ დროებით, გუნსახლერულ პერიოდამდე. იყო დრო, როცა ეს ელემენტები აშკარა ბრძოლას აწარმოებდნენ ხალხის წინააღმდეგ და წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა კანონებს. საბჭოთა კანონი მათი საარჩევნო უფლების ჩამორთმევის შესახებ იყო საბჭოთა ხელისუფლების პასუხი ამ წინააღმდეგობის გაწევაზე. მას შემდეგ ცოტა დრომ როდი განვლო. განვლილ პერიოდში ჩვენ მივალწიეთ იმას, რომ ექსპლოატატორული კლასები მოსპობილი არიან, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება უძლეველ ძალად გადაიქცა. ხომ არ მოვიდა დრო გადასინჯოს ეს კანონი? მე ვფიქრობ, რომ ეს დრო მოვიდა. ამბობენ, ეს საშიშიაო, რადგან ჩვენი ქვეყნის უზენაეს ორგანოებში შეიძლება გაძვრნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული ელემენტები, ზოგი ვინმე ყოფილი თეთრგვარდიელებიდან, კულაკებიდან, ხუცებიდან და ა. შ.; მაგრამ, კაცმა რომ სთქვას, რისა უნდა გვეშინოდეს აქ? „Волков бояться, в лес не ходить“\*. (მხიარული ვაცხოველება და რბა შში, მქუხარეტაში). ჯერ-ერთი, ყველა ყოფილი კულაკი, თეთრგვარდიელი თუ ხუცენი საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი არ არის. მეორე, ხალხმა კიდევ რომ აირჩიოს აქა-იქ მტრული ადამიანები, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ჩვენი საავიტაციო მუშაობა ძალიან ცუდად არის დაყენებული, და ჩვენ სავსებით დაგვიმსახურებია ასეთი სირცხვილი, ხოლო თუ ჩვენი საავიტაციო მუშაობა ბოლშევიკურად იწარმოებს, მაშინ ხალხი

\* ) მგლებსა გეშინიან — ტყეში ნუ წახვალ.

თავის უზენაეს ორგანოებში მტრულ ადამიანებს არ შეუშვებენ. მაშაყა-  
 დამე, კი არ უნდა ვიწუწუნოთ, არამედ უნდა ვიმუშაოთ (1912 წ. მარტის 9-ს  
 ტაშვი), უნდა ვიმუშაოთ და არა დაველოდოთ იმას, რომ ყველაფერი  
 შხამხარეულად მოგვეცემა ადმინისტრაციულ განკარგულებათა წესით.  
 ლენინი ჯერ კიდევ 1919 წელს ამბობდა, რომ შორს არ არის ის დრო,  
 როცა საბჭოთა ხელისუფლება სასარგებლოდ მიიჩნევს შემოიღოს საყო-  
 ველთაო საარჩევნო უფლება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. მიაქციეთ  
 ყურადღება: ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ამას  
 იგი ამბობდა მაშინ, როცა უცხოელთა სამხედრო ინტერვენცია ჯერ კი-  
 დევ ლიკვიდირებული არ იყო, ხოლო ჩვენი მრეწველობა და სოფლის  
 მეურნეობა სასოწარმყვეთ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მას შემდეგ  
 უკვე ჩვიდმეტმა წელმა განვლო. განა დრო არ არის, ამხანაგებო, შევესრუ-  
 ლოთ ლენინის მითითება? მე ვფიქრობ, რომ დროა.

აი რას ამბობდა ლენინი 1919 წელს თავის შრომაში „რკპ (ბ) პროგ-  
 რამის პროექტი“. ნება მომეცით წაგიკითხოთ:

„რკპ უნდა განუმარტავდეს მშრომელ მასებს, წარმავალ ისტო-  
 რიულ საჭიროებათა არასწორი განზოგადოების თავიდან ასაცილებ-  
 ლად, რომ მოქალაქეთა ნაწილისათვის საარჩევნო უფლებათა ჩა-  
 მორთმევა სრულიადაც არ ეხება საბჭოთა რესპუბლიკაში, როგორც  
 ეს ხდებოდა უმეტეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკებში,  
 მოქალაქეთა განსაზღვრულ კატეგორიას, რომელნიც სამუდამოდ  
 უფლებებობად ცხადდებიან, არამედ ეხება მხოლოდ ექსპლოატა-  
 ტორებს, მხოლოდ იმთ, ვინც წინააღმდეგ სოციალისტური საბჭოთა  
 რესპუბლიკის ძირითადი კანონებისა ჯიუტობს თავისი ექსპლოატა-  
 ტორული მდგომარეობის დაცვაში, კაპიტალისტურ ურთიერთობათა  
 შენარჩუნებაში. მაშასადამე, საბჭოთა რესპუბლიკაში, ვრთის მხრივ,  
 სოციალიზმის ყოველდღიურ განმტკიცებასა და იმათი რიცხვის შე-  
 მცილებასთან ერთად, ვისაც ობიექტურად შესაძლებლობა აქვს დარ-  
 ჩეს ექსპლოატატორად, ან შეინარჩუნოს კაპიტალისტური ურთი-  
 ერთობანი, თავისთავად მცირდება საარჩევნო უფლებამართებულ-  
 თა პროცენტი. არა გვგონია ახლა რუსეთში ეს პროცენტი ორ, სამ  
 პროცენტზე მეტი იყოს. მეორე მხრივ, სულ ახლო მომავალში სა-  
 გარეო შემოსევის შეწყვეტასა და ექსპროპრიატორთა ექსპროპრი-  
 აციის დამთავრებას შეუძლიან, გარკვეულ პირობებში, შექმნან  
 ისეთი მდგომარეობა, როცა პროლეტარული სახელმწიფო ხელის-  
 უფლება აირჩევს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დართგუნვის  
 სხვა ხერხებს და შემოიღებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას ყო-  
 ველგვარი შეზღუდვის გარეშე“. (ლენინი, ტ. XXIV,  
 გვ. 94 პარტგამომცემლობის გამოცემა. 1935 წელი).

მგონი ნათელია.

აეთითა საქმის ვითარება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის მიზანშეწონიერების შესწორებათა და დამატებათა მხრივ.



## VI

### სსრ კავშირის ახალი

### კონსტიტუციის მნიშვნელობა

თუ ვიმსჯელებთ საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგთა მიხედვით, რომელიც თითქმის ხუთ თვეს გრძელდებოდა, შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ კონსტიტუციის პროექტი ამ ყრილობის მიერ მოწონებული იქნება. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი, რ ო მ ე ლ ი ც ო ვ ა ც ი ა შ ი გ ა დ ა დ ი ს. დ ა რ ბ ა ზ ი ფ ე ხ ე დ გ ე ბ ა).

რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა კავშირს ექნება ახალი, სოციალისტური კონსტიტუცია, აგებული გაშლილი სოციალისტური დემოკრატიზმის საფუძვლებზე.

ეს იქნება ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მარტივად და სხარტად, თითქმის ოქმის სტილით ლაპარაკობს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტებზე, კაპიტალისტური მონობისაგან სსრ კავშირის მშრომელთა განთავისუფლების ფაქტებზე, სსრ კავშირში გაშლილი, ზოლომდე თანმიმდევარი დემოკრატიის გამარჯვების ფაქტებზე.

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაზედაც ოცნებობდნენ და გზავრძობენ ოცნებას მილიონობით პარტიოსანი ადამიანები კაპიტალისტურ ქვეყნებში, — უკვე განხორციელებულია სსრ კავშირში. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაც განხორციელებულია სსრ კავშირში, სავსებით შეიძლება განხორციელდეს სხვა ქვეყნებშიაც. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

მავრამ აქედან გამომდინარეობს, რომ არა გვეგონია შეიძლებოდეს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საერთაშორისო მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება.

ახლა, როცა ფაშიზმის მღვრიე ტალღა აფურთხებს მუშათა კლასის სოციალისტურ მოძრაობას და ტალახში სვრია ცივილიზებული მსოფლიოს საუკეთესო ადამიანთა დემოკრატიულ მისწრაფებებს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია იქნება საბრალმდებლო აქტი ფაშიზმის წინააღმდეგ, აქტი, რომელიც ლაპარაკობს იმაზე, რომ სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველი არიან. (ტ ა შ ი). სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მორალური დახმარება და რეალური საყრდენი იქნება ყველა იმათთვის, ვინც ახლა ბრძოლას აწარმოებს ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას სსრ კავშირის ხალხთათვის. თუ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთათვის სსრ კავშირის კონსტიტუციას მოქმედებათა პროგრამის მნიშვნელობა ექნება, სსრ კავშირის ხალხთათვის მას აქვს მათი ბრძოლის შედეგების, ეკონომიკის განვითარების ფრონტზე მათ გამარჯვებათა შედეგების მნიშვნელობა. ბრძოლისა და გაჭირვების განვლილი გზის შედეგად სასიამოვნო და სასიხარულოა გვეკონდეს ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც ჩვენს გამარჯვებათა ნაყოფზე ლაპარაკობს. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რიანთის იბრძოდნენ ჩვენი ადამიანები და როგორ შიალწიეს მათ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რომ სისხლს, რომელიც უხვად დაღვარეს ჩვენმა ადამიანებმა, ამოდ არ ჩაუვლია, რომ მან თავისი შედეგები მოგვცა. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი). ეს სულიერად აიარალებს ჩვენს მუშათა კლასს, ჩვენს გლეხობას, ჩვენს მშრომელ ინტელიგენციას. ეს წინ გვამოდრავებს და გვიძლილებს კანონიერი სიამაყის გრძობას. ეს განგვიმტკიცებს რწმენას აკუთარი ძალებისადმი და გვრწმუნავს ახალი ბრძოლისათვის კომუნისტური ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. (მ ქ უ ხ ა რ ე ო ვ ა ც ი ა. მ თ ე ლ ი დ ა რ ბ ა ზ ი ფ ე ხ ზ ე დ გ ე ბ ა. მ ქ ე ქ ა რ ე „ვ ა შ ა“. სა ე რ თ ო შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი: „გ ა უ მ ა რ ჯ ო ს ა მ ხ ა ნ ა ვ ს ტ ა ლ ი ნ ს!“ ყ რ ი ლ ო ბ ა ფ ე ხ ზ ე ა მ დ გ ა რ ი მ დ ე რ ი ს „ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ს“. „ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ს“, შ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ ო ვ ა ც ი ა ა ხ ლ დ ე ბ ა შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი: „ვ ა შ ა“, „გ ა უ მ ა რ ჯ ო ს ჩ ვ ე ნ ს ბ ე ლ ა დ ს ა მ ხ ა ნ ა ვ ს ტ ა ლ ი ნ ს!“).





ს. ა. ჯოგაძე

## მისი სახელი ბაძოლის დროსა

დღეს სოციალიზმის ქვეყნის მშრომელნი თავს იხრიან ხალხის ერთ-ერთი საუკეთესო შვილის და უსაყვარლესი ბელადის, კომუნიზმისთვის სწავნებარე მებრძოლის სერგეი მირონისძის ქიროვი აბსოლუტის წინაშე. ორი წლის წინათ მისი ლამაზი, მღელვარე სიცოცხლე შესწყვეტა ტროცკისტ-ზინოვიეველთა საზიზღარი ხროვიდან გამოსული მკვლელის მოლაღატურმა ტყვიამ.

სერგეი მირონის-ძე ქიროვი ერთგული მებრძოლი იყო ლენინ-სტალინის პარტიისა, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა იმპერიალიზმის აყროლებულ წუმპეში დაღუპვისაგან და გამოიყვანა იგი სოციალისტური აყვავების ფართო გზაზე. იგი დიდი შვილი იყო, იმ პარტიისა, რომელმაც დაამზო კაპიტალის ძალა-უფლება და მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე სოციალიზმის განუქრობელი შექტრა ააპრილა. იგი ამხანაგ სტალინის უახლოესი მოწაფე, თანამებრძოლი და მეგობარი იყო.

თავდადებული რევოლუციური მუშაობის ოცდაათი წლის მანძილზე ქიროვიმ განვლო გზა მერივე მებრძოლიდან პარტიისა და ხალხის ერთ-ერთ საყვარელ ბელადამდე. რევოლუციურ არაღეგალურ მუშაობაში, მეფის საპყრობილეებში, თეთრგვარდიელთა ყუმბარების სეტყვის ქვეშ, ბაჭოს ნავთის კოშკებთან, ლენინგრადის ქარხნებში, — ყველგან მან თავისი გულის კეთილშობილება, ნათელი გონება, ხასიათის პირდაპირობა და შეუდრეკლობა, თავისი ბრწყინვალე ნიჭი, მთლიანად მოახმარა იმ უდიდესი მიზნის სამახურს, რომლისთვისაც ოდესმე უბრძოლია კაცობრიობას.

მას აღფრთოვანებდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების აღზნებული რწმენა, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების რწმენა. მისი დაუცხრომელი ენერჯია აჩქარებდა და აადვილებდა მასების მოძრაობას სოციალიზმისაკენ. მისი, როგორც ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის შეუდარებელი ნიჭი, ადამიანთა აღფრთოვანებისა და ამბოღების საუცხოო უნარი — აათკეცებდა ამ ადამიანების ძალ-ღონეს. მან იცოდა ისეთი სიტყვები, რომლებიც ხალხის გულამდე აღწევდა. დიადი მშენებლობის კონტურების იქით იგი ყოველთვის ხედავდა ცოცხალ ადამიანებს. ამ ადამიანთა ყოველდღიური საქიროებისათვის სტალინური მშრონველობით იყო განსმქვალული მთელი ცხოვრება ამ კაცისა, რომელიც უაღრესად

შახლობელი და საყვარელი იყო მილიონებისათვის. „ჩვენი მირონიჩი“, — ასე ეძახდნენ მას ლენინის ჭალაქის მუშები. რამდენი სიტყვა-რელი გამოსკვივის ამ სიტყვებში!

ერთ-ერთ თავის უკანასკნელ სიტყვაში სერგეი მირონის-ძე ამბობდა: „ჩვენ აქ, დედამიწის ხმელეთის მეექვსედ ნაწილზე, ვხედავთ, როგორ იჭედება დღითი-დღე, საათობით, ახალი სოციალისტური საზოგადოება, როგორ შენდება მშრომელთა ქეშმარიტად ძლიერი ცხოვრება და ბრმა უხდა იყო, რომ ვერ დაინახო, თუ როგორ გაიპო ამეაძაღ დედამიწა ორ უზარმაზარ, მაგრამ არათანაბარ ნახევარსფეროდ: ერთზე ლამეა, წყვდიადი და გავერანება, მკვდარი სიტყვა—სიკვდილი, მეორეზე—სიცოცხლე, მუშაობა და შემოქმედება, ძლევამოსილი სიტყვა—წინ გამარჯვებისკენ. და ამხანაგებო, არ არიან იმათზე უფრო ბედნიერი ადამიანები, რომელნიც ბოლშევიკებად იწოდებიან. ამ ნახევარსფეროზე ჩვენ თქვენთან ერთად მიგვაქვს წინ ეს ძლევამოსილი დროშა, და ჩვენ უეჭველად გავიმარჯვებთ თუ ლენინის ანდერძის ერთგული ვიქნებით, თუ ჩვენ საყვარელი სტალინის მითითებებს გავყვებით“.

კიროვი დაეცა ორი მსოფლიოს ბრძოლაში. მას გული გაუპო ტროცკის-ზინოვიევის-გესტაპოს ვაერთიანებული ბანაკიდან გამოსროლილმა ტყვიამ. კიროვი სძულდათ რევოლუციის საზიზღარ მტრებს იმისთვის, რაც მისდამი მშრომელთა მხურვალე სიყვარულს იწვევდა. მისი შეურიგებლობა კლასობრივი მტრებისადმი გამრხატავლა სინათლის ბრძოლას წყვდიადის წინააღმდეგ, გონიერების ბრძოლას უგუნურების წინააღმდეგ, ერთგულების ბრძოლას გამცემლობის წინააღმდეგ, პატიოსნების ბრძოლას საზიზღროების წინააღმდეგ.

იმ ტყვის ხმა, რომელიც კიროვს ესროლეს, გრგვინვად გაისმა მილიონების გულში. გაზრდილმა სიფხიზლემ კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, რა ნიღაბითაც არ უნდა მალავდნენ ეს მტრები თავიანთ ბოროტ ზრახვებს, ხელი შევიწყო დაგვერღვია მათ მიერ გაბმული გამცემლობისა და თვალთმაქცობის ქსელი. თავისი სიბილწით უშავალითო ტროცკისტ-ზინოვიეველი ფაშისტების ბოროტმოქმედებათა საზიზღარი სურათი დღეს მთელი მსოფლიოს თვალწინ გადაიშალა. ეს სურათი მთლად მოქარგულია მკვლევლობითა და მანენებლობით, ჯაშუშობითა და სადივერსიო აქტებით. ბნელეთისა და სიკვდილის ქვეყნის ეს მოციქულები მკვლევლობის, აფეთქების, განადგურებისა და ნგრევის წყურვილით იყვნენ გამსჭვალულნი. ისინი ოცნებობდნენ სოციალისტური რევოლუციის თავის მოკვეთას, ჩვენი სამშობლოს დაფლეთასა და იმპერიალისტებისათვის მიყიდვას, ჩვენი ქვეყნის მორწყვას სისხლითა და ცრემლით. და ყოველივე



ამის ჩადენა სურდათ ერთი მიზნისთვის, იმდენადვე საზიზღარ, რამდენადაც უიმედო მიზნისთვის — ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტურ-საბურჟუაზიული სათვის.

„არ არის უფრო ბედნიერი ხანა, ვიდრე ის, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ“, — ამ გამამხნეველი და სასიხარულო სიტყვებით მიდიოდა კიროვი მასებთან. „ჩვენ ვუჩვენებთ მუშებს მხიარულ ცხოვრებასო“, — ბოროტად სისინებდნენ ვერაგები ტროცკისტ-ზინოვიეველთა შანდიდან. მათ მოჰკლეს კიროვი, მათვე განიზრახეს ამხანაგ სტალინის და მისი მახლობელი თანამებრძოლების მოკვლა. მათ მოაწყეს აფეთქება კემეროვის მაღაროში კუზბასს, ისინი ჰკლავდნენ და ასახიჩრებდნენ საუკეთესო სტახანოველ-მაღაროელებს. განა მხეცურ ბოროტმოქმედებათა ეს ჯაჭვი უშუალოდ არ არის გადაბმული ესპანელი ფაშისტების კაციქამია „გმირობასთან“, — იმ ფაშისტების „გმირობასთან“, რომელნიც ყუმბარების სეტყვას უშენენ მადრიდის უმწუო მოსახლეობას, რომელნიც ცინიკურად ფლეტენ ქალებსა და ბავშვებს? განა აქ მომაკვდავი ქვეყნის ერთი და იგივე სისხლიანი ხელი არ მოსჩანს?

გავსრისოთ ქვემძრომი! — ასეთია ერთად-ერთი საკადრიაი პასუხი ტროცკისტ-ზინოვიეველ გარეწართა ბოროტმოქმედებაზე. ასე სპობენ ადამიანის საცხოვრებელში შეპარულ შხამიან გველს. უკვე ისტორიის საწინაგვეშია გადასროლილი გამცემლობის კენის ბეჭდით დადალული ამ ადამიანთა სამგზის წყეული სახელები. ისინი საზიზღროების სინონიმებად გადაიქცნენ, — საზიზღროებისა, რომელმაც წარსულში ცნობილ ყველა ნიმუშს გადააჭარბა. და თუ ფაშისტი ჭოფაკები და ლორები თავგამოდენით იცავენ კაპიტალისტური რესტავრაციის მხვერავებს ჩვენს ქვეყანაში. ამიტ ისინი საესებით ამხელენ თავიანთ აგენტურას. ხოლო მათი ფეხისამყოლნი — მეორე ინტერნაციონალის რეაქციური ლიდერები, რომელთაც აღმოაჩნდათ საზიზღარი სიტყვები კიროვის მკვლელთა დასაცავად. — ეს ფეხისამყოლნი ღრმა ზიზღის გრძნობას იწვევენ ყოველი პატროსანი ადამიანის გულში.

არ არსებობს დედამიწაზე ძალა, რომელსაც ისტორიის ჩარხის მოტრიალება შეეძლოს. მაგრამ სასიკვდილოდ განწირული მტერი მაინც ცდილობს მძოვრის შხამით მოწამლოს ყოველივე თავის გარშემო. აი რატომ მიგვაჩნია კვლავინდებურად რევოლუციური სიფხიზლე იმ ანდერძად, რომელიც გამსაკუთრებულად უნდა ახსოვდეს ყოველ კომუნისტს. საბჭოთა ქვეყნის ყოველ მოქალაქეს.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში სერგეი შირონი-ძე კიროვი ამბობდა: „მეორე ხუთწლედის ორ-სამ მახლობელ წელს ჩვენს დიად ქვეყანაში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში გაიშლებიან ისეთი ახალი გიგანტური საწარმოო ძალები, როგორიც მსოფლიოს ჯერ არასოდეს არ უნახავს. ჩე უნი ძლევიამოსილი აოციალისტური მშენებლობა მი-

დის სრულის ნაბიჯით, მიდის მგრგვინაეი, უფრო და უფრო აღმავალი მარშით!"

ორმა წელმა განვლო. უფრო და უფრო საუცხოველად იმართებოდა პროლეტარული რევოლუციის ტიტანური ვუთნით გაფხვიერებული ჩვენი მშობლიური ქვეყნის მდიდარი მიადაგი. გამარჯვებულ სოციალიზმი მსლავრი ხელით აბამს მშრომელთა ახალსა და ახალს ფენებს სრულყოფილ შემოქმედებითს ცხოვრებაში. ფაშისტურ ვანდალიზმს შორის, ბურჟუაზიული დემოკრატიის უბადრუკ ნამსხვრევებს შორის ამაყად ფრიალებს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის დროშა. ახალი ქვეყნის მგრგვინაეი, უფრო და უფრო აღმავალი მარში არასოდეს არ ყოფილა ისეთი დიადი, როგორც იგი ჩვენს დღეებშია.

უაღრესი მღელვარებით ისმენდა საბჭოების სრულიად აკავშირო მგრვე საგანგებო ყრილობა და მთელი საბჭოთა ხალხი ამხანაგ სტალინის სიტყვებს იმაზე, რომ „... სისხლს, რომელიც უხვად დაღვარეს ჩვენმა ადამიანებმა, ამაოდ არ ჩაუვლია, რომ მან თავისი შედეგები მოგვცა“; და ამასთან ყველა იგონებდა კიროვის ძვირფას სისხლს, დაღვრილს სოციალიზმის საქმისთვის, განთავისუფლებული შრომის ნათელი და სასიხარულო ქვეყნისთვის. საუკუნეები გაივლიან, მაგრამ მომავალ თაობათა შეგნებაში მარად იცოცხლებს დიდებისა და ხალხის სიყვარულის შარავანდედით მოსილი დაუჭიწყარი სახე დიადი ეპოქის თავდადებული, კრისტალურად სუფთა მებრძოლისა, იმ ეპოქის, როდესაც ორი მსოფლიოს დაჯახებაში კაცობრიობის ბედი სწყდებოდა, — სახე სოციალისტური რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის, სერგეი მირონის-ძის კიროვისა.



პეტრე გიგინეიძე

## სიკვდილიანი

1

დღეშმანს ნერვები სტკიოდა  
და გესლი ჰქონდა ნალევი,  
ხვრელიდან ამოდიოდა,  
ჯალათი ნიკოლაევი.

ზევრავდა შურით ნათრობი,  
მტრის თვალი განახლეები,  
რომ მოეწყვიტა მნათობი,  
თავის საძაგელ ხელებით.

სურდა კობის ლეკებით,  
ტრიბუნი ამოეფისა,  
ამოწყდნენ ტროცკის ლეკვები,  
ვით ხურდა ფულიმეფისა.

უცხად კლდის ფერდი შეინგრა,  
და ძირს დაეცა ზანზარით,  
დაეჭრა მკერდი ლენინგრადს,  
გაისმა ეხო საზარი.

ჩინელს, ყირგიზს და ტაიგელს,  
ტყვიის ხმა გაუგონიათ,  
მწარე ამბავი გაიგეს,  
და ხსოვნას გულში ჰკონიან.

ეს დედამიწა და ეს ცა,  
თითქოს უხმოზდა მოყვასებს,  
ცხარე კურცხალი დაეცა,  
თვით დიდ სტალინსაც ლოყაზე.

მკერდში გიხუტებს, გიკონებს,  
 სამშობლო შენი გამზრდელი,  
 აცახცახებით გიგონებს,  
 ლაშქარი ლენინგრადელი.

ლენინგრადივით ოხრავდა,  
 თითონ ტფილისიც, ბაქოცა.  
 შენს კუბოს თავი მოხადა  
 კობაშ და ტკბილად გაყოცა.

თითქოს და ცრემლებს მინებდა,  
 და დაიბანა მზემ პირი,  
 სულ შენზე დაქვითინებდა,  
 ჩვენი ზღვის თბილი ზეფირი.


ვინც მარად დგას კრისტალივით,  
 ის ეერაფერმა დაღალოს,  
 შენ გზრდიდა ბრძენი სტალინიც,  
 ადამიანთ მაღალოს.

შენს მუხლს მანძილი არ ღლიდა,  
 სურვილებს შლიდი ვარდებად,  
 პოგვეშორდი, როგორც მაღლიდან,  
 ვარსკვლავი ჩამოეარდება.

ჩვენს გულში შენი ნერვები,  
 ფესვებივით გაქვს გადგმული,  
 და გეხიბლავ მშვენიერებით,  
 მამაცი სახელგანთქმული.

წყალი წაიღებს, მოსილავს,  
 გულყვითელას და მურიანს,  
 ჩვენი დრო ძლევამოსილი,  
 ტკბილი და საამურიცა.

კვლავ ბობოქრობენ დღეები,  
 და მტრები ნაფოტდებიან,  
 კობას გაზრდილი ხეები,  
 ზამთარშიც აფოთლდებიან.



მას მიწა გადაეყაროს,  
 ვინც გვიშერს განრისხებულს,  
 სოციალიზმის ზე ხარობს.  
 სტალინის ოქროცხებულს.

თუ დაგვესხმიან ისევე,  
 ზღვასაც კი შევსევამთ პეშეებით,  
 სტალინის დაძახილზევე,  
 ფრონტებზე გადაეშეებით.



## პავლე იაშვილი

ორდენოსანი პოეტი

# გზა გზვიდობისა

პოემა

მალლობიდან მწვანე მორბის,  
მწვანე ჩარბის ფერად ბარში  
და ერევა ფიცნი ხორბლის  
მომრიალე მწიფობაში.  
გზის ნაპირად ლარზე წყარო  
მორბის ჩქარი და ნათელი,  
მოჩქრიალობს, მოხტის, ხარობს  
როგორც ნარდში კამათელი.  
შარა გზაა ვიწრო განის  
ორი-ურმის შესაქცევი,  
მაგრამ გრძელი გასაქანით  
იგი მიდის სადღაც ზევით,  
მიდის მალლა, მშვიდი, ნელი  
როგორც მთვარე შუა ცაზე,  
და თან მიაქვს საკვირველი  
უხვი ბარის სილამაზე.  
და რა ახვალ უღელტეხილს  
შეაჩერე ქიმზე ცხენი;  
ბარის სურნელს, ბარის ხეხილს  
და გზის გრეხილს დაეხსენი,  
გადახედე ორ მთას მალალს  
თითქოს ერთს და განუყოფელს  
და მათ ძირში ქვევით, სადღაც  
ერთს ყალიბში ჩამგდარ სოფელს.  
კლდეებს შუა მოსჩანს ზეცა,  
როგორც ვიწრო ლურჯი ხიდი,  
ამ შორეულ, ამ უეცარ  
ცას და მიწას დააკვირდი,



სოფელს აკრავს ღია ბინდი  
და იგია ხონჩის მსგავსი,  
ბოსტნეულით მწიფე შეინდით  
და დარჩეულ წაბლით სავსე,  
გაღმა სახნავ მიწას დაშლილს  
ღვედად მისდევს ხნულზე, ხნული,  
აქეთ ბარში — მწიფობაში  
შესულია კირნახული.

მზე გადაღმით ხვატს ვერ აჩენს  
რაგინდ უხვად სხივებს ღვრიდეს,  
აქეთ ტბაში სცხელა ყანჩებს  
და ტოტებზე შემჯდარ გვრიტებს.  
მთის მდინარე, გესმის, რეცხავს  
კლდის ნაპირებს სოფლის ქვემოდ,  
აგურ მოაქვს შენთან მერცხალს  
იმ მდინარის შხეფის გემო...

იმ სოფელში, იმ დაბალში  
ერთია უეჭველი:  
ვაფი იყოს სულ მთაბარში  
ქალი მატყლის მჩეჩელი.  
ვაფი ტყვიას ჰკრავდეს ვაცებს  
ან მგელს უჯდეს საფარში,  
დედა ზრდიდეს დიდ ვაგეაცებს,  
ნანაში და ზღაპარში.  
გადივლიდეს ვაფი ცხრაშთის  
მეხი შეხედეს მჭუხარი.  
და ხედებოდეს მძიმე ზამთარს  
მოტკაცუნე ბუხარით.  
ვაფი ხდიდეს, სვამდეს არაყს  
მადას გაიმგელებდეს,  
უსინჯავდეს ფხას იარაღს,  
ცხენსაც ააგელვებდეს.  
მდინარეზე ხიდი ვასდოს  
თევზს ჩაუდგას ფაცერი,  
დავს უყრიდეს ქალი ქატოს  
ახალციხურ საცერით.  
ვაჟმა სიპში ჰფეროს კავი  
მიწა დასძრას ახოში,  
ქალმა დროზე უკრას თავი



ნახირს საბალახოში.  
 სწვავდეს მუხის, წაბლის ნახშირს  
 ვერ აჯობონ ტოლებმა,  
 დაჰკიდოს და ჰკვარტლოს შაშხი  
 ქარვისფერი ზოლებმა;  
 და ორთავე, — რა მოაღწევს  
 დარიანი შაბათი,  
 შეხვდენ სტუმარს ფიჭვის ტახტზე  
 გაუშალონ ნაბადი.  
 ასეთია მთაში ხალხი,  
 მათი ყოფნის სურათი,  
 მომუშავე როგორც ჩალხი  
 და ამიტომ პურადი.

მაგრამ გავა და გადავა  
 წესი, რაც სოფელს რგებია;  
 ერთი მსუნაგი ცხრათავე  
 ამ სოფელს ჩასაფრებია.  
 ბნელია, ბნელ აზრიანი  
 გულით ხომ უფრო შავია,  
 მთებში ქუხილის ზრიალი  
 უფრო ტკბილ სანახავია.  
 რა არი ვატი მწვემსობდეს,  
 ქალმა აბუღოს კრუხები,  
 და არც ერთს აღარ ესმოდეს  
 არც კითხვა არც პასუხები  
 მისი, რაც დედაენაში  
 პირველ გვერდზედვე სწერია.  
 და რასაც ბარის ვენახში  
 უკვე ბავშვები მღერიან.  
 მთამ ცა შუბებით დასერა,  
 დაბლა წიგნისთვის მიჩნარმა,  
 ქვაზე ვერა სთქვა დაწერა  
 ქვის მთლელმა უცოდინარმა,  
 დედამ უხსოვარ გმირებთან  
 ერთად დაარწო აკვანი,  
 და სხვისგან იზეპირებდა,  
 ძველ წირვას მღვდელ-ღიაკვანი.



როდესაც კვირტი გავაშლდა  
 ყვითლად წამოდგა ლელი,  
 იმ გაზაფხულზე დაეაფდა  
 ერთი ფეხმარდი მთიელი.  
 უკვე იმისი უღვაში  
 ლოყაზე ჩეროს აფენდა,  
 ჩაასხა ღვინო კულაში  
 და სამჯერ დაცლაც ვაბედა.  
 თოფს აეკიდა კაყიანს  
 გამოცდილივით დაკვესა,  
 ამბობდენ, ვისი ვაჟია  
 გაატოლებია ნაძვებსა...  
 ტყეში მრავალი ღორია  
 ზამზარა ეშვებიანი,  
 წაბღის დაყრილი ყორვა  
 რკოც დაფანტულა რძიანი,  
 მგელია, ჯოგად აყრილი  
 ძროხის სუნთან კვალზედა,  
 ირემი რქებ გადახრილი  
 მიმდგარი მლაშე წყალზედა,  
 მშველი ფეხ, კისურ მაღალი  
 ზურგზე სხივ ჩამომდინარი,  
 მონადირისგან დაღალევით  
 ღვიძლი შვილივით მტირალი,  
 ტყეში ძნებივით არიან,  
 ჩაყრილი ოჭროს ზოდები...  
 და როცა გრიალქარია  
 ერთმანეთს სტეხენ ტოტები.  
 ამ ტყეში უღრანიანში  
 ვაჟი შეთავსდა რა ხახი,  
 ტყვიას არტყავდა ტყვიაში  
 გაპჭონდა ცულის ჭახანი.  
 მდინარეს მორებს ესროდა  
 შეპკრავდა ტივებს ბარისას,  
 არც შრომა არ მობეზროდა,  
 არც ელეტა მგელთა ფარისა.  
 მამლის ყვილზე დგებოდა  
 შეკრული იარაღითა,  
 მზის უმაღ შინ ბრუნდებოდა  
 მხარზე გადებულ ტახითა...



ერთხელ, რა ღამე გასრულდა  
 ვარსკვლავები ჩაჰქრნენ შწყრივებად,  
 ადგა, არც სროლა არ სურდა  
 არც შესმა, არც გაკრივება,  
 ცხენი მორთო და აპურა,  
 აბგით საგზალი შეჰკიდა,  
 მზემ შთის ნისლევი გაჰბურა,  
 სხივი სხივს გამოეკიდა,  
 მოახტა ცხენსა ჭაბუკი,  
 ფეხი უზანგში ჩარაზა,  
 და გაჰყვა როგორც ქარბუქი  
 მზის სხივს და მთების შარასა.  
 სხვა მთაში სხვა სოფელია  
 უფრო ღამაში სანახი,  
 გარშემო უზოგველია  
 ცხვირის გამზრდელი ბალახი,  
 კალმახი წყალში ბევრია  
 კლდეში არჩევები არიან,  
 ერთი ისეთი სერია —  
 მთლიანი ყვავილნარია.  
 ერთს მუხას მიწით ზეცამდე  
 გაბარდნილი აქვს ტოტები,  
 მას გრიგალები ლეწავენ,  
 უსტვენდენ მიკიოტები.  
 უხსოვარს და უთარილოს  
 მაინც მთასავეთ სშინაედა,  
 ისე სდგას როგორც მდგარიყო  
 იმ ათასი წლის წინადა.  
 იქ, შიღის აღარ თავდება  
 მთა, მთაში გადამდინარი,  
 და სილამაზის თავდებად,  
 სდგას და ეღვარებს მყინვარი.

ბუნების სავსე თაროში  
 ძნელია სავნის არჩევა,  
 მაგრამ ამ სანეტაროში,  
 ერთი რჩეული დარჩება.  
 სულ ერთი კაცის ბრალია  
 რომ სხვაზე უკეთესია,  
 ის ჩვიდმეტი წლის ქალია,



ის ფეხშიშველა მწყემსია.  
 ამ სოფლის ნაირ ქოხებში  
 არ არის მისი ბადალი,  
 ამაყად დადის ძროხებში  
 ეს ფეხშიშველა სარდალი.  
 ძროხები მასთან არიან  
 დადიან, მოიძოვებენ,  
 თვით სკამენ ბალახს ცვარიანს,  
 ყვავილებს მას უტოვებენ.  
 ერთად მიდიან თარეშით  
 სადაც გახსნილი მთებია,  
 და მწყემსთან მთის მდინარეში  
 ძროხებიც აცურდებიან.  
 ხეებმა წყალში ჩაყარეს  
 ჩრდილები, როგორც რტოები,  
 მწყემსი გაწევა, საყვარელს  
 გარს ევლებიან ხბოები.  
 შვილებს დედები ლოკავენ  
 ნაზები როგორც ქედნები,  
 და ალერსს არ იზოგავენ  
 რძის მათრეველა დედები.  
 დედაშვილური ალერსით  
 ქალია პლტაცებული,  
 რძით, სისხლით უმზურვალესით  
 ჩვიდმეტი წლით აესებული.

ახსოვს შორეულ მანძილით  
 ბინაში მოჰყავს ნახირი,  
 კლდეზე ჩამოდის ყმაწვილი  
 ჯიხვის სიმძიმით დახრილი.  
 მიწა მთლად გადაიზოდა  
 მისმა ლანდებმა დაჭედა,  
 მოვიდა ჯიხვი, ისროლა  
 და დიდს ბალახში გაჩერდა:  
 პირველი კითხვა რა იყო  
 დღესაც არ ახსოვს კარგადა,  
 მეორედ ხმა რომ გაიღო,  
 ის კაცის ნათქვამს არ ჰგაედა,  
 შემდეგ სულ ველარ გაიგო  
 მის ნათქვამს ქარი ჰკარგაედა,



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ის სიტყვა, თან რომ წაელო,  
შიგ თავის გულში დარგაედა.  
გაიქცა, ჯოჯს გაერია  
იკენესა გულის უჯრიდან...  
ნეტავი რა ჰაერია  
რომ სუნთქვა ასე უჭირდა.  
ეს გაახსენდა... ვახედა  
ჩქერების ატორტმანებას,  
მდინარე კლდეს აჯახებდა  
წყალსა დჳ ქალის ზმანებას.  
მზე ხეებამდე დავიდა,  
დალაგდა ყვითელ კონებად,  
და ქალმა ისევ თავიდან  
დაიწყო ის მოგონება...  
„წყალის შხეფი და მზის სხივი  
შეეგებენ ერთმანეთსა,  
მაგრამ სხივი, ის გულცივი  
ვაეკიდა ახალ წვეთსა.  
ახლა შხეფმა მოიტაცა  
ეს პატარა ოქრომკედი,  
ერთს კრიალა ლიპზე დასვა  
თვითონ დაჯდა იმის გვერდით.  
ნეტა რა ჰქნა წყალის ბავშმა,  
სხივთან ერთად როგორ მოხვდა,  
იგი სხივის ალით გაშრა,  
და საყვარლის გვერდით მოკვდა“.

ახლა კი ფიქრი ახირდა  
გული ვაემა გმინვაში,  
წამოდგა, თავის ნახირთან  
ერთად დაბრუნდა ბინაში,  
დიდი ქვა ვზასთან გდებული,  
მოკლული ჯიხვი ეგონა,  
მირბოდა ფიქრ მოდებული  
რომ სადმე ხმა ვაეგონა —  
ხმა, კლდეებში რომ ვაისმის  
მაისის მეხის კექითა,  
და რამაც ქალი დაისის  
ოდენა ცეცხლზე შეჰკიდა.



ჩვენმა მხედარმა გაკვეთა  
 გაუთელავი კალთები,  
 გზები პატარა ვაკეთა  
 ბილიკი და აღმართები,  
 მთას ავა, კიდევ მთები  
 გადაღმა შესახედავი,  
 არწივს ჰგავს ვაშლილ ფრთებიანს  
 სერზე გაკრული მხედარი,  
 ზაზა (ეს არის სახელი  
 ჭაბუკის თავმომწონისა)  
 ის იქნებ არის კახელი,  
 ან მწყემსი მამისონისა,  
 ეს სულერთია, შეთვისდა  
 მასში, რაც მთაში ტკბილია,  
 ყველა მთიელი დედის და  
 რიფრაჟის გამოზრდილია.  
 ზაზა სოფელში შევიდა  
 როგორც ეზოში მაყარი,  
 სხივები ჰქონდა ზევიდან  
 ჩოხაზე ჩამონაყარი!  
 ხალხმა შარა გზას გახედა  
 ქროლვა გამოჩნდა ქარული,  
 ქერებზე ჩალას არხვედა  
 გზაზე დამდგარი თქარუნი.

მებაღურებში ცნობილი  
 პირველ თავ მებაღურადა,  
 ყარამან, ზაზას ძმობილი  
 ეზოში ბადეს სწურავედა.  
 ბადე საშრობად გაშალა,  
 მუხლები დაიკარწახა,  
 უცბად გახედა გზა შარას  
 და გამარჯვება გასძახა.  
 ცხენდაცხენ შემოეჭენა,  
 ზაზა, უბადლო ძმობილი,  
 ყარამანს იგი ეჩვენა  
 სასიძოდ გამოწყობილი.  
 ჩაემეგობრა, ჩაეკრა  
 ძმასავით სანდობ მკერდშია,  
 აღარ იცოდა რა ექნა



ერკონული  
გინულირთისა

რომელი სიტყვა ერჩია.  
როცა შეხედები საწადელს  
მაშინ გრძნობებიც სწრაფია,  
უთხრა „ჯერ ძმავო მაყადე  
შენ ცხენს მივხედო ქაფიანს,  
შენია, მთელი სახლკარი  
ცხენის კი მთელი საკვერ:  
ამ თივის ხელი გაქკარი,  
გაშალე ქვეშ გასაგები...  
ყარამან ცხენთან მივიდა,  
შეუშვა მოსართავეები,  
ბაგა აუესო თივითა,  
უმატა ქერის თაველი.

— ეგ შენი თავი თივაზე  
ნეტა სარკეში გაჩვენა;  
მითხარი როგორ იაზრე  
შევერდენივით გაჩენა.  
მდინარეს ასჯერ დავეყვი  
როცა აიძღვრა, ადიდდა,  
გაეხადე ნამათრახევი  
ჩემი სასროლი ბადითა.  
კაკლის ფოთლებში ვახვიე  
კალმახი თითო მტკაველა,  
მთას აველ, მოცვი ვარხიე,  
ველარსად შევხვდი მთაველად.  
უფრო თანდათან კენესოდა  
ნალველი მარტოობისა,  
შენი ხმა აღარ შესმოდა  
აღარც ხმა შენი თოფისა,  
ვიარე ზურგით მზიდველი  
თევზის და სველი ბადისა,  
ვერც ვნახე კვალი წითელი  
შენგან დაკოდელ დათვისა.  
ნეტა სად იყავ წარამარ  
გადაქცეულო ნატვრადა"...  
— ასე ამბობდა ყარამან  
და თან ააომახიბს პოეტრავდა.  
პირველი თავის დასასრული.



ქვემოთხატული ლექსები

# ბაღდადიანი მოთხრობები

I სიკაჩხანა

მოშაბულ ტბისპირას მძიმედ დაფრინდა თეთრი ყანა. გრძელი ნის-  
კარტი რამდენჯერმე აძვრა კონკუს, მერე ცალფეხზე შედგა და გა-  
კვირვებით გახედა ქვეყანას.

ტბას შუაგულამდე მაღალი წიწენარის ჩრდილი ეფინება. მზის-ყურში  
ბავშვები ბანაობენ. ტიტლიკანა ბიჭი წყლისკენ ექაჩება ბამბურა ნაგავს,  
უნდა როგორმე აბანავოს, და რომ ვერ ერევა გაკერებულ ცხოველს,  
ყელში ებჯინება უხმო ქვითანი.

ილაგვაწვეტილი ნაგავი ყოყმანობს: გაიქცეს თუ უკბინოს. გაქცევა  
ერთიერება, თანაც ეზარება მაღლიანი მზის-ყურის დატოვება. *მარა-და*  
კოტა დიდი მაინც იყოს ეს ეშმაკის ფეხი! ასე პატარას როგორ უკბი-  
ნოს? ყოყმანობს, ვერ გადაუწყვეტია.

ტბასთან მჭიდროდ მიკუთქულა ერთმანეთზე ქილით-ბურული კონები.  
ისინი ფეხდანადგამ სოკოებივით გართბულან მიწაზე და დითქოსკმარან.  
ერთი მაგრა ამოიხვენეშოს ამ ულრანებმა, რომ ფეხველა ერთად ტბაში გა-  
დაბურტყოს.

დაბალი მესერიტ შემოვლებულ ბაღებში *სათონოროლა* ევშლისხე  
შოსჩანს. ტოტებამდე კირით შეთეთრებულნი *იოსინი* და *საბურა* ბგენან  
ეზოში საცვლების-ამარა გამოსულ გლეხებს. *სენი* თუ *სენი* იუღიბენ

კალოს გადაღმა ლოდითინოს ტევრი *დწყება*. სირველელნი *მყიდ-*  
როებით სუნთქავენ მისი უშფოთველი ტბებზე და *მისი* აბოქანი, *სენი*  
ავარდნილი ფიქვები, რომ ჰგლეჯენ და ანერებენ *საწვიმარ* *სრუბლებს*,  
და მისი ქაობიანი ულრანები, სადაც ფრინველს ფრენა უჭირს და ნადირს  
ბილიკის გაჭრა.

მხოლოდ ყოჩალი მონადირე და ფისისმხდელი *საბურა* და *საბურა* მყიდ-  
როების შეშფოთებას. ზამთარში იყინება ტყის მძიმე წყალს და ტყეს და  
სოფელს შორის გაცხოველებული ურთიერთობა *საბურა*. გლეხში მარ-  
ნილებით შედიან ტყეში და ეზიდებიან შეშას. ტყეზე გამოდის მგლები  
და იტაცებენ ხბორებს.

სოფლის განაპირას, კორომის ჩრდილში მყიდროდ *საბურა* და *საბურა*  
ლა. აქედან უხვევს სოფლისაკენ მოზირის შარბგა, *საბურა* და *საბურა*

კერძობებით დაბურული, მოდის ტბაძღე და თითქოს აქ ახსენდება რომ ლარიბ სოფელში არაფერი ესაქმება და სწრაფად უგანებს მან ჩნდება კის მამულისაყენ.

სირაჩხანაში ნახევრად ბნელა. იგი სავსეა ძველი ხამუტებისა და საქმელის მონარჩენის სუნით.

მედუქნე პადილო ხმაურით ალაგებდა სუფრას, რომ უცებ ყური მოჰკრა ბაბუა რუხლოს უკანასკნელ სიტყვებს: ზღაპარი თანდათან სანუქვარი ხდებოდა. პადილომ ჭურჭელს თავი მიანება და თითქოს ღუქანში მძიმე ავაღმყოფი უწევსო, ფეხაკრეფით წაეიდა ბაბუა რუხლოსაყენ, რომლის იღუმალი ჩიფჩიფი უფრო აღრმავებდა ერთბაშად დამყარებულ სიჩუმეს.

„შუათანამ ცხენი ინატრა. ხელად მოჰგვარეს ცეცხლისფერი ულავისეთი ფიცხი იყო თურმე, — ყალყზე რომ შედგებოდა, ცაში თავს არტყამდა.“

„ახლა ნაბოლარა წარუდგა უფალს. ცალთვალა ყოფილა, ჭონდრის კაცივით დაფსბრეკილი.“

„შენ რალას ინატრებო, ჰკითხა უფალმა.“

„რასაც ჩემი უკანასკნელი თვალი აიწონის, იმდენი მიწა მომეციტო. მიახსენა ცალთვალამ.“

„უფალს გაეციანა თურმე, ეს რა ხეპრე მოთრეულა, შნოც არ შესწევსო ნატერის! აფრინა მოციქულები, ჩემი ყანთარი მომართვითო, და სანამ ისინი დაბრუნდებოდენ, ურჩია ცალთვალას, სხვარამე ინატრეშენს თვალს ერთ მუტა მიწაც გადაწონისო.“

„არაო, გაკერბდა ნაბოლარა.“

„ნება შენი აღსრულდესო, დაყაბულდა უფალი, ამოთხარა ნაბოლარას თვალი და ჯამზე დასდო.“

„და ბაბუა რუხლო ჩირივით დამჰკნარ თითებს მაგიდაზე აფათურებს. ცარიელი ჭიქა ახლო მიაქვს ჩინდალეულ თვალებთან. განა არ ახსოვს, რომ არაყი წელანვე შესენ უკანასკნელ წვეთამდე, — მაგრამ ბაბუა ეშმაკობს. ჭიქის აწვე-დაწვეით იგი ახსენებს სუფრის გარშემო შეჭურულ მსმენელებს, ერთიც კიდევ ჩამაცეცხვლინეთო ბჭრიკაცს.“

„მაგრამ ბაბუა რუხლოს ეშმაკები მათი შეგირდები იყვნენ. ყველა ივრე უჭირავს თავი, ვითომც ვერ ამჩნევენ ბაბუას ფაციფუცს.“

„მერე! — არღვევს სიჩუმეს ვილაცას მოუთმენელი ბანი.“

„ბაბუა რუხლო წირპლიან თვალებს ახელს.“

„მე... რე, — ბუზღუნით აჯავრებს იგი ვალმელ ტურბალს, რომელმაც გუშინ ორი ურემი კარტოფილი გაყიდა მოზირში და დღეს ჭიქა არაყი ეშურება მისთვის, — და უცბად წელზე იტაცებს ხელს.“

„რომ ტვალა ნამდვილი ჭქალა. თუ ემწუთში თბილად არ ჩაეწეკი, შენი მტერია; თთხი ფიცხის გამართლა დაგჭირდებათ ჩემო კეთილებო!“

კრუსუნებს, ნელა-ნელა დგება და აუჩქარებლად ეძებს კომბალს.

ქოჩორა გრამკო უხერხულად იღიმება.

— დამაინტერესა ამ ზღაპარმა!

გრამკოს ეკვი არ ეპარება რომ ეს შარახვეტია ბერიკაცი თვალთმაქცობს, მაგრამ ჯანი გაეარდეს აბაზიანს, ოღონდაც ზღაპრის დაბოლოებას ელიოსოს.

იგი დაძაბული უსმენდა რუხლოს. მუხლებზე დაწყობილი ხელისგულები ოფელში ჰქონდა აცურებული.

გრამკოს მოსწონს ცალთვალა. იგი ბუნდათ გრძნობს რომ ეს ახირებული გლეხიკაცი ღმერთის მოტყუებას ცდილობს.

იგი დინჯად იღებს ქისას. დახლზე წკრიალით ეცემა ვერცხლი.

და მერე დადის ეს თეთრი ცეცხლი ბაბუა რუხლოს ფშუტე ძარღვებში, ალაღებს მოქანცულ სისხლს, ცელქად უღიტინებს თავში და ბერიკაცი მეტი ხალისით ჰყვება მასავით ძველისძველ ზღაპრებს და არაკებს.

„უბრძანა მოციქულებს, რაღა ბევრი ვიჯახიროთ, აუწონავად აჩუქეთ თითო კოლბოხი და გზახსნილი ჰქონდესო.

— არაო, განმეორებით შეჰკადრა თვალებდაფსებულმა, ამიწონეთო.

— ხეპრე ყოფილა! — წამორომა ახალგაზრდა პაპავეცმა, მოზირელი ვაჟრის ნოქარმა, რომელსაც ჯღანს უგავედა ნაყვავილარი, არაყთან ახლო მეგობრობით აკრელებული პირისახე.

მისი ერთადერთი ოცნება იყო, — მდიდრის ოჯახში ჩასიძება. კუბალას ღამისწინ ჩამოეთრეოდა სოფელში, იაფი ბეჭდებით და გულისკინძისთაგებით ჯიბე-გატენილი, დაგზავნიდა აქეთ-იქეთ მაქანკლებს; მერე იჯდა სირაჩხანაში და დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ ათიოდე წუთი იყო ფხიზლად, სწორედ იმდენი, რამდენიც სჭირდებოდა დილით ჩექმების ჩაცმას და სირაჩხანამდე მისვლას; და მერე მაქანკალ-გაწბილებული, ჯიბეგამობერტყილი სასაძო გონჩარის ჯიშთან ქვრივთან ატარებდა უკაშასენელ ღამეს.

გონჩარის ნაცოლარი ერთი უშველებლად დაზვიანული დედაკაცი იყო. პაპავეცი ჩაუყრიდა კალთაში უკვე ფერგაქუცულ ბეჭდებს და გულისკინძისთაგებს, მერე თვითონაც ჩაწებოდა შიგ და ქვრივის ოფლიანსა და ღადარივით მხურვალე მკლავებში იშუშებდა გამწვარებულ სულს.

წელს პაპავეცი მეტად ჩამოიჭვია სოფელს. დაღესილი ბიჭები ომში იყვნენ, და პაპავეცს იმედი ჰქონდა რომ მათი დიდგინა ცოლები ახლა მაინც აღარ ითაკილებდნენ მასთან არშიყობას.

პაპავეცი არ უყვარდა ბაბუა რუხლოს. შარშან სოფლის გოგო-ბიჭებმა რუხლოს ქოხი იქირავეს კუდელის სართავად. შობის ქვირა იყო. პაპავეცი გაღეშილი მოვიდოდა საღამოს და განძებოდა ქალიშვილების ჩქმეტა და ლოშნა. ყველაზე უფრო რუხლოს რძალს ელაკიცებოდა მოზირელი ნოქარი.

რუხლოს ერთა ვაჟი რუმინეთის ფრონტზე იყო. ყოველ წველაში ერთსადიამბვეს იხვეწებოდა, თვალი კარგა გეჭიროს, ქალი არ გაძლილ-ბუცდესო. ეს მზაკვარი პაპავეცი კი ყოველდამე ულადიან წარმოიქმნა ზელაედა ტალახს, და მისი ლოთური სიმღერები მთელი უბნის მალღებს აყეფებდა.

ბაბუა რუხლომ ხმაზე იცნო პაპავეცი. ნელნელა გახსნა უძლორი ქუთუთოები და ნოქარს არაწმინდა თვალეში ჩახედა.

უეცრად აცახცახდა.

ცახცახებდა მისი კერკეტი, ნამგალივით მოხრილი ტანი, და მისი წვერულვაში, თამბაქოს ყლარტით შეყვითლებული ტუჩების გარშემო, და ჩირივით გამჟვნარი ფითები, რომლითაც წარამარა თვალეებს იწმენდა.

იგი იცინოდა, უხმო იყო მისი სიცილი.

თვალი მოხუჭა. არ შეუძლია ბერიკაცს სხვის თვალეებში დიდხანს ყურება. ცრემლი ადგება.

ბაბუა რუხლოს უხმო და ხანგრძლივი სიცილი ძარღვეებს უშლის გრაბკოს.

— ნუ ეჩრები! — უჯავრდება ნოქარს და უფრო მოხერხებულად ეწყობა უნაგირზე.

და ისევ დნება სიჩუმეში ბაბუა რუხლოს ჩიფჩიფი.

„ეწყინა უფალს ნაბოლარას უკადრის პასუხი.“

„რაბან ვერეა, ბუწონეთ და მისხალი ზედმეტი არ მისცეთო, უთხრა მოციქულებს.“

„ერთმა მოციქულმა სამასხროდ მონახა თურმე ნაბოლარას თვალისოდენა კოლბოხი და ჯამზე დაავდო. ვითომც არაფერი, თითქოს ბუზი დამჯდარიყოს! დაუმატეს მეორე, მესამე, შენც არ მომიკვდე, თვალის დაწონვას არაფერი ეშველა!“

„აყრიდენ და აყრიდენ მიწას ნიჩბებით, გოდრებით, ურმებით... ვერაფერი მოუხერხეს. მთელი გორა მოზიდეს მოციქულეებმა, ოფლად გასკდენ, ხელისგულეები ამხელა მეჭეჭებით გაეცსოთ, ყანთარის ისარი მაინც თვალისკენ იყო გადაბრილი. ვერ დაძალეს ვერაფრის დიდებით.“

ბაბუა რუხლომ თვალი მიმოაელო გარინდებულ მსმენელებს. ისინი გუმან-დაკარგულნი მისჩერებოდენ მეზღაპრეს.

ბაბუა რუხლო ნაღვლიანად აბოლოვებს.

— რა მიწა გაძღებს გლეხის თვალს! იმ ერცახე თვალში იმდენი ცრემლი იყო, იმდენი დარდი და იმდენი უძილო დამე, რომ მთელი პოლესიე რომ მოეზიდათ, მაინც ვერ დაწონიდენ.

— ყოჩად, ქუვის კოლოფი ყოფილა! — მოწონებით შესძახეს გარშემო.

— დარჩა უფალი გაბრიყვებული... შენა კი, — ბაბუა რუხლო ნოქრისაკენ აკანტურებს არყით შეხურებულ თავს: — ის ჩემი ცალთვალა გეგონა ხეპრე! ბლარტი ხარ, ბლარტი, რა უნდა გელაპარაკო? დაბაში სამ-

სახური იშოვე და ჩენი უკვე არაფერი გესმის და მოგწონს, ხეპრეს გვაცაბი! — მოულოდნელად ასკენის მეზღაპრე და წასასვლელად ემზადება.

პაპავეცი იღიმება, თავის გამართლებას ცდილობს. რუხლო აწვევტი-ნებს, ლოთურად აპარპალებს თვალებს და შეურაცყოფილი ლულულდება:

— ვინ იცის, იქნებ მე ვიყავ ის ნაბოლარა, იქნებ ცხონებული მამა-შენი იყო, წელამდე ქონჯყოში რომ იდგა და გოჯა-გოჯა სტაცებდა მიწას ლოდიფინოს ჭაობებს. იქნებ მეც მინდა შენსავეთ თავაწვეული ვიარო ქვეყანაზე, ცასაც შევხედო და ვარსკვლავებიც ვითვლო! ვანა არ მინდა. მაგრამ წელი არ მომდევს. გაჩენის დღიდან მუდამ დაბლა ვიქტირები, ამ მიწას ჩავკირკიტებ... მხედავ, ისე მოვიკაკვე რომ ცოტაც და... თავზე მალა ტ... მექნება.

ტურბალი და პაპავეცი შეუმჩნევლად სტოვებენ სირაჩხანას. ისინი ვერ უსმენენ სიმთვრალეში გულანუყვებულ ბაბუას. მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით წელში არ გატეხილან. ისინი იყურებიან ცაში და სჯერათ, შათი ბედის ვარსკვლავი არ ემგვანება ბაბუა რუხლოს უღიმღამო მანათობელს. ისინი ვერ ითმენენ, როცა ვინმე ხელს ახლებს ამ რწმენას.

— კარგი ზღაპარია! — ლაპარაკობს ჩაფიქრებული ვრაბყო.

ნეტავ იგი დასვა ცალთვალას ადგილზე... და ეს ნატვრა ჩემი, შინაგანი სიხარულით ანათებს ვრაბყოს გამობუნებულ პირსახეს, და თითქოს განძით გატენილი კურგანი ენახოს, ისე ხარბად იქტირება ზღაპარში. და მისი გონების თვალი უკვე სჭვრეტს, როგორ მიუწონიან პან სნედეცის უღვეველ მინდვრებს.

— ხეპრე, ხეპრე, — ლულულდება ბაბუა რუხლო. კიქას აცარიელებს: გამოდის მზეზე სიბერისა და არყისაგან ფეხებაშლილი.

შარაზე სილა, სიჩუმე, დასიცხული თხემლების ჩრდილი.

ბაბუა რუხლოს სილაში ეფლობა ცუდათ შეკრული ჭალამანი: იგი ბარბაცებს, ვერ ერევა არცერთ თავაშვებულ ფეხებს. ცალი ხელი წელზე უდევს, მეორეთი კომბალს იბჯენს და ასე მიჩანჩალებს ბებრული ფაფურით.

ბაბუა რუხლო არცისე მოხუცია, როგორც თავს იკატუნებს. სოფელში უფრო ხნიერებიც არიან, მაგრამ ბაბუა რუხლოს პატივმოყვარეობა აწვალებს, სახელის გათქმა უნდა. ფიცით არწმუნებს ყველას, ჩემი ხნის ქვა არ დევსო რიყეზე. იგი ამაყობს, როცა სოფლელები ამბობენ, შეხედეთ ბაბუა რუხლოს, ასწლამდე არაფერი უკლია და ისე ყოჩაღად არის. ხელდახელ ეტაკება მგელსო. ბაბუა რუხლო ასე იხვეჭს სახელს, და ტყველად ფიქრობს მიაშიტი უღაღია რომ ბაბუას სიკვდილი ეჩქარება და იმისთვის იმატებს ხნოვანებას.

აგერ გამოჩნდა რუხლოს ქერის ყანა.

ბაბუა რუხლოს თმასავეთ თხელი და დამძაძებელი ჯეჯილი სარეველა ბალახს დაუჩაგრავს.

თავთავი მოსწყვიტა, ხელისგულზე მოფშენა, მარცვლები დაიწვია... ხუთმეტრი, თექვსმეტრი... ბაბუა რუხლო წყენით აქნევს თავს, რუხვით. მტყობა ამ თავთავებს დედაკაცისა და ბერიკაცის უძალო ტყელზე: **მეტი**

პეტრუსი რომ შინ იყოს, სარეველა ბაღახი ლანდათ ვერ გაქაქანდებოდა ამ არემარეზე. სამყოფი ქერი და კარტოფილი ვერც მაშინ მოყავდა მამა-შვილს, მაგრამ ზამთრობით პეტრუსი მოჯამაგირედ უდგებოდა სწედეციის და გაქირვებას უკეთესად ჰბანდნენ პირს. შეწყდა ოჯახში ვაჟის მძიმე ფეხისხმა, და მასაქეთ ბაბუა რუხლოს ძილე არ ეკიდება ნასადილევს. წინად ყოველდღე ძღებოდა, არაყსაც ხუხავდა ხოლომე. ლუმელზე ასვლას ვერ ასწრებდა, ფეხზე ეწეოდა თვლებმა.

ახლა რა ეშმაკი დააძინებს მულამ ნახევრად მშვიერს და მწყურვალს! მთელი ოჯახი ერთი ძროხის შემყურე გახდა. ცოტა რძეს ძუძუმწოვარას უტოვებენ, დანარჩენს კარტოფილში უცვლიან სწედეციის კარაქის-ნახდელ ქარხანას.

— ეს ტიალი, ზამთრობით მაინც ასტეხონ ომი, გლეხკაცი ყანას მოიწვეს, სარჩოს მოიმარაგებს... მერე უფრო გუნებშიერად იჩხუბებს, ოჯახის დარდი რომ არ ექნება! თორემ ასე რა გამოდის! ისინი იქ წყდებიან, ჩვენ აქ სიმშლით ვიხოცებით!.. სულ არ გვიწვევენ გლეხებს ანგარიშს!..

თავისთავს ესაუბრება ბაბუა რუხლო. ხანდახან შეჩერდება, კომბლის წვერით სილას გაქვქვავს: ეს ან ძველი ლურსმანია, ან გატეხილი ნალი. უყვარს ბაბუას ასეთი რამერუმეს მიტანა ოჯახში.

კალოდან დედაკაცის ქვითინი მოისმა.

რუხლო შეკრთა. მოტირალის ხმა ეცნაურა. მუხლი მოკვეთა ცუდი ამბავის მოლოდინმა.

გზისპირას ჩამოჯდა და ერთწამში დატანჯული პირისახე ხელისგულელებში ჩამალა.

შარაზე ხალებიანი ძროხა გამოიჩიქადა. მერე რძალი გამოჩნდა. თითქოს ქმარის კუბოს აცილებსო, ისეთი ჰგოდებით მოსდევს ძროხას.

მსუბუქად მომავალ ძროხის დანახვაზე ბერიკაცი ყველაფერს მიხვდა.

— გამოწველეს?

— მეორეჯერ ამ კვირაში, მეორეჯერ! — შიატირა ულაღიამ.

სლაბადას საძოვრები სოფელს ეკუთვნებოდა უხსოვარ დროდან. თავით ბაბუა რუხლოსაც არ ახსოვს რომ სლაბადაში პანის საქონელს ებაღახოს. მაგრამ წილს, რაღაც ჭალალებსი ძალით, რომელიც სოფელში არავის უნახავს, საძოვრები სწედეციმ დაისაკუთრა. გამწარებული გლეხები, ჩივილით რომ ვერაფერს აწყობდენ, ჩუმრუმათ უშვებდენ საქონელს წართმეულ საძოვრებში. პანის დაგეშილი ბიჭები ფხიზლად იყვნენ. იჭერდენ ძროხებს, მირეკავდენ ფერმაში და გამოწველიდენ.

— რაღა მეშველება ახლა! ძუძუც გამიშრა, ძროხაც გამომიწველეს, რა ვაქამო ბავშს! — ქვითინებს რძალი და ჯიქან-დაცილილ ძროხას მძულ-



ბაბუა არწევს, ენას უჩღევს, საწოვარს აჩეჩებს, მაგრამ ვაცხსხმა უფრო ახელებს ბიჭუკელას.

ბაბუა რუხლო უმწეოდ დაჰყურებს გაშმაგებულ შებლაშებლას მინც არ აღვიძებს ულადიას.

აკვანი გარედ გამოაქვს და კარებში ფისის მათრობელა სუნიჩ გაყლენთილი ქარი ეგებება, და ტბაზე ვერცხლისფერი ქანარების ხტომა და უჩინარი ლაქაშების ჩურჩული ისმის, და სულმოუთქმელად ციმციმებენ ვარსკვლავები, და ბაბუა რუხლოს თვალი ეწვის მათი ყურებით. აკერ ერთი მოწყდა, თავზე გადაეგლო ბაბუას და შეილიშვილს და საღლაც გადნა ლოდიენოს ტვერში.

და აწუხებს ბაბუა რუხლოს, რომ მარტოდ არის ამ ქვეყანაზე, თავისი უღონო წლებისა და მისი წლებივით უღონო შეილიშვილის ამარა.

## II ცხენი

პეტრუს რუხლო პირველად შარშან მოხვდა ბრძოლაში.

სროლა რომ გაჩაღდა, რუხლომ ხელი ამოსწია საფარიდან. ექპარებოდა შინ დაბრუნება. ახალგაზრდა ცოლი და მოუთავებელი სახლი დასტოვა სოფელში.

ერთი მოგლეჯილი თითი სამუდამოდ იხსნიდა მას ომის ქარცეცხლისაგან, მაგრამ ნანატრი ტყვია ზოგავდა გამწარებულ ჯარისკაცს.

ასე დარღში და ჯოჯოხეთში გავიდა პირველი წელიწადი.

რუხლო დასჭრეს მდინარე ბისტრიცასთან.

მარცხენა წვივის სირბილეში ყუმბარის ნატეხი მოხვდა.

ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა. იგი არ ანთავისუფლებდა ჯარისკაცს სამხედრო სამსახურისაგან, მაგრამ რუხლო მაინც კმაყოფილი იყო. უკვე ისმოდა ბევრთი ხმები — ომი თავდებოა.

როცა ლაზარეთში სანიტარული ქარავანი გამოჩნდებოდა, რუხლო პირველი მიჩანჩალებდა დაჭრილების შესახვედრად.

გამოძებნიდა მსუბუქად დაჭრილს, მიხედავდა, შაქარს და თუთუნს შესთავაზებდა, მერე მიუჯდებოდა სასთუმალთან და გულისფანქვალით გამოკითხავდა ომის ამბავს.

დაჭრილები ადასტურებდნენ ხმების სისწორეს და რუხლოც დარწმუნებული იყო, ომი ვათავდებოდა მისი ჭრილობის მორჩენამდე.

და აქაც უმუხთოლა ბედმა.

გუშინ დილით ლაზარეთში, ავადმყოფების შემოწმება ჩატარდა.

კერენსკის ბრძანებით, მოკეთებული დაჭრილები პოლკებში უნდა დაბრუნებულიყვნენ.

რუხლო მოკეთებულთა რიცხვში მოხვდა.

რუხლო გაფითრდა.

ერთადერთი მანძილი, რომელსაც იგი ახლა უყვარჯნოთ ძლევდა, ეს იყო მოკლე და კარგად გატყეპნილი ბილიკი ლაზარეთისა და მისი ძლიერი შორის.

ყოველდღე მუცელაშლილი ჯარისკაცი დღეში რამდენჯერმე მოივლიდა ამ ბილიკს, მაგრამ მისი აზრით, ეს მაინც არ იყო საკმარისი, რომ იგი სანგრებში დაბრუნებულყო.

— არა უშავს, პოზიციურ ომში, რომელსაც ახლა ჩვენი ჯარი აწარმოებს, ფეხი არ თამაშობს გადამწყვეტ როლს! — ანუგეშა რუხლო უფროსმა ექიმმა.

მერე მოვიდა ავდარი.

წიფნარის ქოჩორზე მძიმე ღრუბლები გამოჩნდნენ. ისინი დაბლა მოქროდნენ, ედებოდნენ აცახცახებულ კენწვროებს და ავებდად აბნელებდნენ ქვეყანას. მათი სიმძიმით შეწუხებული ბალახი სივილით ეკვროდა მიწას.

წამოდგა ქარი, მაგრამ უცნაურება მოხდა: გარშემო თითქოს ყველაფერი გარინდდა, უხმო გაბდა და მხოლოდ მიწა უშვებდა ჩამოცვენილი ფოთლების სუნს, და უცებ დასცხო ძლიერი თქეში.

მისი პირველი, მძიმე და ქარმაგი წვეთები მტვერს აფეთქებდნენ ლაზარეთის ეზოში, სკუტკნიდნენ და სძირავდნენ ტბაში გაფენილ ნინოფის ფოთლებს, და ეს გადარეული ქარწვიმა რახუნით აღებდა საკეტმოშლილ ფანჯრებს და ფანჯრების თახჩიდან ცვივოდნენ წამლიანი შუშები.

ეს წამლები მხოლოდ მადას უღვიძებდნენ ავადმყოფებს. კარგი მადარკისე ხელსაყრელი იყო მათთვის, ვინაიდან ლაზარეთში ყოველდღე ამცირებდნენ ულუფას, ავადმყოფები ხალისით ადევნებდნენ თვალს, როგორ გროვდებოდნენ ტახტის ქვეშ დაღვრილი წამლების ნაკადები.

წვიმაში დარჩენილი მრეცხავი ქალები ჭყვილით შემორბოდნენ ეზოში. წუშპეზე გადასვლისას, ისინი მალლა იკეცავდნენ კაბებს. ფანჯრებთან მიჯარებული დაქრილები სულგანაბული მისჩერებოდნენ ქალების თეთრსა და ღონიერ ბარკლებს, და როგორც აღლუმზე, თვითიული მათგანი საზეიმო დღემილით იყო შებყრობილი.

მერე მოქანცულებივით მოშორდნენ ფანჯრებს და ერთმანეთს კარგახანს არ ელაპარაკებოდნენ.

რუხლო მძიმედ სუნთქავდა, თვალში თითქოს ციებ-ციხელებით ქონდა შესხივებული. გამხდარი, დიდხნის უპარსავი პირსახე კიდევ უფრო გათხლებოდა.

— ხვალ მიწა გაშრება, ჩვენები სახანავად გავლენ — ყრუდ წარმოსთქვა და მოკლალა წვერი ხელისგულში მოსწურა.

— სადაური ხარ მეგობარო! — ჰკითხა ზორბა ტანის ჯარისკაცმა. იგი ისევ ფანჯარაზე იჯდა.

შარვლის მარჯვენა ტოტი ცარიელი ჭონდა საწვიმარი მილივით. რგი უკრაინელი იყო, გვარად დობრენკო.

— აქაური, პრუდოკიდან — მყისვე გამოიხმაურა რუხლომ <sup>მეცხველი</sup> ეს კოკისპირული თქეში, გაელენთილი მათი უპატრონო ყაზების სუნით, ლაპარაკის გუნებაზე აყენებდა ორივეს.

დობრენკო თხისფებს აწყობდა მახორკისათვის და თითქოს სიამოვნებდა, დიდხანს და აურქარებლად ამრგვალებდა ქალაღს.

— გუთანზე აღარ ვივარგებ აღბად, მარა ფარცხვას მაინც შევძლებ, — წყნარდ წარმოსთქვა დობრენკომ; მცირეხანს იყუჩა და აღელვებით დაუმატა:

— ძალიან მიყვარს ფარცხვა!

რუხლომ თვალი ჰკიდა ამხანაგის ჩაფეთქილ პირსახეს. დობრენკოს თვალებს შიგნიდან მოწოლილი ცრემლი აბრწყინებდა.

დობრენკოს თავისდღეში არ უფიქრია, რომ ფარცხვა უყვარდა. მოულოდნელად წამოცდა.

რუხლო მიხვდა რა აღელვებდა მას. მოფერებით უთხრა:

— ფარცხვაც საქმეა, ძამია!

მას ახლა თავისთავზე მეტად ეცოდებოდა ეს მკვიდრად ნაგები უკრაინელი, ოდესღაც ყოჩალი გუთნისდგედა, რომელსაც ახლა შარვლის ცარიელი ტოტი მიჰჭონდა თავის მოუხვნელ მინდვრებზე.

ისინი დიდხანს საუბრობდენ.

ჭარი ფანტაედა შემხმარ ფოთლებს.

როცა შებინდდა ჯარისკაცებმა საუბარი შესწყვიტეს. შებინდებისყამს დარდი უფრო მწვავე და აუტანელი ხდებოდა.

მოუსვენარი ღამე ჭონდა რუხლოს.

არ ასვენებდა ჭარი, აჭრიალებდა სოკის კედლებს, არახუნებდა სახურავზე ავარდნილ თუნუქს და დიდი ტყის სუნით ავსებდა ოთახს.

ასეთი ღამე სოფელს ახსენებდა რუხლოს და მისი დარდი მეზივით ფხიზელი ხდებოდა, და გარედ რომ სიცივე იყო და თავათ თბილად იწვა ლოგინში, — სოფელს ესეც ახსენებდა მას.

გადასწყვიტა ვაპარვა.

ლაზარეთში იყო ერთი ბეხრიკა ცხენი, სანიტარს ეძახდენ. იგი ისე იყო დავრდომილი, რომ შესაბმელად აღარ ვარგოდა.

სანიტარს კეზივით ხმელი გავა ჰჭონდა, რითაც ჩინებულად სარგებლობდენ ცხენზე ჯდომის მოყვარული ბიჭები. ისინი ადვილად იკიდებდენ ხელს გაქვალტყავებულ გავაზე და მარდათ ცოცდებოდენ ზევით. უწყინარი სანიტარი ისეთივე ხელმისაწვდომი გასართობი იყო მათთვის, როგორც დიდი ძაღლი.

უპატრონოდ მიგდებულ სანიტარს აღარც ჭატოს აძლედენ და არც თავლაში აყენებდენ ღამღამობათ.



მისი წაყვანა ადვილი იყო.

სოფლებში და შარაგზებზე საველე რაზმები დაძრწოდნენ ისინი ანგარიშის კაცები იყვნენ.

დეზერტირები შტაბში არ მიყავდათ. შტაბში სიმშვილდენ, ჯარისკაცებს ქვიტკირივით მაგარი წეწონით კვებავდნენ.

სოფლებში კი ჯერაც იღვა ცხელი რძისა და ახლად გამომცხვარი პურის მსუყე სუნი, და რომ სოფლებთან ახლო ყოფილიყვნენ, ისინი იქვე ზერეტდნენ დეზერტირებს, სადაც მიუსწრებდნენ.

რუხლო უმოწყალოდ წკებლავდა სანიტარს. უნდოდა გათენებადვე გამოიბოდა აქაურობას, გასულიყო მეფის მუხასთან, სადაც იგი ფისადნობდა ოდესღაც და ყოველ ბილიკს ზედმიწევნით იცნობდა.

იქამდე მიმიყვანოს, მერე თუნდაც ჩაძაღღდესო, ფიქრობდა რუხლო და ყურს უგდებდა გარშემო მკიდროდ შემორტყმულ სიჩუმეს.

ნაწეიმარ შარაგზას შემოდგომის ცივი მთვარე დაქათქათებდა. დაგლეჯილი ღრუბლები ზანტად მისცურავდნენ ლაზარეთისკენ. ისინი ჰგავდნენ სხვადასხვა ცხოველის თავებს, დიდწვერა მოხუცებს, ძველისძველ ნანგრევებს.

სანიტარი გუნებიერად შიჩიჭიქებდა ერთხანს. ცარიელ ფერდებს ბუბუყი გაქონდა.

მერე თანდათან აქოშინდა და როცა შორეულმა მამლებმა პირველად იყიველეს, სანიტარი უკვე ოჩნობდა, მალმალე დგებოდა და რუხლო ქვასავით უბაგუნებდა მუცელზე ჯანსაღ ფეხს, და ცხენი თითქოს ყველა ფეხზე კოქლობსო, უღონო სიმძიმით ადგამდა თვითეულ ნაბიჯს.

ნესტიანი სიგრილე გამოვარდა ტყიდან. რიქრაყი ახლო იყო.

რუხლომ ჭამარი შემოიხსნა.

პირველსავე დარტყმაზე სანიტარი ვაჭენდებოდა, მერე იწყებდა დანჯღრეულ ძუნძულს და მერე ისევ ნაბიჯით მიჩანჩალებდა. დავილუპები რომ შარაზე დამათენდესო, შეშინდა რუხლო. გადაწვეიტა ტყეცყე ევლო მეფის მუხამდე.

სანიტარი შეშინებული იყურებოდა წიფნარის სიბნელეში და წინა ფეხებს მთელი თავისი უძლურებით აბჯენდა ტყისპირს: არასგზით არ უნდოდა ტყეში შესვლა, და ჩამოქვეითებულმა მხედარმა ისე შეათრია ცხენი წიფნარში, როგორც ბავშვი მიათრევს ბაწრით გაჯიუტებულ ძაღლს.

შირფოთლოვან ტყეში მთვარის შუქი ვერ ატანდა. ბნელოდა როგორც კურში და მხოლოდ ხანდახან ირმის ნახტომი გამოკრთებოდა კენწერობებს შორის და მხედარი მისი მიხედვით იკვლევდა მიმართულებას.

ტყე სდუმდა, ისმოდა მხოლოდ ცხენის მძიმე ფრუტუნე და კიდევ ისმოდა, როგორ წყდებოდა მძიმე წვეთები ნაწეიმარ ფოთლებს.

წიფნარი შეთხელდა. მხედარი ტყისპირას გამოვიდა და აქ იმდენი სიტბო და სინათლე დახვდა რუხლოს, რომ უამველად ვერცხნის ვაჩი-  
ნებული უნდა ყოფილიყო.

სინათლის სხივები

მსუბუქი ნისლი იდგა, დარის მომასწავებელი.

იწყებოდა ნოყო ტორფით გაძევილი მინდორი.

ცხენი ეფლობოდა ჭანჭრობში და როგორც ხაფანგში გაბმულს, ისე უტირდა ფეხის ამოღება, და მაშინ რუხლო ორად მოკეცულ ქამარს მკლავის მოწყვეტამდე უტყალაშუნებდა გასავათებულ ცხოველს.

ასე იჩანჩალეს ერთხანს. მერე ანაზღაოთ ცხენი მუხლებზე დაეარდა და თითქოს მეტანიას აკეთებდნო, ასე გარინდდა ამ უკაცურ მინდორზე და რუხლომ იგრძნო, როგორი საშინელი უძლურება აძიგძიგებდა სანიტარს გადასწყვიტა, ფეხით ევლო მცირეხანს.

ჩამოქვეითდა.

სქელი და ცუდსუნნიანი ოშხივარი ასდიოდა სანიტარს, რუხლომ ახლა შენიშნა, რომ ცხენი იათაღს იკრავდა, წინა კოჭებზე სისხლი სდიოდა.

შებრალების მაგივრად, რუხლო გახელდა სისხლის დანახვაზე. იგი ერთბაშად უდიდესი მძულვარებით განიმსკველა ცხენისადმი და აგურივით მძიმე ხელისგული გამეტებით შემოაკრა ჩამოგდებულ ჩიჩვირზე. მერე მოშვებული ტოლადები გაისწორა და კოჭლობით გაუძღვა ცხენს.

აღვირით ექაჩებოდა ზანტად მომავალ სანიტარს, ექაჩებოდა ისე ლონიერად, რომ ძალაუნებურად დაკრილ ფეხსაც მაგრა ადგამდა მიწაზე. და რუხლო კენესოდა ყოველ ნაბიჯზე, და პირსახეზე თანდათან ემატებოდა ნაოჭები.

შტერის გარდა, არაფერი ხარობდა გარშემო.

მხოლოდ ერთი ნამეხარი ნეკერჩხალი მოსჩანდა ნისლისწინ და ასეთი ნამეხარი ნეკერჩხალი რუხლოსაც ედგა თავის ეზოში და ძალიან გავდა წისქვილის ღარს.

გახმა, ტოტები ჩამოემტვრა და პატრონი მაინც ვერ იმეტებდა მოსაკრელად უსარგებლო ხეს: ნეკერჩხალზე ბუდე ქონდა ყანჩას და რუხლოს ძალიან უხაროდა რომ ასეთი დიდი ფრინველი მისი ეზოს ბინადარი იყო. რუხლომ მძვინვარედ გახედა ცხენს.

— რაღა მე ვიწვალო. ბარემ შენ გაგძვრეს სული — იყვირა და შოლტი მოტეხა, ხელში მოსინჯა, უვარგისად ეჩვენა.

მეორე მონახა, უფრო მსხვილი და საიმედო, მერე მუქარით აფორთხდა ცხენზე და შოლტი რომ შემართა, უეცრად მეფის მუხა გამოცურდა შეთხელებულ ნისლიდან, უშველებელი მუხა, მძიმე ჯაჭვებით შემოლობილი.

რუხლო უკვე სამშვიდობოს იყო.

— შენ ახლა ჩემი ხარ, სანიტარო! — მხურვალედ წასჩურჩულა დარტყმის შოლოდინში ათრთოლებულ ცხენს, და ეს იყო პირველად მთელი



ღამის განმავლობაში, რომ იგი სახელს უძახოდა სანიტარს.

შოლტი გადაადგო, ჩამოხტა და ისე გულმოდგინედ აფუქავდა ცხენის გარშემო, თითქოს ყანაში წასასვლელად ემზადებოდა.

ჩანთა გახსნა, ძველი ხალათი ორად გაგლიჯა და კოჭები გაუკრა სანიტარს, აჭაფებულ პირიდან ლავამი გამოაძრო და იქვე გადაწვეტა სოფელში მისვლისას სახელი გამოეცვალა მისთვის.

სოფლამდე შორს იყო კიდეც და რუხლოს პირსახე ეღრციებოდა, ისე ტეხდა ჭრილობა, და მაინც არ ჯდებოდა ცხენზე, ვინაიდან ცხენი-მისი იყო ახლა.

იგი ზანდაზან აჩერებდა სანიტარს და ხელს უთათუნებდა ცემისაგან კანაბურცებულ გავაზე, და რუხლოს ხელი უნაზესი ზდებოდა მამინ, და შერე ისინი ისეც მიდიოდენ, — ორივე კოჭლი და ორივე საჭირო ბაბუა რუხლოს მოუხვენელ მინდვრებისათვის.



ბარას შეხვედრა

## კ ა ზ ე რ ი ნ ა

(ვ. ა. ენუკესის, 1838 წლის 22 აპრილის  
შოსავონარად).

!

შავწარბანო ემიჯნურეთ  
მაგრამ არა სამხედროებს.  
სამხედრო ხომ სხვა რჯულია,  
დაგტანჯავს და მიგატოვებს.  
ხუმრობით და ეშხით დაგწვავს,  
ხუმრობითვე გაგშორდება.  
ჰოსკოვისკენ ვაეი გასწევს  
და გოგონა შინ დადნება.  
მარტო გოგო არაფერი,  
მაგრამ დედა მშობელია;  
დედაც სევდით იფერფლება  
ვანმკითხავი რომელია?  
სიამეში გული ჭკნება  
თუ მიზეზი იცის მწვავე!  
უცხო ხალხს რა ენალღება —  
მხოლოდ გოგოს ვალანძლავენ.  
შავწარბანო ემიჯნურეთ,  
მაგრამ არა სამხედროებს  
სამხედრო ხომ სხვა რჯულია  
იხუმრებს და მიგატოვებს.

კატერინა არ გრძნობს არა,  
დედისა და მამის გლოვას,  
ჯარისკაცი შეიყვარა



დაუჯერა გულის ღრმულას.  
 შეიყვარა ახალგაზრდა  
 დადიოდენ ბალში ტყუპად.  
 ქალობა და ქალის ბედი  
 იმ ბალებში დაიღუპა.  
 დაუძახებს დედა ვახშმათ  
 და ასული აღარ ჩქარობს.  
 ღამის თევით თვალი დაშრა  
 სადაც ვაჟი ლაზღანდარობს.  
 ღამეებში უკოცნიდა  
 შეყვარებულს ფართო თვალებს.  
 სახელი ხომ გაუტყდა და  
 სოფლად ქორი დაწრიალებს.  
 რაც უნდა სთქვას ბოროტ ხალხმა  
 იქორაონ, არ უყურებს.  
 უყვარს ვაჟი და ვერ ხედავს  
 დარდი როგორ ისადგურებს.  
 მაგრამ მალე ცნობა ცუდი  
 საყვირებმა ამცნეს ხმიერს.—  
 სათათრეთში სატრფო მიდის  
 გოგოს თავი შეუხვიეს.  
 მაგრამ გოგო აღარ დარდობს  
 თმის შეკვეცა რა ძნელია  
 ვაჟზე ტანჯვას ტრფობა აღნობს  
 სიყვარული დამცველია.  
 ხომ დაპირდა შევთვალწარბა,  
 თუ არ პოვა საფლავს ბინა,  
 ჩამოვა და მაშინ აღბათ,  
 გაიხარებს კატერინა.  
 მოეხვევა ქმარს და მშველელს,  
 მხოლოდ დარდი გადიტანოს;  
 ეხლა თუ სურთ ბოროტ ენებს  
 იგინონ და იტარტალონ.  
 აღარ დარდობს კატერინა  
 და თვალები ცრემლებს გმობენ,  
 თვითონ შინ ზის, გოგონები  
 შარა ვხაზე სეირნობენ.  
 აღარ დარდობს კატერინა



ქართული  
ხელმოწერის

მაინც დაპკრავს თვალზე ბინდი  
და წყაროზე უთენია  
ხელში კასრით მარტო შიღის;  
არ სურს მტრებმა დაინახონ —  
მტრებმა მტრობა თუ იციან  
ჩამოდგება წყაროს ახლო  
და იმღერებს კვლავ „გრიციას“  
ის მღერის და მისი ცოდვა,  
•ატირებს ველზე ძახველს  
შინ ბრუნდება შეუმჩნევი —  
უხარია, რომ ვერ ნახეს,  
•ღარ დარდობს კატერინა  
•რაფერი ამის მსგავსი  
სულ სარკმელთან დაბჯენილა  
ლოდინით და ტრფობით საესე,  
ლოდინშია კატერინა  
ნახევარი წელი გადის.  
გულთან ტანი ატკივდება  
და ტკივილი მოკლავს წადილს.  
აეადა კატერინა,  
მწოლიარე მძიმეთ ხენეშის.  
•დგება და ლუმელს უკან  
•კვანს არწევს წყეულ დღეში.  
დედამისს — კი დასცილიან  
მაჩხიბები ენამჭრელი:  
...დაბრუნდება ჯარისკაცი  
შეიქნება განუყრელი.  
შენი ვოგო შავწარბება  
მარტო არ ზის სახლის ღრუში  
ლუმელს უკან, ვიცი, უწევს  
•კენიანი ნორჩი ბუში.

ჯარის კაცი ხომ ითმინე  
შვილთან თვითონ დააწვინე“.

•ქვენც გეწვიონ მეპორენო,  
უბედოსთვის რაც გეწადათ,  
რაც ეწვია ტანჯულ დედას  
ვისაც ბიჭი დაებადა.



კატერინა, ჩემო შვილო,  
 სევდა მოგკლავს ამისთანა,  
 როგორ ვინდა რომ იცხოვრო,  
 შენ საცოდავ ობოლთანა.  
 ქვეყანაზე ვინ შეგხარის?  
 გაიღერსებს საცოდავო;  
 დედა, მამა უცხო არის  
 დაღუპულო ჩემო თავო.

გამომრთელდა კატერინა,  
 სარკმელთან ზის, აღარა წევს.  
 გადასცქერის შარას დიდხანს,  
 მოლოდინში აკვანს არწევს.  
 ვასცქერის და არ სჩანს, არა  
 გ'ხაზე მხოლოდ შტვერი დგება  
 ბაღში უნდა ცრემლის დაღვრა  
 მაგრამ ხალხის ერიდება.  
 მზე ჩავიდა, კატერინაც  
 ბალისაკენ მიდის მალე  
 ბავშვიც მიყავს, არ ატირებს  
 და ბაღს თვალებს გადააელებს.  
 აქ ველოდი ჩემ შეჩვეულს  
 აქ ვიჯექით ბნელში წყვილად  
 აი აქა, შვილო ჩემო....  
 და ხმა ბოღმამ ჩაუწყვიტა

ბაღი მწვანით შემოსილა  
 აღუბალი არ გრძნობს ლოდინს  
 როგორც წინეთ გამოსულა —  
 კატერინაც ისე მოდის.  
 მოდის, მაგრამ აღარ მღერის  
 როგორც წინეთ იმღეროდა  
 როს ჯარისკაცს ბედნიერი,  
 ზალსა შიგან მოელოდა.  
 შეგწარბიანს რა ამღერებს,  
 წვევლის გულს და თავის სვე-ბედს  
 შეჭორენი ფართო ენებს,  
 ლესავენ და ტარტალებენ



შაჩხიბები ჭორს ჭყელავენ, —  
 ვინ მოთოკავს ბოროტ ენებს,  
 ჩამოვიდეს შავთვალწარბა,  
 ჭორს მოსპობს და გაამხნევეს...  
 შისკენ დიდი მანძილია  
 და არ ესმის ჭორი შინა,  
 მტრები როგორ დასცილიან  
 როგორ ტირის კატერინა

ეგებ მოჰკლეს ჯარისკაცი  
 დუნაიის ნაპირთან.  
 ან მოსკოვში სხვა მონახა  
 ტრფობაც მასთან ჩაიტანა.  
 არა სატრფო არ მოუკლავთ  
 ჯანმრთელია, სცხოვრობს ღიათ.  
 სად მონახავს ამგვარ თვალებს  
 როგორც ჭონდა შავწარბიანს.  
 ქვეყანაზე, მოსკოვშიაც  
 ან ლურჯი ზღვის სივრცის ვაღმა  
 კატერინას ვინ სჯობია,  
 თუმც შებურა სევდის თალხმა.  
 წარბები და თაფლის მსგავსი  
 თვალი მისცა სახემ დედის.  
 არ გამოყვა მხოლოდ ორი  
 იღბალი და ქალის ბედი.  
 უბედოთ კი თეთრი სახე  
 ყვავილსა ჰგავს ველში, ფერადს,  
 ამრობს მზე და ჭარი არხევს  
 და ყოველი კაცი თელავს,  
 მოირწყებენ თეთრ სახისავე,  
 უწმინდესი ცრემლის ღვრითა  
 შინ დაბრუნდენ სამხედრონი  
 სხვა ქვეყნით და სულ სხვა გზითა.

## II

მაგიდასთან მამა დაჯდა  
 ხელს ეყრდნობა, ძალას იკრებს,  
 არ შეყურებს ქვეყნის გარჯას,  
 მიეცემა მტანჯველ ფიქრებს.



და მოხუცი დედაც დნება,  
 მამას უზის დასალონად.  
 ის ქალიშვილს ეუბნება  
 ჩურჩულით და გასაგონათ:  
 „მეც ქორწილს ვერ შევესწარი  
 არსად არ გყავს ნახევარი,  
 ფატას მცვლელი არსად არი,  
 და მაყრები ჩვენი გვარი.  
 მოსკოვშია, ჩემო გოგო,  
 მოსძებნევი სასურველი.  
 დედაშენზე ჩემო გოგო  
 არსად არ სთქვა არაფერი.  
 დაიწყებლოს ის წუთები  
 როცა ქვეყნად დამებადე .  
 დაგახრჩობდი, რომ მცოდნოდა  
 დილის სხივის ამოსვლამდე.  
 მე მერჩია, ქვეწარმავალთ  
 შენ ყოლოდი სანეტაროთ.  
 ჩემო გოგო საყვარელო  
 ღლეს ყვავილო: ჩამომქნარო.  
 ხან ბუჩქივით, ხან ბარტყივით  
 გკვებავდი და გზრდიდი წინეთ.  
 თურმე რისთვის, ნულარ იტყვი,  
 ეს რა საქმე ჩაიდინე?  
 წადი მოსკოვს ძებნე ბედი  
 დედამთილის ნახე ღონე,  
 თუ შენ დედას არ უსმენდი  
 ახალ დედას გაუგონე  
 მოსძებნევი ჩემო ღვიძლო  
 მოიპოვე შენი ბუდე.  
 იქ იცხოვრე ბედნიერათ  
 ჩვენთან აღარ შემობრუნდე.  
 არ დაბრუნდე უცხო მხრიდან  
 ღმერთს მიეცი ამის ფიცი .  
 ვინ დამმარბავს მე უშენოთ,  
 არ მესმის და აღარ ვიცი.  
 მე შეილივით ვინ მიტირებს  
 ვინ გამოთლის ფიცრის კუბოს.  
 ვინ დამირგავს თეთრ გვირილებს...



მარტოდ უნდა დავიღუპო...  
 ცოდვილ სულსაც ვინ შეინდობს  
 მომჩივნებს ლოცვის წინა.  
 ნეტავ ახლა, ჩემო შეილო,  
 ცივ საფლავში ჩამაწვინა.  
 წადი ჩქარა, — დედის ხეყუნა  
 გაიგონე, გელის შვება  
 ღმერთი იყოს შენი შემწე“ —  
 იტყვისა და დაეცემა.

მამაც ამბობს: „საკოდავო,  
 რათ აყოვნებ, წადი მხეცად“.  
 აქვითინდა კატერინა  
 დე მამის წინ ჩაიკეცა:  
 „მაპატიე მამაჩემო,  
 ჩემი ცოდვა, გულის დარო,  
 მაპატიე საყვარელო,  
 ჩემო ქორო, ფრთა-მომტყდარო.  
 „თვითონ ღმერთმა გაპატიოს  
 და კეთილმა ხალხის მოდგმამ,  
 ილოცე და წადი ღმერთით  
 ვეგებ შეწყდეს ჩემი მოთქმა“.

წყნარად აღდა, თავს დაბლა ხრის.  
 გარეთ მიდის ნელა-ნელა  
 უა მშობლები მრავალი ხნის.  
 დააობლა, დაანელა.  
 ბალში კენესით გაიარა,  
 შეევედრა უფალს მარტო.  
 ხის ძირს მიწას ეზიარა,  
 აილო და ხატში ჩადო.  
 სიტქვა: არ მოვალ, სხვაგან ვივლი  
 უცხო მხარეს, წავალ ბარემ.  
 უცხო მხარეს, უცხო ვინმე  
 მიწას დარღით მიმბარებს.  
 ერთი პეშვი ჩემი მიწის.  
 გულზე, ზევით დამაწვება.  
 ჩემი ბედი ამან იცის  
 და უცხო ხალხს მოუყვება.



მაგრამ, არ სთქვა მეგობარო  
 ვგებ ცუდათ მომიგონონ  
 ცოდვილი და უწყინარო  
 არ გამლანძღონ მაინც ბოლოს.  
 შენ არ იტყვი, ის ხომ იტყვის  
 ვინც მე დედას დამიძახებს?  
 ღმერთო ჩემო, გამომიტყდი  
 ვინ დაფარავს ამ ჩემს სახელს.  
 შეუმჩნევი რომ გავიხდე  
 მოვექცევი წყალის ქვეშე.  
 შენ ჩემ ცოდვას შეისყიდი,  
 ობლობით და ხალხში ხვწნეშით.

მიდის, სოფელს ზანზორდება  
 ტირის, ტირის კატერინა,  
 ხელში ბავშვი უჭირავს და  
 თავში დარდი ჩაფენილა.  
 მინდორზეა — გული დარღობს  
 მოიწმინდა ცრემლი წმინდა,  
 გაიჭნია თავი მარტო,  
 უფრო ძლიერ აქვითინდა.  
 ალვის მსგავსი დადგა მინდვრად:  
 გზა, მინდორი წაიგლოვა,  
 და ცვარებად ჩამოიმტვრა,  
 თვალებიდან ცრემლის გროვა.  
 ცრემლის მიღმა მზე ნაკვეთი  
 უთამაშებს თვალის მინებს,  
 მიდის, თვის ბავშვს უაღერსებს,  
 კოცნისა და მიჰქვითინებს.  
 ბიჭუნია ანგელოსი,  
 ოჰ რა ესმით ძუძუს ბავშვებს.  
 პაწა ხელით დედის პერანგს  
 ეხვევა და შესთამაშებს.  
 მზე ჩადის და მუხნარს ციდან  
 დაისი ხომ სხივს გადასცემს.  
 მან ცრემლები მოიწმინდა  
 მიდისა და მიბარბაცებს.  
 სოფლის შიგან ძლიერ ბევრი,  
 იჭორავს და ივინებს;

დედ-მამამ — კი ხალხის მსჯელო,  
უკვე ვეღარ მოისმინეს.



ამაქვეყნად ასე ბჭობენ  
კაცს უყვარსო მოძმე თვისი,  
ზოგსა კლავენ, ზოგს ახრჩობენ  
და ზოგს მოსპობს შური სხვისი.  
შერე რისთვის? ღმერთმა იცის....  
ეს ქვეყანა ფართო არის.  
მხოლოდ ეულს არ ერგება,  
ქვეყნად თავის შესაფარი!  
ზოგს უსაზღვროთ წყალობს ბედი.  
სიმდიდრეს და განძებს უკრებს.  
ზოგს გასწირავს იღბლს მტრედს,  
და საფლავით ასაჩუქრებს.  
სად არიან მოკეთენი,  
ვისთან გვინდა ყოფნა სრულად —  
ცხოვრებაც და ტრფობაც მთელი?  
წასულან და დაკარგულან...

ბედი არის ქვეყნად —  
მას ვინ იცნობს ჩვენში?  
არის ქვეყნად შვება —  
ვის უჭირავს ხელში?  
არის ხალხი ქვეყნად —  
რომ ოქროში ბრწყინავს  
ბატონობენ თითქო.  
მაგრამ ბედი ყინავს.  
მათ არა აქვთ ბედი!  
აქვთ სამოსი ფუჭი,  
ტანჯვაც დააქვთ მეტი  
და ტირილიც უჭირთ.  
თქვენ აიღეთ ოქრო,  
და მდიდარი გახდით.  
ვე — კი ცრემლი მომაქვს  
ცრემლებს ბლომად დავლვარ.  
ტანჯვას მოსპობს მალე,  
წერილი ცრემლის ღვარი,  
გადავთელოთ ბარემ

დამონებულთ გვაოი.  
 მზიარული მაშინ,  
 და მდიდარი ძლიერ,  
 მე გავივლი ბარში,  
 რადგან პოროცს ვძლიე.



## III

კოტი კივის. სძინავს მუხნარს;  
 ვარსკვლავები ცაზე კრთიან;  
 შარას, ახლო, ვრცელ უღრანში,  
 თრიზინები თეთრათ ხტიან.  
 კეთილ სულებს დაეძინათ,  
 და ვილაცა თითქო ხენეშის:  
 ხალხის ბედი. უბედობა —  
 ჩაფლულია სიბნელეში.  
 როგორც დედა, ეს ბნელეთი,  
 მოხვევია მთელ სამყაროს.  
 კატერინა სად ხარ მეთქი,  
 ქობში ხარ თუ სამუხნაროს?  
 ეგებ მინდვრად, ზვინის უკან,  
 ბავშვს ართობ და ისჯრი თვალებს?  
 ან მუხნარში ზიხარ უქმად  
 და მგლის შიში გაკანკალებს?  
 შეაწარბაო ღმერთმა არსად,  
 არ შემყაროს თქვენთან ბარში.  
 თქვენთან ყოფნა ასეთ ფასად  
 თუ დამიჯდა ცხოვრებაში!  
 შემდეგ ჩვენში რაც მოხდება  
 შეიქნება ტანჯვის მგვრელი:  
 დაგიხედება ქვიშა მშრალი,  
 ხალხის გული უღმობელი.  
 და ზამთარი ცრემლის მგვრელი.


მაგრამ იგი თუ შეხედება,  
 კატერინას ის თუ იცნობს?  
 შვილს ნახავს, და გაკვირდება  
 დარდი იქვე დაიმიწოს.  
 მასთან ყოფნით კატერინა,  
 დაივიწყებს დარდს და ქვიშებს:

მომშესავით შემოხვდება,  
დედობრივად დაამშვიდებს.



დავატყერდეთ, მოვისმინოთ  
შევისვენოთ ცოტა კიდევ.  
მე გაჩვენებთ მოსკოვსა და,  
შარას მისკენ განაკიდებს!  
მეც გრძელ შარას, ჩემო ძმანო  
და მამებო, ვიცნობ ვგონებ;  
გულიც უინვით მიცივდება,  
როცა შორ გზას მოვიგონებ.  
მეც გრძელი გზა მითელია,  
რადგან მძულდა გზა ამხელა  
მოგიყვებით მაგრამ ვიცი,  
„იცრუაო“ იტყვის ყველა.  
მე სიშართლე არ მახარებს  
(ვისთვის ვხარჯო ენა მკრელი)  
შევაწუხო სმენა ხალხის,  
სევდაც ვზარდო უკურნელი...  
მართალი ხართ, არ ვსურთ იქნებ,  
რომ მოგბერონ ტანჯვის სიო,  
და ცრემლებით თქვენ წინაშე  
მოგითხროთ და დავილიო?  
მაშ რად გინდათ? ყოველ თქვენგანს  
აქვს თავისი გასაჭირი.  
შინ დაჯექით, კეცს გაპკარით,  
და მოსწიეთ კვამლის ჩხირი.  
დე წაილოს დარდი ქარმა,  
საოცნებოთ გავშლი თვალებს.  
სად არს ჩემი კატერიინა  
ეხლა ვისთან ხეტიალებს?

დნებრის ვალმა, კიევისკენ,  
ხშირ მუხნარში სიბნელეა.  
ჩალვადრები მოდიან და,  
ზარნაშოზე ლექს მღერაინ.  
პირისპირ კი ქალი მოდის,  
ცრემლიანი ახალგაზრდა,  
მაინც იგი რატომ ტირის,  
რა აწუხებს მუხნარს გარდა.



მხარზე ჩანთა გადუგდია!  
 ტანი უჩანს ჩამონახვეს,  
 მკერდს მიკრული ბავშვი მოჰყავს  
 ათამაშებს ხელში სახრეს,  
 ბავშვი ჩვარში ვადამალა  
 და შესწყვიტა წუთით გლოვა:  
 — მოკეთენო, მოსკოვის გზა  
 მასწავლეთო, — მოითხოვა. —  
 — მოსკოვისკენ, ეს გზა არის —  
 სად მიდიხარ? შეეკითხენ  
 — მოსკოვს მივალ, დამეხმარეთ  
 უბურობას ველარ ვითმენ.  
 ფულს აძლევენ ის ცახცახებს,  
 მათხოვრობა რცხვენის მეტად.  
 ბავშვს რა უყოს განაწამებს  
 საცოდავად კენესის დედა.  
 და ბროვარში ბავშვს უყიდა,  
 უხალთუნით ნამცხვარები  
 კვლავ კალათი მოიკიდა,  
 ფეხი დასძრა ვაწვალებით.  
 მიდიოდა, მანძილს კლავდა  
 გზათ ხედებოდა კიდევ სხვებსა  
 ხის ძირას და ლობის ახლო,  
 ათენებდენ ღამეებსა.  
 თაფლისფერის თვალის გამო განსაცდელი ბევრი,  
 უცხო ლობის გვერდით ჯდომა, და თვალებზე ცრემლი  
 შა, შეხედეთ ვოგოებო და დაფიქრდით ჩქარა,  
 ჯარისკაცს არ მიეკაროთ, არ მოხიბლოთ შრა,  
 რომ თქვენც ქვეყნად არ დაგვირდეთ, ხეტიალი ასე,  
 პასუხს ვერსად ვერ მიიღებთ, რათ გლანძღავენ გზაზე,  
 რატომ სახლში არ გიშვებენ და გდენიან განზე.

მე რას მკითხავთ, თვითონ ხალხმა  
 კარგათ იცის თუ რა ხდება:  
 ვისაც ღმერთი მაგრათ დასჯის,  
 ხალხიც რისხვით დაატყდება.  
 იღუნება იქით ხალხი,  
 სადაც ქარი დაჰკრავს ბოლოს,  
 ობოლს მზე ხომ სითბოს ახლის, —



მაგრამ მაინც სცივა ობოლს.  
 ხალხი მზესაც დაფარავდა  
 რომ მიგეცათ ტანში ძალა;  
 ოღონდ ობოლს ნუ გაათბობთ,  
 ხალხი შურით დაიღალა.  
 ოი, ღმერთო საყვარელო  
 ხალხს რა უნდა იმასთანა.  
 ობოლმა რა დააშავა?  
 მხოლოდ ცრემლი გადიტანა.  
 არ იტირო კატერინა,  
 დე, ხალხმა ნუ მოვისმინოს.  
 სიმაგრე და მოთმინება,  
 სიკვდილამდის შეგვიძინოს.  
 რომ შენ სახე არ დაგიქკენეს  
 გამაგრდი და ნულა სტირი;  
 დილით ადრე დიდ ფიჭვებთან  
 დაიბანე ცრემლით პირი.  
 იქ იტირე, ვერ განახვენ  
 და ვერაფერ ვერც დაგცინებს.  
 გულიც მაშინ შეისვენებს,  
 როცა თვალი იქვითინებს.

ასეთია გოგონებო კატერინას ბედი:  
 ჯარისკაცი ეღლაბუცა, მიატოვა სანდო.  
 ო, ვინ არის დამნაშავე, ჯარისკაცის მეტი,  
 მაგრამ ხალხი უწყალოა და ქალს ლანძლავს მარტო.  
 ხალხი ამბობს: ჯანდაბასო დაიღუპოს ქალი  
 არ იცოდა თავის მოვლა და შენახვა თვალის. —  
 თქვენც გაფრთხილებთ გოგონებო, თქვენ გადამწყვეტ წელსა  
 მომავალში არ გასდიოთ ჯარისკაცის მზესა.  
 აად მიბობლავ კატერინა?  
 ღამეა და ღობეც არის.  
 გაიღვიძებს გამთენია,  
 მოსკოვისკენ მიიჩქარის.  
 ხედავ უკვე ზამთარია,  
 ველზე გასტვენს ბუჭი ბნელი,  
 კატერინა გამხდარია  
 დაფლეთია ტანსაცმელი.



კოკლობსა და ჭერ გრძნობს ზიანს,  
 ხედავს შორით უცხო ლანდებს.  
 ეგებ სამხედროებია  
 მიჰქრისა და სულს მიაგდებს.  
 გაიქცევა შესახვედრათ,  
 ეუბნება: აქ ეგების  
 ივანეა, მყოფი თქვენთან,  
 მამცნეთ როგორ გაიგების.  
 არ ვიცნობთო — უპასუხეს,  
 ხუმრობდენ და შლიდენ ხელებს.  
 „აი გოგოვ, ჩვენი ძმები  
 ეშხით ვის არ შეაქედნენ“.  
 გადახედა კატერინამ  
 აი ესეც ხალხი ჩვენი...  
 ნულარ სტირი ჩემო შვილო,  
 ლხდა მოხდეს მოსახდენი.  
 ისე ვივლი, როგორც ამას  
 მეუბნება შვილის ბედი,  
 შვილს გადაეცემ თავის მამას,  
 და რა მინდა ამის მეტი.

ქარიშხალი კენესის, კივის  
 თივლის ქულებს ატრიალებს.  
 მინდორზე მდგომ კატერინას,  
 ცრემლის ღვარი მოჩხრიალებს.  
 დაიღალა ბუქიც თითქო,  
 მისი სტვენა აწ წელია;  
 იტირებდა ქალი კიდევ,  
 მაგრამ ცრემლი დაელია.  
 ბავშვს დახედა ათქვირებულს;  
 განბანილა ცრემლის ღვარში  
 ყვავილსა გავს გაწითლებულს,  
 მოკიაფეს დილის ცვარში.  
 გაელიმა კატერინას,  
 გაელიმა ძლიერ მწარეთ,  
 დარდი გველათ გაჩენილი  
 შემოერთყა გულზე გარეთ.  
 ვადააულო მინდორს თვალი,  
 ტყეს ედება შავი ლაქა,



შარას პირას, ტყესთან ახლო  
 თითქო სახლი დაინახა.  
 აწ ბნელდება. იქ მივიდეთ,  
 ჩვენ იმ ქოხში ცრემლი ვღვაროთ.  
 და თუ შიგნით არ შეგვიშვებს,  
 მაშინ ბუჩქებს შევეფაროთ.  
 ქოხში ღამე გავითიოთ,  
 ქოხში დავძლევთ შვილო ბნელეთს  
 მე როდესაც არ ვიქნები,  
 ღამეს შენ სად გაათენებ.  
 შენ ძაღლებთან მიდი შვილო,  
 კაცებს აღარ მიეკარო,  
 სჯობს ძაღლიდან დაიკბინო,  
 ვიდრე ღანძლეა შოისმინო.  
 ძაღლები ვერ დაგკინებენ,  
 არ იტყვიან — „საცოდავო“,  
 შენ ობოლო ნაღვლიანო. —  
 შენ წყეულო ჩემო თავო. —

თვით ძაღლები უპატრონო მონახავენ ბინებს  
 და ობლებიც გამოსძებნის აღერსიან ვინმეს.  
 გალახვენ და გალანძლავენ, აწვალებენ მეტად  
 შავრამ ობოლს არ კითხავენ თუ ვინ ჰყავდა დედა.  
 შავრამ ვანოს ვინაობას ვაიგებენ ახლა  
 სანამ იგი პატარაა და მშობელი ახლავს.  
 გამოყვება შარა გზაზე. მას ძუქნების ყეფა,  
 ვაიფლებს ღობის ძირას სულ შიშველი კეფა,  
 ხუჭუქი თმები აქვს და შავგვრემანი ფერი,  
 სიხარული უთამაშებს და წარბებზე მტვერი.  
 დაატყდება მალე შური და სირცხვილი ბევრი.

## IV

შოსჩანს მთის ქვეშე სივრცე ველისა, ---  
 ვით მოხუცები მალალ შუბლებით  
 დგანან მუხები გეტმანებისა,  
 ზრამებს და ძეწნებს შენაულლები.  
 ტბა მდღმარეა, ყინვით ნახატი,  
 პზინავს ყინულის ნაკეთების წყება,  
 ცა გაწითლდება, თეთრი ქალაღდი,  
 და ღრუბლის უკან მზე ჩაეშვება.  
 ამოვარდება ქარი და ველებს



გადაათეთობებს, ზმუნის უდრეკაო,  
დაფარავს სივრცეს, გადმოახველებს  
და ტყე სიღრმეში ახმაურდება.

სტვენს და კივის ქარის ზვირთი,  
და ტყე ბნელში აძლევს პასუხს.  
ველი თოვლში ჩაიყვინთა  
და ზღვასა გავს შორს გადასულს.  
ჰა გაიღო მცველის ბინა  
და მეტყევე მიდის გარეთ.  
ხორშავემა რა ჩაიღინა,  
როგორ აენო გაშლილ მხარეს.  
„ეხ, შეხედეთ თოვლის ვუნდებს,  
ყიამეთი იპყრობს გზასა.  
უნდა ქოხში შემობრუნდეს  
ყველაფერი ჯანდაბასა.  
თითქო მტერი აჩქარებდეს,  
გრიგალია განაწამი.

—ნიკიფორეჲ ჰე შეხედე,  
შორს მოსჩანან ვილაცანი.  
„სამხედროვო, ამნაირ დროს?  
შენ რას ამბობ, ქალო, რასა?  
აქ რა უნდა სამხედროებს“  
„იქ მოსჩანან მთის ძირასა“.  
და გაიქცა კატერინა,  
თავზე ველარ დაიხურა,  
„ეხ, ეტყობა მოსკოველმა  
გოგო ძლიერ შეახურა.  
იმ ჯარისკაცს სიზმარშიდაც  
უძახის და მოუწოდებს“.  
ნიკიფორე იტყვის დინჯათ,  
და ორთქლს მშვიდათ ააბოლებს.

შვიარებს და ბუჩქებს შორის  
მირბის, ხენეშის კატერინა,  
გაუშიშვლა ფეხი გზამა  
სისხლიც ბევრი აღენინა.  
შეხედებიან მას პირისპირ  
სულ სამხედრო ცხენოსნები:



„ჩემო მწველო, ჩემო ბედო  
 თუ შეგხვდი ვერ მოგეხსნები“.  
 სჩანს უფროსი ჯარის წინა  
 „ახ ივანე ჩემო კარგო,  
 გულითადო სასურველო  
 ამდენ ხანს სად დამეკარგე“.  
 და წააელო უზანგს ხელი.  
 მოიხედა მაშინ იმან,  
 დეში კრა და დასძრა ცხენი.  
 და შორდება კატერიწას.  
 „ნუ თუ ახლაც გარბი ბედო,  
 არ გახსოვარ ნუ თუ არა,  
 შემომხედე ჩემო მტრედო,  
 მოიხედე ჩემსკენ ჩქარა.  
 გადმოშხედე, შემიცანი,  
 მუდამ შენი კატერიწა.  
 ნუ წამართმევ უზანგს ძალით“.  
 მაგრამ კაცი აღრენილა:  
 არ უცქერის, გარბის ჩქარა.  
 აი მალე სულ გაქრება...  
 — მომიცადე, მტრედო, წყნარათ,  
 ჩემგან შორს ნუ გეჩქარება.  
 ეხ, ივანე, ვერ მცნობ უნდო  
 მე ვარ შენი კატერიწა.  
 — მომწყდი ქალო, შე ჩურჩულტო,  
 პომაშორეთ გიყი წინა.  
 — ღმერთო ჩემო, ივანეო,  
 გულო ჩემო სამიწეო.  
 გინდა თავი მიმანებო?  
 აბა, რისთვის შემფიცეო....  
 — წაიყვანეთ, რას დადექით!  
 — „წამიყვანონ ბრძანე შენა?  
 რისთვის შერე, რისთვის მეთქი.  
 ნუ თუ ღმერთმა შეგაჩვენა?!...

შენთან ბალში მოვდიოდი,  
 შემდეგ შეილი დაგიბადე.  
 მამა ხარ და მოგელოდი,  
 შენ ხატოვით გაგიბადე.



მე გადიათ დაგიდგები,  
 მხოლოდ შეილი შენ იკადრე-  
 სხვა გიყვარდეს, ეალერსე,  
 მხოლოდ შეილი გამიზარდე-  
 დავეიწყებ მე შენს ალერსს,  
 თუმცა შეილი დაგიბადე-  
 რომ ვიყავი შენი ხასა  
 და ვაება დამიმატე. -  
 ხასობისგან მე სირცხვილი  
 მარგუნე და ტანჯვა მოშეც,  
 მე უარმყავ, მაგრამ შეილი  
 მიიღე და შეივრდომე.  
 ე, მიიღე გულითადო,  
 ნუ გარბიხარ, შემიჩერდი,  
 შეილს მოგიყვან უბინაოს,  
 შენი არის, შენი ღმერთი.“  
 უზანგს ხელი სწრაფ გაუშვა,  
 ქობში შერბის აღებს კარებს,  
 მომტირალი მოყავს ბავშვი,  
 და მამისკენ მიაქანებს.  
 „ჰა, შეხედე, შეხე ამას“  
 მაგრამ არ სჩანს, ის წასულა....  
 ნუ თუ დაგმო შეილი მამამ  
 და უარყო იგი სრულად?  
 „ღმერთო ჩემო, შეილს რა უყო,  
 შენ რა გიყო ჩემო ბაღლო,  
 ბავშვი სადმე წაიყვანეთ,  
 თქვენ საიხედრო საქმის ხალხო  
 კეთილებო აიყვანეთ,  
 ხედავთ, იგი ობოლია....  
 აიყვანეთ, წაიყვანეთ,  
 თითქო უფროსს მოყოლია.  
 წაიყვანეთ, მეც დავტოვებ,  
 როგორც მამამ მიატოვა —  
 თავზე მდგარმა მწვავე წლებმა  
 უბედობა მიათოვა.  
 ღვთის წინაშე შევეცოდე და  
 დავბადევი ბავშვი ხასამ  
 „გაიზარდე“ — სთქვა და ბავშვი  
 ჩაუტოვა თოვლის გზასა.



„აწ შენ სძებნე მამაშენი,  
მეც ვეძებდი ძლიერ დიდხანს“.  
როგორც გიჟი ტყეში შერბის,  
ბავშვს დასტოვებს განუკითხავს.  
ტირის ბავშვი, ჯარისკაცნი  
უკვე გაჰქრნენ, ჩაიჭროლეს.  
კიდევ კარგი ბავშვის კვნესა,  
ტყის მცველებმა გაიგონეს.  
ფეხშიშველი კატერინა  
ტყეში დარბის, შლის იარებს,  
ხან ივანეს დასწყევლის და,  
ხან ვედრებით შეღრიღლებს.  
შემოიბრუნს ხრამის ახლო,  
შემოავლებს ჩუმათ თვალებს,  
ტბაში ყინვა ჩატეხილი,  
კატერინას უთვალთვალებს.  
ღმერთო, სული შენ მიიღე,  
და შენ ტბაო, ჩემო ტანი.  
გადაეშვა ყინვის ქვეშე.  
შეკრთა წყალის მოედანი.

ბოლოს ჰპოვა კატერინამ,  
რასაც სდევდა ბედზე მწყურალი.  
ტბაზე ქარმა დაიჭროლა,  
და არ დარჩა არსად კვალი.

ქარია თუ შრისხანება,  
რომ მუხების ტყდება ჯარი,  
სევდაა თუ სინანული,  
რომ დედაა უკვე მკვდარი.

ის ობოლი აღარ არის,  
ვინაც დედა თვით დამარბა,  
სახელი ხომ დარჩა კარგი,  
და საფლავიც გამონახა.  
ბოროტებმა თუ დასცინეს,  
ობლათ შთენილ პატარასა...  
ცრემლს დააფრქვევს დედის საფლავს,  
შესძლებს ცუდის ატანასაც.



მაგრამ ჩვენმა პაწაწინამ  
 რა ქნას ცოდვილ ქვეყანაზე.  
 მამამ იგი გააწილა  
 დედაც ვადგა ახლა განზე.  
 უშობლობოს რალა დარჩა  
 ვინ შეხედავს, დააფასებს? —  
 არც დედა ყავს, არც ქოხი აქვს —  
 გზა და ქვიშა ქვეყანაზე.  
 სახე მდიდროს, წარბი შავი,  
 სხვის საცნობად დარჩა ცოდვემს.  
 წარბი დედამ ვერ მოუსპო,  
 ნეტავი აწი დაქანებოდეს.

## V

კიევისკენ მსვლელ კობზარმა  
 შეისვენა გზაში წყნარათ.  
 მოხუცს ბიჭი მოყვებოდა,  
 ჩანთიანი და პატარა.  
 ნორჩი იყო და მოხუცთან  
 ბიჭი თვლემდა მცბუნვარ მზეზე:  
 კობზარი-კი მაცხოვარზე,  
 ვალობდა და იდგა ზეზე.  
 მიმავალი, მომავალი...  
 მას აძლევდენ პურს და ხურდას,  
 ქალები თუ გაივლიდნენ,  
 ბიჭუნის კოცნა სურდათ.  
 ბავშვს ისინი შესცქეროდენ,  
 დაფლეთილს და უსახლკაროს  
 დედას წარბი მიუცია,  
 მაგრამ ბედი არა წყალობს.  
 აი ეტლიც, კიევისკენ  
 ეშურება ექვსი ცხენით.  
 ქალბატონი შიგნით ზის და,  
 ქმარიც უზის დანამშვენი...  
 შეაჩერეს ეტლი მათთან —  
 თუ გაიბნეს მტვერი მალლა....  
 მიიღბინა ვანომ, რადგან  
 ქალბატონმა დაუძახა.  
 ქალმა მისცა ფული ვანოს.



ქართული  
 ენციკლოპედია

(ბიჭი ნახა საკვირველი).  
 და ბატონმაც იგი იცნო,  
 შერცხვა, გახდა სისხლის ფერი.  
 კატერინას, თვალი იცნო  
 იცნო კიდევ წარბი მისი;  
 იცნო, მაგრამ გაუჩუმდა  
 და უარყო თავის სისხლი.  
 ქალმა კითხა ბიჭს სახელი,  
 უპასუხა „ვანო“ — მჭვიან.  
 „კარგი ხარო“, სთქვა და ეტლმა  
 ვანო მტვერში გაახვია.  
 მოწყალება შემდეგ ნახეს  
 ვადასთვალეს მცირე ხანსა.  
 მზეზე ჯვარი ვადისახეს  
 და გაუღგენ თავის გზასა.

1838, ს. პეტერბურგი

თარ. ს. ჩიქოვანისა.



ლევო ქიაჩელი

## გვარი ბიგვა

რომანი

XV \*)

სად შეიძლება, რომ ამდენი საქონელი მოეპარათ? აღზათ, თავსა-  
ყრელი იყო და უანგარიშო...

ისევ გამდიდრდა ქვეყანა და ესაა.

უთუოდ საგანგებოდ შერჩეული საქონელი წამოუღიათ: სულ აბრე-  
შუმში და მატყლი, სულ აბრეშუმში და მატყლი.

ზოგი იაეთია, რომ აქაურ კოოპერატივში არც კი ნახულა... იმ თვალ-  
მღეროე კაცმა თუ ჩამოიტანა, რომელსაც დღეს არჩილი და მაქსიმე სა-  
სადილოში უმასპინძლებოდნენ. საფიქრებელია.

ქურდი ვარო, სწორედ ამისთანა კაცმა უნდა სთქვას, თორემ...

— ვაი, შენს პატრონს, გვადი, რომ საკუთარ ეზოში მანდარინებს  
იპარავ!

— აი, ეს, მაგალითად ქალებს რომ ზედ თვალი რჩებათ ხოლმე ყო-  
ველთვის, როცა დაინახავენ. ხალათსა ჰგავს. ძველად ხანარებაში არ იყო  
შინ ნაცოდვილარს რასმე თუ ჩაიცვამდნენ. ეს უთუოდ ახალი მოგონი-  
ლია და უნდა ითქვას, რომ ძალიან კარგი რამეა. აბრეშუმნარევი წმინდა  
მატყლია უეჭველად. მუშტში დაიტევეს კაცი, თუ შეკუმშა, ისე კი რა-  
მოტელაა ეს დასაწეავი... იწელება კიდევაც.

და გვადიშ ახალთახალი ნაირფერად ბზინავი ძვირფასი ჯემპერი კერიას  
ცეცხლის სინათლეზე ფართოდ გაშალა... ერთხელ კიდევ ფაქიზად ხე-  
ლი ვადაუსვა და ხარისხი შეუმოწმა. მერმე გაიჭიმა და ტანზე მიიზომა.  
ჯემპრის სახელოები გვადის მკლავზე უფრო გრძელები აღმოჩნდნენ.  
ინახე ცოტა ჩაფიქრდა თითქოს საყურადღებოდ მოეჩვენათ ეს გარემო-  
ება. მის მოაზრებას შეუღდა.

იგი დაბალ სკამზე იჯდა კერიას წინ. გვერდით თვლებგაშლილი ხურ-  
ჯინი მიეწვინა, დღეს ბაზრიდან მოტანილი და იჭიდან ამოღებულ სა-

\*) გავრძელება. იხ. „მნათობი“ №№ 7, 8, 9 და 10-11.

ქონელს სათითაოდ სინჯაედა. სოფლის ვახშმობის დრო გადასული იყო. კერიას სუსტი ცეცხლი ჭრატის ბუტბავ ალივით ოდნავ წყვეტდა; ქარგელის შუაგულს. სხვაგან ბნელოდა. ერთი კუთხისკენ მუხრავი სავანგებოდ შეექცია, რომ სინათლის ნასახიც ახლოს არ მიკარებოდა. ამ კუთხეში ერთ მთლიან გრძელ ლოგინზე ბალები იწვენენ და ღრმა ძილით ეძინათ.

გვადის ჯემპერისათვის თვალი ვერ მოეწყვიტა. განსა და სიგრძეს უზომავდა. ელოლიავებოდა. დიდი ზომის რომ ეჩვენებოდა ახლა ეს მოსწონდა და უხაროდა. ბოლოს მოწინებით შუაზე გაეცეა და ცალკე ალაგას დაასვენა. თავად გულზე ხელები დაიკრიფა და ცეცხლს მიაჩერდა. ეტყობოდა, რომ უფრო ოცნებაში იყო წააული, ვინემ ფიქრში. ტკბილი უნდა ყოფილიყო, რაც თავში მოსდიოდა, ისე უთამაშებდნენ ტუჩები. მალე ისევ აიღო ჯემპრი, შკლავეზე გადაიფინა და, თითქოს ვილაცას მორიდებით გაუწოდაო, ხელი წინ გააშვირა. ათამაშებულმა ტუჩებმა წარმოსთქვეს:

— გულში რომ შენდამი პატივისცემა მაქვს, ჭირიმე, ამიტომ გაკადრე, შენს თავს ვფიცავარ. სხვა რამე არ იფიქრო. უარი რომ მითხრა, სულერთია არ დავიჯერებ, ისედაც მწყინს, რომ მუდამ ღარიბი გვინივარ. უფრო ხშირად მიწყრები ხოლმე და ჩემთვის ორიოდე ტკბილი სიტყვა არ გემეტება... ის კი არ იცი, ახლა რომ მანდარინის კრეფა დაიწყება, შრომა დღეს სამასამდე გავიზრდი. კიდევ მეტიც: შენ რომ არ იფიქრო, გვადის არ შეუძლიაო, შეიძლება ოთხასამდეც კი ავიყვანო! თურმე ნუ იტყვი: ჩემს ტყირბს წამალზე უფრო მუშაობა უხდება და ეს ტყეში შევიტყვე. რომ გავინძერ-გამოვინძერი, ტანი უფრო მსუბუქი გამიხდა და ტყირბაც მუცელზე აღარ მაწევება. ჰო და, ოთხასი შრომა დღე არც შენ გაქვს, ჭირიმე. ჰა, გამოტყდი, რომ არ გაქვს. ჩემი ნუ გერიდება. რა ვუყოთ მერე, რომ არ გაქვს, მე მამაკაცი ვარ, ჭირიმე, და შენზე უფრო მეტი შემიძლია... ესეც იმ ოთხასის ანგარიშში მოგიძღვენი. მე რად მინდა ოთხასი. ორასითაც იოლად წავალთ მე და ჩემი ბარკუები. შენს შხეს ვფიცავარ! კიდევ რა ვითხრა, იცი? რაკი ასე დაეწინაურდები, იმ დაპირებულ ოდასაც მალე ამიგებენ. ჰოო... მაშინ...

— მაშინ მის მალალ აივანზე შენ რომ გადმოდგები საესე მთვარესაგით და დამიძახებ: „ჰო, გვადი, უი! მოდი მალე, მალე, სადილი დავიმზადო“, ტანს ეს გეცემა, ჭირიმე, აბა... ეზოს გაღმა წინ რომ აღვის ხეები დგას, ყველას შურით ძირი გაუხმება. შენ რომ დაჯინახავენ, და შენი ხმის სიტკბოსაგან ჭინჭარიც კი ვარდს გამოიხამს, ჭირიმე.

ადგილ-ადგილ უხმოდაც ლაპარაკობდა გვადი. თამაშობის დროს თვისთავთან შექცეულს ბავშუს ჰგავდა და გულუბრველოდ სწამდა, რასაც ამბობდა. რა თქმა უნდა, თუ ნამდვილი იყო რომ ამდენი ძვირფასი და უცხო საქონელი მისი გვერდით ელაგა, რატომ არ შეიძლებოდა ისიც

ნამდვილი ყოფილიყო, რასაც გულში ფიქრობდა, ან იმ ძვირფას ჯემურს სხვა დანიშნულება რატომ უნდა ჰქონოდა? საქონელი რომ განსაყრდია, ეს ცხადია. გვადისაც შეუძლია, რასაკვირველია, იყიდოს. რაღა ფორიასაგან მოტანისათვის ერგება, იმას დაამატებს და შეისყიდის. მორჩა და გათავდა. ოღონდ ცოტა კი უნდა აღროვოს არჩილმა. თვე ან ორი თვე, სანამ შრომა დღეს სამასამდე შეასრულებდეს. ამ პირობაში გვადის შეუძლია ზოგი რამე კიდევ შეარჩიოს და თავისათვის დაიტოვოს... თუ განდ ეს, მაგალითად, ხელს რომ ეალერსება, როცა შეეხები.

აილო. ქალის აბრეშუმის ჩულჭი აღმოჩნდა. მალლა ასწია და გამშალა. ჩულჭი კინაღამ ცეცხლს დასწვდა, ისეთი გრძელი აღმოჩნდა. გვადიმ იგი უფრო მალლა შეისროლა, რომ ალი არ შეკიდებოდა.

დააკვირდა, შოეწონა.

— აბა, ნახე, ჭირიმე, თუ ჩაგივა ფეხი. სიგრძე ბარძაყამდეც კი მიგწვდება, ოღონდ ვიწროა, მგონია, და იქნება, არც კი შემოგწვდეს. იმისთვის რომ ყველაფერი ზორბა გაქვს, შე ტანმადლიანო... აბა... მაგრამ ესეც იწელება, როგორც სხანს... მაღლობა ღმერთს! ნახე მაინც, ნახე, შე ქალო! თუ არ მოგადგა, ფული რატომ უნდა ეიხადო...

ეს ჩულჭიც გვადიმ მკლავზე ჯემპერის ზემოდან გადაიფინა.

ეცოტაეა შედარებით იმასთან, რაც ხურჯინიდან ამოლაგებული ჰქონდა, ერთი ჯემპერი და ერთი ჩულჭი მართლა უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენდა.

გვადი რომ უსინდისო კაცი იყოს და ღალატი ეკადროს, ამის გადაძალკა სულ ადვილად შეიძლებოდა: ამდენ ბარჯში ვინ რას შეამჩნევდა. მაგრამ არა. გვადი ამას თავის დღეში არ ჩაიდენს. ცოტას რასმე კიდევ შეარჩევს და ფორიას ფასს ნაღდად გადაუხდის. ასე სჯობს, რასაკვირველია. სამას-ოთხასი შრომადღის პატრონს არ გაუჭირდება რალაც გროშების გაღება, მით უმეტეს, რომ მოტანისათვის გვადის პირაქით კარგა ბლომად ერგება, რასაც იგი ნაღდიდან აუცილებლად გამოძრის ანგარიშის გასწორების დროს.

ასე რომ გვადის თავისუფლად შეუძლია კიდევ რამე თავისთვის გადაეღვას, რაკი უფულობა აღარ აბრკოლებს.

— დეე, მესამე ის იყოს, ჭირიმე, რაც შენს ბედზე ხელში მოხვდება! უკან არ დაეხევი!

ამ რიგობაზე გვადის კერძიან სინათლეზე შინდისფერი რამ უცნაურება გაეშალა, სიფრიფანა და მოლივლივე. პირი დაელო გაკვირვებისგან და ზედ მიშტერებოდა, ეს რა უნდა იყოსო, ასეთი კუდა ნიფხავიო?

უცებ სიცილი აუტყდა.

— ჭირიმე, ერთი მიოთხარი, თუ გიყვარდე, ეს რა ეშმაკის მოსახმარია? თუ ნიფხავმა ბარძაყები არ დაფარა, ისე რისი მაქნისია?... — ხით-



მაგრამ კარის მხრიდან ახლა გარკვეული ჩურჩული გაისმა:

— სძინავს, ალბათ. მაგრად დაუეკუნე! — ამბობდა ხეყურულეც გვადიმ ვერ იცნო. ამან შიში უფრო გაუძლიერა. ვინ უნდა ჰყურებდა შინელმა ეჭვმა შიგ ტეინში ჩაპკრა ბრეყალები. უთუოდ გაგეიდებოდა, რომ იმ უცხო ჩურჩულისათვის ნაცნობ ხმას პასუხი არ გაეცა:

— რას მიქვიან ძილი, სანამ საქონელი არ ჩაუბარებია! გვადი მეთქი, მამაძაღლო! —

ეს არჩილ ფორიას ხმა იყო.

გამოერკვა გვადი. შიშის დამბლით შებოკვილი გონება გაეხსნა. მიხედა, თუ რა მოიყვანადა მ-სას ამ დროს ფორიას და დაწყნარდა. ახლა უურადლებაც კი არ მიაქცია არჩილის ძახილს, არც კარის მევერევა ჩაფდო რამედ. ცხადი იყო მისთვის რა უნდა მოემოქმედნა და არჩილს როგორ დახვედროდა. ცერზე შემდგარმა ხურჯინს მიაშურა უხმოდ და ამოღებული საქონლის უკან ჩალაგებას ფიცხლავ შეუდგა. როცა შორხა, ვითომ ახლა გამოეღვიძაო, ისე შეფეთებით წამოიძახა:

— ჰა, ვინ ხარ?

— მე შენ გაჩვენებ, ვინცა ვარ! გააღე ახლაც კარი! — შემოაყვირა ფორიამ.

— ახლაც, კირიმე... ახლაც — ვითომ? მთქნარებით მიუგო გვადიმ და კარისაკენ აურჩარებლად გაემართა. მაგრამ უცბად ისევ შესდგა. უბეში ჩაბღუჯული ხალათი მოინახულა. ერთი წამით ჩაფიქრდა. უცნაური ყოყმანი დაეტყო. რომელღაც აზრთან გაბრძოლება დააპირა, მაგრამ მალე დანებდა. ხალათი უბიდან ამოიღო და უკან გაბრუნდა. თავმოკრულ ხურჯინში ჩასტენა და ისევ კარს მიაშურა. გააღო.

— ცოტას შევიგვიანებ მეთქი ვითომ, და ძილი მომპარვია, კირიმე! — მიმართა არჩილს, ხოლო თვალები ამ კაცს მიაშტერა, რომლის ხმა პირველად ვერ იცნო.

— ბარდლენიას სძინავს თუ არა? — შესისინებით ჰკითხა არჩილმა, სანამ შემოვიდოდა. როცა დასტური მიიღო, მოურიდებლად შეალაჯა ჯარგვალში. მას სახერხი ქარხნის მეურმე ანდრია ახლდა, მისი ერთგული ბიჭი.

— ხურჯინი სად არის? — ჰკითხა გვადის. მაგრამ თვითონ უფრო აღრე დაინახა. სანამ გვადი მიუთითებდა.

— ჰა, კირიმე! გამზადებული მქონდა წამოსაღებად, რომ არ ჩამძინებოდა.

არჩილმა სასტიკად შეავლო თვალი გვადის და მერმე ანდრიას უბრძანა ხურჯინი ზურგზე მოეგდო და წაეღო.

— შენ წადი, მე სახლთან წამოგეწევი.

წასვლა რომ დააპირეს, გვადიმ მიმავალი არჩილი კართან შეუერთდა. ბოდიშიანი და მორჩილი ხმით მიმართა:

— დაპირებული თუ დაგავიწყდა, ქირიმე... — წელში მისი კეცვა და ცეკვანა და ქვემოდან ერთგულ ძაღლივით ახედა. არჩილს მშაპის გასუქობ. ცალ უღვაშზე თითო აიკრა, ტუჩებზე ზიზლი გადაივლო და გვადის ისე შემოხედა. მერმე უბის ჯიბიდან ერთი ცალი ქალაღდის ფული ამოიღო და გადაუგდო. გვადიმ დანახვისთანავე გამოიციხო სამიშანეთიანი.

ფული მის ფეხებთან დაეარდა. მაგრამ გვადიმ ზედ არც კი შეხედა, არჩილის ჯიბე ამოვლო ნიშანში და თვალს არ აშორებდა, ალბათ კიდეც ამოიღებდა. არჩილი მიუხედა.

— შინ უნდა მოგეტანა, ყურმუსახო... აიღე!

— ცოტაა, ქირიმე...

— ქირიც მომჭამე, თუ არ აიღებ...

— ბარგს რომ დამპირდი ბავშვებისათვის?

— ჰერი ჰაა... მადა გაგელეიძა, ყაზახო?

— იქ რომ ხურჯინში ბურთულეები უჩანს რაღასაც, ზემოდან დევს, იმას გთხოვ. არჩილ. გაუხარდება პატარას.

— შიგ ფათურობდი თუ? რა იცი რა არის? დამაცა დავითვალო... და თუ გაგიბედავს... ცოცხალს არ დაგარჩენ, იცოდე, გირჩევენია, აიღე.

— არ ავიღებ, ქირიმე.

— აიღებ...

მოუჭრა არჩილმა, მეურმე ანდრია წინ გაიგდო და კარიც მაგრა მიიხურა.

დიდხანს იდგა გვადი ერთსადაიმამევე ალაგას... არც სახე შეუცვლია და არც პოზა, თითქოს კელავ ფორიას ჯიბეს შესცქერისო.

მერე ცალი თვალით დახედა ფეხებთან დაგდებულ ქალაღდის ფულს. ქალამნის წვერი გაჰკრა.

— ჰა, მამაშენის საკურთხად შემომიწირავს, იმ სულწაწყმენდილს რომ ამისთანა დაუტრია.

ამით ვითომ ცოტა გული მოიჯერა და ლოგინისკენ თავმომწონედ გაემართა. ჩოხის ვახდას რომ შეუდგა, ანაზღად თავში აზრი ჩაუჯდა: ზომ არ მოვტყვილდი, იმ ფული მეტი არ იყოსო, და რაღაც საკვირველად აეგზნო. ანთებული თვალები დაჰკრა და მყისვე თვითონაც თან მიჰყვა. აიღო.

სამი მანეთი იყო. არც მეტი, არც ნაკლები.

ხელიდან გაგდება უნდოდა. მაგრამ ვერ შესძლო.

— ავიღე და ახლა რაღა დროს... — სთქვა და ტუჩებში ისეთი ზიზლი ჩაენტხია, რომ პირში სიტყვა შეაწყვიტა.

— ვაი დედაშენს, არჩილ ფორიავ!

მწარედ ამოიკენესა ბოლოს სამიმანეთიბლუჯუღა მუშტი მერდზე  
ბრაგვანით დაიცა.

ერქუნული  
ხიზლიქოსიქა

## XVI

სახლიდან გამოპარულმა ნაიამ ისევ ახოზე იირბინა მოკლე ბილი-  
კებით. უნდოდა გერა ენახა. მაგრამ უკვე გვიან იყო, მზე თვალს ხუ-  
ჭავდა და ახოზე ბრიგადები დაშლილიყვნენ. ხალხი პლანტაციებიდანაც  
წასულიყო. ვისაც კი ჰკითხა ნაიამ, ყველამ მიუგო:

— დიდი ხანია, რაც გაიარაო.

ნაიასთვის კი აუცილებელი იყო გერას ნახვა და მათთან პირისპირ  
გასაუბრება. ოღრო ჩოლოო ადგილებში სად უნდა ეძებნა ასე გვიან, ხოლო  
მოთმინებაც არ ჰყოფნიდა იმ დრომდე ეცადნა, სანამ გერა შინ დაბრუნ-  
დებოდა და იქ მიაკვლევდა.

ისევ უკან დაბრუნდა იმ განზრახვით, რომ გამგეობაში გაეიღო, იქ-  
ნება გერა იქ ენახა.

ნაიას მოსვენებას არ აძლევდა ის, რაც მამისგან გაიგონა და შეიტყო.

— ისე გამოდისო, რომ მამამ გამათხოვაო, ფიქრობდა და აღშფო-  
თებისაგან არ იცოდა რა მოემოქმედნა. მართლა, როგორ წარმოიდგენდა,  
რომ მამა არც კი ჰკითხავდა, ისე გაათხოვებდა.

არჩილ ფორიას საქციელი იმდენად არ აკვირებდა ნაიას, მშობლებს  
სდებდა ბრალს, მათ ვაუთამაშებიათო. იცოდა, რომ ფორიასთანა ცულ-  
ლუტი, მოარზიყე მთელ სოფელში მეორე არ იყო და მას რა პასუხი მო-  
ეთხოვოდა. გულში მაინც ჯავრობდა, მე მაინც როგორ გამიბედაო.

კოლმეურნეობის გამგეობის ორსართულიან ახალ სახლში სამკითხვე-  
ლოც იყო მოთავსებული. მას ერთი ოთახი ეკირა ქვედა სართულში.  
სამკითხველოს გამგედ ნაიას მეგობარი ქალი, ელიკო იყო, რომელსაც  
ამავე შენობაში, სამკითხველოს გვერდით პატარა ოთახი ჰქონდა დათმო-  
ბილი საცხოვრებლად. ელიკო უდემამო იყო და წერილ ცოლშვილიან  
ძნის ოჯახში ბინის მზრივ მეტად შევიწროვებული იყო.

ნაიამ შორიდანვე დაინახა, რომ ელიკოს ოთახში სინათლე იყო. ნა-  
ბიჯს აუჩქარა.

ელიკო გაკვირებული შემოეგება ნაიას:

— მითხრეს, მამამ დაგაპატიმრაო და აქ საიდან გაჩნდი. ნაია? იცი,  
ჩვენი ბიჭები როგორ ბრაზობენ მამაშენზე? ეს-არის შენთან წამოსვლას  
ვაპირებდი... წელან გერამ გამოიარა და დამავალა, ნაიას შეატყობინე,  
რომ სალამოს პარტეჯუფის სუგანგებო სხდომა არის და დაესწროსო.

ნაიასთვის ეს ცნობა მეტად მნიშვნელოვანი იყო. უფრო დაწერი-  
ლებით გამოკითხა ელიკოს ამბავი.

— გერა თავქუდმოგლეჯილი დარბოდაო, უთხრა ელიკომ პარტორგს გიორგის დაეძებდა, რაიონიდან უნდა დაბრუნებულხარ და სამტრედიანი ხანი სად არისო. თვითონ იწყევდა ახახაგებს სხლოძაზე დასაწყისში.

— ოა საკითხია, თუ იცი, ასე სასწრაფოდ გასარჩევი?

— გერას ამაზე არაფერი უთქვამს. მხოლოდ კომკავშირში ბესომ კი მითხრა, რომ დღევანდელი ჩხუბი უნდა გავარჩიოთო. ამბობენ, უფრო ზოსიმეს ბრალიაო, ვინემ მამაშენის, და ზოსიმე ხომ პარტიულია.

აიი მცირე ხნით დაფიქრდა, მერმე სთქვა:

— იცი, ელიკო, მე იმ სხლოძას ვერ დავესწრები, კომკავშირიდან ბესო წავიდეს.

— რატომ, ნაია?

— უხერხულია... მე მამაჩემს ვამტყუნებ... დასხდნენ.

— რაო მაინც, რა მინდაო მამამ? — შეეკითხა ელიკო.

— ნეტავი ყოფილიყავი, ელიკო... იცი, რა ამბავი იყო? მეც ხოლოს მოვუსწარი. მამა მაშინვე მეცა: შინ წამოდი, აქ ამიერიდან არ დავანახოვო... ვიამბობდნენ ალბათ... მე კი არ ვიცოდი, რა მოხდა. მამაჩემის ამბავი ხომ იცი? არ მომეშვა. მერმე გერაც ჩამაცოცდა, წაყვეი, აქაურობას როგორმე მოაშორეო... რომ არ დაწყენარდა მამა, მეც გავბრიყვედი.

ნაია წამით გაჩუმდა. მერმე ერთი გაიღიმა და ამბავი მოულოდნელად ასე დაასრულა:

— შინ რომ მივეყვი, აღმოჩნდა, რომ მამას გავუთხოვებივარ!

ელიკოს თვალები გაუფართოვდნენ.

— როგორ თუ გაუთხოვებივარ?

— აბა, თუ გამოიცნობ, ელიკო, მამა ვის მიმათხოვებდა?

ელიკომ იცოდა ნაიასა და გერას სიყვარულის ამბავი, ამიტომ ექვიც კი ვერავისზე ვერ მიეტანა, რომ ნაიასთვის დაესახელებია.

— ნუ მარჩევინებ, ჩემო ნაი. ბარემ მითხარი, თორემ მოთმინება არ მყოფნისო, სთხოვა მან ნაიას. მაშინ ნაიამ თავიდან უამბო, რაც შინ შინაელისას თავს გადახდა.

როცა არჩილ ფორია და მისი სიურპრიზის კოლოფი ახსენა, ელიკო უცებ შეკრთა. ვალიმებული სახე რომ ჰქონდა, შეკრა და ნაიას გაცეცხული თვალები მიაპყრო. მაგრამ შეკრთომა რომ არ შემჩნეოდა, უმაღლე ხელით ხელზე დაწვდა, დაუჭირა და ჩქარი წართქმით უთხრა:

— მერე, მერე, ნაია... ძალიან საინტერესოა!

სკამი ახლოს მიუდგა და სმინად გადაიქცა. ხოლო როცა ნაიამ კოლოფის კედელზე მინარცების ამბავი აღწერა, კვლავ თავი ვერ შეიკავა. უცნაურად იეჯნო. ხელი დაუჭირა და ეთქვათვით მაგიდაზე დაარტყა.

— ყოჩაღ. ნაია, ასე უნდა! — შეაძახა და სახე სისხლისფერი გაუხდა.

ელიკო ჯანმრთელი, ლოკებ-ლაქლაქა და მკრივად შეკრულ გოგო-  
 იყო, ცეცხლის ალივით დაუდევარი და მოძრავი. ეუფუნე თვალებში ყო-  
 ველთვის დანამული ჰქონდა და ვარსკვლავივით უბრკველად იწინა ქო-  
 ლო მუდამ მხიარულ, მოლიმარ სახეზე ცელქი ეშხი უთაძაშებდა.

მეგობრის შეჭებით წახალისებულ ნაიას უნდოდა განეგრძო თავისი  
 ამბავი, მაგრამ მეგობარს, რომ უცნაური მოუსვენრობა დაეტყო, შეს-  
 წყვიტა და უთხრა:

— რა მოგივიდა, გოგო? დამაცა, კიდევ უნდა გიამბოო, მაგრამ ძლივს  
 მოასწრო ამის თქმა, რომ ელიკო სკამის ზურგზე გადასწვა, თავი უკან  
 გადაიდო და ისეთი კისკისიანი სიცილი ასტეხა, თითქოს პირიდან ნაი-  
 ლვარი წამოსკდაო. ღია ველზე მიწოლილი სისხლის ნაკადულები შე-  
 მოქდომოდნენ და მალალი გულმკერდის აბორგებისაგან გულისპირზე ლა-  
 შის ღილები დასწყდომოდნენ.

ნაიასთვის სრულიად მოულოდნელი და გაუგებარი იყო ელიკოს ასე-  
 თი მოქცევა.

— რა ექნა, რამ გააგიჟა ეს გოგო, ვაიფიქრა, მაგრამ ენა კი ვერ დას-  
 ძრა გაკვირებისაგან.

ელიკო კი ისევ იცინოდა, ხოლო ახლა წამომდგარიყო, ორივე ხელი  
 მუცელზე მიეჭლო და თავს ძლივს იკავებდა, რომ არ ჩაკეცილიყო.  
 მოვრალივით ქანაობდა.

— დამაცა, გენაცვალე... აღარ შემიძლია... — აქა-იქ ჩაურევდა სი-  
 ცილში.

ბოლოს, როგორც იქნა, სიცილის ენი დაუცხრო. ვაიმართა, თვალე-  
 ბიდან სულ კურცხლები მოცივიოდა მარგალიტის მარცვლებივით და  
 სულს ძლივს ითქვამდა.

— რა ამბავია, შეეკითხა ცოტა არ იყოს მკაცრად მისი საქცი-  
 ელით ნაწყენი ნაია.

— რა ამბავი და, ამოტელა დიდი ამბავი, გენაცვალე ნაი! — უპასუხა  
 ელიკომ და ჰაერში ხელით შემოხაზა დიდი წრე. მერმე ზედიზედ სული  
 მოითქვა, რომ საბოლოოდ დამშვიდებულიყო. — დამაცადე ცოტა, ყვე-  
 ლაფერს გაიგებ.

ელიკო მარდად მოტრიალდა, კუთხეში მიდგმულ მაგიდას მივარდა  
 და წიგნებზე ჩამოდებული ყვეისფერი მოგრძო კოლოფი აიღო, თმაგა-  
 შლილი ქალის სურათით დამშვენებული. უმაღლე ისევ ნაიასკენ მიიქცა,  
 კოლოფს თავი ახადა და ნაიას ახლოს მიუტანა. კოლოფის ერთ კუთხე-  
 ში მონარჩენი ცოტა კამფეტი ეწყო, მეორეში კი შუაში გაკეცილი თეთრი  
 ქალალდი იდგა. ელიკომ ეს ქალალდი ამოიღო და გაშალა.

— ამისთანა ქალალდი თუ იდგა იმ შენს კოლოფშიც, ნაია? — ჰკითხა  
 სიცილით და ქალალდი თვალწინ შეუტრიალა. — ალბათ, ვერ შენიშნე,  
 თორემ უთუოდ შიგ იდებოდა... უბრალო რამე არ გეგონოს, პა, წაი-

კითხე! — ხელში მისცა ნაიას და თავად ერთხელ კიდევ შედეგად გეგადა-  
კისკისა. ზედ აფხაზურ კილოზე დაატანა:

— ვაპაპა ია-უი! ეს რა ამბავია, თქვენი კირიმე! — მაგრამ სიცილი  
არ გაუგრძელდება. მალე გაჩუმდა და თვალეში ნაიას მიაშურა, რომელიც  
იმ ქალაქზე დაწერილის კითხვას შესდგომოდა:

ქალაქზე თავში ია ეხატა, ფერადებით გაწყობილი. ქვეშ მოდილო  
და მოხატული ასოებით გამოყვანილი ელიკოს ინიციალები ეწერა. შერშე  
ლექსი იწყებოდა ოთხ ტაეპად დაყოფილი. გვერდებზე არშია შემოვლენ-  
ბულ ტაეპებს შორის სხვა და სხვა ფერის ისარგარქობილი ვულეები ეხა-  
ტა, რომლებსაც სისხლი ჩამოწვეთავდა.

ნაია ჩუმად თავისთვის კითხულობდა:

სოციალისტი მინდა ვიყო —  
შენი ეშხი მიკარნახებს.  
თავი ორად რომც გავიშო,  
გიერთვულე ამხანაგებს.

—  
თუმცა მქვია მე არჩილი  
და ფორია მაქვს მე გვარი,  
უსახლკარო ვარ ნამდვილი —  
ორკეთელი პროლეტარი.

—  
მაჩში გიწვევ. ამხანაგო,  
შვიდი შვილის პროგრამითა,  
რეკორდები დავამყაროთ  
ვიმუშაოთ დღით ღამითაც.

—  
მე ლოდინის არ მაქვს თავი,  
პასუხს ველი დღეს ან ხვალე.  
შენ ხარ ჩემი ცის ვარსკვლავი,  
გამახარე გენაცვალე.

ელიკო ნაიას ისე ადევნებდა თვალეებს, თითქოს მასთან ერთად იმ  
ლექსის სტრიქონებს ჩუმად იმეორებდო. როცა ნაიამ კითხვა დაასრულ-  
და, მაშინვე შეაგება:

— არამზადაა ხომ?

ნაიამ თავი აიღო. ქალღლი რალაც განსაუთრებულე, კერძოთხელით განზე გადადვა, თითქოს რასმე ბილწს თავი გააჩიდა და დაიწყო ცხების გამომხატველი თვალებით ელიკოს შეხედა. მეგობრები ერთხანს თვალბეგაყრილები უცქეროდნენ ერთმანეთს. მერმე ნაიამ ჰკითხა ელიკოს:

— რა იყო მაინც, რომ იცინოდი ელიკო?

ელიკოს არავითარი განსამარტებელი წინასიტყვაობა არ გაუკეთებია, ისე პირდაპირ შეეხრა საგანს:

— შენს გარდა სხვა ქალი არ მინდა, მიყვარხარ და გინდა, არ გინდა ცოლად წამომყვიეო. ძალიან უბედური ვარო. წინად ქონება მქონდა, ახლა არაფერი გამაჩნია და ამიტომ არავის ვუყვარვარო. შენი იმედით ვარო... სულ ამას მეუბნებოდა მას შემდეგ, რაც ამ ოთახში გადმოვედი, და ყოველ საღამოს ჩემს კარზე იყო ატუზული. ჰოდა, იმიტომ ვიცინოდი, ნაი, რომ მე სულელს ეს მართალი მეგონა... წარმოიდგინე, უცებ როგორ შემშურდა, შენ რომ სთქვი, სიურპრიზის კოლოფი გამომიგზავნაო. ანეთი საჩუქარი ხომ კანფეტზე უფრო ძვირფასია მეთქი და გული დამწყდა. სასაცილო არ არის განა ეს, ნაია? ვფიქრობდი: თუ ნაიას ვერა ჰყავს, არც ჩემია ნაკლები ბიჭი მეთქი. გესმის საქორწინოდ ვემზადებოდი... თურმე სულ სხვა რამე არ ნდომებია იმ ვაქბატონს? სასაცილოა, მაშ რაა? ჰეე, მართლა ქალის ჭკუას რა უთხრა მე! კომკავშირული მაინც არ ვიყო, ვაი სირცხვილო! უთუოდ მომატყუებდა, ნაია, რომ ეს ამბავი არ გეთქვა, საქმე იქამდის მივიდა... დიდი მოხერხებული ვინმეა! ეს ლექსი პირველი კი არ არის. დღე ისე არ გაივლის, რომ წერილი არ მომწეროს ან ფანჯარაში ჭების ლექსი არ შემოაგდოს... ახლა მეც რომ ამას ცხვირობირში მივანარჩებ, აი ანე... მაშინ ნახოს, იმ აწყობილ/ულვაშებს რაც სერიი დაემართოს!

ელიკო აიღეწა. ტუჩები ბრაზისაგან დაიკეცა და მოიქცია. ნესტოები გამოებერა და ხელში მომარჯვებული კოლოფი ისე აიქნია, თითქოს მის წინ მართლა ფორია იხტა და ცხვირში მიარტყაო.

— სჩანს შენც გატყუებდა. ნაი, ხომ? — თითქოს სამოქმედოთ იწვევსო, ისე მიმართა ნაიას.

ნაიამ წარბები შეკრა და თავი დინჯად, მძიმედ გააქნია.

— მე არა... მაგრამ მამას კი უთუოდ ატყუებდა.

ნაიაზე თავისავე სიტყვებმა უცნაურად იმოქმედეს. სთქვა თუ არა მამას უთუოდ ატყუებდაო, მაშინვე ისე შეიცვალა, თითქოს დიდი ხნის ზაიდუმლოების მიუგნებელი გასაღები მოულოდნელად იპოვნაო და ამან ერთსა და იმავე დროს გააკვირა და კიდევაც გაახარაო.

— ეს კაცი, ელიკო სხვა მხრივადაც არამზადაა, იცოდე! — წამოიძახა მან უცებ ხმამაღლა.

— როგორ თუ სხვამხრივადაც, ნაია? — ვერ გაუგო ელიკომ.

მამას ატყუებდა მეთქი რომ გითხარი, ამან ამიხილა თვალი. ფორია ჩვენს წინააღმდეგ ჩემ ავტობიუსსაც ეწვევა, ელიკო. ეს მტკიცედ მშობრად ამ ბოლო დროს თავის ჭკუაზე არ არის და სხვანაირად ჩქარდება, ეს ფორიასათან დაახლოების შედეგია ნამდვილად. იგი საეჭვო კაცია უთუოდ!

— ელიკოს შეეშინდა ამ აზრის.

— არა... ამას როგორ გაბედავა, ნაი! — დასამშვიდებლად მიუგო მან მეგობარს.

მაგრამ თავისი მიხვედრით აგზნებულმა ნაიამ ზიზღით გადაგდებული ლექსი ახლა ისევ ხელში აიღო, თვალი გადაავლო, მერმე ცალკე სტრიქონებზე შეაჩერა ყურადღება და სთქვა:

— თუ გინდა, ეს ლექსი ავილოთ, ელიკო. დაცინვაა აშკარა. ნუთუ, შენ ამას არ გრძნობ? ეს რა თქმაა „შენი ეშხიანგან სოციალისტი უნდა გავხდეთ!“ ან რა არის ეს „შვიდი შვილის პროგრამა“, თუ არა სასაცილოდ აღება მთელი ჩვენი საქმიანობის! გესმის, როგორ ამბობს „რეკორდები“ დაეამყაროთ... ახლა ჩემთვის ყოველივე ცხადია, ელიკო! დაიცა, გერას ვაჩვენო ეს ლექსი...

დაასრულა ნაიამ ქალაღი გაკეცა, უბისკენ გააქანა.

ელიკო დაიბნა, ჭკუაში არ დაუჯდა ნაიას უკანასკნელი სიტყვები. გერას ჩარევა ამ საქმეში სახიფათოდ მოეჩვენა. — თუ ეს ამბავი გახმაურდა, ბატონისანი სახელი გამიფუჭდება და დავიღუპებიო, ვაიფიქრა. იმ ქალაღს ნაიას უბემდე შეშინებული თვალები გააყოლა და გაუბედავი ზეწუნის ხმით მიმართა მეგობარს:


— ხქნება, უბრალო ხუმრობაა, ნაი... გაზვიადება არ ღირს, მგონია. — ხელსე უნდოდა გაეწვდინა ქალაღის ჩამოსართმევად, მაგრამ ეს კი ვერ გაბედა.

— ამისთანა ამბებზე ასე ხუმრობა არ შეიძლება. ამხანაგო ელიკო! უნდა გამოირკვეს, ვისთან გვაქვს საქმე. — მტკიცედ მოუჭრა ნაიამ სიტყვა და ქალაღი უბეში ჩაიდვა.

— ვითომ არ მინდოდა, რომ ეს ჩემი ამბავი ქვეყნას მოსდებოდა, ნაი, ხომ იცი, უცხო ხალხი რას იტყვის! — გამოტეხილად სთქვა, ელიკომ ის, რაც გულში აწუხებდა. მაგრამ ნაიას ეს არ მოეწონა. რაღაც ცუდად ენიშნა მისი შეწყყმანება.

— გერა რა უცხო ვინმე გგონია, ელიკო. გახმაურებაზე კი ზედმეტია ლაპარაკი. მაგრამ, როგორც ხედავ, ეს კერძო ინტერესების ამბავი აღარ არის და ხომ იცი, სიფხიზლე ჩვენ რას გვიკარნახებს. — უთხრა მან ელიკოს და თავისი უკმაყოფილება ხმითა და თვალების გამომეტყველებითაც აგრძნობინა.

ელიკოს გული დაწყდა რომ უბრალო სიფრთხილის დაჭერის თავღარიგი მეგობარმა სხვანაირად გაუგო.



— ვერ გამიგე, გენაცვალე, ნაი. — უთხრა მან ნაიას — როგორ გა-  
თხრა, არ ვიცი... მაგრამ... შენ ხომ გჯერა რომ... ერკონენელი

აქ თითქოს ენა დაებაო, ელიკო შეჩერდა.. მას აზრად მოსწონდა ნაიას  
სთვის ისეთი დამაჯერებელი, მძიმე და გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა, რომ  
მეგობრისთვის ყოველნაირი ეჭვი გაეფანტა.

მაგრამ ასეთი სიტყვა უცებ ვერ მონახა. წამწამები ცრემლმაც კი და-  
უთრთვილა, იაც გაუჭირდა. ხმას აუწია და ისევ თავიდან დაიწყა:

— შენ ხომ გჯერაო — და ახლა უკვე თავისუფლად განაგრძო — რომ  
როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებსა და ჩვენს სამშობლოს შორის საერ-  
თო არაფერი არსებობს, ისე იმ არამზადასა და ჩემს შორის საერთო არა-  
ფერია.

მიუხედავად აწეული ტონისა და წინადადების მწიგნობრივი დალა-  
გებისა, ნათქვამი ისეთი გულწრფელი და უშუალოდ განცდილი გამოუ-  
ვიდა, რომ ნაია უცებ მოლბა. მან საჭიროდ სცნო ეთქვა ელიკოსათვის:—

— აო გრცხენია, ელიკო ამის თქმა ჩემთვის რად დაგჭირდაო.

მაგრამ თავისი გადაწყვეტილება, რომ ფორიას ლექსი გერასთვის  
ჩვენებინა, ამით ოდნავადაც კი არ შეუცვლია.

## XVII

ორკეთის კოლმეურნეობის პარტორგი გიორგი ასლანდია დილიდან-  
ვე რაიონში იყო გაწვეული პარტორგების თათბირზე და დალამებამდე  
არ დაბრუნებულა. გერა მოუთმენლად მოელოდა მას და გზაზე უდა-  
რაჯებდა. შინ შესვლის ნებაც არ მოსცა, ისე პარტჯგუფის სხდომაზედ  
წამოიყვანა. გზადაგზა დაწერილებით უამბო, რაც მის არყოფნის დროს  
ორკეთში ამბავი დატრიალდა. მერმე თავის მოსაზრებაც გაუზიარა, თუ  
რამ აიძულა მის დაუკითხავად პარტიული ამხანაგების სხდომა მოეწვია.

— ვიცოდი რომ ჩამოგვიტრებდი მხოლოდ დაყოვნება არ ივარგებ-  
და, რადგანაც მთელი ორკეთი მხოლოდ ამ ჩხუბზე ლაპარაკობს. ზოგი  
ამბობს გოჩა სალანდიას უსამართლოდ მოექცენო, ზოგი გაიძახის, რა  
შეიქნა ეს გოჩა რომ ამდენს უთმენენო. ერთი სიტყვით, როგორც პარ-  
ტიული, ისე უპარტო ამხანაგები ჩვენგან გადაჭრილ სიტყვას მოითხო-  
ვენ. იქნება ვერც მე მოვიქეცი სწორედ, და ამხანაგების აზრი ამაზედაც  
უნდა ვიცოდყო.

გამგეობის სახლს უახლოვდებოდნენ. ზედა სართულის აივანზედ და-  
კიდებული ელექტრონის სანათური საკმაოდ შორს ღეროდა სინათლეს.  
რომელიც ზშირი ზეების ჩრდილებს შორს, გასწვრივ ჩამავალ გზაზე. აქა-  
იქ თითბერის ნაჭყებივით ეფინებოდა. ორკეთის კოლმეურნეობის ორი  
ხელმძღვანელი ამ რილო-ჭრილოს მიყვებოდნენ პარტჯგუფის სადგომი-  
საკენ.

გიორგი ძველი ბათუმელი მუშა იყო. ხანში შესული, მაგრამ გერ/კიდევ მხნე და ფხიზელი. რაიონის პარტორგების თათბირიდან იგი განსაკუთრებული განწყობილებით დაბრუნდა. თათბირი სოფელში მომხდებოდა პარტიული ამხანაგების, პოლიტიკური სიფხიზლის გასამახვილებლად და კლასიური მტრის ბრძოლის ახალი ხერხების გამოსამკვლავლებლად იყო მოწყველი. ცენტრიდან მოვლინებულმა ამხანაგმა პარტორგებს ბევრ ისეთ რამეზე აუხილა თვალი, რაც აჭამდის მათი ყურადღების გარეშე რჩებოდა. ახალი ცნობებითა და ინსტრუქციებით დატვირთული გიორგი ორკეთისკენ ვზას რომ დაადგა, მაშინვე იმის მოაზრებას შეუდგა, თუ რა ნაკლოპქონდა მის მუშაობას და მოსალოდნელი ზიფათი ორკეთის ორგანიზაციაში თავიდან როგორ აეცილებინა. თავისი კოლმეურნეობა მას კლასიური მტრის ზეგავლენისაგან დაზღვეული ეგონა და ფიქრობდა, რომ მის გამოცდილ თვალემა არა გამოეპარებოდა რა. მაგრამ ახლა თავში ეპყვები დატრიალებოდენ და მძაფრი თვითკრიტიკის გუნებაზე დამდგარიყო. ეჩვენებოდა, რომ ორკეთელ ამხანაგებს შორისაც პარტიული სიმტკიცე ჯეროვან სიმალლეზე არ იდგა და ამ მხრით მას დიდი მუშაობის გაჩაღება მართებდა.

გერამ რომ ვიჩა სალანდიას ჩხუბის ამბავი დახვედრა, პარტორგმა მაშინვე ყურები დასცქვიტა. განსაკუთრებულად საეჭვოდ ენიშნა პარტიის კანდიდატის, ბრიგადირი ზოსიმეს საქციელი.

— პირწმინდა შემარცხენე ვადახრა არისო, გაუელვა თავში, მაგრამ გერას კი ამაზე არაფერი უთხრა. ოღონდ შესდგა, თვალემაში ცდით ახლოს, შეხედა და თავი დიდმნიშვნელოვანად გააქნია. მერმე ხელი მხარზე დაადგა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და შენიშნა:

— საქიროა ადამიანზე მუშაობა, ამხანაგო გერა. მარტო პლანტაციების მოვლა არ კმარაო.

ეს იყო იმის გამოძახილი, რაც გიორგიმ თათბირზე ხელმძღვანელ ამხანაგებისაგან გაიგონა. გერამ მიუგო:

— მართალი ხარ, გიორგი, მაგრამ დანაწილება ასეთი ჭკაქეს: ადამიანზე შენ ზრუნავ, პლანტაციებზე — მე.

პარტორგა დამცინავმა ღიმილმა გაუთამაშა ულვაშებში. მერმე უცებ რამოდენიმე ნაბიჯი ვადასდგა წინ და სანამ გერა ფეხს აიდგამდა, ისევ მისკენ შემოტრიალდა. ბეჯითად, მაგრამ ცოტა არ იყოს აღელვებით უთხრა:

— ყალბი აზრია! არ ეარგა, ამხანაგო გერა! შენ რომ ამზობ ისეთი განაწილება ბრიგადებს შორის არსებობს და ეს ასეც უნდა იყოს. შე კი პარტიულ მუშაობაზე ვეუბნები. აქ კი ასეთი ამბავი არ გამოდგება. პარტიული თვალი ყველგან უნდა იხედებოდეს, ხოლო თავი ყველგან უნდა მუშაობდესო.

რაკი სიტყვამ მოიტანა გიორგიმ აქვე დაწერილებით უამბო გერას, რაც პარტიულ თათბირზე ამ საქმის ირგვლივ ითქვა და ვაკეთდა, ისევ ნელი ნაბიჯით წამოვიდნენ. ახლა გიორგი კვლავ აღნიშნავდა უბრაუნდა, ახოზე მომხდარი ამბავი კონფერენციის მუშაობას გადააბა და ასეთი, გერასათვის მოულოდნელი, დასკვნა გააკეთა.

— კლასიური მტერის ხელი ჩვენთანაც სადღაც ახლოს ფათურობს, ამხანაგო გერა, და დიდი სიფრთხილე გემართებს რომ არ შევრცხვითო.

გერას აზრით კი ჩხუბის ამბავი ასე გასაზვიადებელი არ იყო. ზოსიმეს საქციელს წინდაუხედაობით ხსნიდა — შეცდომა, მარცხი მოუვიდაო. რაც შეეხება გოჩას, მის მიერ ატეხილ ალიაქოთს შურისძიებას მიაწერდა.

— ფიცრის მიცემა რომ შეეუწყვიტეთ და ოდა დაუსრულებელი დარჩა, ამისათვის გვეჩხუბება და მისი ჰკუთ სამაგიეროს გვიხდისო. — უთბრა გიორგის.

— მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ ასტკივავო — დასძინა მან, რადგანაც გიორგის შენიშნამ მტრის ხელის ფათურზე მასაც უნებლიედ გაურკვეველი შიში და ეჭვი აღუძრა. — ზოსიმე, როგორც წესისა და კანონის დამრღვეველი ბრიგადირობიდან უნდა გადავაყენოთო. მითუმეტეს, რომ ის პარტიულია და არ ეპატიებაო. გოჩას კი უკანასკნელი გაფრთხილება მიეცეთ, თუ კოლექტიურ მუშაობაში არ ჩაება, არ გამოსწორდა და ენა არ დაიმოკლა, კოლმეურნეობას თავი უნდა ვააწებოსო.

გიორგიმ გულდასმით მოუსმინა თავმჯდომარეს, მაგრამ არაფრით ანიშნა, აზრი მოუწონა თუ არა. მკლავში ხელი გამოსდვა და გულჩათხრობილად სახლის ასავალ კიბისკენ გაიყოლია. როდესაც მალლა ავიდნენ, გიორგი უკანასკნელ საფეხურზე შესდგა და გერას მხოლოდ ახლა გასცა პასუხი.

— ზოსიმეზე შენს აზრს ეიზიარებ, ჩემო გერა. მაგრამ გოჩას კი სხვანაირად უნდა მოვეჭკეთ. ამაზე შემდეგ კიდევ მოვილაპარაკოთ, მანამდე ამხანაგებსაც მოუსმინოთო...

(გაგრძელება იქნება.)



გრიგოლ ცეცხლაძე

## სამშობლო მხარე

ცხოვრება მიჰქრის წინ ქარის ფრთებით  
და გზებს ანათებს შუქი ელვარე, —  
გაბრწყინებულა ახალ დიდებით  
განახლებული სამშობლო მხარე.

უნდა უმღერდეს პოეტის ენა  
დროს ამღერებულს დღეს თავისთავად, —  
ზღაპრულ გმირების, ზღაპრული ფრენა  
რომ გადაიჭტა ნამდვილ ამბავად.

რომ აღარ დარჩა სევდის მიზეზი  
და ვკვრეტთ დღევანდელ დარებს მზიანებს,  
რომ გზას უნათებს ბელადის გეზი  
სამშობლოს ახალ ადამიანებს.

გამოაჩინე ლექსო მშვენება  
სოციალისტურ სამშობლოს ნაკეთის —  
კლდეების ნგრევა, ქალაქთ შენება,  
ოქროს ზოდები, მდინარე ნავთის;

აღორძინების ვარდნი, იანი,  
ტურფად გაშლილი ქალა და ველი,  
ამაღლებული ადამიანი  
სოციალისტურ სამშობლოს მცველი...

იმღერე ჩანგო, როგორც მღერიან  
 კოლმეურნენი მზიან ყანაში,  
 იმღერე ჩანგო — ბედნიერია  
 ვინც დაიბადა დიად ხანაში.



ცხოვრება მიჰქრის წინ ქარის ფრთებით  
 და გზებს ანათებს შუქი ელვარე. —  
 გაბრწყინებულა ახალ დიდებით  
 განახლებული სამშობლო მხარე.



რაფაელ ალბერტი

## აირა დაუუენჯი\*

მე გაცოცხლება მისი მწყურია...  
ბუჩქნარი, სისხლის წვეთებით საესე  
თავის ლეროებს არხევს წვალეებით...  
ფეხით გათელილ იმის საფლავზე  
თარეშობს წვიმა და გრივალეები.

მე გაცოცხლება მისი მწყურია...  
მინდა გავთხარო მიწა ფრჩხილებით,  
რომ ის საფლავში არ იყოს მარტო...  
ალარ ხარობენ აქ ყვავეილები, —  
მიწა ხიშტების აქ აიშართა!

მე გაცოცხლება მისი მწყურია...  
სისხლში გასვრილი ნაცნობი ლენტი...  
შას ჯალათებმა მოსჭრეს ხელები  
და ორი ძუძუ მეტ ვახელებით  
ხიშტზე ააგეს... ო, ლაფუნტე!

მე გაცოცხლება მისი მწყურია...  
ის არის ჩვენი დროშა და ფიცი!  
ხიდზე მტრის ურდოს როცა შევეებით,  
წინ მოგვიძლოდა ის, მუდამ მტკიცე, —  
გრგეინავდნენ მისი ტყვიამფრქვევები.

\*) რაფაელ ალბერტი — თანამედროვე ესპანეთის უდიდესი პოეტი. თავისი ლექსი მან უძღვნა ახალგაზრდა კომკავშირელ ქალს აიდა ლაფუნტეს, რომელიც 1934 წელს ისტურაიის მალაროელთა აჯანყების დროს, მედგრად ებრძოდა ფაშისტებს. ერთ ბრძოლაში თავისი ტყვიამფრქვეველით იგი აკავებდა მტრებს, რომ ამით მალაროელთათვის უკან დახთვის საშუალება მიეცა. უცხოეთის ლეგიონის ჯარისკაცებმა იგი საშინელი წამებით მოჰკლეს.



მე გაცოცხლება იმისი მინდა!..  
 მუშავ, მის სისხლში ჩააწე ხელი,  
 შემდეგ სიტყვები დასწერე მწველი:  
 ჩვენ, ესპანეთო, ბრძოლა გვწყურია,  
 გვწამს ოქტომბერი და ასტურია!

მე გაცოცხლება მისი მწყურია!..  
 რომ გამარჯვების დღე დაგვიდგება,  
 მსურს ამ საფლავზე შემოვკრებთ ყველა,  
 და აიყვარულით ჭება-დიდება  
 დიად ქალს ვუთხრათ ლაღად, გულწრფელად!

თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილისა.




# „საღინებელი“<sup>\*)</sup>

ქება მუშვიდი

- 1 რა მოგვესალმა, მოგვეახლა კეთილშობილად
- სამეზის თუ ოთხზის დაგვიმოწმა პატივისცემა
- 3 უკუდგა მერმე, მოკრძალებით გვკითხა: ვინ ხართო?
- „ვიდრე ამ მთისკენ პირს იზამდნენ სულნი დიადნი
- 5 „რომელთაც ღვთისკენ აღმასვლისა დაერთოთ ნება“
- „ექტავიანემ დაამიწა ცხედარი ჩემი,
- 7 „მე ვარ ვირგილი, და დაეკარგე ზეცის ნუგეში
- ანაზღუელად რადგან ვიყავ წარმართი სულით“.
- 9 ეს უპასუხა ამნაირად მეგზურმა ჩემმა.
- და როგორც კაცმა ვინც შენიშნა თავის წინაშე
- 11 საგანი რამე საოცარი, მოულოდნელი,
- ჭოქმანით ფიქრობს ეს არისო ან თუ სხვა რამე,
- 13 აგრე დაეჭვდა სორდელიც და თავი ჩაჰჭინდრა
- მოკრძალებულად მიეახლა კელავ ვირგილიუსს,
- 15 იქ მოხეხია სად უმცროსი ემთხვევა უფროსს.
- „მე, ლათინელთა სიამაყევე, ვინაც გვაჩვენე,
- 17 „ლათინურ ენის სიდიადე უთხრა სორდელომ
- „სამშობლოს ჩემის დიდებისა მაუწყებელო,
- 19 „თუ მალისებდე ნაუბარის შენის მოსმენას
- „ჯოჯოხეთიდან თუ მოსულხარ ეაეც მაუწყე
- 21 „რომელი გარსით გამოსულმა აქ მოაღწიე?“
- „მე გავიარე ყველა გარსი ცრემლთა დილეგის“
- 23 უთხრა სორდელოს თავემოდრეკილს მეგზურმა ჩემმა,
- ციურ სიჭველეს აყოლილმა აქ მოვალწიე
- 25 „არა საქმეთა ჩემთა გამო დაეკარგე შუქი,
- „არამედ მხოლოდ უქნარობის ჩემის წყალობით
- 27 „მზემ ამარადა პირი თვისი და მომწედა გვიან“.
- „არის ადგილი საშინელი არა წამების,
- 29 „მუნ დამკვიდრებულ სიბნელისა მეოხებითა



- „მუნ არ მოგწედებათ ღრიანცელი, კენესიან მხოლოდ.
- 31 „იქ უბიწოთა ყრმათა შორის ვსადგურობ მეცა, ერქინესული  
 „ამ ყრმათ პიკედელი მისწედენია ვიდრე მოესწროდეს გალაქიძისი
- 33 „პირველ ცოდვისგან განებანათ ახლადშობილნი.  
 „მე მათთანა ვარ, ვინც ჯერ კიდევ არ შეუმოსავთ
- 35 „სამივე წმინდა სიჭველისა სამოსელითა.  
 „სხვა ყოველივე შევიცანი და ვავიარე.
- 37 „აწ თუ გენებოს, ან შეგედლოს გვასწავლე გზად  
 „რა რიგ შევიძლებთ მოკლე ხანში ჩვენ იქ მიღწევას,
- 39 „სად სალხინებელს შესავალი მჭონდეს კარები“  
 გვამცნო სორდელომ: „ჩვენ არა გვაქვს მირწყული არე.
- 41 „ნება მაქვს სრული მოვიარე შემოგარენი,  
 „სანამ შევიძლებ გამოგყვები და გზას გიჩვენებ,
- 43 „ეს არის მხოლოდ მიიწურა დღი როგორც ზედავ.  
 „ხოლო აღმსვლა სიბნელეში სახიფათოა.
- 45 „აქვე მოვძებნოთ ჩვენ ადგილი ასაკანები,  
 „აქეთ, მხარამოჯენით შეგვეჯერება ულთა კრებული,
- 47 „თუ ნებას დამრთავ ზიგიძღვენი ათ სახილველად.  
 „უძეველია, მათი ნახვა შენც გაიმება“.
- 49 „როგორ გავიგო, უბასუხეს მაშინ სორდელს,  
 „ამ მთაზე აღმსვლელს უკრძალვენ ღამით ზეასვლას.
- 51 „თუ მას თვითონვე აღარ ძალუძს ავიდეს ზენზე“.  
 ჭველმა სორდელომ ვადაუსვა მიწაზე ფრჩხილი.
- 53 მიუგო ოსტატს: „ამ განახავს ვერ გადასცდები,  
 როგორც ბნელში დაინთქება მზე მწუხროს პირზე.
- 55 „სხვამზრივ არა რა დაუდგება წინ მთაზე აღმსვლელს  
 „თუ არა ღამე ამ ბეჭობზე დამკვიდრებული.
- 57 „ბნელი შეკაჭავს ზეაღმსვლელის სურვილს და ნებას.  
 „მას შეედლება დაუბრუნდეს ისევე ტაფობს,
- 59 „ან და იაროს აბლომახლო შემოგარენზე  
 ვიდრე დავსილ დღეს გარს ერტყმება სიბნელის სალტე“.
- 61 გააოცაო ამ ამბავმა თითქოს ოსტატი,  
 „უთხრა: წაგვიძებ, და გვიჩვენე ადგილი იგი,
- 63 „სად დავანება როგორცა თქვი, ჩვენ შევბას მოგვევრის“.  
 მცირე მანძილი გავიარეთ და მე შევნიშნე.
- 65 იქვე ტაფობი ბორცთა შორის გავაკებული,  
 როგორიც ხშირად შეგვხვედრია მიწაზე ვაკე.
- 67 „ახლა წამოდიოთ“, გვითხრა ლანდმა და წინ წავვიძღვა.  
 „იმ მთის უბისკენ დაგვრჩენია მცირე მანძილი
- 69 -და გვირჩენია შევეუცადოთ აქ დღეს ხვალინდელს“.



- ვიწრო ბილიკი მიყვებოდა მთის ზღურბლს ბარისკენ,  
 71 და გააკებას მივეახლეთ ჩვენ იმ კილიდან  
 სადაც ფერდობი სანახევროდ ამორცვილიყო.
- 73 ოქრო, ვერცხლი და კოკოსის გულის სითეთრე,  
 პინდური ხისა სისპეტაკე ჰაეროვანი,  
 75 ხლად დამსხვრეულ სამარაგდოს უცხო ციავი,  
 ყველანი ერთად ამ წალკოტის პირიპირ მდგარი,  
 77 ფერს დაჰკარგავდნენ როგორ მცირე საგნები ხშირად  
 უზომოდ დიდთა სიახლოეს იჩრდილებიან.
- 79 ვახა თუ მარტო ათასნაირ ფერთა სიუხვით  
 შეემყო იგი თვით ბუნებას არამედ აქვე  
 81 მრავალნაირი სურნელება დაკმეულიყო  
 ყვავილთა შორის, აქ მწვანეზე დამსხდარან სულნი  
 83 გალობდნენ ტკბილად, შეწყობილად *Salve Regina*-ს.  
 აქ შეყუთულნი გარს შემორტყმულ მთების უბეში  
 85 „სანამ მნათობი არ დანთქმულა სრულიად ბნელში“.  
 სთქვა მანტუელმა ვინც მოგვიძღვა ამ წალკოტამდის,  
 87 „ნუ თქვენ ნუ მომთხოვთ მიგიყვანოთ მათ სიახლოეს“.  
 „ამ მალლობიდან უკეთ, ნახავთ მათ აღნაგობას,  
 89 „ყველას შეხედავთ და გაარჩევთ თქვენ სათითაოდ“  
 „ვიდრე ტაფობში ჩახვიდოდეთ, ეახლებოდეთ.
- 91 „ემანდ დამჯდარი სულთა შორის, პირმოკმული,  
 „ვინაც ჯაურბის დანარჩენებს ხმა ააყოლოს,  
 93 „არ ეგუება აქ მგალობლის მოვალეობას,  
 იყო ოდესღაც კეისარი მორკმული, რუდოლფ.  
 95 „მას ეს შეეძლო იტალიის იარებისთვის  
 „თვით მოეარა მოეძებნა მათვის, სალბუნი  
 97 „რასაც ვერავენ შესძლებს უკვე ამიერიდან.  
 „ხოლო მეორე ვინაც ნუგეშს ანიჭებს რუდოლფს,  
 99 „მართავდა მხარეს საიდგანაც მოდიან წყალნი  
 „ელბას შერთულნი და აქედან ზღვისკენ მავალნი.
- 101 „მას ოტოკარი ეწოდება და ჯერ აკვანში  
 საესებით ჩვილი უკვე სჯობდა ბედკრულ ვენჩისლავს  
 103 „წვერგაბურძენილსა და ავზორცა მემკვიდრეს თვისას.  
 იმ ცხვირპაქუს, თავაზიან სულთან მოღუბარს

94. იგულისხმება გერმ. იმპერატორი — რუდოლფ პაპსბურგელი.  
 100. იგულისხმება ზოკემილს მეფე ოქტობარ II,  
 101. ტექსტში „ვინცისლავ“ იგულისხმება ვინჩისლავ IV, ზოკემილს მეფე.  
 103. Nasetto — ცხვირპაქუა.



- 105 „განსაცდელისგან ოტებულსა მისწვდა სიკვდილი  
„უკუპტეულმა შეარცხვინა მან შროშანები
- 107 „შებედე იგი მოწყენილი, თავმოდრეკილი  
„რა რივად ოხრავს და ლაწეები ხელის გულელებზე
- 109 „ზედ დაუყრდნია, მისცემია ფიჭის შეენადვლიანს.  
„ერთი მამაა და მეორე სიმამრი მისი,
- 111 „ვინაც საფრანგეთს მოუვლინა უბედურება.  
„ეს ყოველივე დარდით ავსებს ორივეს გულსა.
- 113 „ის გოლიათი მანდ რომ ვალობს ხმაშეწყობილად,  
„მეორე კაცთან არწივისებრ ცხვირის პატრონთან,
- 115 მას ყოველივე სიჭველენი ერთყა საბეღად.  
და ამ ჟამამდის მეფის ტახტი რომ შერჩენოდა
- 117 მის უკან დამჯდარ ფერკმრთალ ჳაბუკს მაშინ სიჭველე  
ერთ ფიალიდან მეორეში გადავიდოდა.
- 119 „ხვა მის მემკვიდრეს აქ ნათქვამი არ შეეხება,  
„ტახტს დაეუფლნენ ფრედერიგო და ჯიაკომო,
- 121 „არც ერთს არ ერგო უკეთესი სამკვიდრებელი.  
„ასე სიკეთე ფესვებიდან ვერ აღწევს შტომდის
- 123 „კაცთა შორისაც იგივეა, მან დაადგინა  
„ვინც მოგვანიჭა, რათა ლოცვით ვეწიოთ ნათელს.
- 125 „და ჩემი სიტყვა დიდ ცხვიროსან მეფეჲაც სწვდება,  
„ასევე პეტრეს, მასთან ერთად იქვე მგალობელს,
- 127 „მასაც ვინც პროვანსს და აპულეთს ჳირი შეჳყარა.  
„და ყლორტი იგი აღარა ჳავს სათესლე მარცვალა
- 129 „თუმცა კონსტანცა უფრო მეტად იქადის ჳმრითა,  
„ვიდრე ოდესღაც ბეატრიჩე და მარგარიტა.
- 131 „ეგერ ჳის მეფე თავდაბლური ყოფაჳკევისა,  
„ჳანრი ინგლისის მბრძანებელი მარტოჳა მჯდარი.
- 133 „თავისი გვარის ნაშვირით კმაყოფილია.  
„ხოლო შემდეგი, ფეხმორთხმულად მიწაზე მჯდარჳ,
- 135 „შაღლა რომ თავს წევს იგი არის მარკიზ გუჲომი.  
„მას დასტირიან მონფერატი და კანავეზე
- 137 „აღესანდრიის დასაპყრობელ ომში დაღუპულს.

### ქება მირაჳი

- 1 ჩამოდგა ეჳში, როს შეზღუჳურთ შინ მობრუნება  
მოენატრებათ, საოცარად გულაჩუყებულთ,

133 — 136. იგულისხმება მონფერატის მარკგრაფი გუჲომო VII, გიბელინეის პარტიის მეთაური. იგი სასტიკად დაამარცხეს ჳალაჳი აღესანდრიას მოქალაქეებმა, გალიაში ჩამწყვდიეს და ამავე ვალიაში მოკედა იგი.



- 3 ან დღე გაყრისა როს დასტოვეს შინაურები,  
და ვაძი იგი სამშობლოდან გადახვეწილებს
- 5 გულაჩვილებულთ მოესმებათ ტკბილი ჭლარუნა  
სალამოს ზარის მომაკვდავი დღის შოტირაღის.
- 7 მე დამისუსტდა ყურთა სმენა, დაეძაბე მზერა  
აზრდილთა შორის მივაშტერდი მყისვე ერთ ერთ სულს
- 9 ზეწამომდგარი ხელს აქნედა მომამინეთო  
აღაპყრო ხელნი აღმოსავლით პირშექცეულმა
- 11 „შენ გეაჯები მე უფალო“ ღალადპყო-სულმა  
მყის ვაჯინაბე მივაპყარი მას გულისყური
- 13 Te lucis ante შემომესმა მის ბაგეთაგან  
ტკბილი გალობა ერუანტელის მომგვრელი ხმითა,
- 15 და მის გამგონეს შემეცნება წამერთო სრულად.  
სხვანიც მას აყენენ სათნოებით აღტკვებულნი
- 17 გალობდნენ ასე ღვთიურ ჰიმნებს ხმაშეწყობილად  
თვალაპყრობილი ციურ სფეროს მისჩერებოდნენ.
- 19 ახლა დაძაბე მზერა შენი მკითხველო ჩემო,  
რადგან აქ რიდე იმნაირად გამსჭვირვალეა,
- 21 რომ შეფარვული აზრის ცნობა არ არის ძნელი,  
შემდეგ მე ვნახე ეს რჩეული სულთა კრებული
- 23 ხმაგაკმენდილი შესცქეროდა მღუმარე ზეცას,  
მოელიანო თითქოს ვინმეს ზესთაზენიდან
- 25 და ორ ანგელოსს თვალი ვკიდე ციდან გადმოსულთ  
ორივეს ხმალი ხელში ეყპრა ცეცხლებრ მგზებარე
- 27 ორთავე მახვილს წამტერეული ჰქონდათ წვეტები  
ახლად ამომსქდარ მწვანისფერი ეცვათ ხიტონი,
- 29 და პარპაშებდნენ მწვანე ფრთენი და ხიტონები  
უკან მოჭქროდნენ ქარისაგან ატოკებულნი.
- 31 ერთი მათგანი ძირს დაეშვა ჩვენ სიაზლოცს,  
ხოლო მეორე ჩვენს პირდაპირ დაჯდა ბეჭობზე.
- 33 ასე რომ სულნი მომწყვედულნი დარჩნენ მათ შორის  
შემეძლო კარვად გამერჩია ქერა თავები,
- 35 მაგრამ სახეთა ბრწყინვალეობამ მე მომჭრა თვალი,  
კაცს ძალას ვართმევს მომეტებულ ღონის დაძაბვა
- 37 „მშობელსა ღვთისას ანგელოსნი მოუგზავნია“  
გვითხრა სორდელომ „ამ ქალაკის დასაფარავად
- 39 რადგანაც გველი სადაც არის გამოჩნდებაო.  
მე არ ვიცოდი თუ საიდან ის მოვიდოდა.

13. Te. lucis ante — დღის ვადასელამდის და სმე. კათოლიკური ლოცვა



- 41 ვიხედებოდი აქეთ-იქით და შევეცაღე  
ძოლად გაყინული ჩემს წინამძღოლს მივახლებოდი
- 43 გეპაცნო სორდელომ დრო არისო ველად ჩასვლისა,  
„დიდთა აჩრდილთა მივეახლოთ და ვესაუბროთ“
- 45 მათ ეს ამბავი უეჭველად გაეხარებდათ.  
სულ სამიოდე გადადგმული გვექონდა ნაბიჯი,
- 47 ძირს ჩამოვვდი და შევნიშნე რომ ვილაკ სული  
მე მარტოოდენ დამაცქერდა, მითვალთვალებდა.
- 49 ვწუხრი ჩამოდგა და სიძრუძე ეახლა ჰაერს,  
ნაგრამ ჯერ კიდევ აჩრდილსა და ჩემს თვალებს შორის
- 51 შესაძლო იყო გაგვრჩიათ საგანი თვალით.  
გამოემართა ჩემსკენ სული, ხოლო მე მიაკენ,
- 53 „ო ნინო, ჩემო, მოსამართლევ კეთილშობილო,  
„როგორ მიხარის წარწყმედილთა შორის რომ არ ხარ
- 55 „ამ წუთში სიტყვაც აღარ გვეოფნის მისასალმებლად“.  
მერმე მკითხავდა, რანაირად, როდის მოხველო?
- 57 ამ თხემის ძირას შორეული წყლების გადმოღმა.  
„დილით მოვედი, ვუპააუხე, ცრემლის დილეგნი
- 59 „მე გადმოვლახე, თუმც ცხოვრება არ დამითმია  
„აქ ვმოგზაურობ სხვა ცხოვრების მოსახვეჭველად“.
- 61 როგორც კი ჩემი ნაუბარი მისწვდა მათ სმენას,  
ახლად მოსული და სორდელო უკუდგნენ მყისვე
- 63 როგორც ეს შემკრთალ ადამიანთ სჩვევია ხოლმე.  
ერთი ვირგილის მიუბრუნდა, მეორე აჩრდილს
- 65 იქვე მჯდომარე: „ჰეჰ, კონრად აღსდევან ჩემო,  
იხილე ღმერთმა რა ინება, რა მოგვივლინა.
- 67 და კვლავ მიმართა: „იმ მაღალი მადლია გულისთვის,  
„რომელიც გმართებს უეჭველად იმის წინაშე,
- 69 „ვინაც იფარავს შეუცდომელ, იღუმელ „რისთვის“  
„როს უკუ იქცე ამ შავეთის წყალთა გადაღმა,
- 71 „სთხოვე ჩემს ძერრფას ჯიოვანნას მიმართოს ლოცვა  
„იმ ადგილისკენ სადაც უცოდველთ მუდამ ეპმენენ
- 73 „მე არა მჯერა რომ დედა მისს კიდევ ვუყვარდე,  
„ოეთრი სამოსი აღზად უკვე შესცვალა სხვამან
- 75 „თუმცა ამ ამბავს ის ინანებს უცილოდ მალე,  
„ეს მაგალითიც საკმარისად ცხადმყოფელია;
- 77 „რამდენ ხანსა სძლებს ჭალის გულში ტრფიალის ცეცხლი,  
„როცა აღერსის და შეხედვის კიდევან რჩება.



- 79 „სამაგიეროდ მის სამარის ლოდს ვერ შეამკობს  
 „მილანელების ღერბის გველი არამედ უფრო
- 81 „მას დაამშვენებს ვალურიის მამლის ფიგურა“.
- 83 ნამდვილი გრძნობის რომელიც ჯერ აგიზვიადება  
 მერმე მორჩილად დაოკდება გონების ძალით.
- 85 და ხარბნი თვალნი მივაპყარი მე უკვე ზეცას  
 სწორედ იმ ადგილს სად ვარსკლავნი ვლიან ნელნელა.
- 87 როგორაც ფერსოს ნაწილები ღერძის მახლობლად.  
 მკითხა მეგზურმა: „შვილო ჩემო რას უმზერ ცაზე?
- 89 მე ვუპასუხე: „მაგ სამ მნათობს, რამაც პოლუსი  
 ეგზომ დიადად გააშუქა და გააბრწყინა
- 91 და მან მომიგო: „დაბე, დაბე, ოთხი ვარსკვლავი  
 წელან რომ ნახე შენი თვალით ღამეულ ცაზე
- 93 ძირს ჩამოეშვენენ და ესენი მათ შეენაცვლენენ“  
 ამას ამბობდა ვირგილიუს, სწვდა მას სორდელიო
- 95 ყვიროდა ცხარედ: გამოჩნდაო ეგერა მტერი!  
 და უჩვენებდა ხელით მეგზურს რათა ეხილა
- 97 და იმ მხარიდან სადაც კიდე არ ჰქონდა ველსა,  
 გამოჩნდა გველი მე მგონია სწორედ იმგვარი,
- 99 რომელმაც ევას მიაწოდა ცთუნების ხილი,  
 ქვეწარმავალმა ყვავილებში გაიშლივინა
- 101 და წარამარა ზურგიაკენ თავს მიიდრეკდა.  
 ილოკდა სხეულს როგორც ნადირთ სჩვევიათ ესა
- 103 მე არ მინახავს არც შემძლო ეს შემენიშნა,  
 როგორ აფრინდნენ ანგელოსნი ანაზღვეულად
- 105 მათი ირაო დაეინახე, ვყავ საცნაური.  
 და რა შეიცნო მწვანე ფრთების ცაში ლივლივი
- 107 განილტეო გველი და ანგელოსთ კვლავ მიაშურეს  
 ისევე თავის საგუშავოს და მუნ დაეშენენ
- 109 ხოლო ის ლანდი, ვინაც წელან ეახლა ნინოს,  
 მისგან ნახმობი, აქ აწერილ ეამის მანძილზე
- 111 გაოცებული მე მიჭერეტდა, მითვალთვალებდა.  
 „დეე ლამპარსა, რომელსაც შენ მიყვებარ ცისკენ,
- 113 „ნუ მოჰკლებია შენივ ნებით საჭირო ზეთი,  
 „ვიდრემდის თვითონ მიაღწევდე ფირუზის ზენას.
- 115 „გვედრი მაუწყო თუ რაიმე გაგიგონია  
 „ვალდი მაგრიან ან მონაპირე მხარის შესახებ
- 117 „მამცნე ყოველი მე ოდესღაც ვფლობდი ამ ჩვეყნებს  
 „იმ ცხოვრებაში მერქვა კონრად მე მალასპინა

- 119 „გთხოვთ არ გეგონო კონრად დიდი, ვარ უმრწემესო“  
მშობლებისადმი სიყვარული აქ გამეწმინდა
- 121 „ვაჰმე“, მიფუგე“ თქვენს ქვეყნებში ჯერ არ ვყოფილვარ  
„მაგრამ ნეტავი სადმე კიდევ თუ დარჩა ხმელი,
- 123 „მთელს ევროპაში შენ ნათესავთ რომ არ იცნობდნენ?  
„თქვენი სასახლიან ნაშიერთა სახელს დიდებას,
- 125 „სენიორების და გმირობის მათის ამბავი,  
„სმენია მათაც ვინაც ჯერაც იქ არ ყოფილა.
- 127 „და გეფიცებით, ზეცად აღსელის ურყვე წადილსა  
„თქვენი ჯილაგის ნაშიერნი არ შეარცხვენენ
- 129 „მათი ხმლისა და ქისის მიერ მოხვეცილ სახელს.  
„სისხლით, წარსულით იყენენისე წარჩინებულნი
- 131 „თუმცა სამყაროს მცდარად მართავს ხელისუფალი,  
„თქვენი გვიარისა ნაშიერნი გზასა მართალსა
- 133 „არ აბცლებიან ბიწიერის უკომგდებელნი“  
ახლა მომმართა: ვიდრემდის მზე მოიქცეოდეს
- 135 „ვერძით დაფარულ სარეცელზე მალალ ეთერში  
„ეს ქველი ზრახვა სამუდამოდ ჩაიჭედება
- 137 „შენს გონებაში უფრო მტკიცე ლურსმნით ნაჭედი,  
„ვიდრე ოდესმე სხვის ნათქვამი და სხვის ნაზრახი
- 139 „უკეთუ მსჯავრი არ შეაწყვალა უზენაესმან“.

### ქება მისხრე

- 1 უკვე ანტიურ ტიტანისა ძველმა მიჯნურმა  
აღმოსავლეთის მკრთალი ღაწვი აღანთო გზნებით.
- 3 და გაეცალა თვის საყვარლის ენებიან ზვევნას  
ამოციმციმდნენ თავის მისის გარშემო თვლები
- 5 და მიემსგავსა ფორმა მათი გაყინულ ცხოველს,  
რომელიც გესლავს ადამიანს თვისივე კუდით,
- 7 და ღამემ ორი აღმავალი გადადგა ბიჯი,  
იმ ადგილს ზემოდ სადაც მაშინ ვიდექით ჩვენა,
- 9 მესამე ნაბიჯს დაეხარა დაბლა მისი ფრთა.  
მე მომერია ამ წუთშიაც ადამის ენება
- 11 და ძილისაგან დაძლეულმა იქვე ჩავთვლიმე  
ხშირ ბალახებში სად ხუთივე ვისხედით მაშინ.
- 13 სწორედ იმ ფამად, რომ მერცხალი განთიადის წინ,  
მოყვება ხოლმე სეველიანად კუთვას და ჭიკჭიკს
- 15 თავის პირველად მწუხარების მოსაგონებლად,  
და სული ჩვენი ხორცისაგან განკერძებული



- 17 და ახატქმნილ ფიჭვებისაგან ნაწილობრივად  
 ეიზიონურული განცხადებით დაიტვირთება,  
 19 მეზმანა ვითომც დაქროლავდა მალლა არწივი  
 ოჭროს ნაკრტენით შემოსილი ციაა ქვეშეთზე  
 21 ფრთებდაწურული დასაშვებად ეშაადებოდა.  
 და მომეჩვენა მიტაცებდა ვითომ არწივი  
 23 ვით განიშედი ვეყრებოდი თავისიანებს,  
 ისეთ წუთებში როცა იგი ღმერთებს მიგვარეს.  
 25 და ვფიჭვობ ჩემთვის ეგებ იყოს ჩვეული იგი  
 აჰ ადგილიდან ნადავლისა გამოტაცებას  
 27 და ახვა ადგილზე არ უნდოდეს წაღება რამის.  
 მერმე მეზმანა ტრიალებდა ასე მცირე ხანს  
 29 უცებ მეხივით გამოქანდა, დაეშვა ველზე  
 და გამიტაცა ამიყვანა. ცეცხლოვან ცაში  
 31 კვლავ მომეჩვენა ჩვენ ორივეს მოგვედო ალი,  
 ზმანება ჩემი კიდევ უნდა შეწყვეტილიყო  
 33 ალბად ასევე გამოფხიზლდა აქილევიცა,  
 თვალს აცეცებდა, აქეთ-იქით იმზირებოდა,  
 35 ვერ ცნობილობდა იგი თავის ადგილსამყოფელს,  
 როდესაც დედამ გამოსტაცა იგი ხირონსა  
 37 მკერდზემიჯრული თან მიჰყავდა მერმე ბერძნებმა  
 სკიროპოსაკენ გაიტაცეს მაშინვე იგი.  
 39 ასევე მეცა შეცარად შევერთი, შევშინდი,  
 მთელი სხეული გამიცივდა, გამიკრთა ფერი.  
 41 როგორც მავანი კაცი კრთომის ელდა ნაცეში,  
 როს გამოფხიზლდი და მომეშვა თვალთაგან თვლემა,  
 43 ჩემს გვერდით იდგა ნუგეშინის მომგვრელი ჩემი  
 ორი საათით მზეს აესწრო ეთერში გასულს  
 45 ხოლო მე თავათ ვიდექ ზღვიაკენ პირშექცეული.  
 „ნუ გეშინია, მეუბნება ჩემი ბატონი,  
 47 დამშვიდდი, უკვე მოვალწიეთ წყნარ ნავთსაყუდელს  
 „ნუ დაძაბუნდი, მოიკრიფე პირიქით ღონე,  
 49 საღზინებელსა მოაღწიე აჰა, ხო ზედავ,  
 „ის მწვერვალები გარსარტყია მთას გაწმენდისას.  
 51 „შესავალიც სჩანს მთა გრეხილთა შორის მდებარე.  
 „გარიყრავისა მიწევამდის, ბინდისა პირზე  
 53 „როდესაც შენში სული სთვლემდა ძილმორეული,  
 „ი მანდ ველის პირს, ყვავილებით მორთულ წალკოტში  
 55 „მოვიდა ჭალი და მომმართა: „მე ვარ ლუჩია,  
 „ნება მომეცი ეს მთვლემარე თან წაიყვანო,



- 57 „მოგეხმარები, ამ გზის განვლას შეგაძლებინებ.“  
 „სორდელი დარჩა წარჩინებულ სულეთან ერთადერთად“
- 59 „შენ წაგიყვანა, როგორც სხივი ბნელს გაეყარა  
 „შეუდგა მალლობს და მივეყვი მის ნატერფალსა.“
- 61 „აქ დაგასვენა; ამის შემდეგ მე შიშითითეს  
 „შშვენიერ თვალთა მისთა კარი აქ განმზადილი“
- 63 „და შემდეგ ორნივე უკუიქცნენ იგი და ძილი“.  
 როგორც რომ კაცი მექოქმანე გაჯიქდეს ნებით.
- 65 და მღელფარება შეეცვალოს გულდაჯერებულს,  
 როს სინამდვილეს აეხსნება პირსაბურველი,
- 67 ასე ვიცვალე მე გუნება განვაგდე იქვი.  
 მნახა ბელადმა ვადმომდგარი ვიყავ ბეჭობზე
- 69 მყის დავიძარით და გავსწიეთ მწვერვალისაკენ.  
 ხომ გრძნობ მკითხველო ვით ამაღლდა ჩემი სუფიტი
- 71 ნურც გაგაკვირებს. ამიტომაც თუ შეტყველება  
 ჩემი შევამყო უფრო დიდს ხელოვანებით.
- 73 ანე ვიარეთ, მივალწიეთ შემდეგ იმ ადგილს,  
 სადაც კლდეები გამოვილად შეჩვენებოდა;
- 75 როგორც კედელი შენგრეული და შელუწილი  
 და აქ ვიხილე მცირე, კარი და საფეხურნი
- 77 ფერადფერადი ქვებისაგან გაკეთებული  
 მუნ სდგა შეკარე, არ იძუროდა, ხმას არ იღებდა.
- 79 თვალის უბენი გამიდიდდა უფრო და უფრო  
 ვნახე ვით იჯდა უკანასკნელ კიბეზე იგი
- 81 ველარ შეეძელი ამეტანა შეხედვა მისი  
 ხელთეპყრა ხმალი მას ვადამდის გაშისვლებული
- 83 სხივთა არისე ციმციმებდა მახვილია პირზე,  
 შრავალგზის ვცადე, მაგრამ თვალი ვერ გავღმართე.
- 85 შემეხშიანეთ შორიდანვე, რად მოსულხართქო?  
 ვვითხრა: „სად არის, ან ვინაა მეგზური თქვენი,
- 87 დასანანებლად არ გაგიხდეთ ზემოდ ამოსულა“.  
 „ზეცის ასული, ვინც იცოდა ეს ყოველივე“
- 89 უთხრა ოსტატმა, „გვაუწყებდა ჩვენ ამას წინად  
 „იქით წადითო, იპოვნეთო მანდ შესავალი“.
- 91 „მაშინ კეთილად წარემართოს სავალი თქვენი“.  
 გვითხრა მეკარემ სათნოების გრძნობით აღვსილმა
- 93 გაბედეთ აწი და მიჰყევით აღმართს კიბისას“.  
 ჩვენ მივეახლეთ ამის შემდეგ პირველ საფეხურს



ერეკლესი  
ბიბლიოთეკა

- 95 ის თეთრი იყო გასიბული მარმარის ქვისგან,  
მასში გამოეჩნდა მთელის ჩემის აღნაგობითა.
- 97 მეორე სპარსულ ფერზე უფრო მოსჩანდა მუქი,  
გაუთლელ ქვისა და ცეცხლისგან ვარს შეტრუსული
- 99 და გაბზარული როგორც სივრძით ისე სივანით.  
შესამე ლოდად დახერგილი ორთავ ზემოდან
- 101 მეჩვენებოდა მეწამული და ალისფერი  
როგორიც სისხლი ძარღვისაგან გამოდენილი
- 103 და სწორედ მასზე შემდგარიყო ორივე ფეხით  
ის ანგელოსი მოგუშაგე ქიშკარის ზღურბლთან,
- 105 და კარი იგი ანდამატის ქვედ მომეჩვენა.  
ჩემმა მეგზურმა ამიყვანა სამ საფეხურზე
- 107 მითხრა ილოცე სათნო გულით თავმოდრეკილმან  
რათა უფალმა თვით განახნოს ქიშკარი ესე.
- 109 სამგზის დავირტყი გულზე ხელი თავდაპირველად  
მერმე დავეცი ზეციური შიკრიკის ფერხთით
- 111 და შევევედრე შევეწყალე განეხნო კარნი  
და დამიხაზა ანგელოსმა შვიდგზის ასო P
- 113 შუბლზე და მითხრა გაისარჯე როცა შეხვიდე,  
იმ ვალავანში მოიბანე წყლულები მყსვე
- 115 მტუტა ან მიწა გუთნის მიერ გამოლადრულა  
ემგვანებოდა მის სამოსელს და წამოსასხაწს
- 117 და ორი კლიტე ამოიღო ზეცის შიკრიკმა  
ერთი ოქროსი და მეორე იყო ვეცხლისა,
- 119 ჯერ თეთრი კლიტით, ხოლო შემდეგ ფერად ყვითელით,  
შესდო მოქლონში, ამ ამბავმა მე გამახარა
- 121 უკეთუ ერთიც კლიტეთ შორის არ მობრუნდება,  
თუ თავისუფლად არ მოიქცეს მოქლონის შვიტით,
- 123 გვამცნო მეკარემ: დახურული იქნება ვზაო.  
„უფრო ძვირფასი პირველია, ხოლო მეორით
- 125 „კარის ვალებას უნდა დიდი გამოცდილება,  
„რადგანაც იგი თვით კავშირთა განმთიშველია.
- 127 „პეტრემ გადმომცა მიანდერძა სჯობს შფმეშალოს  
„მათი ვალება, ვრდრე მათი კლიტით დაკეტვა,
- 129 ოლონდ ჩემს ფერხთით თავს იდრიკდნენ აქ შემოსულნი“.  
შემდეგ ამისა, მან განახნო წმინდა ბჭეები,
- 131 გვითხრა: „შემოდით, მაგრამ ერთი გახსოვდეთ მხოლოდ  
„უკან მომხედნენ მოუხდება გამობრუნება“.



- 133 მაგრამ როდესაც დაეანგული კარის რაზეში  
დაიძრენ მძიმედ, აჭრიალდა მძიმე სპილენძი,  
135 და ურდულებმა გაადინეს მყია ყრუ ელარუნი  
ასე ტარპეის მძიმე ბჭენიც არ გრუხუნებდნენ  
137 როდესაც ძალით მოაშორეს კარებს შეტევი  
და ამის შემდეგ გაძარცული დარჩა საუნჯე  
139 ამ ხმაურობამ მე შემაკრთო და გამოვბრუნდი  
და შემომესმა Te Deum laudamus  
141 და ამ გალობას უტკბილესი ახლდა მუაიკა  
ამ გალობაში სწენას ჩემსას ეჩვენებოდა  
143 როგორც ეს ხშირად შეფმთხვევა ხოლმე წასმენალს,  
როცა ორგანის ხმას სიმღერას ააყოლებენ  
145 ხან საცნური ხდება სიტყვა და ხანაც არა

კონსტანტინე გამბახურდიას  
მიერ თარგმნილი



ი. ბრაინინი

## ესპანელი ხალხის ავტონომიური ნაჩსუდი

ესპანელი ხალხის ისტორია, — იმ ხალხის ისტორია, რომელიც ამჟამად თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გამართულად იბრძვის ფაშისტ მეთაურობითა წინააღმდეგ, მდიდარია ხალხის მასების რევოლუციური გამოსვლებით. ესპანელი ხალხის რევოლუციური ტრადიცია მომდინარეობს ჯერ კიდევ ქალაქების აჯანყებიდან აბსოლუტურ-თავადაზნაურული თვითნებობის წინააღმდეგ მე-16 საუკუნეში (ე. წ. კომუნეროსების აჯანყება), დაჩაგრული ეროვნების (კატალონელების) აჯანყებიდან მე-17 საუკუნის შუა წლებში. მაგრამ განსაკუთრებით მკვეთრად ამ ტრადიციამ თავი იჩინა პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის (1808 წელს) დროს, რომელიც გაიშალა საფრანგეთის მე-18 საუკუნის დამლევის რევოლუციის შემდეგ.

აი რატომ ვიწყებთ ჩვენს მოკლე ნარკვევს ესპანელი ხალხის რევოლუციური წარსულის შესახებ სწორედ ამ პერიოდიდან.

რას წარმოადგენდა ესპანეთი იმ დროისათვის?

ბურჟონების აბსოლუტური მონარქია ფეოდალურ წესებს ეყრდნობოდა, მაგრამ რამდენადმე იგი მოწადინებული იყო ბურჟუაზიის ინტერესებისთვისაც გაეწია ანგარიში. აბსოლუტიზმი ცდილობდა დაეცვა მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობა ბურჟუაზიისაგან, რომელიც თავს უკვე მალეა სწევდა. ეს აფერხებდა მრეწველობის განვითარებას და იწყებდა მცირერიცხოვანებას პროლეტარიატისას, რომელიც ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა მკვეთრად ჩამოყალიბებულ კლასს. ხალხის მთავარ მასას შეადგენდა გლეხობა, რომლის შორისაც, საფრანგეთის 1789—1794 წლების ბურჟუაზიული რევოლუციის გავლენით, გაცხოველდა მიწის მიწებისა და ფეოდალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების იმედი.

უმიწა-წულოდ დატოვებული გლეხობა ესპანეთში მეტად მძიმე მდგომარეობას განიცდიდა. მე-18 საუკუნის დამლევის ცნობების მიხედვით,

ეკლესიას ეკუთვნოდა 9.093.400 არპანი \*) მიწა, ხოლო თავად-გლეხობას — 28.306.700 არპანი. ამავე დროს მთელ გლეხობაზე დაკისრებულია მხოლოდ 17.599.000 არპანი. ანუ იმის 45 %, რასაც გლეხობა უნდა უკუფიქსებდეს. იჯარას და გადასახადს მოსავლის ხუთი მეექვსედი უნდებოდა. მემამულეების ხელში იყო სხვადასხვა მონობრილია.

მემამულეებს გარდა გლეხობას ძალზე სწავრავდა ეკლესიაც. 1789 წლის ცნობებით, ესპანეთში 10,5 მილიონ მცხოვრებზე მოდიოდა 91 ათასი მღვდელი, 92 ათასი ბერი და მოლოზანი. მე-19 საუკუნის დასაწყისში ესპანეთის მიწის ფონდის ლირებულება უდრიდა 11,5 მილიარდ პეზეტს \*\*). ამასთან ეკლესიის მიერ დასაკუთრებული მიწა შეფასებული იყო 3,1 მილიარდ პეზეტად, ე. ი. შეადგენდა მთელი მიწის ფონდის თითქმის მესამედს.

მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას მხედრობის ჩაგვრაც, რომლის ზედაფენა მჭიდროდ იყო შეზრდილი და დაკავშირებული მსხვილ მიწათმფლობელობასთან.

შიმშილი და მოუსავლობა უკანასკნელ ძალას აცლიდა გლეხობას: იგი აიძულებდა გლეხობას მემამულეებისაგან ეყიდა პური, რომლის ფასიც, განგებ ვადიდებული, რევოლუციის მომენტისთვის ზოგჯერ 40-დან 400 რეალამდე \*\*\*)) აღწევდა. მეტის-მეტად მძიმე მდგომარეობა აძლიერებდა გლეხობის რევოლუციურ განწყობილებას.

მიუხედავად მრავალი, როგორც შინაური, ისე საერთაშორისო, დაბრკოლებისა, რევოლუციური მოძრაობა ესპანეთში არაჩვეულებრივი ძალით ვაიშალა. ხელი შეუწყო ამას ესპანელი ხალხის ნაციონალურ-რევოლუციურმა ბრძოლამ ესპანეთში შექრილ ნაპოლეონის ჯარის წინააღმდეგ.

დაპყრობითი გეგმების განსახორციელებლად დასავლეთ ევროპაში. ნაპოლეონმა თავისი ჯარი ესპანეთშიაც შეიყვანა. რათა უფრო წარმატებით განეხორციელებინა ესპანეთის დამორჩილება, ნაპოლეონმა გადააყენა ესპანეთის მეფე და მის ნაცვლად მეფედ თავისი ძმა ჟოზეფ ბონაპარტი დანიშნა.

ესპანეთის გაბატონებული კლასი მზად იყო შერიგებოდა როგორც ახალ მეფეს, ისე ნაციონალურ ჩაგვრას.

„ხელშეწყობა, — ეუბნებოდა ბონაპარტეს გრანდთა დეპუტაციის მეთაური ჰერკოგი ინფენტადო, — ესპანეთის გრანდები მუდამ განიჩიოდნენ თავიანთი ერთგულებით მეფისადმი; როგორც წინათ,

\*) არპანი უდრის 4.000 კვადრატულ მეტრს.

\*\*)) პეზეტი პარიტეტის მიხედვით უდრიდა 37,5 კაბიკს.

\*\*\*)) რეალი. იმ დროს გავრცელებული ფული, უდრიდა 9 კაბიკს.

თქვენი უდიდებულესობა ეხლაც კპოებს მათში ერთგულად და მორჩილებას\*.

ერქენული

მაგრამ იმ დროს, როდესაც გაბატონებული კლასი ქედს უწიდა და პყრობელის წინაშე და ემუდარებოდა მას მხოლოდ ძველი პრივილეგიებისა და შეღავათების შენარჩუნებას, ესპანელი ხალხი ფეხზე დადგა თავისი ნაციონალური ინტერესების დასაცავად.

პირველად ასტურელები აჯანყდნენ. 1808 წლის 24 მაისს, შუალამისას, გაისმა ხარების გუგუნი ოვიედოში და ხალხმა, ცეიხაუზიდან გატაცებული იარაღით ხელში, ოში გამოუცხადა ნაპოლეონს. ასტურიას სარაგოსმა მიბაძა. ქალაქს გლეხები მიეშველნენ. ფრანგმა გენერალმა ლეფევრმა მაინც მოახერხა ქალაქში შესვლა, მაგრამ ვიწრო ქუჩებში ხალხი ტყვიით, ქვებით და კეტებით შეხვდა. ფანჯრებიდან და სახურავებიდან ქალები მღულარე წყალს ასხამდნენ ფრანგ მეომრებს. ყოველი სახლის აღეზა ფრანგებს ბრძოლით უხდებოდათ. გენერალმა ლეფევრმა ვერ გაუძლო ამ წინააღმდეგობას და უკან დაიხია. 1808 წლის 17 ივნისს, როდესაც ფრანგებს მასველი ჯარი შეემატათ, გენერალმა ლეფევრმა წინადადება მისცა ქალაქს — დამორჩილებოდა, „წინააღმდეგ შემთხვევაში მთელ მოსახლეობას ამოვკლეტავთ“. სარაგოსის მეთაურებმა ხალხის კრება მოიწვიეს, და როდესაც ეს ულტიმატუმი გამოუცხადეს და ჰკითხეს, განვაგრძოთ თუ არა ქალაქის დაცვაო, მთელმა ხალხმა ერთხმად — და ერთსულოვნად შესძახა — სიკვდილამდე განვაგრძობთ ბრძოლასაო. ქალაქს ალყა შემოარტყეს და როდესაც 2 ივლისს ფრანგებმა კვლავ მიიტანეს იერიში, მთელი მოსახლეობა — მოხუცები, ქალები და ბავშვებიც კი — ისე გააღმაყებულნი იბრძოდა, რომ ფრანგი ჯარი იძულებული გახდა ისევ უკან დაეხია.

სარაგოსის მაგალითმა ძალზე გაამხნევა მთელი ესპანელი ხალხი. იგი დარწმუნდა თავის ძალ-ღონეში. აჯანყდა ვალენსია, კორდოვა, — და მალე მთელი ესპანეთი აჯანყების აღში გაეხეზა. ყველა თავგამოდებით იბრძოდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. 1808 წლის 20 ივლისს ყოზზე ბონაპარტე, მონტრად ქედმოხრილი, ესპანელი გრანდებით. — ხალხის ამ მოღალატეებით გარსემორტყმული, მადრიდში შევიდა. მაგრამ 1808 წლის 31 ივლისს აჯანყებული ხალხის შეტევამ უკვე აიძულა ყოზზე ბონაპარტი მადრიდიდან ბურგოსში\*) გაქცეულიყო.

ამრიგად, — სწერს მარქსი, — მოხდა ის, რომ ნაპოლეონი, რომელიც თავისი დროის ადამიანთა მსგავსად, ესპანეთს უსიციოებლო გეამად სთვლიდა, საბედისწეროდ და თავისდა ვასაოცებლად უნდა დარწმუნებულიყო, რომ, თუ ესპანეთის სახელმწიფო მკვდა-

\*) ქალაქი, სადაც ამჟამად იყოფება მუამბოზე ფაშისთა ცენტრალური ხუნტა.



რი იყო, ესპანეთის საზოგადოება სიცოცხლითა და ძალ-ღონითა იყო აღსავსე, რომ ამ საზოგადოების ყოველ ნაწილში უნდა აღმდგომლობის ძალა დედდა და გადმოღულდა“ \*).

ესპანეთის გაბატონებული კლასები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ ამისათვის, რათა ხალხი თავისი გავლენის ქვეშ პულოლდით, მათ თავიანთი თავი ესპანელი ხალხის ინტერესების დამცველად გამოაცხადეს. იმ განსაზღვრით, რომ პირველ შემთხვევისთანავე გაეცათ ეს ინტერესები.

ესპანელი ხალხის გმირული წინააღმდეგობა ხელს უშლიდა ნაპოლეონის დაპყრობითი გეგმების განხორციელებას: ყველაზე მეტად მას აცოფებდა „მაწანწალების“ გამოსვლა, როგორც იგი ესპანელ ხალხს უწოდებდა, მაშინ, როდესაც გაბატონებული კლასები მზად იყვნენ მასთან შეთანხმებაზე. ნაპოლეონმა გააძლიერა თავისი შეტევა, იგი არაფერს ზოგავდა ხალხის მოძრაობის ჩასახშობად, მაგრამ მის მიერ გავზავნილ ახალ პოლკებს გააღმასახებელი წინააღმდეგობით ხედებოდნენ გლეხები. მუშები და ქალაქების წვრილი ბურჟუაზია. საკმაო იყო გამოჩენილიყო სადმე ფრანგთა რაზმი, რომ ხარის რეკა მოუწოდებდა ხალხს, და იწყებოდა თავგამოდებული ბრძოლა. ნაპოლეონის ჯარი ამარცხებდა გერმანიელებს (პარტიზანებს) ერთ ადგილას, მაგრამ პარტიზანული რაზმები სხვა ადგილებში ჩნდებოდნენ.

განსაკუთრებულ დაბრკოლებას წააწყდნენ ფრანგები კატალონიაში და ბასკების პროვინციებში. ხეობები და ღრმა ლეღები არა ერთხელ გადაქცეულა საფრანგეთის რაზმების საფლავებად. გადარჩენილ ფრანგებს ყოველთვის შიმშილი მოელოდათ, რადგან მოსახლეობა უარს ამბობდა საკვების მიწოდებაზე.

ნაპოლეონის გამოცდილი გენერლები უკან იხევდნენ ხალხის მასების ამ გააღმასახების წინაშე. მთებით და გორებით დასერილი თვით ტერიტორია ესპანეთისუ ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა აჯანყებულ მტერთან ბრძოლაში. ნაპოლეონის მარშალი კელერმანი, ვალმის ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე 1792 წელს, როდესაც ფრანგებმა პრუსიის ჯარი დაამარცხეს, აცხადებდა:

„ამაოდ ცდილობდა ამ გველეშაპის თავების მოკვეთას: ისინი ხელახლა ჩნდებიან ხან აქ, ხან იქ... ხანგრძლივად ვერ ვანერხებოთ ამ დიდი კუნძულის დამორჩილებას... მე იმ აზრს დავადექი, რომ აქ ჰერკულესის თავი და ხელია საჭირო.“

მარშალი ლანი, რომელიც წინათ ნაპოლეონს ეგვიპტისა და იტალიის ლაშქრობაში ახლდა, სწერდა იმპერატორს:

\* ) კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. თხ. ტ. X, გვ. 722.

„ხელმწიფე! ეს სრულებით არ არის ის, რაც ჩვენ ომში გეისწავლია. მე არსად არ მინახავს ასეთი თავგამოდება, უბედურნი ისეთი სიშმავეთ იცავენ თავს, როგორც წარმოდგენილია. მე თითონ მინახავს, როგორ იმეტებდნენ ქალები თავს სასიკვდილოდ... ეს ისეთი ომია, რომელსაც ძრწოლაში მოჰყავს ადამიანი.“

ნაპოლეონი ცოფებსა ჰყრიდა ესპანელ ხალხთან ბრძოლაში საფრანგეთის ჯარის ნელი მოქმედებისა და მისი საომარი ოპერაციების მცირე ეფექტიანობის გამო. „ჩემ ჯარს სარდლობენ არა გენერლები, არაყედ ფოსტმეისტრები“-ო, აცხადებდა იგი. ბოლოს, 1808 წლის 5 ნოემბერს, ესპანეთში მყოფ თავისი არმიების გასამხნეველად, თითონ ნაპოლეონი გამოცხადდა ესპანეთში ახალი ჯარის თანხლებით. მთელი ძალების დაძაბვის შემდეგ ნაპოლეონმა კვლავ ჩაიგდო მადრიდი ხელში, კვლავ დაიპყრო ქალაქები, გადააყენა თავისი მშა და ესპანეთის მეფედ თავისი თავი გამოაცხადა. მაგრამ უკვე 1809 წლის იანვარში გარემოებამ აიძულა იგი პარიზში დაბრუნებულიყო. ესპანეთში კი სახალხო მოძრაობა უფრო და უფრო იზრდებოდა. ნაციონალურ-გამათავისუფლებელ ომში ახალი და ახალი მასები ებმებოდნენ.

სარაგოსმა კვლავ უჩვენა ყველას გმირობის მაგალითები. სარაგოსი თავისი 55 ათასიანი მოსახლეობით დღე და ღამ ამგარებდა ქალაქს. ქუჩები ბარიკადებით და თხრილებით დაფარეს. ქვემო სართულები ჩაქედეს, ხოლო ზემო სართულები სიმაგრეებად გადააქციეს. გლეხობა სურსათ-სანოვავეთ ეხმარებოდა ქალაქს.

- 1808 წლის დეკემბრის დამლევს, ე. ი. პირველი ალყის ხუთი თვის შემდეგ, ფრანგი გენერალი ჟუონო თვრამეტი ათასიანი ჯარით კვლავ ეწვია ქალაქს. დიდი დანაკლისის შემდეგ ფრანგებმა ბოლოს, როგორც იყო, მოახერხეს ქალაქში შესვლა. მაგრამ ყოველი სახლის აღებაზე მთელი დღეები იკარგებოდა. სახურავებიდან და ფანჯრებიდან მღულარე წყალს ასხამდნენ, ტყვიას უშენდნენ და ქვებს ეწროდნენ. რაკი იეროშით ვერაფერი, გააწყეს, ფრანგებმა იწყეს სახლების აფეთქება. მაგრამ მოსახლეობა თვით აჩენდა ცეცხლს და ხანძრებით აფერხებდა ფრანგების წინსვლას. ორი კვირის განმავლობაში ფრანგებმა ძლივს შოახერხეს სამი ქუჩის აღება.

თუმცა ნაპოლეონმა გააუქმა საბატონო სასამართლოები, წამება და მებატონეთა ცალკეული პრივილეგიები, მაგრამ ნაპოლეონის ჯარის ძარცვა-გლეჯა და მოსახლეობის ფართო მასების ნაციონალური გრძნობის უგულვებლყოფა ყველგან. მეტადრე გლეხობის შორის, დიდ აღშფოთებას იწვევდა. რევოლუციური აღტყინება მთელ ესპანეთს მოედო. დაარსდა პროვინციული და საოლქო ხუნტები (კრებულები). ნაციონალურ-რევო-

ლუციური მოძრაობა ესპანეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის დასაწყისად გადაიქცა. გლეხობა ამ რევოლუციას უკავშირდებოდა მიწის მიღების იმედებს. მაგრამ მასების ამ ალტყინებამ აიძულა მთავრობის ურთავხილად ყოფილიყო. იმ დროის ესპანეთის სუსტი მთავრობის განვითარების გამო, ბურჟუაზია იქ არ წარმოადგენდა ისეთ მსხვილ ძალას, როგორსაც საფრანგეთში. ამასთან თუმცა მსხვილი ბურჟუაზია გამოდბოდა მომჭირნეობის მომხრედ სახელმწიფო აპარატში და სამეფო კარის ხელგაშლილობის წინააღმდეგ, მაგრამ რაკი იგი სიმდიდრეს იძენდა იმ სესხებზე, რომლებსაც იგი სახელმწიფოსა და საადგილ-მამულო არისტოკრატის აძლევდა, თავს ამ უკანასკნელებთან დაკავშირებულად სთვლიდა. ხუნტებში მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელი ფეოდალისების წარმომადგენლებთან ერთად ძველი წესების შენარჩუნებისთვის იბრძოდნენ. მსხვილი ბურჟუაზია თანახმა იყო ისეთი რეფორმისა, რომელიც გააუქმებდა ყველა იმ დაბრკოლებას, რაც ხელს უშლიდა მას საადგილ-მამულო არისტოკრატისთან თანასწორი მდგომარეობა დაეჭირა.

აქტიურ ხელმძღვანელად მზარდ რევოლუციურ მოძრაობაში ბურჟუაზიული ინტელიგენცია იყო. მაგრამ არც ის მიდიოდა ხალხთან ერთად ბოლომდე. მაშინაც კი, როდესაც ნაციონალ-რევოლუციური მოძრაობის ტალღა განსაკუთრებულად აზვირთდა, ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ ვერ მოახერხა მასების ეს მოძრაობა ფეოდალისების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის კალაპოტში ჩაეყენებინა, როგორც მსგავს შემთხვევაში მოიქცა საფრანგეთის ბურჟუაზიული ინტელიგენცია.

ამან განსაზღვრა სრისუსტე როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხუნტებისა, რომლებსაც აესებდნენ თავდაპირველი უმაღლესი სამღედლეობა, დიდი ჩინოფნიკები, და ეს იმიტომ, რომ ბურჟუაზია და ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელნიც მასებს მეთაურობდნენ, ვერ ბედავდნენ თავიანთი თავი დაეპირისპირებინათ მათთვის. ხუნტები ანულებდნენ ხალხის ენტუზიაზმს, ამცირებდნენ მის ბრძოლის უნარიანობას. დამახასიათებელია, რომ ბურჟუაზია არც კი ცდილა ნაციონალურ მთლიანობის დაცვას, იგი ურიგდებოდა ფეოდალურ დაქსაქსულობას.

„ცენტრალური ხუნტა. — სწერს მარქსი, — გარდა იმისა, რომ მკვდარ ტვორთად დასწოლოდა ესპანეთის რევოლუციას, იგი ამკარად კონტრევოლუციის სასარგებლოდ მოქმედებდა: აბრუნებდა ადგილებზე ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს, კვლავ სკედავდა დამსხვრეულ ბორკილებს, ცდილობდა რევოლუციის აღის ჩაჭრობას ყველაგან, სადაც იგი იფეთქებდა. უმოქმედოდ იჯდა და სხვების მოქმედებასაც ხელს უშლიდა“ \*).

\*) ვ. მარქსი და ფ. ენგელი. ობზ. ტ. X. გვ. 739.



იმ ხანებში მოწვეულმა კორტესებმაც სისუსტე გამოიჩინეს. მაგალითად იმისა, რომ ბურჟუაზია გლენობას დაყრდნობოდა და ამის კონსტიტუცია უპირატესობა მოეპოვებინა, იგი დათმობაზე მიდიოდა მსხვილი მიწათმფლობელებისა და ძველი ბიუროკრატიული ჩინოვნიკების სასარგებლოდ. ხალხის მასების ზეგავლენით კორტესებმა გაბედული გადაწყვეტილებები მიიღეს, მაგალითად, გააუქმეს ინკვიზიცია და მთელი რიგი ფეოდალური პრივილეგიები (სანადირო და სათევზაო უფლება, უფლება დაფქვისა და სხვა), მიიღეს 1812 წლის კონსტიტუცია, მაგრამ იმავე დროს ხელუხლებლად დასტოვეს მეფისა და ეკლესიის უფლებები და ამით კარი გაუღეს რეაქციას.

რეაქციის გაძლიერებას ხელს უწყობდა ნაპოლეონიც, რომელმაც მდგომარეობამ, რომელიც შედეგად მოჰყვა დაწყებულ მარცხებს, აიძულა ნაპოლეონი ხელი აეღო ესპანეთზე და გაენთავისუფლებინა მასთან ტყვედ მყოფი მეფე ფერდინანდი. იმ პირობით კი, რომ ფერდინანდი არ შეთანხმებოდა ინგლისს და სავაჭრო ხელშეკრულება დაედო საფრანგეთთან. 1813 წლის 22 მარტს ფერდინანდ მეშვიდე ესპანეთში დაბრუნდა, ხოლო შემდეგ მან ერთი კალმის მოსმით გააუქმა კორტესების ძიერ ძილებული კონსტიტუცია და აღადგინა ინკვიზიცია და ძველი წესები. ხალხი, რომელმაც თავის ზურგით გმირულად გადაიტანა რევოლუცია, გაბატონებული კლასის გამცემლობის მსხვერპლი გახდა.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ძირითადე ამოცანება და, პირველ რიგში მიწის საკითხი, რომელთა გადაწყვეტაც ვერ შესძლო 1808 — 1812 წლების ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, შემდგომი რევოლუციების დღისწესრიგში დარჩა, მეტიც: ისინი დღემდე გადაუწყვეტელი დგაზან ესპანეთის წინაშე.

შემდეგი ბურჟუაზიული რევოლუცია (1820 — 1823 წლებში) იწყება როგორც „სამხედრო რევოლუცია“, როგორც „პრონუნციამენტო“ — სამხედრო შეთქმულება, რომელზედაც ჯარი მიდიოდა არა შეგზებულად, არამედ უფროსთა პრესტიჟის დასაცავად. \*) 1820 წელს სამხედრო იჯანყებას მეთაურობდა ორი ოფიცერი: რიეგო და კიროგა.

პოლიტიკური ატმოსფერო უკმაყოფილებით იყო გავლენთილი, ამიტომ გამოსვლა, რომელიც პირველ ხანებში წმინდა სამხედრო ხასიათს ატარებდა, მასობრივ მოძრაობად გადაიქცა: დაიწყო გლენობისა და გალისიის, ვალენსიის, სარაგოსის, ბარსელონის და სხვა ქალაქების ბურ-

\*) ეს „სამხედრო რევოლუცია“, შემდეგში 1825 წელს, მაგალითად გადაიქცა რუსი დეკაბრისტების იჯანყებისათვის.

ეუაზიის ნაწილის ახალი აჯანყება. ხალხმა კვლავ აღიარა მეფის მიერ გაუქმებული 1812 წლის კონსტიტუცია. მადრიდში ხალხმა განაგრძო რა ინკვიზიცია, ხოლო შემდეგ, სასახლესთან თავმოყრილმა მეფე ხელი მოეწერა კონსტიტუციის შემოღების აქტზე. მიუხედავად ყურები ცქვითა. მეფეებმა, რომელთაც რევოლუცია საფრანგეთის ტახტზე ბურბონების აღდგენის შემდეგ საბოლოოდ ჩაქრობილი ეგონათ, ერთბაშად, ახალი საფრთხე დაინახეს: ესპანეთი იმუქრებოდა რევოლუციური ნაპერწყლების გადასროლას სხვა ქვეყნებში. მეფე ალექსანდრე I, რომელიც ტონს აძლევდა „სამღვთო კავშირს“<sup>\*)</sup>, დაუყოვნებლივ ჩარევას, მოითხოვდა. მეფის მინისტრი გრაფი ნესელროდე 1820 წლის 20 აპრილს ალექსანდრე პირველის სახელით სწერდა „სამღვთო კავშირის“ სხვა წევრებს:

„განა მოკავშირე ხელმწიფეებმა, საფრანგეთის რევოლუციურ უკანასკნელი ნაშთების აცილების შემდეგ, თავიანთ მოვალეობად არ ჩასთვალეს — არ დაუშვან, რომ ამგვარი ქარიშხალი მესამედ ეწვიოს ევროპას? განა საჭირო არ არის გავახსენოთ ეხლა ესპანეთის მთავრობას მოკავშირეთა პრინციპები? დეე იცოდეს მან, რომ ჩვენი საერთო აზრით, ევროპის გადარჩენა და კეთილდღეობა მოითხოვს, რომ ეს ბოროტება (მარტის ამბები) გამოსწორებულ იქნას, რომ ეს ლაქა ჩამორეცხილ იქნას, რომ ეს მაცდურება აცილებულ იქნას.“

ესპანეთის ბურჟუაზიამ, ისევე, როგორც წინა რევოლუციის პერიოდში, არ გამოიყენა მოძრაობა იმისთვის, რომ დაეცხო ფეოდალური თითოერთობისათვის და ამით აემხედრებინა ხალხის მასები რეაქციის წინააღმდეგ. „სამღვთო კავშირის“ გადაწყვეტილების შესასრულებლად, ანგულემის პერკოვი 100-ათასიანი ჯარით ირუნთან ესპანეთის საზღვარს გადავიდა და მადრიდისკენ გაემართა. კორტესებმა, სადაც ვაზატონებულ როლს ბურჟუაზია თამაშობდა, საჭიროდ არ ჩასთვალეს ნოგერიების საქმის სათანადოდ მოგვარება, მათ მხოლოდ გერილიერებს მიანდეს პარტიზანული ომის დამოუკიდებლად წარმოება. იმავე დროს კორტესები გულმოდგინედ იცავდნენ მეფის „ღვთაებრივ პიროვნებას“ მიუხედავად მეფის აშკარა ლალატისა, იგი კორტესებმა თან წაიყვანეს სევილიაში. „სამღვთო კავშირის“ დახმარებით ზურგმომავგრებული და მადრიდში დაბრუნებული მეფე სასტიკად გაუსწორდა რევოლუციონერებს: ძველი წესების აღდგენას თან სდევდა მასობრივი სასჯელი. სიყ-

\*) ეს კავშირი 1815 წელს, ნაპლეონის დამარცხების შემდეგ, დასდეს რუსეთის-ამერატორმა ალექსანდრე პირველმა და ავსტრიის და პრუსიის მეფეებმა ლეგიტიმისტური მონარქისტული წყობილებისა და ქრისტიანული რელიგიის შესანარჩუნებლად. 1818 წლიდან მოკავშირეებს საფრანგეთის მეფეც შეუერთდა.

დილით დასჯილთა შორის იყო რიეგოც. მის, როგორც დემოკრატიისათვის მებრძოლის, სახელს დღემდე იგონებს ესპანელი ხალხი.

ბურჟუაზიის გამცემლობის შედეგად მეორე ბურჟუაზიული რევოლუცია (1820 — 1823 წლების) ისეთივე მარცხით დამთავრდა, როგორც პირველი რევოლუცია.

მხედრობა დიდ როლს თამაშობდა ესპანეთის მთელი ისტორიის მანძილზე. მხედრობის შედეგად ყოველთვის მკიდროდ იყო დაკავშირებული მსხვილ პოლიტიკურებლობასთან, რომელიც ცდილობდა არმიის თავის იარაღად გამოყენებას. გენერლებისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირთა რიცხვი მეტად დიდი იყო ესპანეთის არმიისში.

ესპანეთის მე-19 საუკუნის პირველ რევოლუციაში, რომელმაც 1808 წლიდან 1814 წლამდე გასტანა, და მეორე რევოლუციაში, რომელმაც 1820 წლიდან 1823 წლამდე გასტანა, დიდი როლი ითამაშა პროგრესულმა ოფიცრობამ. ეს ოფიცრობა ხშირად გერმანიელებს უკავშირდებოდა, მაშინ, როდესაც რეაქციური გენერალიტეტის დეპუტატის მეთაურობა პერსონალურად დელ პარკომ 1808 წელს ეოზეფ ბონაპარტეს არმიის სახელით შორჩილება გამოუცხადა. რევოლუციური ტალღის დაცრომის შემდეგ რეაქციის ზრდის პირობებში, კვლავ იმარჯვებდნენ რეაქციური გენერლები, რომელნიც მთავრობას თავიანთ პოლიტიკას ახვევდნენ თავზე. ეს პოლიტიკა კი უმთავრესად თავად-აზნაურთა და მემამულეთა ამათუ იმ ჯგუფების ინტერესებს იცავდა.

მხედრობის და კერძოდ გენერალიტეტის დიდი როლი აიხსნება ესპანეთის ისტორიული განვითარების სპეციფიკური პირობებით.

„ამ მოვლენას, — სწერს მარჭი, — ორი მიზეზი აქვს. პირველი — ჩვენ ვხედავთ, რომ ის, რასაც თანამედროვე აზრით სახელმწიფოს ვუწოდებთ, ხალხის ცხოვრების პროვინციალური კარჩაკეტილობის მეოხებით ნაციონალურ განხორციელებას, წინააღმდეგ საძეფო კარისა, კბობდა მხოლოდ არმიისში. მეორე — ესპანეთის განსაკუთრებულმა მდგომარეობამ და ომებმა ნახევარ კუნძულზე შექმნეს ისეთი პირობები, რომლებსც დროსაც ყოველივე ცხოველმყოფელი ესპანელ ეროვნებაში თავს იყრინდა მხოლოდ არმიისში. ამრიგად, ერთად-ერთი ნაციონალურ მოძრაობები (1812 და 1822 წლებში) მისგან მომდინარეობდნენ; ამის განო მოძრაობის უნარით აღჭურვილ ნაწილს ერისას არმია მიაჩნდა ყოველი ნაციონალური აჯანყების ბუნებრივ იარაღად. მაგრამ შფოთიან პერიოდში — 1830 წლიდან 1854 წლამდე — ესპანეთის ჭალაქებისათვის ცხადი გახდა, რომ არმია, ნაცვლად იმისა, რომ წინანდებურად მხარი დაუჭროს ნაციის საქმეს, გადაიქცა იმ პატივ მოყვარულთა მე-



ტოქეობის იარაღად, რომელნიც ცდილობდნენ სამეფო ძარის სამხედრო მეურვეობის ხელში ჩაგდებას\*).

მხედრობის წარმომადგენელი იყო, კერძოდ, გენერალი ესპარტერო. რომელიც 1834 წლის სამხედრო აჯანყებამ მოვლენათა სათავეში მოაქცია, „დემოკრატიულ“ სამოსში გახვეული, კამაროლით გარშემორტყმული ესპარტერო დიქტატორად გახდა; იგი ცდილობდა ხიდის გადებას ბურჟუაზიისა და სხვილი მიწათმფლობელი ფეოდალების კავშირისაკენ. 1841 წელს ესპარტერო რეგენტად გახდა. იმავე წელს ბარსელონაში დაიწყო ხალხის მასების რევოლუციური მოძრაობა. ესპარტერომ ალყა შემოარტყა ქალაქს, ყუმბარები დაუშინა, თხუთმეტი დღის ბრძოლის შემდეგ აიღო იგი და სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს. ასევე ჩაახშო ნან რესპუბლიკური მოძრაობა ვალენსიაში. ბურჟუაზიამ ესპარტერო „კონსტიტუციონალისტად“ და „რევოლუციის მახვილად“ გამოაცხადა, მაგრამ თვით ესპარტერომ ყველაფერი გააკეთა მონარქიის გადასარჩენად და რეაქციისთვის გზის გასახსნელად. რეაქციით დამთავრდა მესამე ბურჟუაზიული რევოლუცია, რომლის დროსაც ბურჟუაზია ცდილობდა დაეზრუნობოდა არა ხალხის მასებს, არამედ დემოკრატიას, არამედ გენერლების იმა თუ იმ ჯგუფს.

შემდგომში სამხედრო აჯანყებამ (1854 წელს) კვლავ შეაჯგუფა ბურჟუაზიული ოპოზიცია. ბურჟუაზიული „პროგრესისტების“ დასამშვიდებლად დედოფალმა იზაბელამ ხელახლა მიიწვია გენერალი ესპარტერო, რომელიც სახელმწიფოს მართავდა მეორე რეაქციულ გენერალთან — ო' დონელთან ერთად. ესპარტერო, რომელზედაც ბურჟუაზიამ კვლავ დაამყარა თავისი იმედები, სასტიკ „ლევალობას“ იცავდა. თვალის ასახვევად მან გამოაქვეყნა დეკრეტი საეკლესიო მიწების განსხვისების შესახებ. ბურჟუაზიას ესე უნდოდა „რეფორმების“ ჩატარება, რომ არსებულ ურთიერთობაში დიდი ცვლილება არ მომხდარიყო. მას ახლაც აშინებდა, არ დაწყებულყო ფართო მოძრაობა ფეოდალიზმის წინააღმდეგ. მისი შიში ხალხის წინაშე განსაკუთრებით გაძლიერდა იმ რევოლუციების შედეგად, რომლებმაც იფეთქეს ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში 1848 წელს. გაიმარჯვეს რეაქციულმა ელემენტებმა, მათ პროგრესისტები უკან დასწიეს. 1856 წელს დიქტატორმა, გენერალმა ო' დონელმა უკვე დაითხოვა კორტესები, გააუქმა კანონი საეკლესიო მიწების განსხვისების შესახებ და გაატარა რეაქციული ღონისძიებანი თავდაზნაურთა და მსხვილ მიწათმფლობელთა სასარგებლოდ. ბურჟუაზიის სისუსტისა და მხდალობის შედეგად ასე უსახელოდ დამთავრდა მეოთხე ბურჟუაზიული რევოლუციაც, რომლის დროსაც ბურჟუაზია კვლავ დაეზრუნო არა დემოკრატიას არამედ მხედრობის ცალკეულ ჯგუფებს.

\*) კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ. ტ. X. გვ. 684.

მხედრობის ზედაფენა წინანდებურად რეაქციულ-პოლიტიკას აწარმოებდა, წინანდებურად მძიმე ტვირთად აწვა სახელმწიფო ხაზის მართვაში. მარქსი, მადრიდის გაზეთის ცნობების მიხედვით სწერდა:

„აქ არის ო' დონელის მოხსენება, რომელიც ამჟღავნებს სამხედრო თანამდებობისა და ტიტულების ისეთ სიჭარბეს, რომ ყოველი სამი გენერლიდან მხოლოდ ერთის შეიძლება აქტიურ სამსახურში გამოყენება. სწორედ ეს არის ის ბოროტება, რომლის შეჩვენების ქვეშაც ესპანეთი ცხოვრობს 1823 წლიდან: გენერლებით გაკედილია ესპანეთი“).

მთელ შემდგომ პერიოდს ახასიათებდა სისხლიანი რეპრესიები გლეხთა აჯანყებების წინააღმდეგ. ამ აჯანყებების უდიდეს გამოხატულებას აღნიშნულ პერიოდში წარმოადგენდა 1863 წლის აჯანყება ანდალუზიაში, სოფლებში ლახასა, იზნახარსა და სხვაგან, როდესაც გლეხებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ჯარს.

ყველა ამ რევოლუციაში უადგილმამულო და ღარიბ-ღატაკი გლეხობა, რომელიც მიწის საკითხს გადაჭრას მოითხოვდა, მოტყუებული რჩებოდა ბურჟუაზიის მიერ. „რეფორმების“ დაპირებით სოფლის მშრომელთა მასები თავიანთ მხარეზე გადაჰყავდათ ხან ბურჟუაზიას, რომელიც გლეხთა ინტერესების გამცემლობით ათავებდა საქმეს. ხან კიდევ გენერლებს და მემამულეებსაც კი. წარსული საუკუნის 30-იან წლებიდან დაწყებული ესპანეთის მშრომელმა მასებმა უამრავი სისხლი დაღვარეს დინასტიურ ომებში (ტახტისთვის მებრძოლ „იზაბელისტებსა“ და „კარლისტებს“ შორის), რომლებმაც თითქმის ორმოც წელს გასტანეს. ყოველი მშართველი ჯგუფი მდგომარეობის შემსუბუქებას პირდებოდა გლეხობას, ხოლო იმისთვის, რომ უკეთ მოეტყუებინათ ხალხის მასები, ისინი რელიგიურ და ნაციონალურ ლოზუნგებს მიმართავდნენ.

მაგრამ 50-იანი წლებისათვის ესპანეთის პროლეტარიატი უკვე შეუდგა თავისი კლასობრივი ორგანიზაციებში ჩამოყალიბებას: 1855 წლის 3 ივლისს მოხდა ბარსელონის 50 ათასი მუშის პირველი გაფიცვა. ამ გაფიცვით ესპანეთის პროლეტარიატი პირველად გამოვიდა ისტორიულ სცენაზე, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა. ბარსელონის მუშების საყოველთაო გაფიცვამ რვა დღეს გასტანა. გაფიცვა შესწყდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მუშებს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას დაპირდნენ (დაპირება არ შეასრულეს).

1869 წელს დაარსდა პირველი ინტერნაციონალის ესპანეთის სექცია 1870 წელს შეიკრიბა სექციის პირველი ყრილობა, რომელზედაც ერთ-

\*) კ. მარქსი და ფ. ენგელსი. ობზ., ტ. X, გვ. 716.

ბაშად იჩინა თავი განხეთქილებამ ბაკუნისტებსა და მარქსისტებს შორის. პეგემონია ესპანეთის მუშათა მოძრაობაში ბაკუნისტებმა ჩაატარეს მუშაობა.

1868 წელს ახალმა სამხედრო აჯანყებამ, რომელსაც მხარი დაუჭირეს ბურჟუაზიამ, გლეხობამ და იმ დროისთვის რიცხოზოვად უკვე გადიდებულმა, მუშებმა, ტახტიდან ჩამოაგდეს დედოფალი იზაბელა. ძალაუფლების სათავეში მოქცეული ბურჟუაზია მხედრობასთან ერთად შეუდგა სახელმწიფოს მართვა-გამგეობას.

ბურჟონები გააძევეს, მაგრამ კორტესებმა 1869 წელს უარპყვეს რესპუბლიკური წყობილება და დააუბრეს მთავრობას ახალი მეფის გამოძებნა. 1870 წელს გენერალ პრიმას სამხედრო დიქტატურამ ესპანეთის ტახტზე აიყვანა პრინცი იტალიის სამეფო სახლიდან — ამედეი. მეფე ამედეის უნიკო მმართველობამ ორ წელს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში მოხდა სამი თავდასხმა მეფეზე, ექვსჯერ გამოიყვალა მინისტრთა კაბინეტი და სამჯერ იქნა ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები. ამ პერიოდში დაიწყო მუშათა ორგანიზაციების გაძლიერებული დევნა, ხოლო 1872 წლის 17 იანვარს დაშლილ იქნა პირველი ინტერნაციონალის ესპანეთის სექცია. მალე ამედეის მოხეზრდა სამეფო ვეროგენი, და ენკელსის გამოთქმით, „პირველმა ვაფიცულმა მეფემ“ \*) ხელი აიღო ტახტზე, ამასთან ვანაცხადა: ესპანეთი „ისეთი ქვეყანაა, რომლის მართვა-გამგეობაც ძნელია“-ო.

შემამულე-თავადაზნაურთა ჯგუფი შეეცადა ახალი მეფის გამოძებნას. მაგრამ მუშათა კლასი, გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია ამხანად გადაჭრით გამოვიდა მონარქიის წინააღმდეგ. ბურჟუაზიამ თავის მხრით სცადა რამდენადმე მაინც გაესწორებია თავისი ანგარიშები ფეოდალიზმთან. აღიარებულ იქნა რესპუბლიკა. მაგრამ ახლა ძალა-უფლებასთან მიახლოვებულ ბურჟუაზიას შეეშინდა გადამჭრელი დემოკრატიული ცვლილებებისა, შეეშინდა — ძალიან არ შეეშფოთებინა ფეოდალიზმი და არ დაენგრია მისი ეკონომიური ბაზა. ბურჟუაზია კმაყოფილდებოდა კამათით ისეთი საკითხის ირგვლივ, როგორც იყო ფედერატიული თუ უნიტარული სახელმწიფოს შემოღება. იგი ძლივ-ძლივობით დათანხმდა ახალი კანონის მიღებას, რომლის ძალითაც მოიჯარადრეებს უფლება ეძლეოდათ ნაწილობრივ გამოესყიდათ შემამულეთა მიწები. ეს კანონი შემდეგში გააუქმეს.

მაგრამ ახლა უკვე მუშები და გლეხები გამოვიდნენ როგორც დამოუკიდებელი ძალა. სევილიაში მუშებმა აიძულეს გამოეცხადებინათ რვა

\*) კ. მარქსი და ფ. ენკელსი. თხზ. ტ. XV. გვ. 107



საათის სამუშაო დღე და ნახევრად შეემცივებინათ საბინაო ქარა, გლეხთა აჯანყებებს აწდალუზიასა და ესტრამადურაში თან სწავლიერსეული მემამულეებისა და ეკლესიის მიწების კონფისკაცია. აჯანყება ფართოდ მოედო კადიქს, გრენადას, კორდოვას, სალამანკას, ვალენსიას, მურსიას და კარტახენს.

ყოველგვარი დავა მარქსისტებსა და ბაკუნისტებს შორის 1872 წელს პირველი ინტერნაციონალის ჰააგის კონგრესზე თავის გამოხმაურებას პპოვებდა ესპანეთის პრაქტიკაში, 1873 წლის რევოლუციაში.

ანარქისტები, ბუნტარული გლეხური სულისკვეთების გამოხატელობის, სიტყვით უარს ამბობდნენ „პოლიტიკაზე“, ხელს უშლიდნენ გლეხებს გამოეყენებინათ პოლიტიკური ძალა-უფლება, მოუწოდებდნენ შათ, დაუყონებლივ შესდგომოდნენ ანარქიის შემოღებას. მაგრამ საქმით ანარქისტები პოლიტიკას აწარმოებდნენ, რადგან ბურჟუაზიულ ფედერალისტებთან კავშირში სწყვეტდნენ „დამოუკიდებელი კომუნების“ საკითხს. ამასთან ყოველი რაიონი, რომელსაც ანარქისტები მეთაურობდნენ, საკუთარ სტრატეგიას ანეითარებდა. მოძრაობა, რომლის დროსაც ხალხის მასებმა გმირული გამოსვლებით ისახელეს თავი, მიმდინარეობდა არეულად, არაორგანიზებულად, საერთო გეგმის გარეშე; რის შედეგადაც გლეხთა აჯანყებები, რომლებსაც ბევრგან მემამულეთა მიწების კონფისკაცია მოჰყვა, დამარცხებით თავდებოდა. ყოველივე ამით, — სწერს ენგელსი, — იხსნება ის, რომ გაშწავებული შეიარაღებული ბრძოლების დროს „ბარსელონის, ესპანეთის ამ უდიდესი საფაბრიკო ქალაქის მუშებს, — იმ ქალაქის მუშებს, რომლის ისტორიამაც უფრო მეტი საბარკადლო ბრძოლა უწყის, ვიდრე რომელიმე სხვა ქალაქის ისტორიამ დედამიწაზე, მოუწოდებდნენ მთავრობის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ გამოსულიყვნენ არა იარაღით, რომელიც მათ ხელთ ეპყრათ, არამედ... საყოველთაო გაფიცვით, ე. ი. ისეთი ღონისძიებით, რომელიც უშუალოდ უხებოდა მხოლოდ ცალკეულ ბურჟუებს და არა მათ საერთო წარმომადგენელს, — სახელმწიფო ხელისუფლებას!“ \*).

ანარქისტები, რომელიც მოძრაობას მეთაურობდნენ, არ ცდილობდნენ წაერთმიათ ხელისუფლების მონოპოლია მემამულეებისა და ბურჟუაზიისათვის, და ეს უკანასკნელნი განაგრძობდნენ სახელმწიფო აპარატის გამოყენებას თავიანთი კლასობრივი ინტერესებისათვის. შუშათა და გლეხთა მოძრაობით დამფრთხალი ბურჟუაზია დახმარებას ხალხის წინააღმდეგ ფეოდალურ ელემენტებში ეძებდა, ლალატობდა რევოლუციას, ხვრეტდა მუშებს, მათ შორის თავის გუშინდელ მოკავშირეებსაც — ანარქისტებს. ანარქისტებმა იქ, სადაც ისინი ძლიერნი იყვნენ, 1873 წელს

\* ) კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ. ტ. XV, გვ. 113.



„გააუქმეს“ სიტყვით სახელმწიფო, საქმით კი სახელმწიფო განაგრძობდა არსებობას და ბოლოს მან გააცამტვერა ანარქისტები.

სწორედ იმიტომ, რომ ყოველი „კომუნა“ თავისი თავისთავის არსებობდა, რომ ანარქისტები ცენტრალიზაციის წინააღმდეგ იყვნენ, მოძრაობა დაქსაქსული აღმოჩნდა, არ იყო იგი გაერთიანებული მთლიანი გეგმით, სტრატეგიით, და რეაქციამ კიდევაც ჩაახშო იგი. ამასთან ერთად მორიგ სამხედრო პროწუნციამენტოს მიერ გასრვილ იქნა ესპანეთის პირველი რესპუბლიკა, რომელმაც იარსება სულ 6 თვესა და 21 დღეს. ჩაახშეს მუშათა და გლეხთა მოძრაობა, და ტახტზე ალოფონს მეცამეტის სახით კვლავ ესპანელმა ბურჰონებმა მოიკალათეს.

ენგელსი ესპანეთის 1873 წლის პირველი რესპუბლიკის ისტორიული ეტაპის შეფასების დროს თავის ნაწარმოებში „ბაკუნისტები მუშაობისას“ სწერდა:

„ესპანეთი მრეწველობის მხრივ იმდენად ჩამორჩენილი ქვეყანაა, რომ იქ მუშათა კლასის დაუყოვნებელ სრულ განთავისუფლებაზე ლაპარაკი კი არ შეიძლება. ვიდრე საქმე ამ განთავისუფლებამდე მივიდოდეს, ესპანეთმა განვითარების სხვადასხვა წინასწარი საფეხური უნდა გაიაროს და მთელი რიგი დაბრკოლებები გადალახოს. რესპუბლიკა იძლეოდა კიდევ ამ წინასწარი საფეხურების უმოკლეს ეტაპში გავლისა და ამ დაბრკოლებების სწრაფი აცილების საშუალებას. მაგრამ ამ საშუალებების გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ ესპანეთის მუშათა კლასის ნამდვილი პოლიტიკური ჩარევის გზით. მუშათა მასა გრძობდა ამას; იგი ყველგან ცდილობდა მიეღო მონაწილეობა მოვლენებში, გამოეყენებინა მოქმედების არსებული შესაძლებლობა და არა მარტო დაეტოვებია, როგორც აქამდე იყო, შეძლებული კლასებისათვის თავისუფალი ასპარეზი მოქმედებისა და ინტრიგებისათვის... ალიანსისტები მრავალი წლის განმავლობაში ჭადაგებდნენ, რომ რაიმე პოლიტიკური მოქმედების დაწყება ნიშნავს სახელმწიფოს, ყოველნაირი ბოროტების ამ წყაროს, აღიარებასო და რომ სწორედ ამიტომ რაიმე არჩევნებში მონაწილეობის მიღება წაჭმოდგენს ისეთ დანაშაულს, რომელიც სიკვდილით დასჯის ღირსიაო“ \*).

ეს უმნიშვნელოვანესი, საკითხი — პოლიტიკურ ბრძოლაში პროლეტარიატის მონაწილეობის საკითხი — ანარქისტებისა და ანარქო-სინდಿಕალისტების მოქმედების შედეგად, რაც დღემდე აფერხებს ესპანეთის მუშათა მოძრაობის განვითარებას.

\* ) კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ. ტ. XV, გვ. 108—109



პირველ რესპუბლიკის დამარცხებას მოჰყვა რეაქციის ხანგრძლივი პერიოდი, რამაც თავისი ბეჭედი დაასვა ესპანეთის მთელი მოსახლეობაზე ცხოვრებას. 1892 წელს აჯანყდა ანდალუზიის გლეხი მოსახლეობა: იგი გამოვიდა ცელებით და ნიჩგებით შეიარაღებული, ანარქისტების ხელმძღვანელობით, ძახილით „ძირს ბურჟუები!“, მაგრამ არა ორგანიზებულობის გამო აჯანყება სასტიკად ჩააქრეს. ვალენსიაში არ მოსპობილა პარტიზანული ომი, რომელსაც თან სდევდა ტერორი მსხვილ მიწათმფლობელთა წინააღმდეგ.

დამფრთხალი ობიექტების თავის მხარეზე გადასაყვანად მთავრობა შეეცადა გლეხობის ზუს გამოსვლები დაესახა ბანდიტურ გამოსვლებად, რომელსაც ვითომ აწყობდა შეთქმულთა ბრბო „Mane negro“ („შავი ხელი“), მაგრამ გლეხობის აჯანყება მაინც გრძელდებოდა.

ესპანეთი ინდუსტრიალური განვითარებით ძალზე ჩამორჩებოდა სხვა ქვეყნებს. მცირედი წინსვლა ამ მხრივ მას მხოლოდ წარსული (საუკუნის 90-იან წლებში დაეტყო, მაგრამ ეს განვითარება ძალზე არათანაბრად მიმდინარეობდა, რამაც გამოიწვია პროლეტარიატის არათანაბარი განაწილება ესპანეთში.

ესპანეთის მონარქია უფრო და უფრო ინტენსიურად უკავშირდებოდა ბურჟუაზიას, მეტადრე მუშათა მოძრაობის ჩახშობის საქმეში, ეს მოძრაობა კი წლითი-წლობით ფართოვდებოდა და ვითარდებოდა.

პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე ანარქისტების პირისპირ გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც სათავე დაუდო ცენტრალიზებულ პროფესიონალურ მოძრაობას. საერთაშორისო მუშათა მოძრაობის აღმავლობისა და ძალთა შემოკრების წლებში ესპანეთის სოციალ-დემოკრატია ჯერ კიდევ იცავდა მუშათა კლასის დამოუკიდებელ პოლიტიკურ როლს და საპარლამენტო მუშაობას იზილავდა როგორც სააგიტაციო-პოლიტიკურ საშუალებას. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ესპანეთის ომის დროს (1898 წელს, კუბის გამო) სოციალ-დემოკრატიული პარტია მკვეთრად გამოვიდა ომის წინააღმდეგ. იგი ამ წინააღმდეგობისაგან მოუწოდებდა მუშათა კლასს.

შემდეგში ესპანელმა სოციალ-დემოკრატებმა საქმიანი კონტაქტი გააბეს ბურჟუაზიულ პარტიებთან. ნაციონალური საკითხის უგულვებელყოფით, — საკითხის, რომელიც ძალზე მწვავედ იდგა კატალონიისა და ბასკთა ოლქებში, სოციალ-დემოკრატები ფაქტიურად ესპანეთის იმპერიალიზმს ემხრობოდნენ. ისინი ხელს იღებდნენ კლასობრივ ბრძოლაზე, და ეს იძულებდა რევოლუციურად განწყობილ მუშებს ანარქიზმს მიმხრობოდნენ.

„ანარქიზმი, — სწერდა ლენინი, — ხშირად ერთგვარ სასჯელს წარმოადგენდა მუშათა მოძრაობის ოპორტუნისტული ცოდვებისა-



თვის. ორივე სიმახინჯე ურთიერთს ავსებდა. და თუ რუსეთში, მიუხედავად მისი მოსახლეობის უფრო წვრილ ბურჟუაზიულ-მეცადგენლობისა ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ანარქიზმი ორივე რევოლუციის (1905 და 1917) პერიოდში და მათთვის შოშნადების დროს შედარებით უმნიშვნელო გავლენით სარგებლობდა, ეს, უეჭველია, რამდენადმე დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს ბოლშევიზმს. რომელიც ყოველთვის დაუნდობელ და შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ანარქიზმის წინააღმდეგ.\*).

ესპანეთში არ არსებობდა ნამდვილად რევოლუციური პარტია, რომელსაც შესძლებოდა დაპირისპირებოდა ანარქიზმს, ანარქო-სინდიკალიზმს და რეფორმიზმს.\*\*) მიუხედავად იმისა, რომ მუშები და გლეხები გამსჭვალულნი იყვნენ ბრძოლის სულით და არ ივიწყებდნენ რევოლუციურ ტრადიციებს, მათი გამოსვლები, ანარქისტებისა და რეფორმისტების ხელმძღვანელობის შედეგად, მარცხით თავდებოდა. ომის წინა პერიოდში (1909 წელს) ეს გამოიხატა ბარსელონის პროლეტარიატის გამოსვლაში ესპანეთის მხედრობის ავანტურის წინააღმდეგ მაროკოში. გაფიცვა, რომელიც მთელ კატალონიას მოედო, ბევრ ადგილას საბაროკადო ბრძოლად გადაიქცა; ეს პერიოდი ესპანეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში ჩაწერილია, როგორც „სისხლიანი კვირა“. გაფიცვებმა კვლავ იფეთქეს ძლიერად 1912 წელს. გაფიცვები არ შეწყვეტილა თვით მსოფლიო ომამდე.



ოქტომბრის დიადმა სოციალისტურმა რევოლუციამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ესპანეთში. მან კვლავ გააცხოველა მუშათა მოძრაობა, განსაკუთრებით კატალონიაში. ბურჟუაზია შემამულეებთან და შოხარქიასთან ერთად რევოლუციისაგან თავს იცავდა პროვოკაციების სისტემით, ანეითარებდა უმკაცრეს ტერორს, სისხლში ახშობდა მუშათა კლასის აქტივობას, რომელმაც განსაკუთრებული სიძლიერით იჩინა თავი 1918—1920 წლებში.

როდესაც კლასობრივმა შეტაკებებმა უდიდეს სიმწვავეს მიღწიეს, შემამულეებმა და ბურჟუაზიამ მორიგ პროუნ-ციამენტოს მიმართეს (1923 წლის სექტემბერი) და დიქტატორად გენერალი პრიმო დე რივერა წამოაყენეს.

\* ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. XXV, გვ. 180.

\*\* კომუნისტური პარტია დააარსდა მხოლოდ 1920 წელს. 1931 წლის რევოლუციის მომენტისთვის მას ჰყავდა მხოლოდ ათასი წევრი, 1932 წელს დაახლოებით 20 ათასი, ხოლო იმ პერიოდისთვის, რომელიც წინ უძღოდა დამსტურ აჯანყებას (1936 წლის 19 ივლისს)—100 ათას წევრზე მეტი.

პრიმო დე რივერას დიქტატურის ძირითად ამოცანას შეადგენდა მუშათა კლასთან გამკლავება. ეს ამოცანა მან უმაგალიწოდებლად შეასრულა, ამასთან მუშებთან უსწორების მეთოდებს იგი იტალიურ ფაშიზმისაგან სესხულობდა.

მაგრამ 1927 წელს, მრეწველობის მიერ მუშათა ხელფასზე მიტანილი იერიშთან დაკავშირებით, კვლავ იფეთქა საგაფიცო ბრძოლამ. გაფიცვები გაძლიერდა 1929 წელს, ეკონომიური კრიზისის განვითარებასთან ერთად. 1930 წელს მოხდა 527 გაფიცვა, რომლების ნაწილიც პოლიტიკურ გაფიცვას წარმოადგენდა. მთაწობამ, გაითვალისწინა რა ამ მდგომარეობის სერიოზულობა, მაროკოდან გამოიწვია ადგილობრივ მკვიდრთაგან შემდგარი ჯარი, მაგრამ სახალხო მოძრაობის ზრდამ დასცა (1930 წლის იანვარს) პრიმო დე რივერას დიქტატურა, ხოლო შემდეგ მისი მომდევნების — გენერალ ბერენგერის და ადმირალ ასნარის დიქტატურაც. 1931 წლის 14 აპრილს ხალხის მასებმა კვლავ დაამწყვდინა მონარქია და მეორედ გამოაცხადეს რესპუბლიკა.

ესპანეთის 1931 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის დამახასიათებელი თავისებურება და მისი განსხვავება წინა რევოლუციებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ რევი მოხდა არა იმ ეპოქაში, რომელიც წინ უსწრებდა მონოპოლისტურ კაპიტალიზმს, როდესაც ბურჟუაზია ჯერ კიდევ პროგრესულ კლასს წარმოადგენდა, არამედ იმპერიალიზმის — ლობადი და მომაკვდავი კაპიტალიზმის — ეპოქაში, კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის პირობებში, როდესაც მსოფლიო განვითარება ძირითადად განისაზღვრება ბრძოლით კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის.

ამ პირობებში ესპანეთის დაგვიანებულმა 1931 წლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ განსაკუთრებით ცხადად დაგვიანება ბურჟუაზიის უუნარობა გადასკრას უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული ამოცანები, რომლებიც დღემდე მოქცეულია ესპანეთის დღის წესრიგში.

ყველაზე დამახასიათებელი 1931 წლის ბურჟუაზიული რესპუბლიკისათვის იყო ის, რომ სახელმწიფო აპარატი ხელუხლებელი რჩებოდა, ისეთი, როგორც იგი მონარქიის დროს იყო. ხელუხლებელი დარჩა მონარქიის ისეთი იარაღიც, როგორც იყო ჟანდარმერია და ხალხის მიერ მოძულეებული ნაციონალური გვარდია. სათანადოდ არ ჩატარებულა არც ჯარის წმენდა, სადაც უამრავი მონარქისტული ელემენტი იყო და სადაც რეაქციამ თავისი პოზიციები შეინარჩუნა.

ბურჟუაზიას უნდოდა დაკმაყოფილებულიყო ხელისუფლების ფორმის შეცვლით: მონარქიის ნაცვლად რესპუბლიკის დამყარებით. ბურჟუაზიული პრესა 1931 წლის 14 აპრილის რევოლუციის შემდეგ წამდაუწუმ გაიძახოდა, რევოლუცია უკვე დამთავრდა.

ბრძოლა რესპუბლიკისათვის თავიანთი მხრებით გადაიტანეს ხალხს მასებმა, მაგრამ ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო ბლოკმა, სადაც შეგებონია ეკუთვნოდა მსხვილ ბურჟუაზიას, რომელიც სახელმწიფოს მინისტრებად შემამულეებთან ერთად და რომელიც ეყრდნობოდა წვილ ბურჟუაზიას და მათ შორის სოციალისტებსაც.

მაგრამ ბურჟუაზიისა და შემამულეების ბლოკმა ვერ მოახერხა რევოლუციის დემოკრატიული ვალრმავეების შეფერხება. მასები განაგრძობდნენ ბრძოლას დემოკრატიული ამოცანების გადაჭრისათვის. უარესად გაფართოვდა და გაიზარდა გლეხობის აგრარული მოძრაობა და მუშათა კლასის საგაფიცვო ბრძოლა. ოფიციალური (ძალზე შემცირებული) ცნობებითაც კი 1931 წელს მოხდა 734 გაფიცვა, 1932 წელს — 681, ხოლო 1933 წელს — 1.127 გაფიცვა.

მშრომელი ზედაფენის ცდამ — გადაიტანა კრიზისის მთელი სიმძიმე მშრომელთა მასების ზურგზე ენერგიული წინააღმდეგობა გამოიწვია. ბრძოლა პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის ყოველდღიური პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნებისთვის არა ერთხელ გადაიქცა შეიარაღებულ გამოსვლად, რაც დამარცხებით თავდებოდა ცუდი ორგანიზებულობის შედეგად და ანარქისტთა და რეფორმისტთა ბელადების პოლიტიკის გამო.

1933 წლის ოქტომბერში ბურჟუაზიამ უარყო კოალიციური მთავრობა სოციალისტების მონაწილეობით, დაითხოვა დამფუძნებელი კრება და ხელისუფლების სათავეში ჩააყენა გაიძვერა რეაქციონერი ლერუსი.

1933 წლის 19 ნოემბერს მომხდარი ახალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარებულ იქნა მთავრობის აშკარა ტერორისა და ხმების მოსყიდვის პირობებში. ტერორი მიმართული იყო მშრომელთა წინააღმდეგ. ბურჟუაზიის ცალკეული წარმომადგენელიც ვერ შეურიგდნენ ასეთ მდგომარეობას. იუსტიციის მინისტრი ბოტელია ასენსი სამსახურიდანაც კი გადადგა. მან განაცხადა — ჩატარებული არჩევნები „ამორალობისა და უკანონობის უცხადესი მაგალითია“ —ო.

ამ არჩევნებმა უზრუნველჰყვეს შემარჯვენე პარტიების გამარჯვება. ხსენებული პარტიების ბლოკს ეკუთვნოდა 373 ხმა, წინააღმდეგ შემარცხენე ბურჟუაზიული პარტიების 98 ხმისა (აქედან 61 სოციალისტი იყო). ამ პირობებში კომუნისტებმა არჩევნების დროს გაიყვანეს მხოლოდ ერთი დეპუტატი — ამხ. ბოლივარი.

ფაშიზმის მიერ ხალხის მასებზე მიტანილმა იერიშმა გამოიწვია პროლეტარული აღფრთოების ტალღა და მთლიანი ფრონტის შექმნის სურვილი. წარმოიშვა მუშათა ალიანსები (კავშირები), რომლებშიაც ხელმძღვანელ როლს სოციალისტები თამაშობდნენ. თუმცა უპანეთის კომპარტია თანახმა არ იყო ალიანსების ზოგიერთი დებულებისა, იგი მაინც

მემსრო მათ, რათა შექმნილიყო ერთიანი ფრონტი ფაშიზმის წინააღმდეგ.

1934 წლის შემოდგომაზე დაიწყო მუშების ძლიერი გამოსვლები, გამოწვეული მთავრობის პროვოკაციული პოლიტიკით, შეტადრე ასტურიაში — მალაროელთა რაიონში, სადაც 80.000 მუშა ირიცხება. იქ კომუნისტებს თვალსაჩინო ორგანიზაცია ჰქონდათ, რომელშიაც 2.000 კაცი ირიცხებოდა და რომელიც საფაბრიკო-საქარხნო უჯრედებისაგან შესდგებოდა. კომპარტიასვე ემხრობოდა პროფკავშირების 6.000-მდე წევრი.

მთავრობის შემადგენლობის შეცვლამ, როდესაც რომბლისტების ფაშისტური პარტიის წევრებმა იუსტიციის, შრომისა და მიწათმოქმედების მინისტრის თანამდებობანი მიიღეს, ცხადყო ფაშიზმის შემდგომი ზრახვები.

დაიწყო მასების ამხედრება. სოციალისტური ბელადები იძულებული გახდნენ გაჰყოლოდნენ მასებს. 1934 წლის 4 ოქტომბრის ღამეს გაფიცვამ იფეთქა ასტურიაში, ბისკაიაში, კატალონიაში, მადრიდში, ლეონში, გალისიაში, სალამანკაში, სან-სებასტიანოში, ვალენსიაში, ანდალუზიაში და სხვაგან. თითქმის ყველგან გაფიცვას თან სდევდა შეიარაღებული ბრძოლა, რომლის დროსაც გაფიცულთ ხელში ჩაიგდეს მთელი რიგი ქალაქები ლეონის, კატალონიის პროვინციებში და სხვა ადგილებში. ბილბაოში ყველა საწარმო მუშებმა დაიკავეს. მედგარი ბრძოლა სწარმოებდა არბოლედოში, სესატოში, ერენდისში, ბარაკალდოში და სხვაგან.

მაგრამ უდიდეს სიმწვავეს ბრძოლამ ასტურიაში მიაღწია. მოძრაობა დაიწყო მიერესში. მუშებმა დაიკავეს ეს ქალაქი და დასძირეს პირველი კოლონა ოვიედოსკენ. იმავე დროს ამხედრდნენ ესპანეთის ამ დონბასის ძირითადი პუნქტების — ტურონის, ტრუბიის, ტვეერგის, გრადოს, ინფიესტოს მუშები.

ასტურიის მალაროელთა გმირულმა ბრძოლამ მთელი მსოფლიოს შშრომელთა ყურადღება მიიპყრო. მალაროელები, რომელთაც არავითარი სხვა იარაღი არ გააჩნდათ, ვხას იკაფავდნენ მხოლოდ დინამიტის ვაზნებით, რომლებს წასაკიდებლადაც პაპიროსის ცეცხლს ხმარობდნენ. ოვიედო მუშებმა ტყვიების სეტყვის ქვეშ აიღეს. მათ ხელთ ჩაიგდეს თოფი-იარაღის ქარხანა ტრუბიაში და სამხედრო საწყობები ოვიედოში. კომუნისტები და კომკავშირელები ამ მოძრაობის სულსა და გულს შეადგენდნენ. მოძრაობამ შეაერთა ისინი სოციალისტ, ანარქისტ და ანარქო-სინდოკალისტ მუშებთან საერთო მიზნისთვის საბრძოლველად. პირველად გახდნენ მუშები თავიანთი ბედის ბატონ-პატრონებად, პირველად დააწესეს მათ თავიანთი კონტროლი პროვინციის უმნიშვნელოვანეს საწარმოებზე.

რევოლუციამ გაიმარჯვა ასტურიაში. მაგრამ ამ დროიდან დაიწყო სიძნელეები, რომლებიც ტრაგიკულ მომენტებად გადაიქცნენ ესპანეთის



მუშათა მოძრაობის მთელი ისტორიისათვის. მაშინ, როდესაც ასტურიაში მოძრაობა იზრდებოდა და ძლიერდებოდა, ესპანეთის მსხვერპლურებში იგი კლებულობდა. ამან საშუალება მისცა მთავრობას დაეცხრო მსხვილი სამხედრო ძალები ასტურიისაკენ, ამასთან რკინისგზელთა კავშირის რეფორმისტულმა ხელმძღვანელობამ არ მიიღო არავითარი ზომა, რომ ხელი შეეშალა მთავრობის ჯარის გადაზავნისთვის. ამან შეაძლებინა მთავრობას თავი მოეყარა ასტურიის წინააღმდეგ ორმოცათათნი ჯარისთვის, რომლის შამადგენლობაშიაც შედიოდნენ სპეციალურად მარკოდან გამოწვეული უცხოელთა ლეგიონი, მოტორიზებული ნაწილები, ავიაცია, სამხედრო-საზღვაო ძალები და სხვ. სამი დღე უწევდნენ ამ ჯარს მუშები გვირულ წინააღმდეგობას ოვიედოში. ჯარი ყოველი სახლის ალებას დიდი სისხლის ღვრის შემდეგ ახერხებდა. მუშები სიცოცხლეს სწირავდნენ, რათა დაეფარათ ორგანიზებული უკანდახევა. მუშები არასოდეს არ დაივიწყებენ ჩვიდმეტი წლის კომკავშირულ ქალს აიდა ლაფუენტეს: იმ რაზმის გადასარჩენად, რომელიც რევოლუციურ შტაბს იცავდა, აიდა ლაფუენტემ ტყვიამფრქვევის ცეცხლით უბოთელთა ლეგიონის მთელი ათასეული შეაჩერა. იგი განუწყვეტლივ ისროდა, სანამ ვაზნები არ გამოვლია და მტერმა სიცოცხლე არ მოუსპო.

1934 წლის 14 ოქტომბერს მუშებმა ოვიედო მიიტოვეს. მათ ჯერ მიერესსა და ტრუბიისკენ დაიხიეს. ტრუბიისთან მთავრობის ჯარის სარდალმა წინადადება მისცა მუშებს — იარაღი დაეყარათ და დამორჩილებოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას ამოწყვეტას ემუქრებოდა. მუშებმა ცეცხლით ვასცეს პასუხი. შემდეგ სროლით მთებისკენ გასწიეს და იქ წინააღმდეგობა განაგრძეს.

გენერალი ოჩოა, რომელიც მთავრობის ჯარს ხელმძღვანელობდა ასტურიაში, და გენერალ ფრანკო (შეამბოხეთა დღევანდელი მეთაური), რომელიც ცენტრიდან ხელმძღვანელობას უწევდა ოპერაციებს, მკაცრად გაუსწორდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, შეამბოხეთა ცოლებსა და ბავშვებს. ოთხი ათასი მოკლული მუშა ათი ათასამდე დაჭრილი, სამოცი ათასამდე საპრობილებში ჩაყრილი და საკონცენტრაციო ბანაკებში გამოწყვედილი, სამხედრო სასამართლოების ეკვანალია, წამება, საწარმოების დაუნდობელი გაწმენდა „არასაიმედო“ უღემენტებისაგან, — ასეთი იყო გვირული ბრძოლის ჩაჭობის შედეგი 1934 წლის ოქტომბერში.

მაგრამ ოქტომბრის ამბებმა დიდი საბრძოლო გამოცდილება შესძინეს ესპანეთის მუშათა კლასს. ასტურიის მაღაროელთა ლოზუნგი — პროლეტარული ერთობა — აიტაცეს ბისკაიის მეტალურგებმა, კატალონიის ფიჭრებმა, მადრიდის შკვებაეებმა. ერთიანი პროლეტარული ფრონტი ესპანეთის მუშათა კლასის უდიდეს გამარჯვებად გადაიქცა. ამ ლოზუნგს შედეგად მოჰყვა კომკავშირელთა და სოციალისტური ახალგაზრდობის

კავშირის წევრთა გაერთიანება ერთ ორგანიზაციაში, წითელ პროფკავშირთა წევრების შესვლა „საყოველთაო მუშათა კავშირში“ პროლეტარიატის აქტივობამ გამოაფხიზლა ერთ ადგილზე გაყვნილი ბურჟუაზია და ბურჟუაზიის მემარცხენე ნაწილი, გამოიწვია მათში გაბედულობა ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ასტურიის ბრძოლებმა ახალი ძალა შემატეს მუშათა მოძრაობას. მათ შემდეგ ფაშიზმისთვის უკვე ძნელი გახდა გამტკიცება. რაც უფრო აშკარადებოდა ფაშისტური რეჟიმის სიღამპლე, მით უფრო ძლიერდებოდა მოძრაობა. 1935 წლის ნოემბერში ლერუსი იძულებული გახდა წასულიყო მთავრობიდან: გამომჟღავნდა მისი მახლობლების მეჭრთამეობა და სისხლის სამართლის სხვადასხვა დანაშაული. იმავე დროს მუშათა მთლიანი ფრონტი იზრდებოდა და მავრდებოდა, იგი სახალხო ფრონტის საფუძვლად გადაიქცა.

1936 წლის თებერვლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარებულ იქნა 1934 წლის ოქტომბრის გმირული ბრძოლების ნიშნით. ფაშიზმი არ დაიხვედა, მას რომ არ ჭკრძო და არ დაენახა მუშათა კლასისა და მთელი სახალხო ფრონტის ძალა და სიმტკიცე. ხალხის მასების შეტევა იმდენად ძლიერი იყო, რომ ვალიადარესის მთავრობა იძულებული გახდა ვადამდგარიყო ჯერ კიდევ პარლამენტის ვახსნამდე და გაენთავისუფლებინა ადგილი ასანიასთვის, რომელიც უყრდნობოდა სახალხო ფრონტის ბარტოებს და რომელიც შეუდგა სახალხო ფრონტის დემოკრატიული პროგრამის განხორციელებას.

ფაშიზმმა დაიხია, მაგრამ იმავე დროს შეუდგა მხადებას წინააღმდეგობის ვასაწევად. რომელი ძალების იმედი უნდა ჰქონოდა ფაშიზმს? მისი მასობრივი ბაზისი დნებოდა, მეტადრე გლეხობის შორის, რომელმაც გემო ვაულო მის თვალთმაქცობას და მატყუარობას. მონარქისტი კალვო სოტელი, რომელიც პარლამენტში პროვოკაციული სიტყვებით გამოვიდა, ჯერ კიდევ აჯანყებამდე იმუქრებოდა — „საქმეს სამხედრო პირები მოჰკიდებენ ხელს“ — აო. — როგორც ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, რეაქციისათვის ყველაზე ადვილი იყო სწორედ ამ ძალის ამხედრება ხალხის წინააღმდეგ და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის განვითარების წინააღმდეგ.

ესპანეთის მხედრობის ტრადიცია, — იმ მხედრობისა, რომელიც ნაციონალურ ინტერესებს ღალატობდა და ჯოზეფ ბონაპარტის წინაშე მუკლით ხოხავდა 1808 წელს, რომელიც ბრძოლას ბრძოლაზე აფებდა (ესპანეთ-ამერიკის ომში 1808 წელს, მაროკოს ავანტურის დროს 1922 — 1926 წლებში და სხვ.) და ცდილობდა თავისი დამარცხების ანაზღაურებას უიარაღო მუშებისა და გლეხების დაჰრეტით, — ეს ტრადიცია ამჟამად გვევლინება ფაშისტ მემამოხეთა სახით, ფრანკოს, მოლას, კაბანელასის და სხვათა სახით, რომელნიც ვაჭრობენ ესპანეთის დამოუ-



კედებლობით, აყიდიან ესპანეთს გერმანელ და იტალიელ ფაშისტებზე სა-  
კუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში მხარს და მხარსა-  
თვის. დამახასიათებელია, რომ მთავარი ძალები შეამბოხებენ ფეოდალებს,  
რომელთაც ალყა შემოარტყეს ესპანეთის დედაქალაქს მადრიდს, შეს-  
დგებიან დაქირავებული მოტყუებული მაროკოელებისა და უცხოეთის  
ლეგიონის პოლკებისაგან.

და, პირიქით, რევოლუციურე ხალხის ტრადიციამ, — იმ ხალხის ტრა-  
დიციამ, რომელიც 1808 წელს, წინააღმდეგ გაბატონებული კლასებისა,  
ნაციონალურ დამოუკიდებლობას იცავდა, სახელოვანი გერიელების ტრა-  
დიციამ თავი იჩინა ესპანელი ხალხის მრავალ ათას შვილში, რომელნიც  
გამოვიდნენ დღეს დემოკრატიის დასაცავად, თავიანთი დამოუკიდებლო-  
ბის დასაცავად, თავიანთი კანონიერი მთავრობის დასაცავად. შეამბოხე-  
ბისა და მათი მბრძანებლების — გერმანიისა და იტალიის ფაშისტებისა-  
გან. აღმაფროთოვანებულ ძალას ამ ბრძოლაში როგორც ფრონტზე, ისე  
ზურგში, წარმოადგენს ესპანეთის კომპარტია, რომლის წევრებიც ესპა-  
ნეთისა და მსოფლიო ფაშიზმისაგან ხალხის ინტერესების დამცველთა მო-  
წინავე რიგებში იმყოფებიან.



ა. თათარიშვილი

## ხალხთა მემოზრობის პოეზია

ამას წინათ ორდენოსანმა საბჭოთა საქართველომ თავისი არსებობის თხუთმეტი წლისთავი იდღესასწაულა. ამ 15 წლის მანძილზე შეუპოვარი ბრძოლისა და ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად მშრომელთა საქართველო რუსეთის თვითმპყრობელობის ჩამორჩენილ კოლონიიდან გადაიქცა მოწინავე სამრეწველო-აგარულ ქვეყნად სოციალიზმის სასამსახუროდ გამზადებული უამრავი ბუნებრივი სიმდიდრით, რევოლუციის წლების განმავლობაში შექმნილი ინდუსტრიალური გიგანტებით, კეთილმოწყობილი ქალაქებით და შეძლებული ცხოვრების გზაზე მტკიცედ შემდგარი აყვავებული კოლმეურნეობებით.

აღიზარდნენ სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის მშენებელთა ახალი კადრები. რევოლუციის წინადროის ინტელიგენციის სასიცოცხლო ძალები უაღრესი ერთგულებით და გულწრფელობით გადავიდნენ გამარჯვებული პროლეტარიატის იდეურ პოზიციებზე. ქართული მრავალსაუკუნოვანი ნაციონალური კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა კემაროიტი აღორძინებისა და განახლების გზას დაადგა. „ყოველივე ამაში, — სწერს ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ანხ. ლ. ბერიძე, — განხორციელებულია ლენინის ნაციონალური პოლიტიკა, რომლის დროშის ქვეშაც მშრომელთა საქართველო განთავისუფლდა ცარიზმისა და მენშევიკთა მმართველების ჩაგვრისაგან და მტკიცედ მიემართება ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრებისაკენ“.

მონური ქედის მოზრა უცხოეთის იმპერიალიზმის წინაშე, მხეცური შოვინიზმის გაბატონება და ნაციონალური შუღლის გაღვივება, — აი რით აღინიშნა მენშევიკური „დემოკრატიის“ წლები საქართველოში. სწორედ ამ სამარცხეინო წლებს მიეძღვნა სახალხო პოეტის ვალაქტიონ ტაბიძის სევდით აღსაქსე სიტყვები:



„ამერამ რა იყო ცხოვრება ჩვენი?  
 ანთებდა ხმლის და  
 დანების წვერა  
 გაპარტახებულ ქოხსა და კარავს,  
 ჩაშობონძილი, ავი, მშიერი  
 ზმა აყრუებდა შიდაშო-შარას:  
 დაკარი, დაკარი!  
 ის ქართველია  
 ეს სომეხია, ის თათარია.  
 იქნებ მუშაა, იქნებ გლეხია  
 რა ექნათ. სხვა რჯულის ბინადარია.  
 რა ხანა იყო!  
 ძმამ ძმა არ ინდო  
 მიწის ვაკუნდა პრესას ზანზარი  
 რის შოვინიზმის ცეცხლი დაინთო  
 და ეროვნული შუღლის ხანძარი“ .

სტალინის გენიით აღზრდილმა და მის მიერ კომუნისტების უძლეველი ღრძობის ქვეშ დარაზმულმა საქართველოს მუშათა კლასმა, რუსეთის გვირული პროლეტარიატის დახმარებით, საბოლოოდ გააცამტვერამენშევიკური კონტრრევოლუციის ბატონობა. მთელი საბჭოთა კავშირის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის უდიდეს აღმავლობაზე დაყრდნობილი საბჭოთა საქართველო, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მისი სახელგანთქმული მებრძოლი ხელმძღვანელის ლ. პ. ბერიას წინამძღოლობით, ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხთან კავშირში და მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად, მტკიცე ნაბიჯით მიემართება სოციალისტური კულტურის ახალ მწვერვალებსაკენ.

ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებამ მკვეთრი გამოხატულება პოეზია საბჭოთა ლიტერატურის ფრონტზე, კერძოდ ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაში. ჩვენი ქვეყნის მწვერალთა შემოქმედებაში ღრმად ჩაინერგა ხალხთა ძმობისა და სოლიდარობის იდეა, გრძნობა სიყვარულისა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ძმურ ერებისადმი, გრძნობა, რომელიც ბოლოს უღებს ქართულ ლიტერატურაში ნაციონალიზმისა და კარჩაკეტილობის რეაქციონერ ტენდენციებს. ქართული საბჭოთა ლიტერატურა ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხის კუთვნილებად ხდება.

მის შემოქმედებით სფეროში უფრო და უფრო ღრმად იჭრება ძმური ხალხების ცხოვრება, მათი წარსული, მათი აწმყო. იგი თავის შემოქმედებით გამოცდილებას კავშირის ხალხთა ძმური ლიტერატურების საუკეთესო ნიმუშებით ამდიდრებს.

ცნობილია, თუ რა სიყვარულით და მზრუნველობით ითარგმნება და იბეჭდება ქართულ ენაზე კლასიკური და თანამედროვე რუსული ლიტერატურის სახელგანთქმულ წარმომადგენელთა ნაწარმოებნი: კუშკინის,

ტოლსტოის, ვოგოლის, ლერმონტოვის, ჩეხოვის, გორკის, მაქსიმოვიჩის, შოლოხოვის, ალექსეი ტოლსტოის, ფადეევისა და სხვების მიერ შექმნილი დიდი რუსული ლიტერატურის ტრადიციებთან, მის საუკეთესო მიღწევებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს XIX და XX საუკუნის ლიტერატურის მთელი ისტორია. ხოლო პროლეტარული რევოლუციის წლებში ქართული საბჭოთა ლიტერატურა განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიყვარულს იჩენს კავშირის სხვა ხალხთა ლიტერატურის წარმატებისადმიც. თუ წინათ უკრაინის ლიტერატურიდან ქართველი ხალხისათვის მისაწვდენი იყო მხოლოდ ტარას შევჩენკოს ცალკეული ლექსები, დღეს საქართველოს საუკეთესო პოეტთა კოლექტივს თავის საპატიო მოვალეობად მოაჩნია მშობლიურ ენაზე მიაწოდოს ქართველ მკითხველს ტარას შევჩენკოს მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. პოეტმა ნ. მიწისვილმა, მაგალითად, ქართულ ენაზე გადმოსთარგმნა ტ. შევჩენკოს ერთ-ერთი საუკეთესო პოემა — „კაეკასია“. ს. ჩიქოვანმა დასაბუქდად მოამზადა ქართველ პოეტების მიერ თარგმნილი შევჩენკოს საუკეთესო ლექსები.

ჩვენი მოძმე ხალხების ლიტერატურების ისეთი ცნობილი სახელები, როგორც არის ტიჩინა, ბაეანი, რილსკი, იანოვსკი, კუპალა, კოლასი, ალექსანდროვიჩი, ლახუტი, ჩარენცი, ვურგუნი, სტალსკი და სხვ., მახლობელ სახელებად გადაიქცნენ არა მარტო საბჭოთა კავშირის მკითხველისთვის, არამედ კერძოდ საქართველოს ფართო მკითხველ მასისთვისაც.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურული ძალების დაახლოებისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგად ქართული ლიტერატურა პირველად გამოდის ფართო საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე. გენიოსი რუსთველის, უდბდესი ქართველი კლასიკოსების ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ა. ყაზბეგის და მთელი რიგი თანამედროვე ქართველი მწერლების შემოქმედებამ უკვე მოიპოვა ღირსეული ადგილი სოციალისტური კულტურის საერთო საგანძურში. დიდად თვალსაჩინოა ის დამსახურება, რომელიც ამ დიდ კულტურულ საქმეში მიუძღვით რუსს პოეტებს, უპირველეს ყოვლისა, ბ. პასტერნაკს და ნ. ტიხოვროვს, ხოლო მათ შემდეგ პ. ანტაკოლსკის, ს. სპასკის და სხვებს, აგრეთვე უკრაინელ პოეტებს მ. ბაეანს, ტიჩინას, ი. კულიკს და სხვებს, რომელთაც ქართული ლიტერატურის ნიმუშები ხელმისაწვდენი გახადეს საბჭოთა კავშირის ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის. საბჭოთა მწერლების ინტერნაციონალური კავშირისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ბელორუს პოეტების ალექსანდროვიჩის, კრაპივას, ბროვკოს და გლებკას მიერ იმ წერილის გადათარგმნა, რომელიც საქართველოს მშრომელებმა ამხანაგ სტალინს გაუგზავნეს.

ჩვენი მხატვრული სიტყვის საუკეთესო ოსტატთა უდიდესი მხატვრული  
ბაა — ასახონ მხატვრულ ნაწარმოებებში იმისი სახე, ვის სახელიცაა  
კავშირებულია გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის დიდება, სახელი  
და ძლიერება, გახდნენ ღირსეული გამომხატველნი იმ უზომო სიყვარუ-  
ლისა, რომლითაც გამსჭვალულნი არიან მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრო-  
მელნი ხალხთა ძმური თანამშრომლობის დიად შთამბრთვნილობაში.

განა პოეტმა ჟ. ჩიქოვანმა მშრომელთა მილიონების გრძნობა  
არ გამოხატა, როდესაც მიმართა სტალინს, როგორც თავისუფალ  
ხალხთა დიადი კავშირის სიმბოლოს, შემდეგი სიტყვებით:

„მიწას მიეც სიბრძნის თესლი  
სამშობლოს რომ აღამაზებს,  
უბრძნესი და უბილესი  
ჩვენ ცხოვრება გვითავაზე.  
დგანან მოები დახლართული,  
ერთად სობენ ღრუბლის უღელს,  
შენც ამგვარად ძიობა ხალხთა  
შეკარი და შეადრე...“

რაზე ლაღადებენ პოეტ მაშაშვილის ქვემოდმოყვანილი ღრმად  
ამაღლელებელი სტრიქონები, თუ არ საბჭოთა კავშირის ხალხების ნამდიელ  
შემოქმედებითს ერთობაზე და კაცობრიობის უდიდესი გენიის სტალი-  
ნის მიერ დანერგილ დაურღვეველ მეგობრობაზე:

„ერი ერს კლავდა, ჩვენი ცხოვრება მხოლოდ ჩხუბი და შუღლი ყოფილა,  
ყოველი ერის მიწა-მიდამო ხიშტიის მუსრებით შევლობილია,  
მაგრამ გაიძლეა მიჯნა-ყორღანი, მიწაში ნაღმად რომ ჩაწყობილა  
და შენმა დროშამ, როგორც ნამუსმა, ჩვენ სამუდამოდ დაგვამოხილა!  
არ ემტრება სომეხს ქართველი, ფშავს არ აწუხებს ბოლშა ქისტების,  
ერთად ვართ როგორც მდინარის ტალღა, მტრულად ერთმანეთს არ ვეჭიშვებით,  
შავად მოსაზღვრე ქვეყნების ცაზე ერთად ელაყენ ჩვენი ხიშტები,  
მტრებს გული უწუხთ, სული ეხუთვით ჩვენი დროშების აქარიშვლებით“.

ბუნებრივია, რომ ქართულ საბჭოთა პოეზიაში სამშობლოს ცნება  
უფრო ფართო და ღრმა ხდება, ვიდრე იგი ქართულ კლასიკურ ლიტერა-  
ტურაში ესმოდათ. საბჭოთა პოეტ-მოქალაქის პატრიოტიზმი შეიცავს ჩვე-  
ნი დიდი კავშირის — სოციალიზმის სამშობლოს ყველა ძმურ რესპუბლი-  
კას. აი რატომ არის, რომ ქართული პოეზია ასეთის გულწრფელობით და  
ღრმა გრძნობით იხსენიებს გმირულ რუსს ხალხს. საბჭოთა საქართველოს  
მშრომელთა აზრები და გრძნობები რუსის ხალხის მიმართ უდიდესი ძლი-  
ერებით არის გამოხატული ხალხთა დიდი ბელადის სტალინისადმი  
მიმართულ საქართველოს მშრომელთა წერილში:

„უმიწარმა რუსის ხალხმა გამარჯვებას მისცა კვლი  
ამ დიდი და მომე ხალხის ჩვენ ქართველებს გემართებს ვალი,

ერთად ვართ და ერთად მივალთ, გვაქვს ერთივე მომავალი.  
 მან პირველმა გადალახა გზა სიმამის და სიმნელის  
 რადგან გაქცევა, თავის დროშას, რადგან გაქცევა თავის  
 ახლა იგი თავს ევლება თავის ბედს და თავის სარჩოს  
 გმირულ რუსეთს, მოძვე რუსეთს და მის ხალხსაც გაუმარჯოს”.

პოეტმა სიმონ ჩიქოვანი ერთ-ერთ თავის ლექსში შემდეგი სიტყვებით მიმართავს რუსეთს:

„დიდო ჯეყანავ, სამშობლო ხარ ჩემი სამშობლოს,  
 დიდო მინდვრებო, დამბრუნებო ქართა ბორბლების  
 თითქოს შრომა მაქვს მე ოფლივით გამოშვებული  
 და მეც თქვენთან ვარ ჩემი შოთ და ჩემი ორბებით“.

ეს გვიჩვენებს, რომ საქართველოს საბჭოთა პოეზია ნამდვილად ასახავს ქართველი ხალხის გრძნობას თავისი დიდი თანამომძისადმი.

ქართველი პოეტები უმღერიან საბჭოთა უკრაინას, როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა მთლიანი სამშობლოს განუყოფელ ნაწილს. პავლე პაშვილის ცნობილი ლექსით „უკრაინელი ქალის სიმღერით“ ქართულ პოეზიაში გაისმა მომხიბლავი უკრაინული მელოდია, რომელშიაც გამოსკვივის უკრაინული ხალხის ბედნიერი და სიხარულით აღსავსე ცხოვრება.

ს. ჩიქოვანმა ინდუსტრიული დონზასის მკვეთრი პოეტური სურათი მოგვცა. ხოლო უკრაინის საკოლმეურნეო მინდვრების გმირი ქალის შარია დემჩენკოს სახემ ისე აღაფრთოვანა ილო მოსაშვილი, რომ პოეტმა ასეთი მალეღებელი ლირიკული სტროფები შექმნა:

„მინდორზე ორთქლი რძესავით იწეა  
 მინდორზე დილა დნებოდა რძეში  
 და ხელის გულზე გამობარი მიწა  
 თვითველ ნერგთან მაგჭონდა პეშვით  
 და როცა ღამეს დაცემულს პირქვე  
 შავი ტოტები გაეწყო ცამდი,  
 შენ მიწოლილი ბალახზე იქვე  
 ღია თვალებით ვარსკვლავებს სვამდი.  
 არ გჭონდა ძილი, ხნულაღი ფართო  
 ბნელეთს ივესო დამწვარი ფიქვით  
 შენ ოცნებობდი ბელადზე მარტო  
 და კრემლის კარებს აღებდი დიქრით“.

გ. გამსახურდიამ უკრაინულ მასალაზე შექმნილ „უკრაინის თემიდიტ“ პირველად სცადა ჩვენი რევოლუციური თანამედროვეობის თემატიკისა და პრობლემების დაუფლება.

ქართულ საბჭოთა პოეზიასა და პროზაში უკვე მოიპოვება არა ერთი და ორი ნაწარმოები, სადაც ასახულია ბელორუსი ხალხის ცხოვრება და ბრძოლა. პოეტებმა გვეტაძემ, ი. მოსაშვილმა, ა. ქუთა-



თ ე ლ მ ა ამ მიმართულებით ახალი მოტივები შეიტანეს ქართულ თანამედროვე პოეზიაში.

გულწრფელი აღფრთოვანებით არის გამოთბარი ქართველი პოეტების სიმღერები, გამოწვეული ამიერ-კავკასიის ძმური რესპუბლიკების ხალხთა ურყევი მეგობრობის გამტკიცებით, ხალხების, რომელთაც წინათ ერთმანეთს უსევდა მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატისტების მოლაღატური პოლიტიკა.

„ახლა ოცნება პოეტებისა  
 ძმა მას არ ებრძვის — სომეხი ქართველს.  
 დახედავ შენ მწვემს გუშინ ბოჯანოს,  
 დღეს თავის ქვეყნის პატრონს და მმართველს.  
 შეერთდენ ერთი კავკასიისა  
 და იმღერიან ერთ სალამურში  
 სიმშვიდე ჩადგა ჩვენს ქვეყანაში  
 და აღარ ტირის შენი ანუში“.

ტი. ტაბიძის ეს სიტყვები, რომლებიც მიეძღვნა სომეხ პოეტის ოვანეს თუმანიანის ხსოვნას, ნამდვილი პოეტური ექსპრესიით გამოხატავენ ორი ძმური ხალხის ინტერნაციონალური მეგობრობის გრძნობებს.

ასეთივე გრძნობებით არის გამსჭვალული იმავე ავტორის ლექსი „სადღეგრძელო“ საბჭოთა სომხეთზე დაწერილ ლექსთა ციკლიდან:

„დღეს აღარ ერჩის სომეხი ჭრთოსა  
 სომეხს ქართველი, ყველას — თათარი.  
 ფროვულ შუღლის ძირი რომ ახსნას  
 აქ პიონერიც უკვე მზათ არი.  
 და უკრავს მშვიდათ მწვემსი სალამურს,  
 პიონერების ისმის დაფდაფი  
 და ისტორიის სიზმრით გადადის  
 ერენის ხანი, ერეკლე თავა“).

ძალზე გაფართოვდა ქართული საბჭოთა პოეზიის თემატიკა და გადაღახულ იქნა ნაციონალური კარჩაეკტილობის ვიწრო ჩარჩოები. ამას ცხადყოფენ ალიო მაშაშვილის პოემა „რიკშა“, რომელშიაც მკვეთრი სურათებით და ფერებით გადმოცემულია ჩინეთის მშრომელთა თავგამოდებული ბრძოლა, და კ. კიჭინაძის ახალი პოემა „შუა აზია“, რომელიც გვიხატავს შუა აზიის ხალხთა ყოფა-ცხოვრებას. ამას წინათ გამოსული ლექსთა კრებული, რომელიც რესპუბლიკური ესპანიის ხალხთა გმირობასა და თავგანწირვას მიეძღვნა, საქართველოს საბჭოთა პოეტების კოლექტიური ინიციატივის უმკველი დამადასტურებელია. ეს

\*) ერეკლეს შთა ერენის მახლობლად.

საუკეთესო დემონსტრაციაა საბჭოთა მწერლების ინტერნაციონალური სოლიდარობისა ესპანიის გმირულ ხალხთან. იგი უაღრესად მშვენიერად გამოხატავს საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ღრმა ძმურ თანხმობას ესპანელი მუშებისა და გლეხებისადმი, რომელნიც ბარიკადებზე თავგამოდებით იბრძვიან ფაშისტ მემამოხეთა წინააღმდეგ, იბრძვიან თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ეს მხოლოდ პირველი მაჩვენებელია საბჭოთა პოეზიაში ხალხთა ძმური სოლიდარობის მოტივების ჩანერგვისა. რევოლუციის წინა დროს ქართულ ლიტერატურაში, რომელშიაც, ცნობილი ისტორიული პირობების გამო, ძირითადად გაბატონებული იყო ნაციონალურ-პატრიოტული ტენდენციები, აღნიშნულ მოტივებს ვხვდებით მხოლოდ ცალკეულ გამოჩაქლის შემთხვევებში, როდესაც ჩვენი კლასიკური პოეზიის ზოგიერთი უაღრესად ნიჭიერი წარმომადგენელი თავიანთ შემოქმედებაში ახერხებდნენ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაზე მალა დადგომას, როდესაც ისინი ნაციონალური კარჩაეტილობის ჩარჩოებს სცილდებოდნენ. ამის დასადასტურებლად საკმაოა გაეისხენოთ მეთვრამეტე საუკუნის ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა და მოკვდა უკრაინაში და რომელმაც თავის შემოქმედებაში ფართოდ გამოიყენა უკრაინული თემები და უკრაინის სასიმღერო ფოლკლორის მოტივები. ცნობილია მეცხრამეტე საუკუნის უკრაინისა და საქართველოს უდიდესი პოეტების ტარას შევჩენკოსა და აკაკი წერეთლის შემოქმედებითი დაახლოვებისაკენ მისწრაფების ფაქტი. ილია ჭავჭავაძე, სამოციანი წლების მოწინავე ქართველების ფიქრთა მპყრობელი, არა ერთხელ გამობმარებია თავის შემოქმედებაში თავისი ეპოქის უდიდეს ისტორიულ მოვლენებს, მაგალითად, პარიზის კომუნას და სხვ. ხოლო რუსთველის გენიალურ შემოქმედებაში ჩვენ ვხვდებით არა მარტო პოემის გმირთა მოქმედების უაღრესად ფართო ასპარეზს, არამედ იმ ეპოქის აღმოსავლეთისა და დასავლეთის მოწინავე იდეათა ნამდვილ მხატვრულ ასახვას.

მხოლოდ ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების პირობებში ხდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეა საბჭოთა პოეზიის ხელშეუვალ ფაქტორად და ძირითად მამოძრავებელ ძალად. ხალხთა მეგობრობა იქცევა საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად თემად, ვინაიდან იგი პროლეტარული რევოლუციის ერთ-ერთი უძვირფასესი მონაპოვარია. „არაუინ არ არის საშიში ჩვენთვის, არც შინაური და არც გარეული შტერი, ვიდრე ეს მეგობრობა ცოცხლობს და ხარობს“ (სტალინი).



ბასო ჟღანბი

## კონსტანტინე გამსახურდიას ახალი რომანის „მთავრის მოტაცების“ „მთჰარის მრეცხება“

კონსტანტინე გამსახურდიას ახალი რომანის „მთავრის მოტაცების“ სახით საქმე გვაქვს ჩვენი ლიტერატურული სინამდვილის საკმაოდ რთულ და მრავალმხრივად საყურადღებო მოვლენასთან.

საბჭოთა ლიტერატურა, გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქის მწერლობა თავისი შინაარსით, თავისი ბუნებით უაღრესად რეალისტური მწერლობაა. იგი მთელი თავისი სიღრმით დაკავშირებულია სოციალისტურ სინამდვილესთან, იგი გამოხატულებაა ჩვენი ხალხის სულისკვეთების, მისი ბრძოლისა და შემოქმედების. მის ძირითად და მთავარ ამოცანას წარმოადგენს მხატვრულ სახეებში ჩამოაყალიბოს ჩვენი სინამდვილის ძირითადი პროცესები, სოციალიზმის ძლევა მოსილებისა და წინმსვლელობის საუკეთესო ადამიანები და ამგვარი სახეებით, ამგვარი მხატვრობით დაეხმაროს ადამიანები და ამგვარი სახეებით, ამგვარი მხატვრობით დაეხმაროს, ხელი შეუწყოს, მონაწილეობა მიიღოს ახალი, სოციალისტური ცხოვრების წარმატებული მშენებლობის საქმეში.

რამდენადაც გარკვეულია და ჩამოყალიბებული საბჭოთა მწერლობის ძირითადი ამოცანა, მისი გეზი, მისი შემოქმედებითი მიმართულება, იმდენად ნათელია ჩვენთვის ის კრიტერიუმში, რომლითაც უნდა მოუღვეს ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა, საბჭოთა მკითხველების მასა და ჩვენი საზოგადოებრივობა ყოველი ახალი, მხატვრული ნაწარმოების შეფასებას საბჭოთა ლიტერატურის სინამდვილეში.

კ. გამსახურდიას რომანის შეფასების დროსაც მთავარ საზომს ჩვენთვის წარმოადგენს იმ საკითხის გამორკვევა, თუ რამდენად შესძლო ავტორმა თავის ვრცელ და უსათუოდ მრავალი ღირსების შემცველ ნაწარმოებში გამოეხატა ის გიგანტური პროცესები, რომლებიც მიმდინარეობენ დღეს ჩვენს ქვეყანაში, მოეცა ჩვენი სინამდვილის დამახასიათებელი მხარეები. ამ სინამდვილის ტიპური ადამიანები და ყოველივე ეს გამოეხატა იმგვარად, რომ მკითხველი მასების აღფრთოვანება, საბრძოლო ენერჯია, შემოქმედებითი უნარი უფრო მეტად დაერაზმა იმ დიდი ამო-

ცანების გარშემო, რომლებიც ჩვენი ქვეყნის, საბჭოთა საზღვრების წინაშე დგას.

მაგრამ რამდენადაც საბჭოთა მწერლობა არ წარმოადგენს ქრთმურ ძალს მასას, რამდენადაც ჩვენ მიერ აღნიშნული დიდი ამოცანა საბჭოთა ლიტერატურისა ხორციელდება მეტად მრავალფეროვანი, მეტად სხვადასხვა გვარი შემოქმედებითი ბიოგრაფიის, სხვადასხვა მხატვრული ძალითა და პოზიციის მწერლების კოლექტიური ენერჯით და ძალით, იმდენად ჩვენთვის მხატვრული ნაწარმოების შეფასების დროს არსებობს კიდევ ერთი დამატებითი კრიტერიუმი: ეს არის საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად წარმოადგენს ესა თუ ის ნაწარმოები თვით ავტორის მხატვრული ინდივიდუალობის, მისი პირადი შემოქმედებითი ბიოგრაფიის თვალსაზრისით, რაიმე წინსვლას, მაჩვენებელს ავტორის იდეური თუ შემოქმედებითი ზრდისა და დაახლოვებისა სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან.

ამიტომ კ. გამსახურდიას რომანის შეფასების დროს სწორედ ამ ორი საკითხის გადაჭრაა საჭირო: ერთი — რას წარმოადგენს ეს რომანი თვით მწერლის, კ. გამსახურდიას, შემოქმედებითი ევოლუციის, მისი იდეური შემოქმედებითი ზრდისა და ჩვენი სინამდვილის ამოცანებთან დაახლოვების თვალსაზრისით; ხოლო მეორე და მთავარი კრიტერიუმი, რომლითაც ჩვენ შევფასებთ „მთავრის მოტაცებას“, არის ამ რომანის დამოკიდებულება ჩვენს სოციალისტურ სინამდვილესთან, რადგან ჩვენთვის უდაოა ის ჭეშმარიტება, რომ მწერლობა პირველ რიგში სინამდვილის გამოხატულებაა, რომ ლიტერატურა, როგორც ერთ-ერთი ფორმა იდეოლოგიისა, პირველ ყოვლისა განისაზღვრება თავისი დამოკიდებულებით სინამდვილესთან და იმ შემოქმედების ხარისხით, რომელსაც იგი სინამდვილეზე ახდენს.

კ. გამსახურდიას შემოქმედებითი ბიოგრაფია, მისი წარსული, მისი ლიტერატურული გზა კარგადაა ცნობილი ჩვენი მკითხველი საზოგადოებრივობისათვის. ის ინტერესი, ყურადღება და საზოგადოებრივი რეზონანსი, რომელიც გამოიწვია გამსახურდიას რომანმა, უნდა აიხსნას არა ნარტო ამ რომანის თვისებებით, არამედ იმ მეტად თავისებური შემოქმედებითი ბიოგრაფიითაც, რომელიც კ. გამსახურდიას აქვს. ჩვენ ვიცით, რომ გამსახურდია როგორც მწერალი ჩამოყალიბდა ჩვენი რევოლუციის პოქაში. ყველაფერი, რაც გამსახურდიამ დასწერა დამახასიათებელი თავისი სამწერლო ინდივიდუალობისათვის, შექმნილია ჩვენი რევოლუციის წლებში.

მაგრამ მთელი რიგი წლების მანძილზე გამსახურდია გამოხატავდა არა ჩვენი რევოლუციური სინამდვილის ზრდის ტენდენციას, არა ამ სინამდვილის დადებით ადამიანებს, იგი თავის მწერლობას ამყარებდა არა ამ სინამდვილის მშენებელი რევოლუციური კლასის იდეებზე. პირიქით,

ეგი წარმოადგენდა ქართულ მწერლობაში ყველაზე მკაფიოდ გამოხატულ რევოლუციურ კლასების სულიერი განწყობილებას. მისი შემოქმედების მთავარ თემას წარმოადგენდნენ ჩვენს სინამდვილეში არსებული ნაშთები, ძველი ფეოდალურ-ბურჟუაზიული ყოფა-ცხოვრებისა, ფსიქიკისა, აზროვნებისა. მისი შემოქმედების მთავარ გმირებს წარმოადგენდნენ ის ადამიანები, რომლებმაც რევოლუციის ძლევამოსილების ნიადაგზე დაჰკარგეს ადგილი ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეში და გადაიჭტუნენ ზედმეტ ადამიანებად, რომლებიც გადაეშვენ მელანქოლიის ჭაობში, რომლებიც მკაცრად ემიჯნებიან და უპირისპირდებიან ჩვენს რევოლუციურ სინამდვილეს. ამგვარ იდეურ-თემატურ შინაარსს შეესაბამებოდა მხატვრულ საშუალებათა ის არსენალიც, რომელიც დამახასიათებელი იყო მისთვის, როგორც მწერლისთვის — არისტოკრატიული კტილი, ძველ ნანგრევთა სურნელებით გაყენებული, მეტად დაკუმშული, მძაფრი ფერები. უადრესი ინდივიდუალიზმი, სინამდვილის მისტური ხედვა, მებრძოლი, მძაფრი ნაციონალიზმი, — აი მთავარი დამახასიათებელი თავისებურებანი კ. გამსახურდიას შემოქმედების იდეური და მხატვრული შინაარსისა მთელი რიგი წლების მანძილზე.

ასეთი იყო „დიონისეს ღიმილის“, „ტაბუს“, „ქოსა გასუს“ და მთელი რიგი სხვა ნოველების ავტორის იდეურ-შემოქმედებითი პოზიცია.

ამიტომაც კ. გამსახურდიას პიროვნება, მისი შემოქმედება, მისი ყოველი მხატვრული ნაბიჯი ჩვენს ლიტერატურულ-საზოგადოებრივობაში ბრძოლის საგანს წარმოადგენდა. ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა, საბჭოთა მწერლების კოლექტივი ებრძოდა კ. გამსახურდიას ამგვარ იდეურ პოზიციებს. ამავე დროს იბრძოდა იმისთვის, რომ კ. გამსახურდია, როგორც მხატვრული სიტყვის ძლიერი ოსტატი, განეიარაღებია პროლეტარიატისათვის უცხო იდეებისაგან და ჩვენი მწერლობის რიგებში ჩაეყენებია.

უკანასკნელ წლებში კ. გამსახურდიამ მოგვცა მთელი რიგი ცდები ემუშაენა უფრო „ნეიტრალურ“ თემებზე („გოეტეს ცხოვრების რომანი“), ემუშაენა ჩვენი რევოლუციური სინამდვილის თემატიკაზედაც („უკრანის თემიდი“), მოენახა თავისი ლიტერატურული დანიშნულება მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების გადმოთარგმნაში ქართულ ენაზე (მისი ფრიად საყურადღებო თარგმანი დანტეს „ლვთა-ებრივი კომედიისა“).

მაგრამ ამ ნაწარმოებებით კ. გამსახურდიას იდეურ-შემოქმედებითი გადაიარაღების, მისი საბჭოთა მწერლობის პოზიციებზე დადგომის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და საგრძნობი არაფერი მომხდარა.

მხოლოდ უკანასკნელი რომანი „მთვარის მოტაცება“, რომელიც წარმოადგინა ავტორის ხანგრძლივი დაძაბული შემოქმედებითი მოშაობის შედეგს, განხილულ უნდა იქნას, როგორც ავტორის თვალსაჩინო ძეგლი.

ძველი იდეურ-შემოქმედებითი კონცეპციიდან საბჭოთა ლიტერატურის პოზიციებიაკენ, ჩვენი მწერლობის ამოცანებისა, ჩვენი სინამდვილის თემებისა და იმ რეალისტური გზისაკენ, რომელსაც საბჭოთა მწერლობა ემყარება.

კ. გამსახურდიას რომანში „მთვარის მოტაცებაში“ ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ელემენტები, რომლებიც უფლებას გვაძლევენ ამგვარად შევაფასოთ: ამ მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ეს ახალი ეტაპი. ეს რომანი უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ გამსახურდია, რომელიც მთელი რიგი წლების მანძილზე ცდილობდა განეყენებია თავისი შემოქმედებითი პრაქტიკა ჩვენი სოციალისტური სინამდვილისაგან, და არა მარტო განეყენებია და დაეშორებია, არამედ კიდევ მძაფრად დაეპირისპირებია იგი რევოლუციურ თანამედროვეობასა და ჩვენი კულტურული მშენებლობის ამოცანებისათვის, ამ თავის უკანასკნელ ნაწარმოებში ახდენს ცდას, არა უნაყოფო ცდას, საბჭოთა მწერლების მთელ კოლექტივთან ერთად მონაწილეობა მიიღოს იმ დიდი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტაში, როგორცაა ჩვენი სოციალისტური სინამდვილის სწორად, ღრმად, მრავალმხრივად და სიმართლით გამოხატვა საბჭოთა ლიტერატურის მიერ.

აღსანიშნავია, რომ თავისი შემოქმედებითი გადაიარაღების, საბჭოთა მწერლობის იდეურ პოზიციებთან მიახლოვების ცდა გამსახურდიამ მოახდინა მეტად აქტუალურ მასალაზე. ეს გაბედულება ავტორისა აღსანიშნავია მით უფრო, რომ გამსახურდია იყო ერთ-ერთი ავტორი ე. წ. „დისტანციის თეორიისა“, რომელიც მთელი რიგი წლების მანძილზე თავგამოდებით იცავდა იმ აზრს, თითქოს ჩვენს მწერლობას არ შეეძლოს გამოხატოს ჩვენი თანამედროვეობა, ჩვენი დღევანდელი სინამდვილე, ჩვენი ბრძოლა და შემოქმედება. თითქოს ააჭირო იყოს ერთგვარი „დისტანცია“, რომ მხატვარმა შორიდან შეხედოს და აითვისოს იგი. ამით გამსახურდია ზოგიერთ სხვა მწერალთან ერთად რადიკალურად უპირდაპირდებოდა საბჭოთა მწერლობის შემოქმედებით პოზიციას და ცდილობდა თეორიულად დაესაბუთებია მწერლობის შემარჯვენე ბანაკის მიერ თანამედროვეობის თემებისა და იდეების შეგნებული იგნორაცია.

ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა ყოველთვის ებრძოდა გამსახურდიას ამ „თეორიას“, და საყურადღებოა, რომ თვით კ. გამსახურდიამ თავისი უკანასკნელი რომანით ფაქტურად დაამტკიცა ამ „თეორიის“ მთელი უსუსურება და უძლეურება, რადგან ყოველ შემთხვევაში გამსახურდიას მთელს შემოქმედებითს პრაქტიკაში რომანი „მთვარის მოტაცება“ საუკეთესო ნაწარმოებია მხატვრულადაც, იდეურადაც და ამავე დროს იგი ყველაზე უფრო ახლოს სდგას (გამსახურდიას სხვა ნაწერებთან შედარებით) ჩვენს სინამდვილესთან. გამსახურდიამ ამ რომანით უარი სთქვა თავის „დისტანციის თეორიაზე“, რომელიც ჩვენი ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით უდაოდ რეაქციულ „თეორიას“ წარმოადგენს.



კ. გამსახურდია შევიდა ჩვენი სინამდვილის მეტად მძაფრ გარემოცვაში და თავისი რომანის აუტენტური ლერძი 30-ანი წლების უფლებიან ტექნიკურ რეზერვულ, დიდი წინააღმდეგობით და კლასობრივი ბრძოლის ქარტეხილით აღნიშნულ პერიოდში მოაქცია. ჩვენი საუკუნის ზოგადი ანტი-წლები რომლის ლოკალშიაც მოქმედებენ გამსახურდიას გმირები არის ჩვენს ჰეგელანაში მძაფრი კლასობრივი ბრძოლის პერიოდი. ეს ის წლებია, როცა სოფლად კოლექტიური მოძრაობა ღრმად ედებოდა და ვითარდებოდა, როცა გადამწყვეტი იერიში იქნა მიტანილი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის მიზნით, როცა ჩვენი სოფელი გადაკრით დადგა საკოლმეურნეო მშენებლობის გზაზე. გამსახურდია გაბედულად შევიდა ამ საკმაოდ დამძაფრებულ სოციალურ გარემოცვაში და თავისი რომანის გმირები ამ დროულ ლოკალში გამოიხატა.

„მთვარის მოტაცება“-ში ჩვენ ვხედავთ ჩვენი სოციალისტური სინამდვილისა, ჩვენი დროის ძირითადი პროცესების დამახასიათებელ მთელ რიგ შტრიხებს.

არ ჩამოვთვლი ყველა იმ მომენტს, რომელიც კ. გამსახურდიას რომანში ამ ახალი სინამდვილის სხვადასხვა პროცესის გამოხატულებას ვეძღვევს. ვაგიხსენოთ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი.

„მთვარის მოტაცების“ ერთ-ერთ გმირს აფხაზი კომკავშირელი არზაან ზეამბაია წარმოადგენს, არზაყან ზეამბაია, რომელიც ერთ-ერთ პირველი მებრძოლთაგანია საკოლმეურნეო მშენებლობისათვის აფხაზეთში. აფხაზეთში კოლმეურნეობები ყალიბდება, კოლხიდის ვაობის ველებს შესქვიან ექსკავატორები და ჩვენი დროის გმირი აღმზიანები, რათა ეს ვებერთელა ჯაობიანი ველი — მაღარის, სიღარიბისა და სიღუბნის წყარო — გადააქციონ მაღალი ტექნიკური კულტურების აყვავებულ ბაღარად. აფხაზეთში, ოქუმის გზაზე აღმართულა გზის სატკეპნი მანქანა, რომელიც სიმბოლიური გამოხატულებაა ჩვენი სოფლის მეურნეობის. ახალ ტექნიკურ ბაზაზე გადასვლისა. ის ვარემოება, რომ ეს მანქანა საფარად ვამოადგა კომკავშირელ არზაყანს მასზე კულაკების თავდასხმის დროს, აგრეთვე სიმბოლიური გამოხატულებაა სოფლად შეჭრილი ტექნიკის კავშირისა სოციალისტური სოფლის მშენებელ ძალებთან.

ამ რომანში ვტყობილობთ, რომ სვანეთშიაც, უაღრესად პატრიარქალურ, ჩამორჩენილ ლაფარიანების მახვშის, ქოსას ოჯახებშიაც (რომელიც ჩამორჩენილი ნატურალურ-საგვარეულო წყობილების ცოცხალ ნაშთს წარმოადგენს) კომკავშირელი საურის სახით ვაჩნდა ერთგვარი უჯრედი ახალი სოციალისტური სინამდვილისა, რომ იქაც შეიქმნა ჩვენი ოვოლუციური თანამედროვეობა, რომ სვანეთის მთებსაც, მისი ბუნების ზვიადობას და შეუვალობას არღვიეს ნაღმების გრიალი, რომელსაც მიუაქვს სვანეთში გზა, კულტურა, მშენებლობა, ჩვენი სოციალისტური რევოლუციის მიზნების ძლევა მოსილება და სხივოსნობა.

ნაღმების გრიალი, მშენებლობის პათოსი, ახალი ცხოვრებისათვის წარმოებული ბრძოლა „მთვარის მოტაცებაში“ გამოხატულია იმ „მოლაპარაკე ხის“ სახით, რომელიც ჩვენი ქვეყნის დედა-ქალაქიდან გვაუწყებს ჩვენი მშენებლობის წარმატებებისა და მიღწევების შესახებ, ჩვენი მრეწველობის, ჩვენი სოფლის მეურნეობის წარმატების შესახებ. გამსახურდიას ამ რომანში არის ახალი ადამიანის, სოციალურების ქმენებული ადამიანის ტიპების დახატვის ცდა (ლიჩელი, ჩალმანი და სხვ.). ერთი სიტყვით, რომანი შეიცავს მთელ რიგ შტრიხებს და მომენტებს სოციალიზმის ზრდის გამოსახატავად.

ამ პროცესის მეორე მხარე, რომელიც გამოსჭვივის ამ რომანში, არის ძველი ფეოდალური საზოგადოებრივი წყობის რევოლუციის მიერ განადგურებული სოციალური ფენების ჩვენს სინამდვილეში ჩარჩენილი ნაშთები. შერეაშიძეების ოქუმიური სასახლის დახვეწებული და დანგრეული თაღები, ძველი ყოფის დამახასიათებელი ცრუმორწმუნეობრივი ჩვევები და რიტუალები, კულაკობის გამოროტებული თავდასხმა ახალი ცხოვრების მშენებლებზე და ძველი ქვეყნის გამოხატველი ტიპაჟს მთელი ვალერეია: თარაშ ემზვარი, ბაბუა ტარიელი, ლუკაია ლაბახუა და მრავალი სხვა — ამგვარადაა მოცემული რომანში სასიკვდილოდ გაწირული ძველი სამყაროს გამოხატულება.

როგორც ხედავთ, თითქოს მწერალმა სწორად აიღო სოციალისტური სინამდვილის წიაღიდან მასალა, თითქოს მან სწორად დაუპირდაპირა ერთი მეორეს ორი სამყარო — ახალი ძლევათმოსილი სოციალისტური სინამდვილე და ძველი მომაკვდავი სამყაროს უკანაქნელი ნარჩენები. მათს დაპირდაპირებაზე სცადა აეტორმა აქმენებია თავისი რომანის ვანვითარება, და რომ აეტორს ეს ხაზი ლოგიკურად, თავიდან ბოლომდე, მტკიცედ გაეტარებია რომანში, რომ ეს მხატვრული ნაწარმოები დამყარებული იყოს მკაფიოდ გამოკვეთილ, გარკვეულ მსოფლმხედველზე. რომ ამ მსოფლმხედველობრივ ნათელზე იყოს გაშუქებული ასე უზრუნველ და მძაფრად აღებული მასალა, ამ რომანის სახით მივიღებდით ჩვენი სინამდვილის, ჩვენს რევოლუციურ ეპოქაში წარმოებული ბრძოლების გამოხატველ მონუმენტალურ მხატვრულ ტილოს.

მაგრამ საქმე ის არის, რომ გამსახურდიამ ამ ძალების დაპირდაპირების ასახვაში, ჩვენი სინამდვილის პროცესებისა და წარსულის მომაკვდავი ნაშთების გამოხატვაში ვერ დაიმკვიდრა ის მსოფლმხედველობრივი პოზიციები, რომლებიც აუცილებელია საბჭოთა მწერლისათვის, რომლებიც ერთად-ერთი საშუალებაა ამ მეტად აქტუალურ მასალაზე ნამდვილ საბჭოთა ნაწარმოების ჩამოყალიბებისათვის.

კ. გამსახურდია შევიდა მასალათა ამ ეპიპირიაში იმ აუცილებელი იარაღის მოუმარჯვებლად, რომელსაც საბჭოთა მწერლის მსოფლმხედველობა ეწოდება, რომელსაც ჩვენი მწერლობის რეალიტური შემოქმედე-



ბითი მეთოდი ეწოდება, რომ, სათვისაც იბრძვის საბჭოთა მწეოლოპის მთელი კოლექტივი.

ამიტომ პირდაპირ და გარკვევით უნდა ითქვას, რომ კ. გამსახურდიას რომანში ჩვენ ვერ მივიღეთ ამ სინამდვილის სწორი გამოხატულება, აი ამ ძალთა დაპირისპირების და ბრძოლის ნამდვილი ანარეკლი.

ახალი ცხოვრება, ჩვენი თანამედროვე სინამდვილე, ჩვენი სოციალისტური პრაქტიკა არ წარმოადგენს ამ რომანის განმსაზღვრელ მომენტს, საიდანაც უნდა გამოდიოდეს მწერალი და რომლის ნიაღვზე უნდა იდგეს იგი. რომანში სათანადო სიღრმით და სიშარბლით არ არის ასახული ჩვენე სინამდვილის დამახასიათებელი პროცესები, ამ სინამდვილის მამოძრავებელი ადამიანები.

ჩვენი სოციალისტური პრაქტიკა, ჩვენი დღევანდელი მხოლოდ შტრიხების სახით არის წარმოდგენილი ამ რომანში. მხატვრის მთავარი ენერჯია, მთავარი ძალა მიმართულია იქითკენ, რომ გამოხატოს ძველი საზოგადოებრივი წყობის ჩვენს სინამდვილეში ჩაჩენილი ნაშთები, მისი რიტუალებით, მისი ცრუმორწმუნეობით, მისი ტრადიციებით. სადაო არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბაბუა ტარიელის ოჯახში სააღდგომოდ გამართულ დღესასწაულის აღწერას ავტორმა მეტი ყურადღება, მხატვრული ენერჯია და ძალა მოანდომა, ვიდრე, ვთქვათ, კოლხიდის ველებზე გაშლილ სოციალისტური მშენებლობის აღწერას და გადმოცემას. „მალანურების მოსელას“, „მეზორს“, სხვადასხვა რელიგიურ ტრადიციული ცრუმორწმუნეობრივი ადათების, წარსულის ცრუმორწმუნეობათა კომპარის, როგორც გამოსთქვამდა მარქსი, ნაშთების აღწერაზე ავტორმა დახარჯა უფრო მკაფიო, მძაფრი საღებავები, ვიდრე სოციალისტური სოფლის ან ჩვენი სინამდვილის რომელიმე სხვა დამახასიათებელი და მამოძრავებელი პროცესის გამოხატვისათვის. ძველი სამყაროს ნაშთები, რევოლუციის მიერ განადგურებული კლასების ნაშთები, წარსულის ცრუმორწმუნეობა, მისი რიტუალები, ადათ-ჩვევები წარმოადგენენ რომანში გადამწონ მომენტს არა მარტო ოდენობის თვალსაზრისით. ჩვენი სინამდვილის შინაარსი, რომანში დაქვემდებარებულ მდგომარეობაში მოქცეული, მეორე პლანზეა დაყენებული. ამაშია ავტორის დიდი შემოქმედებითი შეცდომა თუ ნაკლი.

მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც აქვს პრეტენზია გამოხატოს ჩვენი სოციალისტური სინამდვილე, გვიჩვენოს ჩვენი დღევანდელი და ჩვენი დღევანდლობის მებრძოლი და შემომქმედი ადამიანები, პირველყოელისა უნდა მიმართავდეს ამ სინამდვილის დადებითს და დამახასიათებელ პროცესებს, რადგან ჩვენს სინამდვილეში, გამარჯვებული სოციალიზმის სინამდვილეში წარსულის, ძველი ფეოდალურ-ბურჟუაზიული ყოფისა და ფაიჭიკის ნაშთებს უკვე იმდენად მცირე (ჩვენი სოციალისტური განვითარების დინამიკასთან შედარებით) ადგილი უჭირავთ, რომ





ლოდ ცდებია რომანში. მხოლოდ ესკიზების, მკრთალი ნახაზების სახით რომანში გამოკრთიან ადამიანები, რომლებიც ემსახურებიან ლუციურ კლასის დიდ მიზნებსა და ამოცახებს. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ „მთვარის მოტაცების“ მთელ პერსონაჟს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მაგალითად, ნესტორ ლიჩელი, ეს მებრძოლი ბოლშევიკი, რომელსაც გამოუვლია სამოქალაქო ომების მთელი ეპოპეია, რომელიც, როგორც ავტორს დაუხატავს, ხელმოჭრილი, რუხ მანარაში გახვეული, დღეს იბრძვის სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობისათვის და პარტიული ხაზის გატარებისათვის, უეჭველად შექარები, ტიპური ფიგურაა, გამოხატულებად იმ ადამიანებისა, რომლებიც სამოქალაქო ომის ფრონტიდან წაეიღნენ სოფლად სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. ლიჩელი ზორცშესხმული ტიპია სოფლად მებრძოლი ბოლშევიკისა, ჩვენი სოციალისტური სოფლის საუკეთესო ადამიანთა შექარები ფიგურა. მაგრამ ლიჩელი ეპიზოდური ფიგურაა ამ რომანის განვითარებაში, ის ეპიზოდურად გაივლევებს რომანის ვრცელ პორიზონტზე, ისე რომ იგი არ ხედება მკითხველის ყურადღებას, მისი ინტერესის, მისი ლეღვისა და განცდის ფოკუსში.

მეორე ტიპი, რომლითაც ავტორი ცდილობს ჩვენი დროის გმირის, დადებითი ადამიანის გამოხატვას, არის ჩალმაზი, რომელიც აგრეთვე სოფლად აწარმოებს ბრძოლას პარტიის გენერალური ხაზისათვის, რომელიც იბრძვის პარტიის ხაზის დამახინჯების წინააღმდეგ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხში. ჩალმაზი ძირითადად დადებითი ტიპია, მაგრამ ვერც მასში ვხედავთ იმ საუკეთესო თვისებებს, რომლებიც ახასიათებენ თანამედროვე ადამიანს, სოციალიზმისათვის მებრძოლი ავანგარდის წევრს, მოწინავე რევოლუციონერს. მასში ვერ ვხედავთ ახალი ადამიანის ფსიქიკისათვის დამახასიათებელ იმ თვისებებს, რომლებიც გამოუმუშავდა რევოლუციური ბრძოლებისა და სოციალიზმის მშენებლობის ეპოქაში და რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი დროის ახალი ადამიანის სპეციფიკას.

ჩალმაზი საკმაოდ მოქცეულია ძველი პატრიარქალური ტრადიციების რკალში. ჩალმაზი ვერ იძლევა ბოლშევიკური პრინციპიალობის, კლასობრივ მტერთან იდეური შეურთებლობის, აქტიუობის, დასახულ მიზნისათვის უკან დაუხვეული ბრძოლისა და გაბედული მოქმედების ნიმუშებს. ამავე დროს ჩალმაზიც რომანში ეპიზოდური ფიგურაა, მეორეხარისხოვანი პერსონაჟის ერთ-ერთი წევრია, რომელიც, ისე, როგორც ნესტორ ლიჩელი, ღრმად ვერ შეიჭრება მკითხველის აზრთა და განცდათა სამყაროში.

ავტორმა არ მოისურვა აგრეთვე თავისი ყურადღება შეეჩერებია ჩვენი უპარტიო ინტელიგენციის იმ ერთად-ერთ ტიპზე რომანში, რომელ-

საც ქორტუგი ხერიაში წარმოადგენს. ხერიაში, გამოსულს ფილოლოგურ-საეკლესიო არისტოკრატიის ტიპური ოჯახიდან, კეთილსინდისიერად სდგას რევოლუციურ კლასთან თანამშრომლობის გზაზე, მაგრამ ეს ტიპიც, რომელიც ერთად-ერთი გამოხატავს ამ რომანში ჩვენი უპარტიო ახალგაზრდა ინტელიგენციის, საბჭოთა სპეციალისტების, როლსა და ადგილს სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკაში, მკრთალად, გაკვირვით და ეპიზოდურად არის რომანში მოცემული.

რომანის ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს არზაყან ზვამბაია, რომელიც ავტორის მოფიჭრებული აქვს თავისი რომანის დადებით ტიპად. ვიმეორებ, დადებითი ტიპის საკითხს, ჩვენი დროის მებრძოლი ადამიანის გამოხატვის საკითხს ჩვენს ლიტერატურაში უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ყოველი საბჭოთა ნაწარმოების შეფასების დროს ჩვენი ყურადღების ცენტრში ეს საკითხი უნდა მოვაქციოთ.

რადენად წარმოადგენს არზაყან ზვამბაია ჩვენი დროის გმირს, ასე ვსთქვათ, ჩვენი დროის, მეოცე საუკუნის ახალგაზრდა ადამიანის სპეციფიურ თვისებათა შემცველ ფიგურას, ჩვენი კომკავშირული თაობის ისეთ შემკრებ სახეს, რომელშიც გამოხატულია ჩვენი სოციალისტური ახალგაზრდობის ბრძოლისა და შრომის ისტორია, ამ თაობის სოციალური ბიოგრაფია, მისი ზრდისა და რევოლუციური დავაყვაცების პროცესი?

არზაყან ზვამბაიას დიდი ადგილი აქვს რომანში დათმობილი. იგი რომანის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა. მას დიდი სიყვარულით და სიმპატიით ხატავს ავტორი. ვერ ვიტყვი, რომ კონსტ. გამსახურდიას და ეზოგოს მხატვრული ენერგია და ძალა ამ ტიპის გამოხატვისთვის, ვერ ვა-ტყვი, რომ ავტორს თავისი სიმპატიისა და სიყვარულის გარეშე და-ცვენების იგი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არზაყან ზვამბაია მაინც ვერ დახატა ავტორმა ჩვენი დროის ახალგაზრდა ადამიანის, კომკავშირული თაობის დამახასიათებელ ტიპად.

ტიპურობის პრობლემას საბჭოთა მწერლობაში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ვიბრძვი რეალისტური მწერლობისათვის. ჩვენი მწერლობა სოციალისტური პროცესების ამსახველი მწერლობაა. რეალისტური რომანის გმირი უნდა წარმოადგენდეს იმ თვისებების შემკრებ ფიგურას, რომლებიც ამ ტიპის უკან მდგომ სოციალურ ფენას ახასიათებენ. ამ მხრივ ჩვენი მწერლობისათვის სახელმძღვანელო მეთოდოლოგიურ მითითებას წარმოადგენს ენგელსის ცნობილი ფორმულა „ტიპური ადამიანები ტიპურ გარემოცვაში“.

ავტორი გვიხატავს არზაყან ზვამბაიას, როგორც აფხაზ კომკავშირელს, რომელიც ერთად-ერთი ლაპარაკობს მთელს რომანში ახალი ქვეყნის, ახალი სოციალისტური სამყაროს სახელით. იგი უპირდაპირდება რომანში უხვად და ძალუმად დახატულ რევოლუციის მიერ განადგურებუ-



ლი სოციალური ფენების გამომხატველ გმირთა პერსონაჟს ამიტომ სრულად ბუნებრივია, თუ ჩვენი მკითხველი მოინდომებს არხანაზ ზეგნის სახეში დაინახოს ყოველივე ის, რაც საუკეთესოდ ახასიათებს ჩვენს კომკავშირელ ახალგაზრდობას, ჩვენს სოციალისტურ თაობას, რომ მისი სიტყვა და საქმე, მისი ბრძოლა და შემოქმედება ვახდეს სანიმუშოდ, მისაბამ მგალითად. არის თუ არა ამგვარად დახატული არხაყან ზეგნაბაია?

ავტორი გვიამბობს, რომ არხაყანი იბრძოდა სოფლად კოლმეურნეობების ჩამოყალიბებისათვის, რომ არხაყანი ასრულებდა მთავრობის მეტად საპაპუხისმგებლო დავალებებს, იბრძოდა ბანდიტიზმის წინააღმდეგ და სხვა. სვანეთშიაც კი მისვლიათანავე იწყებს კომკავშირული ორგანიზაციის ჩამოყალიბებას და აშკარად გამოხატავს თავის უაიყოფითს დამოკიდებულებას ძველი, ცრუმორწმუნეობრივი ტრადიციების მიმართ, იმ ჩამორჩენილობის, უმეცრებისა და პრიმიტიულობის მიმართ, რომლითაც გამსჭვალულია მთელი გარემოცვა ქორა მახეშის პატრიარქალურ ოჯახში. მაგრამ გარკვეულად უნდა ითქვას, რომ არხაყანის სახით მწერალმა ვერ მოგვცა ჩვენი ეპოქის ახალგაზრდობის, ჯანმრთელი თაობის გამომხატველი ფიგურა. ავტორმა ეს ტიპი მეტად ინტენსიურად მოაქცია ძველი ტრადიციების, ძველი ჩვევების, ძველი ცრუმორწმუნეობის რკალში, უფრო ხაზი გაუსვა მის ყოფა-ცხოვრებით კავშირს ძველი სამყაროს ყოფითი ინერციასთან, უფრო ნაკლებად და მკრთალად გამოხატა არხაყან ზეგნაბაიას რევოლუციური მოქმედება, მისი როლი სოციალისტურ მშენებლობის პრაქტიკაში, მისი საზოგადოებრივი საქმიანობა.

რა არის მთავარი, რაც ამოძრავებს მას, რის გამოც იგი ებრძვის და უპირისპირდება თარაშ ემხვარს? მისი ბრძოლისა და მოქმედების მთავარი ფაქტორი არის რომანი თამართან და ამ ნიადაგზე უპირისპირდება იგი თარაშ ემხვარს.

ჩვენ არ მოვითხოვთ მწერლისაგან, გვიჩვენოს კომკავშირელის ტიპი რაღაც ასკეტურ განაახიერებაში, რომელსაც არც რომანი აინტერესებს, არც უყვარს, არც იტანჯება, არც უხარია, რომელსაც პირზე სოციალისტური ტრაქტატები აკერია. სქემისა და პლაკატური ტრაფარეტის ეს გზა უკვე უარყოფილი გზაა ჩვენი ლიტერატურის მიერ, მაგრამ როდესაც მწერალი გვიხატავს ჩვენი სინამდვილის გმირს, როცა მწერალი ასეთი ვრცელი რომანის მანძილზე ერთადერთ გმირს აკისრებს ილაპარაკოს ახალი ქვეყნის საბელით, მწერალს მოეთხოვება გვიჩვენოს ისეთი სახე, რომელიც ცხადყოფს ამ ახალი ადამიანის რევოლუციურ ბუნებას. მისი ფსიქიკის ახალ თვისებას, მისი აზრების, გრძნობებისა და განცდების თავისებურებას, მის დამოკიდებულებას სოციალურ გარემოსთან, გვიჩვენოს ყველაფერი ის, რაშიც გამოხატულია მთელი უპირატეობა სოციალისტური ეპოქის ადამიანისა ძველ, კლასობრივ ექსპლოატატორულ წყობაში აღზრდილ ადამიანთან შედარებით.



არზაყან ზვამბაია ამგვარ მებრძოლს, ჩვენი ახალგაზრდობის უმჯობესი წევარი შემოქმედებით რევოლუციურ ტიპს ვერ ვათავსებთ და მხოლოდ მხოლოდ მენტეში მისი ქცევა და მოქმედება სრულიად შეუფერებელია ჩვენი დროის ადამიანისათვის, მისი მორალური და საზოგადოებრივი შეგნებისათვის. მაგალითისათვის ვაფიქსირებთ მხოლოდ ერთი შტრიხი: არზაყან ზვამბაია, მებრძოლი კომკავშირული თაობის ეს თითქმის ტიპური გამონახტველი, გამოწყობილი „ცრუმარჩიელის“ გრიმსა და პარიკში და ამრძვად შეპარული ბაბუა ტარიელის ოჯახში; მხოლოდ ეს ერთი შტრიხიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ეს ადამიანი არა ჰგავს ჩვენი სოციალისტური ახალგაზრდობის მებრძოლ წარმომადგენელს. თავისთავად ეს სიტუაცია, მოკლებული ბუნებრივობას, ყალბად და ხელოვნურად გამოიყურება, „ცრუმარჩიელი“ მდგომარეობა სრულიად შეუფერებელია კომკავშირული ახალგაზრდობის ტიპისთვის.

მთავარი მომენტი, რომელიც არზაყან ზვამბაიას უკარგავს ჩვენი კომკავშირული თაობისათვის დამახასიათებელ სახეს, არის არზაყანის მიერ საკუთარი მამის მოკვლა, განხორციელებული ისეთ პირობებში, რომ არზაყანის ამ მოქმედებას საერთო არაფერი აქვს კომუნისტურ მორალთან, ჩვენი ეპოქის ახალგაზრდობის შეგნებასთან.

ყოვლად შეუძლებელია გამართლებულ იქნას არზაყან ზვამბაიას მიერ თავისი მამის მოკვლა. არა მარტო იმიტომ რომ შვილის მიერ მამის მოკვლა სრულებით არ შეეხება კომუნისტურ მორალს, არამედ იმიტომაც, რომ ამ მკვლელობას არა აქვს არაერთი მოტივაცია, რომელიც დამაჯერებელი იყოს. აქ საქმე გვაქვს არა მარტო ტიპის სოციალური ბუნების დამახინჯებასთან, არამედ თავისთავადაც ყალბ და არა დამაჯერებელ სიტუაციასთან.

რა პირობებში მოკლა არზაყანმა თავისი მამა?

კაც ზვამბაია (არზაყანის მამა) ავტორის დასახული ჰყავს კულაკად. საერთოდ ავტორი თავის პერსონაჟებს ვეცნობს არა სოციალურ პრაქტიკაში, არა მათი საზოგადოებრივი საქმიანობისა და მდგომარეობის აღწერით, არამედ უმთავრესად ყოფაცხოვრებითი პორტრეტის საშუალებით. კაც ზვამბაია — კულაკი და მისი შვილი არზაყანი — კომკავშირული ავტორის მიერ დაპირისპირებულია რომანში. ამით მწერალს სურს მეტი სიმკაცრე მისცეს ძველი და ახალი ქვეყნის დაპირისპირებას. აქ მამა და შვილი გამოდიან ურთიერთისადმი მტრულად განწყობილი თაობების წარმომადგენლებად. იანნი ორ თაობას გამოხატავენ.

თავით რომანი იხსნება იმით, რომ ეს ორი ქვეყნის წარმომადგენელი ერთმანეთს ეჯიბრებიან ცხენოსნობაში, წყალში, ცურვაში და სხვ. მათ შორის ბევრჯერ უაღრესად მძაფრდება დამოკიდებულება. რომანში მთელი რიგი მომენტებია მათი მკაცრი შეტაკებისა, მაგრამ ამ შეტაკებას არ მიუღწევია იმ უკიდურებამდე, რომ არზაყან ზვამბაიას, როგორც

კომკავშირელს, ხელი აღემაართა თავისი მამის წინააღმდეგ. მკვლელობა მოხდა სულ სხვაგვარ ნიადაგზე, რომელიც ყოველად დუქსიტეზმული-სოციალურად, დაუსაბუთებელია ფსიქოლოგიურდაც. **შეზღუპილნი**

არზაყანმა სევანეთში ქორა მახვშის ოჯახში მოკლა გველი, რომელიც ამ ოჯახის მფარველად ითვლებოდა. სევანური ტრადიციის მიხედვით, ოჯახის მფარველი გველის მკვლელს სიკვდილი არ ასცდებოდა. ამიტომ გამოიქცა არზაყან ზეამბაია თარაშ ემხვართან ერთად ქორა მახვშის კოშკიდან. კაც ზეამბაია გამოედევნა შვილს და დაეწია გამოქცაბულში, რომელსაც გამოქცეულთ თავი შეაფარეს, და როდესაც ამ გამოქცაბულში არზაყან ზეამბაიას შეგნებაში მძლავრად იელვებს სწრაფვა ტფილისისაკენ, რევოლუციის კერისაკენ, კულტურული მშენებლობის ცენტრისაკენ, კაც ზეამბაია უეცრად წინააღმდეგება შვილის სურვილს. არზაყანს ბევრი მოსისხლე მტერი ჰყავს. ამიტომ კაც ზეამბაია შიშობს, რომ არზაყან ზეამბაიას უთუოდ სიკვდილი მოელის. იგი ჯიუტად უკრძალავს თავის შვილს ტფილისში წაწვლას. არ უნდა გაუშვას შვილი თავისი მზრუნველობისა და მფარველობის არედან. საქმე იქამდის მიდის, რომ ხანჯლითაც კი დაემუქრება კაც ზეამბაია თავის შვილს, რათა ხელი აღეზინოს მტკიცედ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. და აი, ამ დროს არზაყანი მაუზერის ტყვიით ჰკლავს საკუთარ მამას.

ამრიგად შვილმა ტყვიით უპასუხა მამის მშობლიურ მზრუნველობას, მის სურვილს იყოლიოს შვილი თავისი მფარველობის ქვეშ და დაიცავს იგი მოსალოდნელ ზიფათისაგან. უდაოა, რომ ასეთ პირობებში არზაყანის მიერ მამის მოკვლა დაუსაბუთებელია და გაუმართლებელი არა მარტო სოციალურად, არა მარტო თანამედროვე ახალგაზრდა ბოლშევიკის ტიპის დაზასიათების თვალსაზრისით, არამედ უბრალო ადამიანური მორალის თვალსაზრისითაც, მხატვრულ ზომიერების, სიტუაციის რეალურობის, ნაწარმრებში მოკლენათა ფსიქოლოგიურად შემზადების ელემენტარული კანონების თვალსაზრისითაც.

ამ მკვლელობის შემდეგ არზაყან ზეამბაია დამალავს თავი მოქმედებას, გადააბრალება მამის მკვლელობას სხვებს, წარმართული რიტუალის მიხედვით გამოჰკიდებს მამის გვამს ხეზე და ყვავ-ყორნებს და აგლეჯინებს. ბოლოს მამის ძვლებით სავსე ხურჯინს ცხენზე გადაჰკიდებს და წაიღებს აფხაზეთში, საკუთარ ოჯახში.

განსაკუთრებით შეუფერებელია, არარეალური და პირდაპირ მკითხველის მორალური შეგნების შეურაცმყოფელი ის მომენტი, როცა არზაყან ზეამბაია, მოკლული მამის ძვლების გვერდით ეროტიულ სცენას მართავს ძაბულისთან, თავისი მრავალრიცხოვანი ეროტიული რომანების ამ ერთ-ერთ გმირთან.

არზაყანია მიერ საკუთარი მამის მოკვლა, ამ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებული შემდეგი მისი მოქმედება მოკლებულია ელემენტარული

ზომიერების გრძნობას. აქ ავტორმა საბოლოოდ დაამაზინჯა არხაყანის, როგორც კომკავშირელი ტიპის, სახე, ვაიყალბა მისი სარეზონანსო-ტოლოგიური ბუნება და გმირი ისეთ სიტუაციაში ჩააყენა, რომ ზგი არა მარტო კარგავს მკითხველის სიმპატიას, არამედ რაღაც პატალოგიურ, ველური ინსტიქტებით შეპყრობილ პიროვნებად გამოიყურება.

ამიტომ არხაყან ზემამბაიას სახეში აფხაზელი კომკავშირელი, ჩვენი კომკავშირელი ახალგაზრდობა ვერ გამოიცნობს თავის ტიპიურ გამოხატულებას. ავტორის განზრახვა — დახატოს ჩვენი ახალგაზრდა თაობის ისეთი წარმომადგენელი, რომელიც თავდადებით იბრძვის ახალი ქვეყნისათვის, რომელიც უპირდაპირდება თარაშებს, აფაქიძეებს, ბაბუა ტარიელს და საერთოდ მთელ ძველ სამყაროს გამომხატველ პერსონაჟს, — ეს განზრახვა უმკველად განუხორციელებელი დარჩა. არხაყანის სახე რომანში სრულიადაც ვერ ასრულებს ამ ფუნქციას. ამიტომ ახალი ქვეყნის გამომხატველი ტიპები ავტორს ან ეპიზოდურად და ესკიზურად პყავს დახატული ან კიდევ ყალბად და არა დამაჯერებლად.

როგორ არის „მთვარის მოტაცება“-ში შესრულებული ტიპაჟი ძველი სამყაროს ადამიანებისა, რომელნიც გამოხატავენ ძველი ქვეყნის, წარსულის, რევოლუციის მიერ განადგურებული სოციალური ფენების ნაშთებს ჩვენს სინამდვილეში?

უნდა ითქვას, რომ ამ პერსონაჟის გამოხატვაში ავტორმა დიდი მხატვრული ენერჯია გამოიჩინა. მას მოახმარა მან თავისი მხატვრული შესაძლებლობის მაქსიმუმი. ჩვენს წინაშე ცოცხლად სდგას ბაბუა ტარიელი მთელი თავისი ფიგურით და ხასიათით. ასეთივეა ლუკაია ლამახუა, ასეთია ლანდად ქცეული თავადი გვანჯ აფაქიძე, გვასალოა ბიჭი. ასეთები არიან კულაკობის მთელი რიგი წარმომადგენელნი. ძველი სამყაროს ადამიანების გამოხატვაში გამსახურდიამ მრავალი შესანიშნავი სახე მოგვცა. უნდა ითქვას, რომ გვანჯ აფაქიძე ნამდვილი გამოხატულებაა. საბჭოთა სოფლის რეაქციური ელემენტისა, რომელიც არ ზოგავს მიტმასნების არაერთარ საშუალებას, მაგრამ რომელიც არ კარგავს არც ერთ შემთხვევას, რომ თავი მოუყაროს ყველა უკმაყოფილო ელემენტს და ღარაზმოს ისინი ჩვენი საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ.

კარგად არის დახატული შარდინ ალშიბაიას სახე, ამ გაიძვერა მლიქვენილი ინტელიგენტისა. რომელსაც არაფერი სწამს არც ძველის და არც ახლისა, რომელიც ეტმასნება ძველსაც და ახლსაც, რომელიც მზად არის უმღეროს ორივეს მოჭარგული დიფირამბები და რომელსაც საერთო არაფერი აქვს ჩვენს სინამდვილესთან. ალშიბაიას ტიპი ავტორმა უსათუოდ შეაფიოდ, ცოცხლად და დამაჯერებლად გამოხატა. ამ შემთხვევაში მწერალმა ხასიათების, ტიპაჟის მხატვრობის უდიდესი ოსტატობა გვიჩვენა.

კარგად არის გამოხატული ტიპი ლანდათ-ქცეული თავადისა. გაიხსენეთ ამ განადგურებული, რევოლუციური პრაქტიკისაგან გარიყული ადა-

ზიანის ცხოვრება, რომელსაც ერთადერთ სიხარულად ის დაიჩინა, რომ სახკინმრეწვეში მიიწვიეს სამუშაოდ, იქ ჩააცმევენ ხოლმე მესაფრის, ძლიერ საყვარელ ფეოდალურ კოსტიუმს. ამაში ხედავს იგი სჯულდღირს, მარტული „დიდების“ აღდგენის ილიუზიას. აქ ავტორმა უსათუოდ მახვილად დაიჭირა ფსიქოლოგიური შტრიხი.

მახვილად არის მოცემული ახალგაზრდა კულაკის გეგასალიას ტიპი.

უნდა ითქვას, რომ ამ ტიპების დახატვაში კ. გამსახურდიამ მიაღწია რეალისტურ სიღრმეს და ძალას, უტყუარ ხედვას. გამსახურდიას აქ არ დაჰკლებია მხატვრული ძალა და ენერჯია, რომ მძლავრად დაეხატა ჩვენს წინაშე ბაბუა ტარიელია სახე, თარაშ ემხვარის დედა, თვით თარაშ ემხვარიც და მთელი გაღერეია მომაკედავი ფენების გამოშხატველი პერსონაჟისა, მაგრამ აქაც პრინციპული ხასიათის ერთ შენიშვნას უნდა გავუსვათ ხაზი, ჩვენს სინამდვილეში ჩარჩენილი მომაკედავი ქვეყნის ნაშთების გამოხატვის დროს მწერალი არ ცდილობს იმგვარად დაგვიხატოს ისინი, რომ მკითხველის აზრი და გრძნობა მათ წინააღმდეგ აამხედროს. ის ადამიანები, რომლებიც ჩვენს სინამდვილეში საცოდავად, სასაცილოდ და უმწეოდ გამოიყურებიან, რომლებსაც ალარაფერი შერჩენიათ სასიცოცხლო და ადამიანური, ისინი ამ რომანში გამოიყურებიან როგორც ვაკეთილშობილებულად, გაზვიადებულად და ხშირად ერთგვარი აიმიზაციის და თანაგრძნობის საგნად ხდებიან. ლუკაია ლაბახუას, ამ დეგენერატიული ტიპის დახატვაშიც კი ავტორი რაღაც ზვიადს, მისტიურს, ღრმას ეძებს.

თარაშ ემხვარი ცენტრალური ფიგურაა გამსახურდიას რომანისა, და შეიძლება ითქვას, რომ მთავარი, რაც გამსახურდიას სურს სთქვას ამ რომანით, არის თარაშ ემხვარის ბიოგრაფია, მისი ტრაგიკული ბედი პროლეტარული რევოლუციის გარემოცვაში, მისი ცხოვრებისა და დაღუპვის თავისებურად რომანტიული ისტორია.

ვინ არის თარაშ ემხვარი, რა ტიპთან გვაქვს საქმე მისი სახით? თარაშ ემხვარი ავტორმა დახატა, როგორც ფეოდალური წარმოშობის ინტელიგენტი, რომელიც ღრმად ჩაიძირა ბურჟუაზიული ცივილიზაციის ფსკერზე, რომელიც მოწამლულია დასავლეთის დეკადენტური მემკვიდრეობით, რომელიც შეიპყრო დეკადანსის სენმა, ნილილიზმმა. იგი გამოექცა დასავლეთის თანამედროვე ცივილიზაციის, რადგან მასში, მხოლოდ დაღუპვას და კატასტროფას ხედავს. მეორეს მხრივ იგი მკვიდრად არის დაკავშირებული თავის ფეოდალურ წარსულთან, თავის გვარის გენეოლოგიასთან. თარაშ ემხვარი მიწისაკენ ისწრაფის. მან „მიწა“ ეძახის, როგორც თვითონ ამბობს. მაგრამ ამავე დროს იგი ვერ ხედავს, ვერ უერთბება ჩვენს საბჭოთა სინამდვილეს. ბურჟუაზიული ცივილიზაციით და დასავლეთის დეკადენტური მემკვიდრეობით მოწამლული, იგი გარდაცვლილი რჩება, იგი დამოკიდებულია ორ სამყაროს შორის. ერთის მხრივ—საკუ-

თარი ფეოდალური წარსული, პრიმიტივი, მიწა, რომელიც მას მართლაც იზიდავს თავისკენ, მეორეს მხრივ — დასავლეთის ცივილიზაცია. ამ ორ სამყაროს შორის იგი თითქოს ცარიელ სივრცეშია გამოკლებული მშვენიერი სოციალურ გარემოს. თარაშ ემხვარი ვერ დაადგა ვერც ერთ გზას, მან ვერ მონახა ვერაფერთარი პრაქტიკული დასაყრდნობი, რადგან ის ვხა, რომელსაც ის ემყარება, ჩვენს სოციალურ გარემოცვაში იხვრევა და საბოლოოდ ნადგურდება.

აი ეს თარაშ ემხვარი წარმოდგენს „მთვარის მოტაცების“ მთავარ გმირს. მისი ცხოვრება, მისი ტრაგედია რომანის სიუჟეტური მდინარეების საფუძველია.

თარაშ ემხვარი „მთვარის მოტაცების მთავარი ფიგურაა. დიდის სიყვარულით და მონდომებით ხატავს მწერალი ზმ სახეს. მაგრამ, მიუხედავად იმ დიდი სიმპატიის, სიყვარულის და ყურადღებისა, რომლითაც ავტორს ეს გმირი დაუხატავს, მაინც უნდა ითქვას, რომ იგი ცოცხალი, რეალური, ზორცმესხმული ადამიანი არ არის. იგი უფრო რეზონერია, უფრო მეტყველი სქემაა, რაღაც მწიგნობრული ჭურჭელი ისტორიულ, გეოგრაფიულ, ფილოსოფიურ, ლიტერატურულ ცოდნათა სამყაროდან ანოლებულ იდეებისა, ვიდრე ცოცხალი და მომქმედი ადამიანი. იგი არ იბრძვის, არ იცავს, არ ანგრევს, ე. ი. იგი მოკლებულია იმ თვისებებს, რომლებითაც ყოველი ცოცხალი ადამიანი ხასიათდება. იგი ავტორის პხატურული ფანტაზიის პირშმოა. მას არა აქვს ცოცხალი სოციალური ადამიანის ნიშანი.

თარაშ ემხვარის ტრაგედია ავტორმა მძაფრად დაგვიხატა. თარაშ გამოსავალს ეძება, იგი ოქტომის ქასახლეში გარბის, სადაც მას ყველაფერი განადგურებული ხედება.

ოქტომის სსახლე ივარქმნილი იყო საესებით. ჩუქურთმიანი სვეტები შეჭანებულს ეწენა თარაშ ემხვარს. თავიღებები ფრინველებს წაებილწათ სკორეთი. ურთხულის რიქლები დაებროთ. კიბის ტერასზე გადმოსულ სახტრაცის ყავარი დაელპო წვიმას. კირი შემოსცლოდა თეთრ სასახლეს, იმაყად გადნომდგარს ბეჭობზე.

პაპისეული დიდი ცაცხვი მართლაც მოეკრათ. კადრისა და მუხის ხეებს ხმობა შეპარვოდათ. მოხუცებულ მსხლის ხეებს ფითრი მორეოდათ. ბაღას მესრები მორღევოდა. მავთოლები თოვლს ჩამოელეწა გუნდის ხეები დაემსხერია გასული ზამთრის ქარსა და თოვლს. ხულას, მარანს, სამზარეულოს, საბაზიეროს ისლი გადასცლოდა. გენზე მოელრაჯა ეამთა სიავეს ძველი-ძველი წიბლის სახლები.

ჭკრივის ძაძებით მოსილი დედა აივანზე იჯდა. სათვალე შუბლზე აეყენა. ჯეალის ყაბას აეკრებდა წელში უზომოდ მოხრილი. მოხუცებულ ტირუნას ცატაკზე მოეოთხა. ლობოს რეგეაება ხელაბთით“.

ასეთი მკაფიო და მძაფრი საღებავებით ხატავს მწერალი მთელი იმ სამყაროს რღვევისა და განადგურების სურათს, რომელზედაც თარაშ ემხვარი ემყარება.

თარაშ ემხვარი ზეამბაიებთან ერთად მიღის სვანეთში. იგი უნდა შეიყვარებეს ქორამხვშის კოშკს, ამ პრიმიტიულ გარემოცვას, სვანურ ბუნებას, საგვარეულო-პატრიარქული წყობის მთელ იდეალურ კლილობს მონახოს თავისი უკანასკნელი თავშესაფარი. მაგრამ ავტორი გვიხატავს იმგვარი ადამიანის ტრავედიას, რომელმაც აქაც უკანასკნელი თავშესაფარი ვერ მონახა, ვერ ჰპოვა სიმშვიდე, რადგან აქაც გაისმის ნაღმების გრილი, რომელიც მოასწავებს რევოლუციის მძლავრ ტრიუმფს სვანეთის ბუნების სიდიადეშიც. თარაშ შეუყვარდა სვანის ქალიშვილი ლამარია, მან გადაწყვიტა ლამარიაზე დაქორწინება. სურს მიწათმოქმედებას მოკიდოს ხელი. აი თარაშის და არზაყანის ერთი დიალოგი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რატომ უნდა თარაშ ემხვარს სვანეთში დარჩენა:

„მე ასე გგონია, შენ შენი შრომის მოსათაველად აპირებ აქ დარჩენას“, — ეუბნება არზაყანი ემხვარს.

„გარწმუნებ არა, მე აღარ მიწევს ბარისკენ გული. გულწრფელად გეუბნები მიწა მომენტარა. მოუთმენლად მოველი, როდის დაიწყებს თემური ხენას. მინდა მიწის სურნელებით გავძღუ. ახლა ძალიან ვნანობ, მიწათმოქმედება რომ არ შევისწავლე ევროპაში. არ კვიცი, ეგებ ნადრევი ქლარის ამბავი იყოს. მიწის ძახილი გახმაინდა ჩემს გულში“.

ეს სხვათა შორის გამოხატულებაა ევროპის ბურჟუაზიული ინტელიგენციის ერთი ფენის ცნობილი ლოზუნგისა — მიწასთან დაბრუნება (გერმანიის ექსპარესიონიზმი, ცივილიზაციის უარყოფა). თარაშ ემხვარს ამ შემთხვევაში ბურჟუაზიული ინტელიგენციის ეს რეაქციული იდეები ასულდგუშულებს.

იგი რჩება სვანეთში, მაგრამ შეიტყობს, რომ აღარც ლამარია წარმოადგენს ამ პირველყოფილი უშუალობისა და გულუბრყვილობის, იმ ხელუხლები ბუნებრივობის განხორციელებას, რასაც იგი სვანის ქალში ეძებდა. თარაშ ემხვარმა სვანეთში ვერ ჰპოვა სიმშვიდე. თარაშ ემხვარი სწერს თავის ერთ-ერთ წერილში, რომ იდეები ისეთი ეპიდემია ყოფილა, რომელიც საოცარი სისწრაფით ვრცელდება, იქაც კი, სადაც არ შესულა ელექტრონი და სხვა. ეს იდეები გააძევებენ თარაშ ემხვარს სვანეთიდან.

თარაშ ემხვარი ილუბება, როგორც რომანტიული გმირი, როგორც რომანტიული რაინდი, რომელიც მიისწრაფის თავის სატრფოსკენ — თამარისაკენ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში. იგი შეებრძოლება ენგურის ტალღებს. ძნელია ტალღებთან ბრძოლა, მაგრამ ის აიჯიუტე, რომელიც ახასიათებს ემხვართა გვარს, თავს იჩენს მასში ტალღებთან ბრძოლაში. იგი ილუბება და ამ დალუბებაში გამსახურდიამ სიმბოლიურად გამოხატა რევოლუციის მიერ განადგურებული, მაგრამ ჩვენი სინამდვილისაგან ჯიუტად განზე გამდგარი ადამიანის კატასტროფა, რომელიც არ შეუერთდა ჩვენი სინამდვილის მიმდინარეობას და ენგურის ტალღებში დაილუბა. დალუბვისას მას უბეში დარჩა თამარის ყელსაბამი ჯვარი.

ამით ავტორი თითქოს სიმბოლიურად გამოხატავს რელიგიის დღევანდელ მდგომარეობაში, რომელმაც ჩანთქეს ფეოდალურ-ბურჟუაზიული არისტოკრატიის ეს უკანასკნელი ნაშეიერი. ამ საკითხს რომანში, ცხელი წველი აქვს დათმობილი. საკმაოდ მძაფრად არის ხაზგაბმული აქ წარმართობის და ქრისტიანობის ურთიერთ შორის ბრძოლა.

„ნაბუქოდონოსორის სიზმარს“, რომელსაც მთელი თავი აქვს მიძღვნილი რომანში, მისდევს დასკვნა: რევოლუციამ მოსთხარა ქრისტიანული რელიგიის ხე. ძველი აფხაზური რიტუალების და ჩვევების მძლავრი ექსპოზიციით მწერალი ხაზს უსვამს წარმართულ ტრადიციას ატავისტურ გამძლეობას და ისეთ იდეასაც ატარებს რომანში, თითქოს ქრისტიანულ რელიგიასთან ბრძოლაში ჩვენი თანამედროვეობა ერთგვარ მოკავშირეს პოულობდეს ამ ძველისძველ წარმართულ ინსტიტუტში. რომელთა ნაშთები, ამ რომანის მიხედვით, ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერადაა დაცული ხალხში.

რა ვეაქვს სადაო ავტორთან თარაშ ემხვარის ტრპთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ ეს ტიპი არ არის რეალური, რომ იგი არ არის მომჭმედი სოციალური პიროვნება, რომ იგი უფრო სქემია, ავტორის ფანტაზიით გამოკვეთილი, რომ თარაშ ემხვარის პირით ავტორმა რომანის მხელ სამ წიგნში გამოსთქვა ბევრი მეტად მარტივ, მეტად შტრული და ჩვენთვის უცხო იდეები და აზრები. რა თქმა უნდა, უაზრობა იქნებოდა, მოგვეთხოვა ავტორისათვის, რომ თარაშ ემხვარი ლაპარაკობდეს კომუნისტური ენით და ქადაგებდეს კომუნისტურ იდეებს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ თარაშ ემხვარი მთელი რომანის მანძილზე ამჯერად გამოსთქვამს და თავისებურად მახვილად „ასაბუთებს“ ჩვენთვის შტრულ იდეებს რევოლუციის, ერების, რასებისა და სხვა საკითხების შესახებ.

#### მოვიყვანოთ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი:

„მე ვამყობ, რომ ჩვენი ხალხი დღესაც მისდევს ამ ჩვეულებებს. რომელნიც თავიანთ მემუარებში შეტანილი აქვთ ძველ ბერძენ და რომელ ისტორიკოსებს და მოგზაურებს, გახსოვდეთ, ვინც გამოცვლილა, ის გადაგვარებულა კიდევ“.

„პატარა ერებს დიდი ცივილიზაციური ტექნიკის მოცემა არიანდეს შეძლებით. მათ ეს შეძლებათ მუდამ: პოლიტიკის დიდი თავკაცების, დიდი სარდლების და პოეტების მოცემა. მე დარწმუნებული ვარ, ვერც ერთი მრავალრიცხოვანი ერი პომერს, ალექსანდრეს და პლატონს ვერ მოგვეცემა“.

„ყოველ ხალხს უნდა შერჩეს ველური ენერჯის მარაგი, თორემ საფრანგეთსავეთ გააზიზდება და გამოიფიტება“.

„ეგი თუ პლატონის სფლთა მარაგია მართალი იყოს, ჩემს მიერ მოკლული კაცი ზომად ტყველიყოს და ხელმეორედ მომეკლას იგი ორკაცი სოკედილით“.

„ასეთი პალიმესესტია ჩვენი სულიც, ვილაც მოდის, აწერს და შლის, აწერს და შლის“.

ხანდახან ისიც მოხდება ზოლზე, რომ ძველად წინაშეა უფრო საინტერესო ხდება, ვიდრე ახალი“.

დაუსრულებლად შეიძლება ასეთი „აზრებისა“ და „თეორიების“ მოკვანა თარაშ ემხვარის დიალოგებიდან, ბაასიდან, მემუარებდენიდან, ფაშიზმის საწინააღმდეგოდ მას მხოლოდ ის მოსაზრებები მოხვედრის შემთხვევაში თურმე ფაშიზმი, როგორც ყოველი ევროპიული აზრი, უგულებელყოფს ჩვენი ხალხის ინტერესებს.

გამოდის, თითქოს სხვა რომელიმე ხალხის ინტერესებს არუგულებელყოფდეს ფაშიზმი, თითქოს ფაშიზმი ისეთივე კატეგორიის მოვლენა იყოს, როგორც ყოველივე სხვა ევროპიული „იზმი“ (ხომ ევროპაში წარმოიშვა ჰუმანიზმის, სოციალიზმის, კომუნისმის ცნებები?).

ერთ დიალოგში კაროლინასთან თარაშ ემხვარი ერის სპეციფიკას ადარებს წაბლის ბუძეს, რომელიც ხელს უშლის დათვს ჩაყლაპოს წაბლი. აქედან გამომდინარე თარაში ამტკიცებს, რომ ყოველმა ერმა უნდა შეინარჩუნოს ეს ბუძე, რომ იგი დიდმა ერმა არ ჩაყლაპოს.

უხედადაა გაბნეული ამ რომანში ანალოგიური „თეორიები“ პროგრესისა, ცივილიზაციისა და სხვა სოციალური პრობლემების შესახებ.

აქ ამ აზრების კრიტიკას არ შევედგები. ამ აზრების მთელი უსუსურობა და რეაქციულობა ისედაც ნათელია. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ თარაშ ემხვარი ყველგან, ყოველ „მოხერხებულ“ შემთხვევაში ანივთარება ჩვენთვის მიუღებელ მტრულ შეხედულებებს. ვიმეორებ, ჩვენ არ მოვითხოვთ რომ კომუნისტურ იდეებს ქადაგებდნენ თარაშ ემხვარი, მაგრამ საჭირო იყო, რომ ავტორი სათანადო მხატვრული საშუალებებით გამიჯნოდა თარაშ ემხვარს. ეჩვენებინა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ ტიპთან. მწერალმა ვერ გვიჩვენა თავისი კონფლიქტი თავისი რომანის ამ უარყოფით ვმირთან. ავტორს არ გააჩნია თარაშ ემხვარისადმი ის ირონია, რომელზედაც ლაპარაკობდა ენგელსი, რომლითაც ავტორი თავის ვმირებზე მაღლა უნდა დადგეს.

მე არ ვიზიარებ იმ ამხანაგების აზრს, რომელთაც გამსახურდია თვით შიანჩიათ თარაშ ემხვარის ყველა ამ აზრის ავტორად. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ეს წიგნი აშკარად მტრული და მანე მოვლენა იქნებოდა. თარაშ ემხვარის ყოველ შეხედულებას ჩვენ ვერ მივანწერთ ავტორს. მაგრამ უდაოა, რომ ზოგჯერ ემხვარი მართლაც ლაპარაკობს გამსახურდიას ნებით, რომ ავტორი გარკვევით ვერ გაემიჯნა ამ გვირს, ვერ დაუბირდა-პირა ამ გვირს ვერც ერთი ძლიერი ფიგურა რომანში.

სევანთში მოგზაურობის დროს თვით გამსახურდია შედის რომანის მომქმედთა რკალში. ეს ორიგინალური ხერხია, როდესაც ავტორი თვით იჭყევა რომანის მომქმედ პირად. ეს ხერხი მეტის-მეტად მოხერხებულად და მოხდენილად აქვს გამსახურდიას გამოყენებული ამ რომანში, იმ გვარად, რომ შკითხველი არავითარ უხერხულობას არა გრძნობს. იგი მოქმედებს, საუბრობს თავის ვმირებთან და ეს არ გვეუცხოვებათ. არ მიგაჩნიათ ზელოვნურად, ყალბად.

საერთოდ კ. გამსახურდიას რომანში მეტად ღრმად არის ხაზგასმული ავტორის ინდივიდუალობა.

როდესაც კ. გამსახურდია შეხედება თარაშ ემხვარს, საუბრობს მასთან, მსჯელობს მასთან მთელ რიგ მოვლენებზე, ჩვენ ვერ ვგრძნობთ მკაფიო წინააღმდეგობას კ. გამსახურდიასა და თარაშ ემხვარს შორის. მხოლოდ ერთგან შეეკამათებიათ თარაშ ემხვარი და კ. გამსახურდია ერთმანეთს ცივილიზაციის საკითხში. ემხვარი იცავს იმ აზრს, რომ ცივილიზაცია სობს პატარა ერებს, კ. გამსახურდია კი, პირიქით, ამტკიცებს, რომ ცივილიზაციის ზრდა, აეროპლანები, გემები სობენ დიდ და პატარა ერებს შორის განსხვავებას, რომ რიცხვს ეკარგება მნიშვნელობა ისე, როგორც სივრცეს და სხვ. კ. გამსახურდია ეუბნება თარაშ ემხვარს: „ეჰ, ჩემო კარგო, ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლოთ და იტანჯოთ. თქვენი ხნის რომ ვიყავი, მეც თქვენსავეთ ემსჯელობდი“. ამ სიტყვებით გამსახურდიამ თითქოს გვითხრა, რომ თარაშ ემხვარი არის თვით კ. გამსახურდიას გუშინდელი ან გუშინწინდელი დღე.

კ. გამსახურდიამ დიდი მანძილი განვლო იმ პოზიციებიდან, რომლებზედაც თარაშ ემხვარი სდგას, მაგრამ მან თანმიმდევრულად, გადაჭრით და საბოლოოდ ვერ გასწყვიტა კავშირი ძველ იდეებთან, იმდენად, რომ ეს ჩვენთვის მიუღებელი ტიპი მკაცრი კონფლიქტით მოეცა და დაეხატა. ზოგიერთმა ამხანგმა კ. გამსახურდიას უსაყვედურა, რომ თარაშ ემხვარი ხელოვნების, მწერლობისა და სხვა საკითხების შესახებ ხშირად საესეებით იმასვე ლაპარაკობს, რასაც კ. გამსახურდია რამდენიმე წლის წინად სწერდა იმავე საკითხების გარშემო. ეს საკმაოდ საგულისხმიერო ფაქტია, რომელიც უქვეყლად გვიჩვენებს ავტორის ერთგვარ ნათესაობას თავისი რომანის ამ გმირთან. ყოველ შემთხვევაში უდაოა, რომ თარაშ ემხვარის აზრებსა და განცდებში, მის მეტყველებასა და ქცევაში არის თვით ავტორის ხასიათის, მისს შეხედულებათა სისტემის ელემენტები. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ მწერალს ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ დაუძლევია ის იდეური ინერცია, რომლის გამოხატულებას თარაშ ემხვარი წარმოადგენს.

თარაშ ემხვარს ავტორი ხშირად ერთგვარ რაინდულ შარავანდედითაც მოსაჯს. დალუპვის მომენტშიაც თარაშ ემხვარი ერთგვარ სიმპატიას, სიბრალულს და თანაგრძნობას იწვევს მკითხველში, იმგვარი დაძაბულობით არის დახატული მისი ინგურში დალუპვის ეპიზოდი. არსებითად თარაშ ემხვარი სავსებით უარყოფითი ტიპია. იგი არ შეიძლება გადაიქცეს მკითხველთა სიყვარულის საგნად, მაგრამ ავტორი ჰქმნის ისეთ მდგომარეობას, ანტურაჟს, ისეთ ხელოვნურ სიტუაციას, რომ ზოგჯერ უნებლიეთ იწვევს მკითხველში თარაშისადმი თანაგრძნობასა და სიმპატიას.

ამრიგად, ძველი და ახალი სამყაროს დაპირდაპირების პროცესში ავტორმა ვერ გვიჩვენა, ერთის მხრით, მკაცრი გამიჯვნა და გამოშვება ვეღარ სამყაროსაგან, ხოლო მეორეს მხრით — ისეთი თავდადებული და მღვრე-ვარე კავშირი ახალ სამყაროსთან, რომელიც მას შესაძლებლობას მის-ცემდა შეექმნა ჩვენი ცხოვრების გამომატველი ნამდვილი ეპოპეია. ავტორი უსათუოდ დაადგა ჩვენი სინამდვილის ათვისების ვზას. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეიარაღებულა რეალისტური ხედვის იმ მტკიცე აპარატით, რომელიც აუტილებელია საბჭოთა მწერლისათვის. თავისი მეორე წიგნის დასაწყისში გამსახურდია ამბობს: „ხომ არ მოგეწყინა, ჩემო მკითხველო? მე თავათ მოწყენამ ამაღებინა კალამი და ვინძლო ჩემმა მოწყენამ შენი გააქარვოს. ათასზე მეტი ლამუა ვზივარ. ვზივარ და ვით-ხრობ განთიადიდან განთიადამდის. თამაშითა და ბრძოლით ეწერ ჩემი გმირების თამაშისა და ბრძოლის ამბებს“.

ჩვენ არ გვინდა დავემგვანოთ ზოგიერთ კრიტიკოსებს, რომლე-ბიც მხად არიან ჩაებლაუქონ ამა თუ იმ ფრაზას, ამოვლიჯონ იგი საერთო კონტექსტიდან და მასზე ვადაშწყვეტი დასკვნა აავონ. მაგრამ რომანის ანალიზი თითქოს ამართლებს ავტორის ამ ლირიკულ აღ-სარებას. ყოველ შემთხვევაში რომანის წერის დროს მწერალი ყოველ-თვის არ ხელმძღვანელობდა ამოცანით — მოეცა ჩვენი გმირული სინამ-დვილისა და მისი ადამიანების სწორი, ნამდვილი და ღრმა გამომატუ-ლება. იგი ვერ დაადგა ჩვენთვის მისაღებ გარკვეულ მსოფლმხედველობ-რივ პოზიციასზე. ამით აიხსნება ის დიდი იდეური ბუნდოვანება და რთუ-ლი წინააღმდეგობანი, რომლებიც ახასიათებენ რომანის მთავარ გმირებს და მთლიანად ამ ნაწარმოებს. ავტორი თანაბარის სიმპატიით არის გან-წყობილი თარაშისადმი, არზაყანისადმი, ლიჩელისადმი, ბაბუა ტარიელი-სადმი და სხვ.

ამრიგად რომანში იმდენი სიმართლეა, რამდენიც მომქმედი გმირი. ამიტომაც რომანს არ გააჩნია ერთიანი იდეური ხერხემალი, გარკვეული მიზანდისახულება. და თუმცა რომანის მთელი განვითარება ობიექტუ-რად უეჭველად გამომატავს ახალი სოციალისტური ცხოვრების ძლევა-მოსილებას და ძველი ფეოდალურ-ბურჟუაზიული ყოფისა და ტსიქიკის ნაშთების სასიკვდილო განწირულებას, მაინც ცხადია, რომ „მთვარის მოტაცების“ ავტორი ქანაობს ამ ორ სამყაროს შორის და თავისი მხატვ-რული შემოქმედებითი ბუნებით ჯერ კიდევ ვერ არის მტკიცედ დაკავ-შირებული საბჭოთა მწერლობის მასულდგმულებელ იდეებთან.

რომანი „მთვარის მოტაცება“ წარმოადგენს ჩვენი მწერლობის მრავალ-მხრივ საყურადღებო მოვლენას. იგი დიდი მხატვრული ენერგიით დაწე-რილი ნაწარმოებია.

ამ რომანს აქვს მრავალი მხატვრული ღირსება, მწერლის შემოქმედე-ბითი პოტენციის, მისი მხატვრული ძალისა და ოსტატობის მაჩვენებელი.

ნურავის ეგონება, თითქოს საკითხის ამგვარ დაყენებაში ადგილი ჰქონდეს ფორმალისტურ მსჯელობას. ჩვენთვის საინტერესოა განმარტებული დადებითი მხატვრული ღირებულებისა, რომელიც რომანს ვაჟა-ფშაველას ამ მხრივ განვიხილავთ „მთვარის მოტაცებას“, დავრწმუნდებით, რომ ამ წიგნის ავტორს, როგორც მხატვრული სიტყვის ძლიერ ოსტატს და უდაოდ მძაფრ მხატვარს, მოეპოება იაეთი შემოქმედებითი მონაცემები, რომელთა სწორი გამოყენება, სწორი მსოფლმხედველობრივი მიმართულებით ამოძრავება უეჭველად მოგვცემს საბჭოთა ლიტერატურის ღირსეულ ნიმუშებს.

„მთვარის მოტაცებაში“ გვაქვს მთელი რიგი მეტად მაღალმხატვრული, მახვილად შესრულებული აღწერილობანი. კ. გამსახურდია ცალკეულ სცენებს, ცალკეულ ეპიზოდებს, მოქმედებათი გარემოცვას ხატავს ძველი დიდი სიძლიერით, როგორც მხოლოდ ნამდვილად დიდი მხატვრული ენერჯის და პოეტურობის მქონე მწერალს შეუძლია.

გაიხსენეთ, როგორ აღწერს კ. გამსახურდია კულაკ კაც ზემაზაიას. მიერ თავისი პირუტყვის განადგურების სცენას. რა დიდი დრამატიზმით არის აწერილი ის სცენა, რომელიც ცოცხლად გაიხატავს არა მარტო ამ განადგურების კონკრეტულ სურათს, არამედ კაც ზემაზაიას მთელსოციალურ ფსიქიკას. მეტად მახვილად და გამოკვეთილად არის აწერილი ის სცენა, სადაც გვანჯ აფაქიძე და ჯოტო გვასალია დაუხვდებიან არზაყანს ხიდზე, სადაც არზაყანს თავს ესხმიან კულაკი ტარბუზი. ეს ადგილი აღწერილია დიდი პოეტური ექაპრესიით. შემდეგ, რა ეპიური სიმკაცრით არის დახატული ქორა მახვშის პატრიარქალური ოჯახი. იგი საოცრად ცოცხლად, თითქოს ხელშესახები რეალობით, წამოისახება მკითხველის ცნობიერებაში.

გამსახურდია ამ რომანში გამოდის შესანიშნავ პორტრეტისტად და პეიზაჟისტად, რომელმაც მოგვცა დიდი პლასტურობით დახატული და სკულპტურულად გამოკვეთილი პეიზაჟები და სახეები. გამსახურდია ამ რომანში გამოსჩანს, როგორც დესკრიპციის უსათუოდ დიდი და ძლიერი ოსტატი. ამაშია ავტორის, როგორც მხატვრის, ძალა. ეს არის გამსახურდიას ის დიდი ძალა, რომელიც მას უნარს აძლევს წაკითხოს და განაცდევინოს თავისი წიგნი მკითხველს. მკითხველზე ამ რომანის შემოქმედების ძალა მდგომარეობს იმაშიც, რომ ავტორს აქვს ადამიანის ფსიქიური ცხოვრების, მისი განცდებისა და გრძნობების მძაფრად გამოხატვის დიდი უნარი. იგი ჰქმნის მახვილად მოფიჭრებულ სიტუაციებს, ხშირად მოქმედება აყვავს ისევე დრამატიზმამდე, რომელიც უეჭველად დაიპყრობს მკითხველს და ღრმად აგრძნობინებს და განაცდევინებს გმირების ზედა და მდგომარეობას. განსაკუთრებით რომანის მესამე წიგნში გამოსჩანს მკაფიოდ მხატვრის ეს თვისება, რომელიც ჩვენს მწერლობაში არც ისე ხშირია. ეს თვისებაა მოქმედების ძლიერი დრამატიზაცია.

მკითხველის დაპყრობა და მისი ემოციური დაკავშირება მკითხველსა და გრაფიკოსთან, მისი ცხოვრების დრამასთან.

კ. გამსახურდია გულმოდგინედ მუშაობს სიტყვაზე, ენაზე. მას აქვს დიდი ენობრივი კულტურა, იგი ერთგვარი ფლობერული ფანატიზმით მუშაობს სტილით, სიტყვის, ფრაზის, ისტატობაზე. იგი ქმნის სიტყვიერი ორნამენტის მრავალფეროვან ქსოვილს, მძაფრად გრძნობს სიტყვას და ქმნის რომანის სიტყვიერი მასალის მეტად თავისებურ კომპოზიციას.

გამსახურდიას სტილობრივ სპეციფიკას შეადგენს ისიც, რომ იგი არა ქმნის ერთიან, მტკიცედ გარკვეულ სიუჟეტს. „მთვარის მოტაცება“ შეიცავს მრავალ, ცალკე დამთავრებულ ქვე-სიუჟეტს, რომლებიც გაერთიანებული არ არიან მთლიანი, განუწყვეტელი ფაბულური მიმდინარეობით. იგი რომანს აშენებს პერიფერიული კომპოზიციის პრინციპით, სადაც ცალკე თავები ზოგჯერ დამოუკიდებელ ფრაგმენტებს წარმოადგენენ. რომანში არის ისეთი შემავალი სუვეტური ერთეულებიც, რომლებიც არ არიან დაკავშირებული რომანის მაგისტრალურ ლერძთან. ავიღოთ თუნდაც გვანჯე აფაჭიძის თავგადასავალი, მისი უცნაური რომანი ვიღაც უცხოელ ქალთან, რომელიც სრულიად განყენებულია ნაწარმოების საერთო განვითარებისაგან. რომანის ზედმეტად დატვირთვა მრავალი, დამოუკიდებლად დამთავრებული ფაბულური ეპიზოდით უეჭველად ანელებს ძირითადი სუვეტური ხაზის დინამიკას და ზოგჯერ ხელს უშლის მკითხველს, კვალდაკვალ მიჰყვეს რომანის მთავარ გმირთა მოქმედებას, მთავარ სიტუაციათა განვითარებას.

საერთოდ „მთვარის მოტაცება“ ზედმეტად დატვირთულია როგორც პერსონაჟის სიუჟეტის, ისე გმირთა მოქმედების გეოგრაფიული ასპარეზის სიფართოვის მხრივ. რომანი მეტად უხვ მასალას იტევს.

ავტორს განუზრახავს, რაც შეიძლება მეტი გვიჩვენოს, მეტი აღწეროს. ავტორი ცდილობს ერთ რომანში გვიჩვენოს თანამედროვე საქართველო, მისი თითქმის ყველა კუთხე. აქ არის ტფილისი, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი. ამავე დროს მას უნდა გვიჩვენოს საქართველოს ისტორიული ანალოგიები, წარსულიდან აღებული სუვეტები, სხვადასხვა ისტორიული ძეგლის აღწერილობა. ავტორი ამითაც არ კმაყოფილდება. ხშირად მოქმედება გადააქვს ევროპის სხვადასხვა ქვეყანასა და ქალაქში. თითქოს ცდილობს, რაც შეიძლება გააფართოოს რომანის გმირთა მოქმედების არე. ამ მიზნით ავტორი მოხერხებულად იყენებს მოგონებებს, კერძო ბარათებს, დღიურებს.

რა თქმა უნდა, ეს არ არის ცუდი და უარსაყოფი, მაგრამ საკითხავია: რამდენად თავსდება ყველაფერი ეს ერთი რომანის ერთ სუვეტურ ფარვალში? ვფიქრობ, რომ ამ მხრივ რომანი უსათუოდ გადატვირთულია,



რის შედეგადაც ვლებულობთ იმას, რომ ხშირად კ. გამსახურდიას გმირები მოძრაობენ და მოქმედებენ არა იმის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რისი ჩვენება და აღწერა განუზრახავს ავტორს. ავიღოთ, მაგალითად, ასეთი ეპიზოდი: „მთვარის მოტაცების“ გმირები ზუგდიდიდან ტფილისში აპირებენ წამოსვლას. იმის მაგიერად, რომ წამოვიდნენ მატარებლით პირდაპირ ტფილისში, ისინი მიდიან ოჩამჩირეში, იქიდან სოხუმში, სოხუმიდან ფოთში და ფოთიდან ტფილისში. ავტორს უნდა გვიჩვენოს შეაანიშნავი პეიზაჟი, შავი ზღვის სანაპიროები, სხვადასხვა ისტორიული ძეგლი, კოლხიდა, ფოთი. ამიტომ ბევრ შემთხვევაში მოქმედების მაგისტრალური ხაზი გადადის სხვადასხვა გეოგრაფიულ ლოკალში, სხვადასხვა ობიექტზე და ერთიანი მტკიცე სუვეტური კომპოზიცია მიუღწეველი ხდება.

რომანის გმირები უმთავრესად მოგზაურობაში და მოგონებებსა თუ მიმოწერაში არიან მოცემულნი. ეს გარემოება საშუალებას აძლევს ავტორს გააძლიეროს დესკრიპციის მომენტო, აღწერილობითი მხარე და უფრო მეტად ალაპარაკოს გმირებზე თავიანთ თავზე და ერთმანეთზე.

ამიტომაც „მთვარის მოტაცების“ გმირებს მკითხველი ეცნობა არა მათი მოქმედების მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რას ლაპარაკობს მათ შესახებ ავტორი, ან რას ამბობენ თვით გმირები თავიანთ თავზე და ერთმანეთზე.

აღწერილობა და მონოლოგები სცვლიან ამ რომანში გმირთა ხასიათების გამომჟღავნების იმ ძირითად საშუალებას, როგორცაც გმირთა მოქმედება უნდა წარმოადგენდეს.

ამიტომ გვეჩვენებიან ხშირად ამ რომანში მოქმედი ადამიანები არახორცშესხმულ, მწიგნობრულ ფიგურებად ჩვენ არ ვფიქრობთ დავაკანონოთ სუვეტის კომპოზიციის რაიმე სტანდარტული ფორმა, მაგრამ რეალისტური ხელოვნების პრინციპი უეჭველად გულისხმობს, რომ გმირის მოქმედებას უნდა განსაზღვრავდეს შინაგანი ლოგიკა და კანონზომიერება.

ამ ნაწარმოებში ვეაქვს ნაშთი იმ შემოქმედებითი პოზიციებისა, რომლებიც გამსახურდიას ახასიათებენ ძველ ნაწერებში და რომლებთან თანმიმდევრული ბრძოლა დღესაც ერთ-ერთ ძირითად ამოცანად რჩება კ. გამსახურდიასათვის. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ მის მიერ ტიპის, ადამიანის ხასიათის განსაზღვრების დროს ბევრ შემთხვევაში წინა პლანზე წამოყენებულია ბიოლოგიური თვალსაზრისი. ზოგჯერ ბიოლოგიზმი ჰფარავს მოვლენათა და გმირთა ხასიათების გახსნის სოციალურ კრიტერიუმს.

ბიოლოგიზმის ასეთი კონცეპცია გამოსკვივის თარაშისა და კაროლინას დიალოგში, როცა კაროლინა გაკვირვებით აღნიშნავს, რომ ჭარბელებში, სოციალურ-წოდებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველანი



ერთმანეთს გენან გარეგნობით, ჭკევით, ჩვევებით. თანეგრძობა ერთმანეთს ამას და ერის ამ ერთნაირობაში იგი ერის გადაარჩენა ერთნაირობას ხედავს.

ამავე კონტაქტის გამოშატეულია „ლუკაიას გაცხენების“ მთელი, რაღაც მისტერის მაგვარი სცენა.

არზაყანთან ბრძოლია და მეტოქეობის მიზეზი თარაშ ემხვარს ამგვარად ესახება:

„ვინ იცის, ეგებ დედის ხენის ბრალი იყოს ეს ყოველივე. თავით ხენში ღებულობდეს ადამიანი ისეთ ფერმენტს, ვისთანაც მას გაიზიარებ, იგი იყოს უპირველესი შენი მეტოქე... ამ ხენის მოწოდებელია პირველი ქალი, რომლის გარშემო ეჯიბრება ხვადი ხვადს, როგორც მამალი ხოკო ხოკოს ებრძვის დედალის გული-სათვის? ეგებ ამიტომ ებლანდებოდეს არზაყან მას ფეხებში?“

თარაშ ემხვარი თავის თავში ხედავს ქართველი ხალხის მთელი წარსულის განსახიერებას და გაგრძელებას. იგი ამბობს:

„ეს მე ვიყავი, ამ საომარ ლოინზე მჯდარმა რომ გადმოვლახე ასრეთი, შუამდინარე, უდაბურები, უკარგილი და გარუჯული ზეპით სტეგები. ეს მე ვიყავი ამ საომარ ლოინზე აწმედრებულმა რომ წარუძეხი ცხენოსან ხალხს ჩრდილოეთისაკენ. ზოგჯერ და ბრძოლით ვაგვიარეთ ჩვენ ორწოხები, მახვილით ეკვეთილთ ჩვენ სიბნელეს და მტერს წინ დამხედურს!“

კ. გამსახურდია ხაზს უსვამს ძველი, შორეული ცრუმორწმუნეობრივი ტრადიციების ნაშთებს. მთელ რომანში საოცარი ატავისტური ძალით იბრძვიან ეს უძველესი ტრადიციები და ჩვევები და ზოგჯერ ამ რომანში კლასთა ბრძოლის, სოციალური ფენების ბრძოლია იდეის მავიერ წინა პლანზე წამოყენებულია ბრძოლა ამ ძველ ტრადიციებსა და ახალი ცივილიზაციური კულტურის საწყისებს შორის.

ძველი და ახალი სამყაროს დაპირისპირება ზშირად აქ მოკლებულია სოციალურ-კლასობრივ შინაარსს — მოცემულია რაღაც განყენებულ ბრძოლა პრინციპებსა და ცივილიზაციას შორის, წარმართობასა და ქრისტიანებას შორის და სხვა. წიგნი აგებულია კონტრასტების პრინციპზე, მაგრამ კოლიზია ყოველთვის როდია გააზრებელი და დასაბუთებელი ზენი დროის დიდი საბრძოლო იდეების ასპექტში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კ. გამსახურდიას მხატვრულ პერსექტივაში, ე. ი. საგნებისა და მოვლენების ხედვის სისტემაში ჯერ კიდევ საერთოდ ძლიერია მისტიციზმი და იდეალიზმის არსენალიდან წამოღებული მხატვრულ საშუალებათა ნაშთები. აი, მაგალითად, ასეთი ადგილი:

„ზღვა უღრტინეველად სთელემდა. ასე ეგონებოდა კაცს, ზღვა კი არა, ველი არისო მოღაბრო გვეჯლით მოსილი, დასავლეთით ფრთავაშლილი ქერუმი-ვეხსავით ეს ეთეროვანი ღრუბლები უძრავად ეკიდენ სფეროში... ზღვასა და ცას შორის გაზიდულიყო ორფრთიანი მრუტე, რომელსაც ისე საოცრად ეტყობოდა ადამ-



მიანური ფორმა თავისა, ასე იტყვადი: უზარმაზარი ირიბფრთხიანი რულაო ზღვასა და ცას შორის.

### ან კიდევ.

„ზღვის კიდევ მებადურების აფრები მკვდრეთით აღმდგარ ლაზარესავით მომოდოლენ. ჯერ იყო, ეს აფრები პირამიდებს ჰგვანდნენ შორეულ უდაბნოში უცხო რამ სხივთა თამაშით სახენაცვალი, მერმე კი ისინი შესუდრულ სულებს დაემსგავსნენ და გაუჩინარდნენ“.

შერვაშიძეების ბაღში აღმართული პალმები არძაყან ზეამზაიას „რქიან მღვეებად“ ეჭვენება.

აი, კიდევ ასეთი სურათი:


„მახვშის ფერხით მისი უფროსი ვაჟი, თემური დაცუქქულა. იგი მეფისტოფელსავით იღრგჯება ახლაც, ჩაიანგულ, დამძაღებულ კბილებს აჩენს და მუხმის მისი გაუგებარი და უცნაური ჩხავილი: „აადუ“, „აადუ“, აადუ“.

ვაშიდან ვაშზე თილისმურად თვალს აპაქუნებს ჩიყვიანი თემური და ყბიდან გამოღებულ გველებს ესვრის დასაგელეთს“.

ეს მაგალითებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ „მთვარისა მოტაცების“ ავტორის მხატვრულ საშუალებათა არსენალი ჯერ კიდევ მძლავრადაა დატვირთული მისტიურ-დეკადენტური ტრადიციებით.

დასასრულ შევეხოთ საკითხს კ. გამსახურდიას ენობრივი პოზიციის შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კ. გამსახურდია მხატვრული სიტყვის უდაოდ ძლიერი ოსტატია. იგი თავდადებით იბრძვის სიტყვისათვის. მან ხშირად თხრობა პოეტურ სიმაღლეზე აყვავს. ვაიხსენეთ, მაგალითად, ის რომენტი, როდესაც ლუქაია ლაბაძეა ზარს რეკავს ილორში. ეს აღწერილია წამდვილი პოეტური ექსპრესიით. აქ სიტყვიერი მასალის კომპოზიცია, რიტმი სცილდება ბელეტრისტიკის საზღვრებს და პოეტურ მეტყველებაში გადადის. შწერალი იბრძვის ფრაზის მოქარავისათვის. ეს კ. გამსახურდიას მხატვრული სტილის დამახასიათებელი თავისებურებაა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ კ. გამსახურდია მეტად მახვილად გრძნობს ქართულ ენას. მას აქვს ფართო ლექსალური დიაპაზონი. იგი უხვად ამდიდრებს ენას ახალი ლექსალური მასალით, მას ხშირად თვალისმოშობილი სტილებრივი ორნამენტი ახასიათებს.

მაგრამ ამ რომანში და საერთოდ მთელს თავის შემოქმედებითს პრაქტიკაში კ. გამსახურდია თანმიმდევრულად ანვითარებს არქაისტულ პოზიციას ლიტერატურული სტილის საკითხში. მან შექმნა ამ საკითხში მეტად სახიფათო და ააღბი „თოორია“, რომელიც მკაფიო გამოხატულებას კპოელობს ამ შწერლის შემოქმედებითს პრაქტიკაში. იგი ამტკიცებს, თითქოს ქართული ლიტერატურული ენა მე-19 ს. დამდაბლდა და დაკნინდა. ამიტომ ჩვენმა შწერლობამ ზიდი უნდა გასდოს უშუალოდ ქართული ენის განვითარების იმ მაგისტრალურ ზაზთან, რომელიც დაიწყო მერჩულით და დამთავრდა საბა-სულხან ორბელიანით.



ეს თვალსაზრისი შემცდარია და მიუღებელი, რადგან იმ დღეებში/რეფორმამ, რომელიც მოახდინეს ილიამ და აკაკიმ, ქართულ ეკლესიურ რეალურ ენა მიიყვანა ჩვენი ხალხი თანამედროვე მეტყველებას. ენის ეს დიდი მონაპოვარი ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. ეს იყო ქართულ სალიტერატურო ენის ნამდვილი დემოკრატიზაცია, რომელიც ლოგიკურად უნდა განავითაროს და გააღრმავოს საბჭოთა მწერლობამ. ამიტომ დაბრუნება ძველი ქართული მწერლობის ენობრივ პოზიციებზე უეჭველად ეწინააღმდეგება ჩვენი მწერლობის პროგრესის იდეას.

კ. გამსახურდიას არქაისტული ენობრივი პოზიცია განსაკუთრებით გამოსჩანს სინტაქსის, ფრაზის წყობის სფეროში. მოვიყვანოთ მხოლოდ რამოდენიმე მაგალითი:

„საოცარია, ამბობდა კაროლინა. ჩვენს ახლოს დიდხანს ყოფნის გამო საგნები ისე გვეთვისებიან, თითქოს სხეულის ჩვენის ნაწილის ხდებიანო, ლხენათა და მწუხარებათა ჩვენთა თანაზიარ“.

„ხათუნის აროდეს შეუბრუნებია თავის ქმრისათვის სიტყვა. სახელის მისის ხუნებასაც ვერა ბედავდა“.

„თავადი ვარ და წინაპრების ჩემის ცოდვებს უთუოდ მომკითხავენ“.

„შეიღნი სანთელნი ოჭროგსანნი“.

„და კვლავ მომინდა დაესწერო წერბრად მე ქება დიდებულისა ქართველისა ენისა“.

აქ ნათლად სჩანს ამხ. კ. გამსახურდიას ცდა, აღადგინოს ჩვენს თანამედროვე ლიტერატურულ მეტყველებაში ძველი არქაული ფორმები. ეს არის დიდი პრინციპული მნიშვნელობის საკითხი. ენობრივი არქაიზმის ეს გზა არ არის ჩვენი ლიტერატურის განვითარების სწორი გზა და ჩვენი მწერლობა არ უნდა წავიდეს ამ გზით. ვიმეორებ: მე-19 საუკუნეში რომდარი ძერა ქართული ენის საკითხში უნდა დავიცვათ და გავაღრმავოთ. უფრო შორსაც უნდა წავიდეთ ჩვენი ლიტერატურული ენის შიახლოვებაში ხალხურ ენასთან: არ შეიძლება ლიტერატურული ენა დაეშორეთ ხალხის მეტყველების ფორმებს.

სისადავისა და ხალხურობისათვის ბრძოლა მთელი საბჭოთა ლიტერატურის მამოძრავებელი ამოცანაა. კ. გამსახურდია თითქოს უგულვებელყოფს ამ გარემოებას. იგი ხშირად ხელოვნურად ართულებს სტილს. „მთვარის მოტაცება“-ში ფორმა მეტის-მეტად ხაზგასმულია. იგი ხშირად გამოდის წინა პლანზე და გამსაზღვრელ მომენტად ხდება. მანერულობა, ხელოვნურობა იგრძნობა ამ წიგნში.

ამ მხრით გამსახურდია შორდება იმ შემოქმედებითს გეზს, რომელიც მოხაზულია მსოფლიო ლიტერატურის დიდი რეალისტების შემოქმედებითი ტრადიციით. ამ საკითხში ჩვენი ავტორი უფრო დეკადანსის მწერლობის პოზიციას უახლოვდება. თანამედროვე დასავლეთის ისეთი მწერლები, როგორცაა მარსელ პრუსტი, ჯოისი, დისპასოსი, უფრო იზიდა-

ვენ „მთვარის მოტაცების“ ავტორს, ვიდრე ბალზაიკის, ტოლსტოის, გოგოლის და ჭავჭავაძის მიერ შექმნილი კლასიკური რეალისტური ნაწარმოებები.

დეკადენტიზმის ჯერ კიდევ დაუძლეველი გავლენით უნდა იხსნას აგრეთვე ის ზოგიერთი პირდაპირ ანტიესტეტური, ნატურალისტურად უხეში მომენტი, რომელიც ამ რომანში გვხვდება (მაგალითად, კაც ზემბაიას სიზმარში გამოქვაბულში, თემურის აღწერა ქორა მახვშის კოშკში და სხვ.).

ასეთია ამ რომანის მთავარ ღირსებათა და ნაკლოა ბუნება.

ამ ნაწარმოებით კონსტანტინე გამსახურდიამ საგრძნობი ნაბიჯი გადადგა საკუთარი ძველი იდეურ-შემოქმედებითი პოზიციებიდან დაძვრისა და საბჭოთა მწერლობის საბრძოლო ამოცანებთან მიახლოების თვალსაზრისით. ეს რომანი მაჩვენებელია აგრეთვე გამსახურდიას მხატვრული ოსტატობის გაღრმავებისა და მომწიფების.

და ამავე დროს ამ რომანში ნათლად გამოსჩანს, რომ მწერალმა საერთოდ ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი ძველი, ჩვენთვის უცხო იდეური ტვირთის გავლენის სიმძიმეს.

ამ გავლენებისაგან საბოლოოდ განთავისუფლება, ჩვენი ეპოქის თემებზე და მოწინავე იდეებზე დაყრდნობა, სოციალისტური მწერლობის რეალისტური მეთოდოლოგიის დაუფლება წარმოადგენს მთავარ პირობას კ. გამსახურდიას შემდგომი შემოქმედებითი წარმატებისათვის.



## ი. ჭავჭავაძის მხაზვრული შემოქმედება

მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამ საუკუნის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურაში იგი ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს. მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობა. იგი პოეტიკ იყო, ბელეტრისტიკ, დრამატურგიკ, პუბლიცისტიკ, რედაქტორიკ, დირექტორიკ და სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელიკ. მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ისეთი საკითხი, რომელსაც ი. ჭავჭავაძე არ შეხებოდა და ყოველ მოვლენაზე არ ეთქვა თავისი სიტყვა.

ი. ჭავჭავაძეს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენს სინამდვილეში მოუხდა იმავე ამოცანების გადაწყვეტა, რაც უკვე დიდი ხნის წინათ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურაში გადასწყვიტა ა. პუშკინმა. ი. ჭავჭავაძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დროს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება ხასიათდებოდა უკიდურესი ჩამორჩენილობით და კონსერვატიზმით. ი. ჭავჭავაძეს, როგორც მოწინავე მოაზროვნეს, რასაკვირველია, არ შეეძლო ხმა არ ამოელო, თავისი სიტყვა-არ ეთქვა ამ ჩამორჩენილობისა და კონსერვატიზმის წინააღმდეგ.

ი. ჭავჭავაძემ არაჩვეულებრივად გაამდიდრა ქართული ლიტერატურა მხატვრული შემოქმედების ნამდვილი შედეგებით. ა. წერეთელთან ერთად იგი გახდა ახალი ქართული ენისა და ლიტერატურის ფუძემდებელი. თავისი მხატვრული შემოქმედებით მან ძლიერი გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზე. ჯერ კიდევ მთელი სისრულით არ არის შეცნობილი ი. ჭავჭავაძის, როგორც პოეტისა და ბელეტრისტის, როგორც ლიტერატურული აზროვნების ფორმირებისა და ლიტერატურულ შეხედულებათა ორგანიზატორის თანმიმდევარი და შეურიგებელი ბრძოლის მნიშვნელობა ქართული ენის საეკლესიო-არქაული კანონების ტყვეობისაგან განთავისუფლების საქმეში, დღემდე ჯერ კიდევ მთელი სისრულით არ არის შეფასებული ი. ჭავჭავაძის მიერ რეალურ ცხოვრებისადმი,

როგორც მხატვრული შემოქმედების მთავარ ობიექტისადმი მიმართვის უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა. ცნობილია, რომ ამ პლანში ი. ჭავჭავაძის შემოქმედების თვალსაჩინო ელემენტები შექმნილია მხატვრული ლიტერატურის შემდგომი დემოკრატიზაციის საფუძვანტურში.

ი. ჭავჭავაძე ჩვენი წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ძალზე რთული მოვლენაა. მან თავის შემოქმედებაში ასახა საზოგადოებრივი განვითარების მეტად მნიშვნელოვანი საფეხური. იგი იყო გარდა-შავალი დროის მწერალი, რომლის მოღვაწეობაც გაიშალა ორი ეპოქის, ორი სოციალურ-ისტორიული ფორმაციის — ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის — მიჯნაზე. იდგა რა ი. ჭავჭავაძე ორი კულტურის შეჯახების საზღვარზე, მან წამოაყენა მთელი რიგი უდიდესი მნიშვნელობის სოციალური პრობლემები, რომელთაც მაღალი მხატვრული გამოსახლება მისცა. მან თავის შემოქმედებაში გვიჩვენა ძველი, მომაკედავი და ახალი, მზარდი საზოგადოებრივი ურთიერთობის კოლიზია. სწორედ ამიტომ გახდა ი. ჭავჭავაძის მემკვიდრეობის გაგება-ათვისების საქმე ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში გამწვავებული ბრძოლის საგანი. ეს ბრძოლა ი. ჭავჭავაძის შემოქმედების გარშემო დაიწყო გასული საუკუნის 60-იან წლებიდანვე, იგი გაგრძელდა მეოცე საუკუნეშიაც და მისი გამოხატულება გვაქვს საბჭოთა პერიოდის ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომებში. ამ ხნის მანძილზე ი. ჭავჭავაძის მემკვიდრეობა შეფასებულ იქნა მრავალნაირად. სხვადასხვა კლასობრივი ჯგუფის წარმომადგენელნი ცდილობდნენ ი. ჭავჭავაძის შემოქმედების „თავისებურ“, „ორიგინალურ“ გაშუქებას. ნაციონალისტურ-თავადაზნაურული აზროვნების წარმომადგენლებმა ყველა შესაძლებლობა გამოიყენეს იმისათვის, რომ პირველ პლანზე წამოეწიათ ი. ჭავჭავაძის სოციალური პრაქტიკის ის ელემენტები, რომლებიც შედარებით სუსტ მხარეს წარმოადგენდნენ მის შემოქმედებასა და საზოგადოებრივ შეხედულებებში. აქედან მომდინარეობს სწორედ ი. ჭავჭავაძის წარმოდგენა თანამიმდევარ სოციალისტად, გლობური რევოლუციის იდეოლოგად. მეორე სახის უკითხურისთვის წარმომადგენელნი პირწაყარდნილ ნილილიზმის გზას დაადგნენ და მოითხოვდნენ ი. ჭავჭავაძის სრულ უარყოფას, რადგანაც მას თვლიან ბატონყმობის დამცველად, კონსერვატორად და რეაქციონერად.

მიუხედავად ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულობისა. ზომოაღნიშნული თვალსაზრისის წარმომადგენლები მთავარში მაინც იმთხუროდნენ ერთმანეთს — არ ესმოდათ ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ნამდვილი ბუნება მთელი მისი შინაგანი წინააღმდეგობით.



ქართული

1856 წელს ი. ჭავჭავაძემ დაამთავრა ტფილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იგი გაემგზავრა პეტერბურგს უმაღლესი განათლების მისაღებად. ილიას პეტერბურგში ყოფნა ღირსშესანიშნავ პერიოდში მოუხდა. ეს იყო სამოციანი წლები — დიდ მოძრაობათა და გარდატეხათა წლები. დასავლეთ ევროპაში ამ დროს მრავალ თვალსაჩინო მოვლენას ჰქონდა ადგილი. რუსეთში ვითარდებოდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში მუშათა მოძრაობის აღმავლობა ნიადაგს ამზადებდა პირველი ინტერნაციონალის დასაარსებლად. თვით რუსეთში ცხოვრებამ მწვავედ დააყენა საკითხი ბატონყმური წყობილების ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის განვითარების შესახებ. 1855 წ. ყირიმის ომში დამარცხებამ ნათლად გამოამჟღავნა რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენილობა. საზოგადოებრივმა მოძრაობამ მეფე ნიკოლოზ პირველის გარდაცვალების შემდეგ მიიღო იმდენად რევოლუციური ხასიათი, რომ ალექსანდრე მეორე იძულებული შეიქნა განეცხადებინა: „უმჯობესია ვლენობა ვაგათავისუფლოთ ზემოდან, ვიდრე ვუცადოთ სანამ ქვემოდან ჩამოგვადგებენ“-ო. გლეხთა გამოსვლებისა და აჯანყების შეუნელებელი ზრდა ძალზე დიდ საფრთხეს ჰქმნიდა გაბატონებულ წრეებისათვის. გლეხთა გაძლიერებულმა მოძრაობამ და რევოლუციის შესაძლებელი გახდა როგორც თავადაზნაურობა, ისე მეფის მთავრობა, ეზრუნა გამოსავალი საშუალებების გამოჩენაზე. ასეთ პირობებში, ცხადია, არ შეიძლებოდა დაგვიანება. ბატონყმობის საკითხებზე მსჯელობა დაიწყო არა მარტო მთავრობის კომისიებსა და კანცელარიებში, არამედ საზოგადოებაშიც, პრესაშიც, ლიტერატურაშიც. აღიარებულ იქნა ბატონყმური წყობილების გაუქმების უცილებლობა. მაგრამ ამასთან ერთად გამოამჟღავნდა მწვავე კლასობრივი უთანხმოებანი მემამულეებსა და გლეხებს შორის იმის გარკვევისას, თუ როგორი კონკრეტული გზით ჩატარებულყო ბატონყმური უფლების მოსპობა. მემამულეთა უმრავლესობა მიისწრაფოდა საკითხი გადაეწყვიტა კულმოკვეცილი რეფორმის საშუალებით. ისე, რომ მათ შეენარჩუნებიათ საოკეთესო, ხოლო გლეხობისათვის მიეცათ მწირი და გამოუსადეგარი მიწები. რაშიაც ამ უკანასკნელთა თაყუოვნებლივ უნდა ვადაიხადათ ფულადი გამოსაღები. გლეხთა მასებს, რასაკვირველია, არ შეეძლოთ დარჩენილიყვნენ იმ გვეგმებისა და შეზიდულობების პასიორ მყურებლებად. რომლებიც მათ შემოვომ მღვთმარობას ებნობდა.

გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი რევოლუციურად იყო განწყობილი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, „რუსეთში 1861 წელს ხალხმა, რომელიც ასი წლობით იყო მემამულეთა მონობაში, ვერ შეძლო ფართო, პირდაპირი და შეგნებული ბრძოლა თავისუფლებისათვის. იმ დროს გლეხთა აჯანყებები ცალკეული, დაქსაქსული, სტიქიური ამბოხებები იყო და მათ ადვილად აქრობდნენ“... \* ძალა-უფლება მემამულეთა მხარეზე აღმოჩნდა და რეფორმა მათი ინტერესების მიხედვით იქნა ჩატარებული. ასეთი „განთავისუფლების“ ბუნებრივ შედეგად „გლეხებმა მიიღეს „თავისუფლება“ მათხოვრის მგომარეობაში. მემამულეთა მონობიდან გამოსულნი ისევ ამავე მემამულეთა და მათი დამქაშების ბრჯყალებში ჩავარდნენ“... \*\* ასეთ „განთავისუფლებას“ გლეხობამ დაუსრულებელი აჯანყებით უპასუხა.

მიუხედავად იმისა, რომ გლეხობა რევოლუციურად იყო განწყობილი, იგი მაინც ვერ ახერხებდა თეორიულად გაეაზრებია თავისი რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკა. ამის მიზეზი კულტურული და პოლიტიკური ჩამორჩენილობა იყო. მხოლოდ რევოლუციურმა „რაზნოჩინელებმა“—ნ. ჩერნიშევსკიმ, ნ. დობროლიუბოვმა და მათმა ჯგუფმა ხელი შეუწყო გლეხთა მოძრაობის იდეოლოგიურ განმტკიცებას:

რევოლუციური „რაზნოჩინელების“ სათავეში იდგა ნ. ჩერნიშევსკი, რომელიც შეუდრეკელად იბრძოდა პოლიციურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ გლეხური რევოლუციისათვის. მან „საგლეხო რეფორმას“ სისაძაგლე უწოდა და თავის მიმართებაში „საბატონო გლეხებისადმი“ ამ უკანასკნელთ აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. ნ. ჩერნიშევსკი მოითხოვდა მასებისათვის განათლებას, პოლიტიკურ თავისუფლებას, თვითმართველობას და ცხოვრების ახალ, გაუმჯობესებულ ფორმებს.

განმათავისუფლებელ მოძრაობაში ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი მხატვრულ მწერლობას უდიდეს როლს აკუთვნებდნენ. რევოლუციურმა თაობამ უარყო „წმინდა ხელოვნების“ გამოშხატველა მწერლობა და მას საზოგადოებრივი ცხოვრების სამსახური დაუსახა მიზნად. ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ ლიტერატურის და ხელოვნების სფეროში შედის ყველაფერი რაც-კი აინტერესებს ადამიანს ცხოვრებასა და ბუნებაში, და ყველაფერი, რაც ეხება ხალხის ცხოვრებას უნდა გახდეს ლიტერატურისა და ხელოვნების საგანი.

\* Ленин — Собр. соч., გამ. მე-3, ტ. 15, გვ. 108.

\*\* იქვე, გვ. 109.



ამ პერიოდში პეტერბურგში მყოფი ქართველი სტუდენტები ილია ქავჭავაძე, გიორგი წერეთელი, ნიკოლოზ აძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვები ჩაბმული იყვნენ იმ ახალ იდეურ მოძრაობაში, რომლითაც მაშინ გამსჭვალული იყო რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობა. ჩერნიშევსკი, ლობროლიუბოვი და „Современник“-ის მთელი ჯგუფი იყო ის წყარო, საიდანაც ჩვენი 60-იანი წლების ახალი თაობის ინტელიგენცია იძენდა თავის გონებრივ საზრდოს. ახალგაზრდა სტუდენტობა გატაცებით დაეწაფა იმ დემოკრატიულ-ოპოზიციურ შეხედულებებს, რომლებიც გამოსჭვავოდა ჟურ. „Современник“-ის ფურცლებზე. ნიკოლოზ აძე ერთ თავის წერილში შემდეგნაირად აღწერს იმ ვაჟლენას, რომელიც მოახდინეს 60-იანი წლების ქართველ ახალგაზრდობაზე ჩერნიშევსკიმ, დობროლიუბოვმა და „Современник“-მა: „რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე, მკითხველო, რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები, იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის (ე. ი. „Современник“-ის. — შ. რ.) ახალი წიგნი გამოვიდა. რა აღტაცებით და დაჩქარებით, რა სიხარბით და დაუღალავად ვეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას... რამდენი გრძელი, ბოლო მოუღებელი ჩრდილოეთის ზამთრის ღამეები გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მისი აზრების რჩევაში, მისი სიტყვების, სჯაში, მასზე დავაში... ვინ დათვლის იმ ხანგრძლივ ბედნიერების აღტაცებას, ტვინის წვალებას, ან ვინ დაივიწყებს მათ სანაიდაგოთ გულში ჩაქედილ კვალს...“

ჩვენი „სამოციანელების“ მთელ რიგ წარმომადგენლებს პირადი ნაცნობობა და ურთიერთობა ჰქონდა „რაზნოჩინულ“-რადიკალური ინტელიგენციის უდიდეს წარმომადგენელთან — ნ. ჩერნიშევსკისთან \*\*.

ქართველი ახალთაობა, რომელიც 60-იან წლებში რუსეთში სწავლობდა, მხურვალე მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა საზოგადოებრივ გამოსვლებში. ასე, 1861 წ. სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობდნენ: ნ. ნიკოლოზ აძე, კ. ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი, ბ. დობრობერიძე, ი. ისარლი-შვილი და სხვ. ისინი დააპატიმრეს კიდევ და რამდენიმე თვით კრონშტადტის ციხეში მოათავსეს.

პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტებს საკუთარი წრე ჰქონდათ. ამ წრის მეთაურად და ხელმძღვანელად სულ მალე ილია

\* ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლოძე) — „სხვათა შორის“, „კრებული“, 1873 წ., № 4.

\*\* Г. М. Туманов — „Характеристики и воспоминания“, წიგნი პირველი, ტფილისი, 1913 წ., გვ. 230 — 233; ნ. ნიკოლოძე — „კრებული ნაწერები“ ტ. I, გვ. 88 — 144.

ქვეყანაზე გახდა. \* ახალგაზრდა ილია არ იყო მარტო ვიწრო/აკადემიზმით, ე. ი. საუნივერსიტეტო საგნების სწავლებით, გატაცებული ადამიანი, იგი უფრო გარეშე წიგნებს კითხულობდა, უფრო სიტეტში მას, კოხტა აბხაზის ვადმოცემით, „განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა... მთელი წელიწადი სამოსწავლო საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართული. კითხულობდა, სხვათა შორის, ბევრ ძველ ქართულ წიგნებს...“ \*\* ასევე იყო ილია მაშინ გატაცებული პოლიტიკური ამბებით. განსაკუთრებით აინტერესებდა მას ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა. იყო მომენტი, როდესაც იგი გარიზხა დის რაზმში აპირებდა თუომე ნობალისედ ჩაწერას.

გარდა პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის წიგნებისა, ი. ჯავჭავაძე ამ ხანებში დიდ ინტერესს იჩენდა ევროპულ და რუს კლასიკოსების: შილერის, ბაირონის, ვალტერ-სკოტის, პუშკინის, ვოგოლის, ბელინსკის და სხვათა შესწავლის საქმეში.

1861 წელს მეფის მთავრობა სასტიკ რეჟიმს ამყარებს უნივერსიტეტებში. რადიკალურად განწყობილი სტუდენტობა პროტესტს აკმატებს ამ რეჟიმის წინააღმდეგ და გაფიცვას აწყობს. ი. ჯავჭავაძეც ამ მოწინავე სტუდენტებთან იყო. 1861 წელს მეოთხე კურსის სტუდენტი სტოვებს პეტერბურგის უნივერსიტეტს, როგორც თვითონ სწერს თავის „აგტობიოგრაფია“-ში, „მაშინდელ საუნივერსიტეტო არეულობის მიზეზით“ \*\*\* და მოემგზავრება საქართველოში.

რუსეთში ი. ჯავჭავაძემ ოთხი წელიწადი ფაატარა. იქ ყოფნამ და სწავლამ უდიდესი კვალი დააჩინა მის პიროვნებას, არსებითად მისი მსოფლმხედველობა და საზოგადოებრივი შეხედულება ჩამოყალიბდა რუსეთის 60-იანი წლების მოწინავე საზოგადოებრივი იდეებისა და მოძრაობის ზეგავლენით. მართალს ამბობს ილია რუსეთში გატარებული ოთხი წლის შესახებ „მგზავრის წერილებში“: „ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემს ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი! იცა, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი — რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია; ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გაღებული. მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წა-

\* ნ. ნიკოლაძე — „ჩრდილი ნაწერები“, ტ. 1, გვ. 95.

\*\* „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, გვ. 563 — 564.

\*\*\* „განათლება“, 1908 წ., № 1.



სულა, რათა ჭკუა ავირჯიშოს, ტენისა და გულს მოძრაობა მის-  
ცეს, — ფეხი აადგმევიწინოს, ეს ის ოთხი წელიწადია, რუქეღვეთ ქვე-  
ბუჯის ტენისა და გულში გამოკვანძავს ხოლმე ცხოვრების უფროსსა  
ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინ-  
ვალე მტევანიც გამოვა და ძაღლ-ყურძენაცა. ოო, ძვირფასო, ოთხო  
წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან ვადებული ბეწვის ხიდი  
ფეხთა ქვეშ არ ჩასტყდომია, ნეტავი იმას, ვინც რიგიანად მოგი-  
ხმარა“.

ი. ჭავჭავაძემ შემოიტანა ჩვენში რუსეთიდან პროგრესულ-  
დემოკრატიული იდეები. ბიუროკრატიულ-ბატონყმური წყობილე-  
ბის კრიტიკა, დემოკრატიზმისა და შრომის პრინციპი, პიროვნების  
თავისუფლება, რისთვისაც იბრძოდა **ნ. ჩერნიშევსკი**, საკმაოდ  
გამოიყენა ი. ჭავჭავაძემ და საერთოდ მესამოცე წლების ჩვენმა მო-  
წინავე ინტელიგენციამ (ა. წერეთელი, ვ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე  
და სხვ.). იმავე **ნ. ჩერნიშევსკისა** და **ნ. დობროლიუ-  
ბოვის** ზეგავლენით განმტკიცდა ჩვენს კრიტიკულსა და მხატ-  
ვრულ ლიტერატურაში ახალი რეალისტური ესთეტიკის პრინციპი,  
რომელიც პირველად მიუყენა ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეს  
ი. ჭავჭავაძემ.

გარდა **ნ. ჩერნიშევსკისა** და **ნ. დობროლიუ-  
ბოვისა**, ჩვენი მესამოცე წლების მოღვაწენი ესთეტიკისა და  
ლიტერატურის საკითხებში განსაკუთრებით იყვნენ დაეაღებულნი  
**ბელინსკის** ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებისაგან.  
ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს და სხვებს ხშირად  
პირდაპირ ვადმოჰქონდათ **ბელინსკის** იმ პერიოდის აზრებო  
პოეზიის, ხელოვნებისა და ესთეტიკის შესახებ, როდესაც ამ უკა-  
ნასკნელმა დასკროვა მემარჯვენე ჰიგელიანური პოზიცია და აღიარა  
ჯეიერბახელი მატერიალიზმის პრინციპები.


შემთხვევითი არ იყო ის, რომ ი. ჭავჭავაძემ საქართველოს  
საზღვრებთან მოალხოვებისათანავე დააყენა საკითხი ბოძოლის,  
აქტივიზმის, ცხოვრების წინააღმდეგობათა დაძლევის აუცილებლო-  
ბის შესახებ. იგი მოძრაობაში, მოქმედებაში ჰხედავდა სიცოცხლის  
აზრსა და მნიშვნელობას. იგი მყინვარის სიღიადეს ადარებს მრის-  
ხანე და მჩქეფარე თერგს და ამ შედარებაში იხატება მთელი მისი  
სულისკვეთება, ხასიათი. ილიას მღვრიე თერგი უფრო მოსწონს.  
იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს მოძრაობის, ადამიანის გაღვიძებუ-  
ლი ცხოვრების სიმბოლოს. შეუპოვარი თერგი მას აგონებს ბრძო-  
ლას, რომელიც ავსებს ცხოვრებას და არ აძლევს მას საშუალებას  
ჰაობად იქცეს. პირიქით, დიადი და მრისხანე მყინვარი, მაგრამ ამავე  
დროს უმოძრაო. ცივი და მიუკარებელი, განზე დგას ცხოვრები-

წინააღმდეგობებისაგან. მყინვაოვით მიუწვდომელ და უმოძრაო გოეტესთან შედარებით ილია უპირატესობას აღიქვამდა თურქული ვით მშფოთვარე და მღელვარე ბაირონს („მგზავრის წერილები“).

ასეთი იდეებით შეიარაღებული დაუბრუნდა ი. ჭავჭავაძე თავის სამშობლოს 1861 წ. იგი მტკიცე გადაწყვეტილებით შეუდგა ახალი იდეების გადმონერგვას საქართველოს ნიადაგზე ა. წერეთელთან, ნ. ნიკოლაძესთან, გ. წერეთელთან, კ. ლორთქიფანიძესთან და სხვებთან ერთად ი. ჭავჭავაძემ დაიწყო ბრძოლა, რათა გაერღვია საუკუნეებით დახვეწებული ბატონყმური საზოგადოებრივი ყოფა. ამ ბრძოლით იხსნება ახალი პერიოდი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

## 2

სამოციანი წლები საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ამოძრავების, კულტურული აღორძინებისა, პრესისა და ლიტერატურის ზრდა-განვითარების ხანად იქცა. მაშინ გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე რუსეთიდან ახლად დაბრუნებული ი. ჭავჭავაძე და მასთან ერთად ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვები, რომლებიც წარმოადგენდნენ თერგდალეულთა ჯგუფს. ამ ჯგუფმა ნათლად დაინახა, რომ საუკუნეებით განმტკიცებული სოციალ-ეკონომიური საფუძვლები ჩვენი ცხოვრებისა ახლად ფაქტორების ზეგავლენით შეუჩერებლად ირღვეოდა და ისახებოდა ახალი დამოკიდებულება. ეს იყო ორი საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლის მთელი ისტორიული საფეხური. შეჯახება ხდებოდა არა მარტო ეკონომიკის სფეროში, არამედ ყოფისა და იდეოლოგიის უმაღლეს სფეროებშიაც. ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის კრიზისი ჩვენში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე საგრძნობი იყო და რაც შეტიხანი გადიოდა, ეს კრიზისი უფროდაუფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა. თერგდალეულებმა ნათლად იგრძნეს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარებამს აუცილებლობა. აი, ამ ახალი პირობების შესაფერისად შეუდგნენ ისინი თავიანთი სამოღვაწეო პროგრამის შემუშავებას და ბრძოლას ძველი ბატონყმურა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდასაქმნელად. თერგდალეულთა უდავო მეთაური ი. ჭავჭავაძე იყო. ამ დროის ამბავს სისწორით გადმოგვცემს ერთ-ერთი ცნობილი თერგდალეულთაგანი გ. წერეთელი, რომელიც შემდეგს სწერს: „1861 წლიდან... ილ. ჭავჭავაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ასტეხა ჯერ კიდევ „ცისკარში“ და გარს შემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე... ამათ შემოი-



ლეს კერძო კრებები, სადაც კითხულობდნენ რეფერატებს და სადაც ალტაცებული ჭაბუკი ილ. ჭავჭავაძე თავისი ახლად დაწერილი ლექსების და „გლახის ნაამბობის“ თავების კითხვით ამხნევენდა, ასულდგმულებადა თავის საკუთარ წრეს და წრის გარეშე არაჩვეულებრივ თანაგრძნობას იძენდა საზოგადოებაში. აი, ამ წრემ ი. ჭავჭავაძის მეთაურობით გამოსცა „საქართველოს მოამბე“ 1863 წელს. იურნალში მიიღეს მონაწილეობა მაშინდელმა საუკეთესო მწერლებმა... პეტერბურგის სტუდენტობა ალტაცებით შეხვდა ამ იურნალის გამოსვლას...“ \*

საქართველოში დაბრუნებისათანავე ი. ჭავჭავაძეს შეტაკება მოუხდა ძველი თაობის იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც ეურ. „ცისკრის“ ირგვლივ იყვნენ შემოკრებილი. თერგდალეული ახალგაზრდობა კარგა ზანია უკმაყოფილებას აცხადებდა „ცისკრის“ ჩამორჩენილობისა, უსახობისა და უშინაარსობის გამო. მაგრამ სხვა ბეჭდვითი ორგანოს უქონლობის გამო იძულებული იყო ამივე იურნალში ებეჭდა თავისი ნაწარმოებნი. 1861 წელს „ცისკრის“ ამრილის ნომერში ი. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა წერილი „ორიოდი სიტყვა ღავედ რევაზ შალვას-ძის ერისთავის კახლოვიდგან «შეშლილის» თარგმანზედა“. \*\* ი. ჭავჭავაძეს, როგორც ახალი თაობის წარმომადგენელს, რომელიც განიცდიდა ბელინსკისა და ჩერნიშევსკის გავლენას, აღარ აკმაყოფილებდა ანტონ კათალეოსის სქოლასტიკურ-არქაული „კატელორიებისა“ და „თეორეტიკის“ მიხედვით აღზრდილი ძველი თაობის მწერლების შეხედულებანი ენისა და ლიტერატურის შესახებ. იგი შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს დახვეწებულ კონსერვატიულ თაობას. ზემოაღნიშნულ წერილში ი. ჭავჭავაძემ წამოაყენა და განიხილა ჩვენი კულტურული ყოვისა და განვითარების უაღრესად საყურადღებო საკითხები. ილიამ მოითხოვა ქართული ენის გაწმენდა, გასაღდავება, გამარტივება და დრომოქმული ფორმების განდევნა მართლწერიდან. ილიამ უარჰყო ძველი ფსევდო-კლასიკური, სენტიმენტალური და სქოლასტიკური მიმდინარეობა ლიტერატურაში. იგი სწერდა: „...რა საჭიროა ეხლა ან ჩვენ ლიტერატურისათვის, ან ხალხისათვის სენტიმენტალური სკოლის მწერლობის გაცნობა?... იტნება ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცდომილება?! თუ ამას ფიქრობენ, მაშინ ისტორიას აღარა აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს

\* „ავალი“, 1897 წ., № 46.  
 \*\* „ცისკარი“, 1861 წ., № 4

ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანვე გვასწავლის ჭკეასა, როგორ უნდა მოვიქცეთ. წინა-კაცსა უკან მოძღვეარი იმისთვის უწყობს, რომ ვინცოდაა წინამ ფეხი წამოჰკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს: მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სარგებელს არას გამოვიტანთ. რაც მამა-პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო, — ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის; თუ მამას მივყევით, ჩვენც ჩინებდავით შევსდგებით ერთ ალაგზედ და წინ თებს ვეღარ წავსდგამთ“.\*

ახალი თაობის ინტელიგენცია ი. ჯავჭავაძის სახით მტკიცედ დაეჯახა ძველ თაობას: ახალი თაობა აყენებდა სამართლიან დებულებას, რომ ჩვენმა ხალხმა გვერდი უნდა აუხვიოს წარსულ დროთა სიკრულესა და ცდომილებას, ჩვენ უნდა გამოვიყენეთ დაწინაურებული ერების მაგალითები.

ი. ჯავჭავაძის ამ კრიტიკულმა წერილმა დიდი გავლენა გამოიწვია იმ დროინდელ ქართულ მწერლობაში. ილიას შეხედულებების წინააღმდეგ, როგორც ერთი კაცი, ისე აღსდგა ძველი, კონსერვატიული-რეაქციური თაობა. ამ წერილის საწინააღმდეგოდ ე.წ. „ცისკარი“ მოთავსებულ იქნა მთელი რიგი საპოლემიკო წერილები. მათი ავტორები იყვნენ: ბ. ჯორჯაძისა, გ. ბარათაშვილი, რ. ე. ერისთავი, სარდიონ ალექსეევი მესხიევი და სხვ.\*\*).

აქ დაიწყო და გაჩაღდა ბრძოლა ორ თაობას შორის. თავდაპირველად ამ ბრძოლის საბაზი ენისა და ლიტერატურულ-ესთეტიკური საკითხები იყო. ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. უმოძრაო საზოგადოებრივი ცხოვრება შეირხა და ამოძრავდა. „მამათა“ წერილებიდან დრომოქმული ტრადიციების შენახვისა და დაცვის სურვილი გამოსჭეოდა. ისინი პრინციპიალური წინააღმდეგობით ხვდებოდნენ ყოვლგეარ სიხლის.

ი. ჯავჭავაძის მეორე წერილმა: „პასუხი“\*\*\* კიდევ უფრო ძლიერად შეარყია კონსერვატიული-რეაქციური თაობის უმოძრაო ყოფა. წერილის დასაწყისში ილიას ეპიგრაფად მოჰყავდა ბელინსკის ცნობილი სიტყვები: „Из нашей литературы хотят устроить бальную залу, и уже зазывают в нее дам; из наших литераторов хотят сделать светских людей в модных фраках и белых перчатках, энергию хотят заменить вежливостью, чувство — приличием, мысль — модною фразою, изящество — щеголеватостью.

\* „ცისკარი“, 1861 წ., № 4.

\*\* „ცისკარი“, 1861 წ., № 5, 6, 9.

\*\*\* „ცისკარი“, 1861 წ., № 6.

критику—комплиментами“. ეს ეპიგრაფი დროული და მოსწონებუ-  
ლი იყო. იგი სავსებით ასურათებდა მაშინდელ ჩვენს საქართველოში  
რიც-სალიტერატურო ატმოსფეროს.

ი. ჰავკავაძე მთელი სისასტიკით ამხელდა „ცისკრის“ მწერლო-  
ბის რეტროგრადობასა და სილატაკეს. იგი პირდაპირ აყენებდა სა-  
კითხს: „ლიტერატურა ხალხის ჰკუა, ხალხის გონება, გრძნობა,  
ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია. ლიტერატურის წარ-  
მომადგენელი ჩვენში მარტო „ცისკარია“ ამეამად. ნუთუ მართლა,  
რაც „ცისკარში“ იწერება საქართველოს ხალხის ფიქრია, ჰკუაა,  
გონებაა, ჩვეულებაა? ნუთუ მართლა „ცისკარში“ ჩვენი განვითარებაა,  
ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუთუ მართლა  
ეგრე დაეცა რუსთაველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე  
გრძნობს? მეც მაგასა ვივი და ვტირი, რომ არა, თასჯერ არა;  
მეც იმიტომ ესრე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედა-  
ვად ბლაჯნის, აღარა ბლაჯნოს; რადგანაც იგინი თავის ბლაჯნითა  
ამდაბლებენ ჩვენ ენას. მე იმისთვის ვლაპარაკობ ეგრე სასტიკად,  
პირ-მოუფერებლად, რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც თა-  
ვის ოთახიდან ფეხს ნუ გამოდგამენ გარეთ, ლიტერატურაში; ამას  
ვთხოვ ხალხის სახელითა, ხალხის სახელის დაცვისათვის!“ ათე  
სასტიკად სწერდა ი. ჰავკავაძე „ცისკრის“ მწერლობის შესახებ. ეს  
გულისხმობდა უაჩუფას არა მარტო უნიჭო მწერლებისა, არამედ  
უკვე დრომოქმული, დახვესებული ლიტერატურული მიმართულე-  
ბისაც.

„მამების“ იმ მოსაზრებას, რომ ენის ფორმები მარად უცვლელი  
და ერთნაირიაო, ი. ჰავკავაძე უპასუხებდა, რომ ენა ისევე ემორ-  
ჩილება განვითარების კანონებს, როგორც სხვა მოვლენა ბუნებაში.  
ილია აყენებს დებულებას, რომ ენის კანონს თვითვე ენა იმუშა-  
ვებს თავის განვითარებაში და რომ „ხალხია ენის კანონის დამდები  
და არა ანბანთ თეორეტიკა“.

სამოციანი წლების დასაწყისიდან მოკიდებული ეს ბრძოლა უფ-  
რო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა. ეს ბრძოლა უფრო ვაი-  
შალა და ვალრმავდა ახალი თაობის ორგანო — „საქართველოს მო-  
ამბეს“ გამოსვლის შემდეგ.

აღსანიშნავია 1874 წელს იმავე „ცისკრის“ საშუალებით  
გ. რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს (რომელიც „მამების“ ერთ-ერთი მეთაურ-  
თაგანი იყო) გამოლაშქრება „შვილების“ წინააღმდეგ. ეს არის  
გ. რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ლექსი „პასუხი შვილთა“, რომელსაც მოჰყვა  
ი. ჰავკავაძისა და ა. წერეთლის საპასუხო ლექსი.

ათე დაეტაკა ერთმანეთს ენისა და ლიტერატურის საკითხებში  
60-იან წლებში ძველი და ახალი თაობა. ძველი თაობა, აღზრდილი

ანტონ კათალიკოსის „თეორეტიკაზე“ და „კატელო-რიებზე“, აღზრდილი ერუკლასიციზმის დოგმებზე და შანს მსჭრებელ მომუშაებელი წერის სამი სტილის პრინციპებზე, ვერ უყოფდებიო და იმ დემოკრატიულ-რაციონალისტურ და რეალისტურ შეხედუ-ლებას, რომელსაც ახალი თაობა აყენებდა, როგორც აუცილებელ პირობას ენისა და ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის. მაგრამ სინამდვილეში ენისა და ლიტერატურის საკითხები მათი ბრძოლის მხოლოდ ერთი მხარე იყო. შემდეგში ეს ბრძოლა თანდა-თან გაღრმავდა და შეეხო საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირი-თად საკითხებს. ამ ბრძოლაში მკაფიოდ გამოშვლანდა დრომოჭ-მულ, მიმავალ, რეაქციურ თაობასა და მომავალ, ახალ, პროგრე-სულ თაობას შორის არსებული წინააღმდეგობა. ეს იყო, ერთის მხრივ, ძველი, დროვადასული პატრიარქალურ-ფეოდალური ყო-ფიერების, კარჩაკეტილობის, მხოლოდ საკუთარი თავისათვის არსე-ბობის მქადაგებელთა და დამცველთა, ხოლო მეორეს მხრივ, ახა-ლი საზოგადოებრივი ცხოვრების, ცივილიზაციის, კულტურის, ფარ-თო პერსპექტივიანი იდეების წარმომადგენელთა ბრძოლა. ძველი, ე. წ. „ღარბაისლური“ ენის დამცველნი ასევე, ძველ, ფეოდალურ საზოგადოებრივ ურთიერთობის ნორმებსა და ფორმებს იცავდნენ. „მდაბიური“ ენის გამდიდრებისა და ახალ სალიტერატურო ენად გადაქცევისათვის მებრძოლნი ახალი შინაარსის, ახალი წარმოების წესის პოპულარიზაციისათვის იბრძოდნენ.

ძველი და ახალი თაობის ბრძოლა ახალი თაობის გამარჯვებით დასრულდა.

## 3

ი. ქავეკვაძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მაშინ, როდესაც ბატონყმური ურთიერთობა ჩვენში, მართალია, ჯერ კიდევ ძალაში იყო, მაგრამ იგი უკვე დაცემის გზაზე დაქანებული იყო. შინაარსეუ-ლად დაცლილი ბატონყმური ყოფა აფერხებდა ჩვენი ქვეყნის განვი-თარებას. ყველა პატიოსანი და პროგრესული ძალა იბრძოდა ამ მო-ნური წყობილების წინააღმდეგ. ასეთი იყო ი. ქავეკვაძეც, რომელ-მაც ბატონყმობის ასახვას, მისი სიმბინჯის გამომწეურებას მოან-დომა უმეტესი ძალა და ნაწილი თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში. მისი საუკეთესო ლექსები, პოემები და მოთხრობებუ-სწორედ ამ ხანაში დაიწერა. ილიას ამ დროის შემოქმედებაში მო-ცემულია ბატონყმური წყობილების ფართო ტილოები. ცხოვრების მგრძნობიარე და დაკვირვებულმა მეთვალყურემ მხატვრულ სახე-ებსა და სურათებში აღბეჭდა ბატონყმური წყობილების დაცემის პროცესი. „აჩრდილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის



ცხოვრებიდამ“, „გლახის ნაამბობი“ და სხვა ნაწარმოებები ებებინან ბატონყმური ურთიერთობით შექმნილ უსამართლო პატონყმურ მომწეურებას.

„აჩრდილი“ დიდი სოციალური შინაარსის პოემაა. სიმბოლური პოეტური ხერხი, რომელიც ავტორს აქვს გამოყენებული ამ ნაწარმოებში, მიმართულია იქეთვე, რომ რაც შეიძლება ღრმად და ყოველმხრივად იქნას გადმოცემული ძირბთადი იდეა. „აჩრდილში“ იხატება ი. ჭავჭავაძის მთელი სასიცოცხლო სულისკვეთება.

ოცნებაში წასული პოეტი გაპყურებდა კავკასიონის მთას და მას თითქოს „მყინვარზედ მდგომი მოხუცებული“ მოეველინა. პოეტსა და მოხუცს შორის იმართება დიალოგი, რაც უშუალოდ ეხება საქართველოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. მოხუცის სიტყვებში მთელი სიძლიერით არის გატარებული კრიტიციზმის ხაზი. ეს განსაკუთრებით შეეხება ბატონყმურ ურთიერთობას. ბატონი სარგებლობს თავისი ყმის უმწეო მდგომარეობით, მისი უუფლებობით და ართმევს ნაოფლარს. ყმას მეტი არაფერი დარჩენია, რომ მწარე ამოოხერაში ჩააქსოვოს თავისი გულის ნადები:

„ეაიმე, ზედკრულს რაღა დამჩრება,  
რომ გაეახარო ცოლ-შვილის თვალი?..  
ვინა შრომობდა და ვინა ჰძღვება,  
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!“

გარდა იმისა, რომ ყმა-გლეხობა ეკონომიურად ძალზე შევიწროებული იყო, თავისი უუფლებო მდგომარეობის შეოხებით უფრო მეტად იჩაგრებოდა იგი ზნეობრივადაც. ყმას ისე ექცეოდნენ, როგორც სავაჭრო საქონელს და მას საყვარელ შვილს ართმევდნენ:

„შენში კაცისას გრძობას არ ზედვენ,  
დედას ჭუჭუდგან შვილსა ავგლეჯენ.  
ვინ იცის, სიღამ სად ვაპყიდია...“

ქალს წაგართმევენ, ქალს გაპყიდენ,  
ნამუსს მოუვლენ შეუბრალებლად  
და წრფელსა გულში ლეარძლს ჩაასხნიან,  
გახდენ ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრეულად.“

ასეთი იყო ბატონყმური სინამდვილე. მებატონეთა თავგასულობა ყმა-გლეხობისათვის ყოველმხრივ ჰქმნიდა უნუგეშო მდგომარეობას.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, რომელიც ჩამოყალიბდა ორი საზოგადოებრივი ფორმაციის მიჯნაზე და ძალუმაღ განიცდიდა ყალიბობის პროცესში მყოფი ახალი ურთიერთობის გავლენას, პიროვნების თავისუფლების იდეას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს არის ერთ-ერთი არსებითი მხარე მისი შემოქმედებითი პრაქტი-

კისა. თავის ნაწერებში ილია სხვადასხვა ფორმით გამოხატავდა თავის მისწრაფებას ადამიანის პიროვნების სრულყოფილად წარმოადგენისათვის.

ადამიანის შემოქმედებითი ძალების გამომწვეურება ი. ჭავჭავაძესათვის, ნიშნავდა ქვეყნიერების სიმდიდრის დაუფლებას. მაგრამ ილია არასდროს არ რჩებოდა ადამიანის ღირსების აბსტრაქტული აღვიარების ფარგლებში. ილია ისეთი მწერალი იყო, რომელიც მწვავედ ვრძნობდა თავისი ეპოქის სოციალურ პროცესებს. და სწორედ ახალი საზოგადოებრივი სინამდვილის ძიების მისწრაფებიდან წარმოიშვა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ბატონყმური ურთიერთობის მძაფრი კრიტიკა. ი. ჭავჭავაძე არ მალავდა, რომ ბატონყმურმა წყობილობამ მოსპაძა თავისი დრო, რომ იგი საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლისა და განვითარების შემაფერხებელ მოვლენას წარმოადგენდა. ამიტომ იგი აყენებს „შრომის განთავისუფლების“, „შრომის ახსნის“, „შრომის სუფევის“ იდეას:

„შრომის ახსნა — ეგ არის ტვირთი  
ძღვეამოსილის ამ საუკუნის,  
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი  
მაგ ახსნისათვის შედგარადა იბრძვის.  
ველარ განუძღებს ქვეყანა ძველი  
განახლებისა გრივალის ჭროლას,  
ველარ განუძღებს ქვეყნის მძარცველი  
ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,  
და დაიმსხვრევა იგი ბორკლი  
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,  
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი  
ესე ქვეყანა კვლავ იყვავდების.“

ი. ჭავჭავაძის აზრით, შრომა არის საზოგადოებრივი ყოფის, ადამიანთა ცხოვრების საფუძველი. მაგრამ შრომა ბატონყმურ ურთიერთობაში დამონებული და შეზღუდულია. აუცილებელია ამ წყობილების მოსპობა, რათა შრომა შეიქნეს თავისუფალი.

განთავისუფლებული შრომის იდეა ი. ჭავჭავაძეს აღებული აქვს ნ. ჩერნიშევსკის დემოკრატიული აზროვნების გავლენის შედეგად. თავისუფალი შრომის პრინციპის წამოყენება, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს თანამიმდევარ სოციალისტური აზროვნების შეთვისებას. შრომის პრინციპს ილია იღებს როგორც საშარტლიანობის გამოხატულებას, როგორც ადამიანის პირადი თავისუფლების ფორმულას. ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძის აზროვნება არასოდეს არ მისულა კერძო საკუთრების უარყოფამდე და ეკონომიურად ყველას გათანასწორების მოთხოვნამდე. ილიას შესაძლებლად მიიჩნდა, რომ ერთსადაიმთხვე დროს კერძო საკუთრებაც დარჩე-

ნილიყო ცხოვრებაში დაკანონებული და სამართლიანობაც დასჯარე-  
ბულიყო ადამიანთა შორის.

ბატონყმობის სიმძიმე, მებატონეთა თავგასულობა და ველურ-  
რობა აიძულებდა მშვიდ, პატიოსან მშრომელ გლეხს დაეტოვებინა  
თავისი სახლკარი, ოჯახი და გვერდნილიყო ტყეში, ყაჩაღად, კაკო,  
ზაქრო და მრავალნი მათნი მსგავსნი სწორედ ბატონყმური ძალ-  
მომხრეობის მსხვერპლნი გახდნენ.

მთვარიან ღამეს ალაზნის პირად „ურემი მძიმე მიჭრიალებდა“  
და მეურმე სევდიან სიმღერას ამბობდა. უცრად ვილაყამ ტყიდან  
ასკუპა ცხენი და მეურმეს აჩქარებით ეკითხება კუდი-გორის გზას.  
მეურმე ასწავლის კუდი-გორის გზას და თანაც გააფრთხილებს, რომ  
იქ ცხოვრობს ყაჩაღი კაკო ბლაქიაშვილი. მაგრამ უცნობი უპასუ-  
ხებს, რომ სწორედ კაკო ბლაქიაშვილთან მიდის, და რა გაიგებს  
კუდი-გორის გზას, სწრაფად გაქუსლავს იქითკენ. მეურმემ გააყოლა  
თვალი. მეურმე შენატროდა ყაჩაღის თავისუფალ ცხოვრებას. კა-  
კოსა და ზაქროს საუბარი ნათლად წაჰმოადგენს ბატონყმობის სა-  
შინელ სახეს, რაც აიძულებდა გლეხებს ტყეში გავერდნილიყვნენ,  
სადაც მათ ელოდათ „უსახლკარობა, შიში, შიმშილი, მარტოკა გდე-  
ბა მხეცივით ტყეში, ყურდღელსავეითა ფხიზელი ძილი და იარაღი  
დღე და ღამ ხელში“. თუმცა ასე მძიმეა ტყეში ცხოვრება, „მაგრამ  
იქ ყველა გვიადვილდება, სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!“

ზაქრო მოუთხრობს კაკოს თავისი ბავშობის ცხოვრებას:

„მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი,  
როცა ბატონმა სახლს მოვაშორა.  
წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი,  
ჩემს სახლ-კარიდგან გამავდეს შორა...“

ჯერ კიდევ მცირეწლოვანმა ბავშვმა დიდი სულიერი ტანჯვა  
და ტყვიელები გამოიარა, სანამ შეეჩვეოდა თავის მდგომარეობას.  
სხვები ლხინობდნენ, მას კი თვალზე ცრემლები არ ამრებოდა. ამ-  
ხანაგები მის გულჩვილობას დასცინოდნენ. პატარა ზაქროსაც სცხვე-  
ნოდა თავისი ცრემლებისა, გაექცეოდა თავის ამხანაგებს, მიუჯდე-  
ბოდა ბუჩქის ძირს და იქ მარტოკა დიდხანს ტიროდა. მაგრამ თან-  
დათან შეეჩვია ახალ მდგომარეობას, ისიც გაერია ამხანაგების მზიარ-  
ულებაში. ძროხას უვლიდნენ ერთგულად და ღამე რიგრიგობით  
ღარაჯობდნენ. საღამოს ძროხებს დაითვლიდნენ, ტყის პირას დიდ  
ცუცხლს გააჩაღებდნენ, მოუსხდებოდნენ გარშემო და დაიწყებდნენ  
ხუმრობას, სიმღერას, სიცილს. დროგამოშვებით ზღაპრების თხრო-  
ბას მოჰყვებოდნენ. განსაკუთრებულ ინტერესს ბავშვებში არსე-  
ნას ამბავი იწვევდა:



...არსენა, ჩვენი, ის მხნე არსენა.  
ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული,  
ის იყო ჩემი ჯავარი და ლხენა,  
ის იყო ჩემი გული და სული.  
ეგრეთ გონება ხალისიანი  
არსენას ამბით მე შეზრდებოდა.  
მიყვარდა მე ის კეთილდღიანი  
და არსენობა შენატრეოდა..."

არსენობა, როგორც ერთგვარი სიმბოლო თავისუფლებისა, და-  
ზაგრულ და შევიწროებულ ყმა-გლეხებში პირდაპირ იდეალად  
იყო გამხდარი. ცნობილია, რომ საზოგადოებრივი შევიწროების ხა-  
ნაში ყაჩაღები, რომლებმაც ომი გამოუცხადეს ძველ დამჩაგვრელ,  
დახავსებულ წყობილებას, ხდებოდნენ მშრომელი ხალხის საყვარ-  
ელ გმირებად. სერბიელებისა და ბულგარელების ხალხურ სიმღე-  
რებში გაიდუკები — ყაჩაღები — მეტად საპატიო როლს თამა-  
შობდნენ. გერმანიაში ცნობილ სახალხო ყაჩაღებად ითვლებოდნენ  
შინ-დერ-გარსენი და ჰიზელი. ასეთავე მოვლენასთან  
გვაქვს საქმე რუსეთის და უკრაინის ხალხების ფოლკლორში.

მძიმე ცხოვრებისაგან, მჩაგვრელთა და მყვლეფელთაგან გაქცე-  
ული ყაჩაღები ამ შემთხვევაში სრულებით არ წარმოადგენდნენ  
აეადმყოფური ინდივიდუალიზმის განხორციელებას. არსენასა, კა-  
კოსა, ზაქროსა და მშრომელ ხალხს შორის მჭიდრო ურთიერთობის  
რგოლები იყო გაბმული. ზაქროს სიტყვები, მიმართული კაკოსადმი,  
მთელი სისრულით გამოხატავს ამ მდგომარეობას:

„შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,  
გამოქტევიხარ უსამართლობას,  
ამბობენ, თურმე გიყვარს გლეხკაცი,  
ბარაქალა მეგ გულკეთილობას!..  
რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს —  
ეგ ვერაფერი სიყვარულია,  
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, —  
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!“

დიახ, ხალხისათვის იდეალურ, მამაც გმირს წარმოადგენდა ის,  
ვინც ვერ შეეგუა მონურ ცხოვრებას, არ მოუხარა მას ქედი უსიტ-  
ყვოდ, არამედ პროტესტი გამოუცხადა, დაუპირისპირდა და შეებო-  
ძოლა კიდევ თუ გინდ ინდივიდუალური გზითაც.

რომ ბატონის ხელში ყმის მდგომარეობა საშინელია, რომ ყმის  
იმედი ყოველთვის საფრთხეშია, ეს გარკვევით აქვს შეგნებული  
ზაქროს:



„ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი  
ყოველთვის, დამო, არის საფრთხეში,  
გლეხთაის და ყმის ლიტონი ბედი  
ვერა, ვერ გასძლევს ბატონის ხელში...“

როდესაც ზაქროს მამა მოხუცდა ისე, რომ ოჯახისთვის მოგლა აღარ შეეძლო, სთხოვა ბატონს შეიღის უკან დაბრუნება. მაგრამ „მხეცი რამ იყო ბატონი, ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი, იმას კაცებრი გული არ ჰქონდა... რა გაეფარძელო, თავადიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს?!“ და ამიტომ მოხუცი მამა არ შეიბრალა, არ მისცა შეილი. მეტიც: ბატონმა ჩიბუხის ტარი დაჰკრა და ბიჭებსაც როზგებით აცემინა დასწულებული მოხუცი. ეს მდგომარეობა ვერ აიტანა იქვე მდგომმა შეილმა, გადმოიღო თოფი და მოჰკლა ბატონი. ამის შემდეგ ზაქროს სხვა გზა აღარ დარჩენოდა, გარდა გაყაჩაღებისა და იგი ეკედლება კაკოს.

როგორც ვხედავთ, ი. ჯავახიანი არ იყო ისეთი მწერალი, რომელიც არ ხედავდა, ან არ მიისწრაფოდა იქეთკენ, რომ არ შეენიშნა თავისი დროის სოციალური წინააღმდეგობანი. პირიქით, იგი მთელ თავის გულსყურს სწორედ ამ წინააღმდეგობათა გამოხატვას ანდომებდა. მას კარგად ესმოდა, რომ წინააღმდეგობები, რომლებიც ბატონყმურ საზოგადოებაში არსებობენ, არ შეიძლება და მოწესრიგებულიყო ბატონყმური ურთიერთობის ფარგლებში. თუმცა ილია არ იზიარებდა ამ საკითხის რევოლუციური გზით მოგვარების საჭიროებას, მაგრამ იგი მაინც გრძნობდა მისი მოსპობის აუცილებლობას (თანდათანობით, რეფორმის გზით). ისე მძაფრად წოდებრივ-კლასობრივ წინააღმდეგობათა გამომწვევება, როგორც ეს მოცემულია „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“-ში, ორიოდ მხატვრულ ნაწარმოებში თუ შეხვედებით მეცხრამეტე საუკუნის ჰართულ მწერლობაში. ერთ მხარეზე დგას საზოგადოების დიდი უმრავლესობა — მშრომელი, პატოსანი ნაწილი, მაგრამ დაჩაგრული, უფლებო და ყოველმხრივ შევიწროებული ყმა-გლეხობა, ხოლო მეორე მხარეზეა უმცირესობა — უქმი, პარაზიტი, სასტიკი, მაგრამ უფლებიანი მებატონე. მათი მდგომარეობა და ინტერესები რადიკალურად უპირისპირდებიან ერთმანეთს.

გვიჩვენებდა რა თავისი ეპოქის ადამიანებს, ი. ჯავახიანი ნათლად ხედავდა მათ დამოკიდებულებას განსაზღვრულ საზოგადოებრივ წრისაგან, განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობის სისტემისაგან. ილიამ გვიჩვენა, ბატონყმური წყობილება, ერთის მხრით, როგორ აიძულებდა ყმა-გლეხებს ტყისკენ გაქცევას, გაყაჩაღებას (კაკო, ზაქრო), ხოლო მეორე მხრით, ამახინჯებდა მებატონეებს, ხდიდა მათ სოციალურ ბალასტად, უსარგებლო და ბოროტ პიროვ-

ნებად. ბატონყმურმა უფლებიანობამ მებატონე დააყენა ყოველგვარი ზნეობრივი ნორმის გარეშე, გადააქცია ისეთ არსებად, რომელთაც თავაშეებულად ეძლევა ყოველგვარ დაბალ გრძნობას. დათიკოსნიც („გლახის ნაამბობი“) ბატონყმურმა უფლებიანობამ უმთავრესად მხეცური სურვილები განავითარა. იგი გადაქცეულია მხოლოდ ცხოველური ინსტიქტების მატარებლად და მას სწირავს ყველაფერს. მორალურად დაცემულ დათიკოს სიყვარული არ შეუძლია, ჭალი მას უნდა მხოლოდ დროს ვასატარებლად, ეინის მოსაკლავად ან, როგორც თითონ ამბობს „საპროშტავად“. რათა დათიკომ შეისრულოს თავისი ვარყვნილი მისწრაფება, მხეცური ეინი, იგი არ ერიდება სხვების, მთელი ოჯახის დაღუპვასაც. მისთვის სხვის პიროვნებას არავითარი ღირებულება არა აქვს. იგი იმდენად გულქვაა, რომ ადამიანი, რომელმაც მას შეაღია თავისი ენერგია, სიყვარული და თავდადება, მსხვერპლად მოუტანა თავის ავხორციანობას. დათიკო წარბეუბრებლად გადაეღობა ბედნიერების გზაზე თავის ყმას — გაბროს და არ დაინდო იგი.

გაბროს სიყვარული თამროსადმი მაღალი, წმინდა გრძნობის გამოხატულებაა. ამიტომ, როდესაც იგი ვაიგებს დათიკოს ბოროტ განზრახვას, ცდილობს გააღვიძოს მასში ადამიანური გრძნობა, მოუღბოს მას გული. მაგრამ ამათა ყოველივე დათიკო ხომ ბატონია და გაბრო მისი ყმა. დათიკოს ავხორციობამ დაავიწყა ყოველივე ადამიანური. უფრო მეტიც: რაკი შენიშნავს იგი გაბროს წინააღმდეგობას, ივიწყებს მის ერთგულ სამსახურს და ვერაფერად გასწირავს. მუხანათურად დაიჭერენ გაბროს და პეპიასაც მიაყოლებენ. დათიკომ დაღუპა პეპია ოჯახი. დაშალა გაბროსა და თამროს სიყვარული.

გლეხობის ეკონომიურ-უფლებრივ დამონებას მოჰყვა მისი გრძნობებისა და გონების დათრგუნვა და ყოველივე წმინდათა-წმინდის შეღაზვა. მომავლადეი გაბროს სიტყვები მკაფიოდ ვადმოგვცემენ ბატონებსა და ყმებს შორის არსებულ დამოკიდებულების ნამდვილ ხასიათს: „რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ ვაიდება?“

„გლახის ნაამბობში“ ი. ჭავჭავაძე გვაძლევს ბატონყმური სინამდვილის მძაფრ კრიტიკას. გვიჩვენებს შეუფერავ სურათს ძალმომრეობისა. რაც ახასიათებდა მებატონეებს. ბატონყმური წყობილების კრიტიკაში და მებატონეების მხილებაში ჩვენ ვხედავთ ილიას შემოქმედების ძლიერ მზარეს.

„გლახის ნაამბობის“ შესახებ ჩვენს კრიტიკაში გამოითქვა ის აზრი, რომ თითქოს იგი არ არის ცხოვრების ნამდვილი სურათი,



არ არის ოსტატურად შესრულებული ნაწარმოები. ა. ჯორჯაძემ სწერდა, რომ „მოთხრობაში აქა-იქ სენტიმენტალური დიდაქტიკა შეპარული, იგი არ არის ნიმუში ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებსა“... ა. ჯორჯაძის ეს მოსაზრება სინამდვილეს არ შეეფერება. „გლახის ნაამბობში“ დიდაქტიკა იმდენია, რამდენიც საერთოდ ყოველ სოციალურ რომანში ან მოთხრობაში. უიმისოდ წარმოდგენელია მხატვრული ნაწარმოები. „გლახის ნაამბობში“ მოცემულია იმ სახის დიდაქტიკა, რაც გამომდინარეობს „თვით სიტუაციისაგან და მოქმედებისაგან“ (ფრ. ენგელსი), ნაწარმოების იდეისა და მიზანდასახელობისაგან. მოთხრობის მომქმედი პირები — დათიკო, გაბრო, პეპია, თამრო — ცხოვრებიდან ამოღებული ტიპებია, მათ მოქმედებას სრული ბუნებრივობა ახასიათებს. მოთხრობაში მოვლენები მთლიანად ტიპიურ ხაზებშია ნაჩვენები. არც მაღალი ოსტატობისა და მხატვრობის გამოხატულების მხრივ არის სადავო „გლახის ნაამბობი“.

ბატონყმურმა ურთიერთობამ ქართველი თავადაზნაურობის საზოგადოებრივი შემეცნება სრულიად წაშალა. არ იყო იმ დროს საზოგადოებრივი ცხოვრება, არ სცემდა საზოგადოებრივი მაჯა, არ მოიპოვებოდა არც ერთი დაწესებულება, არც ერთი წრე, რომელსაც ხალხისა და ქვეყნისათვის ეზრუნოს. ვერაფერში და ვერსად ვერ შეამჩნევდით საზოგადოებრივ აღლოს ნიშანწყალს. პირიქით, ყველა თავის ქერქში იყო შემძვრალი, ყველა მხოლოდ თავისი კუჩისათვის ზრუნავდა. ქვემძრომობა, სიღამრე, გათახსირება, სულიერი სიცალიერე, — აი სურათი მაშინდელი თავადაზნაურული საზოგადოებისა.

თუ რაში გამოიხატებოდა საზოგადოებრივი ცხოვრება მაშინდელ „მოწინავე“ ადამიანებისა, ეს საოცრად მოსწრებულად და მკაფიოდ დაგვისურათა ი. ჭავჭავაძემ „კაცია-ადამიანში?“ ამ ნაწარმოებში მებატონეთა უაზრო, უშინაარსო, ცხოველური ყოფა მთელი-სისრულით არის წარმოდგენილი. მოთხრობა იწყება ლუარსაბ თათქარიძის სახლკარის აღწერით. ამ აღწერიდან უკვე ნათელი ხდება მის ბატონპატრონთა მთელი ავლადიდება. მაგრამ ეს მაინც გარეგნული სახეა თათქარიძიანთ ოჯახისა. უფრო საყურადღებოა თვით ამ ადამიანების ცხოვრება და მდგომარეობა.

ლუარსაბ თათქარიძე დროს ატარებდა ნებიერობაში. ხანდახან სადილობამდე ტახტიდან არ წამოდგებოდა. როცა ლოგინში ყოფნა მოებზრდიბოდა, გულგადაღვლილი ერთის ქმენითა და ვაი-ვაგლახით ტახტზე გადმოგორდებოდა და მთელი დღე ეგდო.

ლუარსაბს სხვა ინტერესი ცხოვრებაში არა ჰქონდა, გარდა ქვე  
მისა. ცხოვრების პირველი და უკანასკნელი აზრი მისთვის — ყოველ  
კის მოთხოვნილება. როცა ერთ სადილს თუ ვახშამს მიირთმევდნენ  
და კარგად დანაყრდებოდნენ, იწყებოდა ისევ ზრუნვა, შემდეგისა-  
თვის რა მოემზადებიათ: „ესეც ვახშამი, ღვთის მადლით, ვადავა-  
გორეთ, ეხლა ხვალინდელ დღისათვისაც ვიფიქროთ. ხვალაც ჭამა  
გვინდა, დალოცვილს ღმერთს ვერა გაუჩენია კაცი. ხვალ რაღა  
ექამოთ?“ — ასე მიმართავდა ლუარსაბი თავის ცოლს დარეჯანს, და  
განცხრომაში მყოფ ცოლ-ქმარს ხანგრძლივად გაბმული დავა ჰქონ-  
დათ იმაზე, თუ რა სჯობია: ჩიხირთმა თუ ბოზბაში!.. ხშირად ცოლ-  
ქმარი ჭერზე მჯდომ ბუზებსაც ითვლიდნენ და სანაძღვროსა სდებ-  
დნენ — ვინ გამოიცნობდა, თუ რამდენი ბუზი იყო.

დარეჯანი თითქოს ლუარსაბზე უფრო „გამჭრიახი“ გონებისაა,  
მაგრამ შორს არც მისი გონება მიდის. დარეჯანი ხშირად დარე-  
ოდა ხოლმე გოგო-ბიჭებს და თვითონაც არ იცოდა, რისთვის —  
„დასწყველიდა, დაჰქოლავდა, დასტუქსავდა“, მუჯღლუფუნსაც უთა-  
ვაზებდა, თავში წაჰკრავდა და მერე ლუარსაბთან თავს იწონებდა.  
ლუარსაბსაც მოსწონდა ცოლის ამგვარი მეოჯახეობა. თვითონ ლუ-  
არსაბმაც ხშირად „იცოდა ბიჭების დაწიოკება“, და გულუბრყვი-  
ლო ცოლ-ქმარი დარწმუნებული იყვნენ, რომ ამგვარი დაწიოკებით  
ოჯახს სარგებელს მოუტანდნენ.

სწავლა ლუარსაბს არა ჰქონდა და არც სხვის განათლებას სცემ-  
და პატივს: „რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო,  
ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩა ჩვენ  
შვილებსა და!.. ჭამით ისინი ვერა სქამენ, სმით ისინი ველარა სშენ,  
რა კაცები არიან?! წიგნი იციან?“ ლუარსაბი იკვების კიდევ თავის  
უსწავლულობას, თავის უფიცობას: „მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი  
აღარა ვარ, ქუდი არა მხურავს ვანა? ხორცი მე არ მაკლია და  
ფერი! წიგნი რა ვაეკაცის ხელობაა, — ეგ ხომ ქალის საქმეა!..“ ასე-  
თი „ბრძნული“ აზრების მატყრებელია ლუარსაბი სწავლა-განათ-  
ლების შესახებ. სწორედ ამ გაუნათლებლობის შედეგია, რომ თათ-  
ქარიძიანთ ოჯახში დიდი ვასავალი აქვს ცრუმორწმუნეობასა და  
ქორიკანობას.

ლუარსაბში გამჯდარია რწმენა იმისა, რომ ბატონყმობა მუდ-  
მივად უცვლელი საზოგადოებრივი კატეგორიაა, რომ ბატონყმობის  
გადავარდნა შეუძლებელია. ამაში მას სურს დაარწმუნოს ყველა და  
უპირველეს ყოვლისა, თავისი შინა-ყმები. ლუარსაბის ასეთი შეხე-  
დულება ბატონყმობაზე სრულიად ვასავებია. იგი ხომ მებატონე  
იყო, მთელი მისი ცხოვრება ხომ ყმა-გლეხობის შრომაზე იყო დაზ-

ყარებული. ამიტომ იგი ვერ ურიგდებოდა იმათ, ვინც ბატონყმობის გადავარდნაზე დაიწყებდა ლაპარაკს.

თათქარიძის ოჯახის მთელი ცხოვრება ცხოველური ცხოვრება-ჩლუნგობის მეტს არაფერს წარმოადგენს. მათ არა აქვთ არც ერთი სალი ადამიანური თვისება, მათ არა აქვთ არავითარი სასიცოცხლო ფუნქცია, არავითარი დადებითი აზრი და მიზანი ცხოვრებაში. დასასრული მათი უფერული ცხოვრებისა სიკვდილია: „მოკვდა ლუარსაბიცა ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენთაგანი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანას, და არც თავის სიკვდილით აკლებენ. წაიშალა ამ ორთა გვამთა ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედა. რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ნუ თუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? ან კიდე ქვაზედ წაიწერონ, რომ „ჩუ...“ წლამდინ თავადი ლუარსაბ და მისი კნენი დარეჯანი ცოცხალნი ყოფილან და შერე დახოცილან?..“

ლუარსაბ თათქარიძე ბატონყმური ცხოვრების შემთხვევითი სახე არ იყო. იგი ტიპური მოვლენა იყო, ეკონომიურად და უფლებრივად გაბატონებული, მაგრამ უმოქმედობასა, მცონარეობასა და უკულტურობაში გადასული მებატონეებისათვის. ი. ჯავახიანმა გვიჩვენა, რომ ბატონყმურ ურთიერთობამ, პატიოსანი, პირადი შრომის უგულვებელყოფამ თვით მებატონეებიც პირდაპირ ცხოველურ მდგომარეობამდე მიიყვანა.

ასეთია ი. ჯავახიანის ზემოაღნიშნულ ნაწარმოებთა ხასიათი. როგორც დავინახეთ, მათში ღრმად და მძაფრად არის მხილებული ბატონყმური ურთიერთობის სინამდვილე.

60--70-იან წლებში ი. ჯავახიანის მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელი იყო ფართო ისტორიული ზედვა. ის პრობლემები, რომლებსაც იგი ეხებოდა თავის მხატვრულ შემოქმედებაში, არ წარმოადგენდნენ შემთხვევითს ან ცხოვრების წვრილმან, უმნიშვნელო საკითხებს, არამედ დიდ საზოგადოებრივ-ისტორიულ პრობლემებს. „აზრდილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „კაცია-ადამიანი?!", „გლახის ნაამბობი“ და სხვ. ფართო მნიშვნელობის სოციალური ნაწარმოებებია მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

ი. ჯავახიანისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სინამდვილის მეკეთრ ათვისებას, ღრმა ინტერესს ეპოქის სოციალურ მოძრაობისადმი, უწყვეტ შემოქმედებითს ძიებებს, ცხოვრების ახალ ნაფუძველთა განმტკიცების პათოსს. მეტად დამახასიათებელია ამ მხრით მისი კერძო წერილი და ე. ო. რ. ი. ს. თ. ა. ვ. ი. ს. ა. დ. მ. ი. : „...ამ

„აზრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიკოს ნაწილზედ შევედგე და ერთი ბიჯი წინ ვერ წავდგი. რა ექნა, ვამბობ, ამ „აზრდილს“ თავი დაკანებოა შეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებშია და მშვიდობის ისტორიაა, ერი არსადა ჩანს. მე კი ისეთი აგებულობის ადამიანი ვარ, რომ შეფტებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი-კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს“...

ხალხისადმი გულისყურის მიპყრობა, ხალხისათვის ზრუნვა და სამსახური, რასაც ი. ჭავჭავაძემ ამჟღავნებდა თავის მხატვრულ შემოქმედებაში, წარმოადგენს მის უდიდეს დამსახურებას.

## 4

ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, საზოგადოებრივ შეხედულებებში საერთოდ მთავარი იყო ეროვნული საკითხი. ილიას გაგებით, მთავარი სოციალური კატეგორია ე რ ი ა და ამიტომაც არის, რომ სოციალური საკითხების გადაჭრას იგი ეროვნული გზით იძლევა.

ი. ჭავჭავაძემ ეროვნულ საკითხს უძღვნა თავისი პირველი ბელეტრისტული ნაწარმოები — „მგზავრის წერილები“. ნაცვლად გაურკვეველი რომანტიკული იდეებისა საქართველოს შესახებ, რომლითაც გამსჭვალულნი იყვნენ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მწერლები, ი. ჭავჭავაძემ ამ ნაწარმოებში თავისი გარკვეული ეროვნული კონცეპცია მოგვცა. „მგზავრის წერილებში“ ეროვნული იდეის გამოხატველად მწერალს გამოყვანილი ჰყავს მოხვეე. ილიას უნდოდა გავგაოს, თუ რამდენად გრძნობს მოხვეე ეროვნული დამოუკიდებელი ცხოვრების დაკარგვის სიმწვავეს თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული რუსეთის ბატონობის პირობებში. მის შეკითხვაზე მოხვეე-შავი საღებავებით აფერადებს საქართველოს აწმყოს და მას უპირისპირებს წარსულს. მოხვეე უპასუხებს: წინათ იმიტომ სჯობდა, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ — რ. ილია დაუკვირდბ მოხვეის ამ სიტყვებს და მასში ღრმა მნიშვნელობის აზრი დაინახა: „მიგინვდი, ჩემო მოხვეე, რა ნესტართაც ხარ ნაჩხვლეტი. ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო — სიტყვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უუცარმა ტკივალმა ტკინიღამ გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარი და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?... ჩემო საყვარელო მიწა-წყალა, მომეც ამისი პასუხი!“ ამ სიტყვებში ილიამ გამოხატა ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლების მოპოების სურვილი, თუმცა კონკრეტული გზები მისი მიღწევისა მას ვერ აქვს წარმოდგენილი.

ეროვნული პრობლემის გარკვევისათვის ი. ჯავახიანი ეყენა არა მარტო მხატვრული პროზა, არამედ პოეზიაშიც ტიკაც და სხე.

მთელ რიგ ლექსებში ი. ჯავახიანი ძალუმიდ ამკლენებს თვის ეროვნულ გრძნობას, მისწრადებას, სამშობლოს სიყვარულს. „მის იქეთ, რაკი შენდამი ეცან მე სიყვარული, ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შეება!“—ო, ამბობს იგი ერთ-ერთ ლექსში.

ეროვნული გრძნობა იმდენად გამახვილებული ჰქონდა ი. ჯავახიანს, რომ ბუნების ყოველი სურათის ზილვა მასში სამშობლოს საქართველოს სახეს ადგენდა:

- „ტყემ მოსხა ფოთოლი,  
აგერ მერცხალი ტყივის,  
ბალში ეაზი ობოლი  
მეტის ლხენითა სტარის.  
აყვავებულა მდელი,  
აყვავებულა მთები;  
მამულო საყვარელო,  
შენ როსლა აყვავდები?“

ი. ჯავახიანი ნათლად გრძნობდა, რომ ეროვნული აღორძინებისათვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეეძლო „რომანტიკულ“ ტირილს წარსულზე. ამიტომ მან მომავალს მიიპყრო გულისყური. ლექსში „ქართლის დედა“ მან აღიარა ძველის დაკარგვით გამოწვეული წუწუნისა და უიმედობის დატოვება, ახალი ვარსკვლავის მიყოლისა და მომავალზე ზრუნვის აუცილებლობა:

- „მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,  
რაც უწყალის დროთ ზელით დანთქმულა;  
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...  
ჩვენ უნდა ვსდით ეხლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...“

ი. ჯავახიანი საქართველოს მომავალს იმედიანის თვალით შტკურებდა. მართალია, სამშობლოს ბედ-იღბალი აწმყოში მძიმეა; იგი დამცირებული და შევიწროებულია, მაგრამ ასე არ იქნება მუდამ. მომავალი მაინც მისია. სწორედ ასეთი რწმენით იყო გამსჭვალული ილია, როდესაც სწერდა:

- „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოვიწყენია!..  
აწმყო თუ არა გეწყალობს, მომავალი ჩვენია,  
•უმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...  
მთ ახალთ აღვიდგინონ შენ დიდების დღენია,  
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოვიწყენია?..“

ეს ვრძნობა, ეს შეგნება ასულდგმულებადა ი. ჭავჭავაძის, როგორც პოეტს და საზოგადო მოღვაწეს.

ასეთი იყო ი. ჭავჭავაძის ეროვნული მისწრაფებები, რომლებსაც იგი მტკიცედ ემსახურებოდა თავისი ხანგრძლივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის მანძილზე. ამ პოზიციებიდან იგი ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას და სხვადასხვა ჯურის შემავიწროებლებს, რომლებიც ცდილობდნენ ქართული ენის, ქართული სკოლის და საერთოდ ქართველი ხალხის ჩაწიზღვასა და დამცირებას.


ეროვნული იდეისადმი სამსახურის გზაზე, ი. ჭავჭავაძე ხშირად ეროვნულ უკიდურესობამდე მიდიოდა და ამჟღავნებდა ნაციონალისტურ სულისკვეთებას. ეს მან განსაკუთრებით გამოამჟღავნა პუბლიცისტურ წერილებში.

## 5

80-იან წლებიდან ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ხდება თვალსაჩინო გარდატეხა. მის მხატვრულ პრაქტიკაში ბრძოლის, აქტიურობის ადგილს იჭერს სიმშვიდის, შემარიგებლობის ტენდენციები. როგორც ცნობილია, „საგლეხო რეფორმის“ ჩატარებამ დააჩქარა ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური განვითარება. კაპიტალიზმის განვითარების ნიადაგზე ჩვენში კლასობრივი წინააღმდეგობანი და ბრძოლა არა თუ ნელდება, არამედ უფრო და უფრო მწვავედება. კლასობრივი ბრძოლა განსაკუთრებით გამძაფრდა, როდესაც „საგლეხო რეფორმის“ მიერ უმიწაწყლოდ დატოვებული გლეხობა დაუკავშირდა ჩასახვისა და ზრდის პროცესში მყოფ მუშათა კლასს და ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით დაიწყო ენერგიული ბრძოლა მემკვიდრეების, ბურჟუაზიისა და საერთოდ სხვადასხვა ჯურის მყელეფელების წინააღმდეგ. გლეხობა უკვე ხმამაღლა აყენებს მემკვიდრეთა მიწების სრულიად მათთვის გადაცემის მოთხოვნას. შიში დემოკრატიული რევოლუციის წინაშე, რომელიც მოითხოვდა სრულ ლიკვიდაციას ფეოდალიზმის ნაშთებისა და აქედან მემკვიდრეთა მიწათმფლობელობისა და თავადაზნაურობის, როგორც კლასისა, ი. ჭავჭავაძეში აძლიერებს მემარჯვენე სულისკვეთებას.

80-იან წლებიდან ი. ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში მთავარ ადგილს უთმობს წოდებათა ურთიერთობის საკითხებს. მან აღვიარა წოდებათა თანამშრომლობის იდეა, წოდებათა შორის მორიგების გზა.

ი. ჭავჭავაძის ამ პერიოდის სამწერლო მოღვაწეობის დამახასიათებელი ნიშნები მთელი სისრულით გამოთქმულ იქნა „ოთარაანთ ჭკრივში“. ეს ნაწარმოები ილიამ დასწერა 1887 წელს. ამ ნაწარ-



მოებით მან თითქმის დაამთავრა თავისი მოღვაწეობა მხატვრული შემოქმედების დარგში.

„ოთარაანთ ქვრივში“ ი. ჭავჭავაძე არ გამოდის ზღვრებიდან, მაგრამ აქ მაინც აღარ არის ის რეალიზმი, რაც ახასიათებდა მას პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, მოთხრობებში „გლახის ნაამბობი“ და „კაცია-ადამიანი?!“ ეს იმიტომ მოხდა, რომ წინასწარ შემუშავებული წოდებათა თანამშრომლობის და „ჩატეხილი ხიდის“ გამართლების თეორიით შეუდგა იგი ჩვენი ცხოვრების ვითარების ასახვას და ამ თეორიის გამამართლებელი სურათების ხატვას.

„ოთარაანთ ქვრივის“ მოქმედი პირები — არჩილ და კესო, ოთარაანთ ქვრივი და გიორგი სხვადასხვა სოციალური ფენის და სხვადასხვა სულისკვეთების წარმომადგენლები არიან.

გიორგი ღვება მოჯამავირედ არჩილის და კესოს ოჯახში. მაგრამ არა იმიტომ, რომ გაჭირვებას, ხელმოკლეობას განიცდის, არამედ იმიტომ, რომ უყვარს კესო. გიორგი ვერ უშედავს თავადის ქალს სიყვარულის განცხადებას და იმიტომ, მისი ფიქრით, მოჯამავირეობა საშუალებას მისცემდა ზშირად ენახულა თავისი სატრფო. გიორგი პატიოსანი, გულწრფელი ადამიანია, რომელიც ყველგან სიმართლისა და ნამუსის საზომით მიდის. იგი უსამართლობას ვერ ურიგდება და ყველგან ებრძვის მას. „ეს ხასიათი დასჩემდა გიორგის დედასავეთ, თავისი იყო თუ სხვისა, — თუ ცუდი რამ იყო გამოეჭიდებოდა“.

გიორგის სიყვარულის ობიექტი — კესო, მართალია, განათლებული ქალია, მაგრამ იგი სულიერად უფერული და უგრძობია. არჩილიც ისევე უსიციოცხოო არსებია, როგორც მისი და კესო. იგი მხოლოდ მსჯელობს მშრალად, უსიციოცხოოდ. არჩილი და კესო შალალი ფრაზის ხალხია. ჰუმანიური სიტყვები მათთვის მხოლოდ საფარველია. კონკრეტული საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან ისინი ქალიან შორს დგანან. არჩილისა და კესოს სახით ი. ჭავჭავაძემ გვიჩვენა თავადაზნაურობის ის წარმომადგენლები, რომლებიც ბატონყმობის შემდეგ ცხოვრობდნენ. ამ ხალხს თითქოს განათლებაც მიუღიათ, მაგრამ არსებითად ისინი მოკლებულნი არიან სინამდვილის ჯანსაღი ათვისების უნარს. ეს „მონანიე აზნაურები“ უფრო მეტად „თეორიის“, „წიგნის“ ხალხია.

სულ სხვანაირად წარმოგვიდგინა მწერალმა ოთარაანთ ქვრივის და მისი შვილის გიორგის სახე. ოთარაანთ ქვრივი ისეთი ადამიანი იყო, რომელიც სხვას არ შეარჩენდა თავისი თავის დაჩავგრას, იგი თვით მებატონეებსაც არ ერიდებოდა. ოთარაანთ ქვრივი არავის არაფერს არ წაართმევს, მაგრამ სხვასაც



არ შეაწევს ბოროტების ჩადენას. მან შავი დღე დააყენა სოფლის გზირს, რუმელმაც ერთი ქათამი წაართვა. სხვები ადგილზე უკრავდებოდნენ გზირის ასეთ თავგასულობას, ოთარაანთ ჭკვიანებს კი არაფერი არ შეაწია, გუბერნატორამდე თავის ფეხით მივიდა და ერთი ქათამი ძვირად დაუსვა ვათავხედებულ გზირს, თუმცა თვითონაც ათიოდე მანეთი დაეხარჯა მისელა-მოსელაში. სიმართლის მოყვარეობა დედასა და შვილში ისე ძლიერია, რომ ამის გულისათვის ხშირად მოსვლიათ უსიამოვნება მეზობლებთან. „თქვენი რა საქმეაო“, — ეტყოდნენ ხოლმე ისინი, როცა დედა ან შვილი ჩერეოდა სიმართლის გულისთვის სხვის საქმეში. სიტყვა-პასუხით ოთარაანთ ქერივი ყველას სასტიკ ადამიანად ეჩვენება. იგი ხშირად იტყოდა: „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა! სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიჭეციანებ გულსა და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ზომ არ არის. — მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიო, ან იქით, ოორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს. პურს. გული ადგილიდამ უნდა მიძრას-მოძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმი კაცის საქმეა. თავადის შვილები ფეხის გულზე ხელს ასმევიანებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოჰგვრის. ის კი არ იციან, რომ თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე. ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსო“. ოთარაანთ ქერივს შვილი უზომოდ უყვარს, მაგრამ ერთხელაც არ მოფერებია. ხედავს მომაკვდავ შვილს და მაინც თავს იკავებს, თავისი ცრემლების მოწმედ არავის ხდის, თუმცა მარტოხელად დარჩენილი, ჩვეულებრივ ადამიანურ გულჩვილობას იჩენს. ოთარაანთ ქერივი ნამდვილად გულშემატკივარი ადამიანია, რასაც იგი ხშირად ამჟღავნებს ხოლმე ვაჭირვებულის დახმარებისა თუ თანაგრძნობის სახით. ერთი სიტყვით, სიმტკიცე ხასიათისა, გრძნობა თავმოყვარეობისა, სხვის წინაშე ქედმოუხრელობა, სიმართლის სიყვარული და ამასთან სხვისადმი გულშემატკივრობა — ყველაფერი ეს ოთარაანთ ქერივს ხდის მთლიან პიროვნებად, რომელსაც ცხოვრებამ თავისი დალი დაასვა, მაგრამ მისი ადამიანური ღირსება ვერ შეამცირა.

ცნობილია, რომ გლეხთა და მებატონეთა შორის ბრძოლა არ შემწყდარა ბატონყმობის „გაუქმებით“, ისე, როგორც ამ მოვლენით არ მოსპობილა ბატონყმური წყობილების ნაშთი. თავადახნაურული წოდება უფლებრივად ისევ მძლავრი იყო. უფსკრული გლეხთა და მებატონეთა შორის კვლავ არსებობდა. როგორც ვიცით, კაკო, ზაქრო, ვაბრო და სხვანი, ბრძოლის ცეცხლით ანთე-

ბულნი, შეურიგებლობას ამელავენებდნენ ბატონყმური სინამდვილე-  
სადმი. გიორგის კი ეს თვისებები აღარ ახასიათებს. იგი მტრობის  
ნაცვლად თავადაზნაურობისადმი „რომანტიკულ“ განწყობი-  
ლანებს, სიყვარულის გრძნობით შედის მათ ოჯახში. მაგრამ ამ  
გრძნობას „გული დახვდა გვარიშვილობის ცხრაკლიტულით ვადა-  
რაზული“. კესოს სიტყვაზე „სიყვარული ბრძანებით არ მოდის“-ო,  
არჩილი უპასუხებს: „აბა შენი ტოლი კაცი ყოფილიყო და ვინ იცის,  
იქნება ბრძანებასაც გაეჭრა. სიყვარულს ხომ მაინც მიუხვედბოდი და  
მაინც, სხვა არა იყოს რა, თუნდაც ნაასალი მადლი გიორგისა არ  
სცებოდა. აქ-კი გვარიშვილობამ კარი გულისა არ გაუღო. წმინდა  
შუქი მშვენიერის სულისა ამოდ და უქმად-ლა ჯავარსავეთ ეფი-  
ნებოდა ცივ კედელს, შენ ვერც-კი მიუხვდი, ვერც-კი!.. იმან კი  
იყო და არა სჩიოდა. „არა ვნანობო, არა...“ მოკვდა და ეს უწყო-  
ნარი სიტყვები ჩვენ დაგვიგდო ჩვენის თავის გასაკითხავად“.

ამ სიტყვების შედეგად კესომ ტირილი დაიწყო.

— „შენი ტირილი მიხარია... მეც ვიტყვებდი, რომ მარტო  
უკან-ლა ვიხედებოდე, როგორც ეხლა შენ. იქ, უკან ბნელა... ღამეა...

— და ხილია ჩატეხილი, ხილი! — წამოიძახა ტკივილით კესომ.

— ეგ მინდა, რომ ყველამ დავეინახოთ, ეგ მინდა, რომ ყველამ  
ვიცოდეთ. შენ ეხლა ჰხედავ, შენ ეხლა იცი.

— ვიცი და ვსტირი...

— ამიტომაც მიხარია შენი ტირილი.

— არჩილ, წინ რაღაა, წინ? — შეჰბლავლა უეცრად კესომ და  
ორისავე ხელის თითები ერთმანეთში ჩაიწინა და ფშვნეტა და მტვრევა  
დაუწყო.

— ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნა-  
მავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბეგრდება, მდინარე წყლად იქ-  
ცევა და მთელ ტივს მოიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი  
გაამთელოს, და ეგრე ორსავე ნაპირს გააერთებს. ეს ცრემლიანი  
ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, — შუქია წინასი და შუქი  
ხომ...

— დასაწყისია განთიადისა, ვანა, ჩემო კარგო.

— სწორედ.

და-შმანი სიხარულით ერთმანეთს გადაეხვივნენ“.

არჩილისა და კესოს შემომოყვანილ სიტყვებში მოცემულია  
„ოთარაანთ ქერივის“ raison d'etre. არჩილი კესოს უყურადღებო-  
ბას გიორგისადმი იმით ხსნის, რომ თავადაზნაურობასა და გლეხო-  
ბას შორის არ არის ორგანული ურთიერთობა, მათ შორის „ხილია  
ჩატეხილი“. ამის შედეგად გლეხები „იქით“ ნაპირს დარჩნენ, ხოლო  
თავადაზნაურობა — „აქეთ“. საჭიროა ამ „ჩატეხილი ხიდის“ გამრ-

თელემა. არჩილს იმედი აქვს, რომ ნამი გაბეჯრდება, მდინარე წყალად გადაიქცევა და მთელს ტიეს მოიტანს წოდებულა. შორის „ჩატეხილი ხიდის“ გასამრთელეზბლად.

ძნელი არ არის იმის ვაგება, თუ ვის აზრებს ლაპარაკობს ამ შემთხვევაში არჩილი. იგი პირდაპირ იმეორებს ი. ჰავჭავაძის შეხედულებას. ილია სრული შეგნებით ფიქრობდა, რომ „ჩატეხილი ხიდის“ გამრთელეზა, თავადაზნაურობასა და გლეხებს შორის სიამტეხილობის დამყარება კლასობრივ ინტერესთა ჰარმონიაში უნდა ჩამოყალიბებულყო. ი. ჰავჭავაძის მთელი გულისყური მიპყრობილი იყო წოდებრივ-კლასობრივ ურთიერთობის მოწესრიგებისაკენ და არა მოსპობისაკენ. ილია ადამიანთა შეგნებას, ნამუსს ყოვლის შემძლე როლს აკუთვნებდა. მისი ვაგების თანახმად, ადამიანთა შეგნება, ნამუსი ვამრთელებს „ჩატეხილ ხიდს“ და ერთმანეთს დაუმეგობრებს, ერთმანეთს დაუკავშირებს გლეხებსა და თავადაზნაურებსაო. ილიას ვერ წარმოედგინა, თუ რატომ არ შეიძლებოდა წოდებათა, კლასთა შერიგება, შეთანხმება. თანამშრომლობა ისეთ პირობებში, რუდესაც მათი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა ასე თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა და ეწინააღმდეგებოდა ერთი შეორეს. და სწორედ აქ სცდებოდა ი. ჰავჭავაძე ისტორიული სინამდვილე „ჩატეხილი ხიდის“ — გამრთელეზის გზით არ მიდიოდა. წოდებათა ნებაყოფლობით შორიგება სავსებით უტოპიური ამბავი იყო. ი. ჰავჭავაძის სოციალური პროგრამა სრულიად არ ეფარდებოდა ჩვენი ცხოვრების რეალურ ვითარებას. ილიას არ უნდოდა ვაგეო ის, რომ წოდებათა, კლასთა შორის შერიგების იდეა არ შეიძლებოდა გამხდარიყო საზოგადოებრივი ცხოვრების წინ წამწვე ძალად. აქ გამოამყელანა ი. ჰავჭავაძემ სინამდვილისავან დაშორება, სინამდვილის განვითარების კანონების ვაგების შეუძლებლობა.

80-იანი წლებიდან მოკიდებული ი. ჰავჭავაძეს მშვიდობიანი, კეთილდამოკიდებულებითი ვზა მიაჩნია ჩვენი ხალხის ისტორიის თავისებურებად, თუმცა მის ადრინდელ მხატვრულ ნაწარმოებებში („არჩილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებილამ“, „გლახის ნამბობი“ და სხვ.) არ მოიძებნება ამისათვის არავითარი საფუძველი. „ცხოვრება და კანონში“ ი. ჰავჭავაძე სწერს: „ჯერ დავიწყოთ იქილამ, რომ ჩვენს ენაში სიტყვაც არ მოიპოვება იმ აზრის გამოსახატავად, რასაც რუსული სიტყვა „Словие“ ნიშნავს. ეხლანდელი ჩვენი სიტყვა „წოდება“ გუშინდელი სიტყვაა; ეხლა შემოგვყავს ვაინაჩრობით და ისიც ვინ იცის, ვარგა სახმარად თუ არა. არამც თუ ხალხში არ არის ევ სიტყვა, ან მავის მსგავსი რამ აზრითა და მნიშვნელობითა, ძველს კანონებშიაც და წერილებ-



შიაც არსად არ შეეხვედრივართ. ეს იქნება იმის მიზეზით, რომ ჩვენს ძველს ცხოვრებაში დაყოფა ერობისა არ არსებობდა იმ მხრით, რომ ერთს წოდებას რაიმე წარმომადგენლობა ჰქონოდა უპირატესობით ქვეყნის საქმეთა გაძგობაში და მეორეს — არა, და ერთს ამით ეჩაგრა მეორე... წოდებათა შორის უფლების ცილება ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა, ცილება, რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა. ამიტომაც არც ზნეობით, არც აზრით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით ჩვენი თავადაზნაურობა არ დაშორებია გლეხობას, არ შეუკეტნია თავი, თავისი საკუთარი ინტერესები არ შემოუხაზავს ისე, როგორც სხვაგან. ერთის სიტყვით, არ განსაკუთრებულა ერთს წყობად, ერთს დასად...“ \* ასეთია ი. ჯავახიშვილის მოსაზრება ჩვენი წარსულის შესახებ. თითქოს ჩვენში წინათ ბატონყმური დამოკიდებულება კი არ ყოფილა თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის, არამედ მეგობრული, მამაშვილური. კლასობრივი ბრძოლა, კლასობრივი წინააღმდეგობა თითქოს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელი თვისება არ იყო.

უარყოფდა რა წარსულში ი. ჯავახიშვილმა წოდებრივ დაყოფასა და წინააღმდეგობას, იგი თანამედროვე ურთიერთობის გაგებაშიც ამავე გზას ადგა. კლასობრივი ბრძოლა საერთოდ მას ჩვენი ცხოვრების განვითარების შემადგენლებელ და დამლუპველ მოვლენად შიანდა. იგი არ თანაუგრძნობდა ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებს. პირველი რევოლუციის პერიოდში, როდესაც კლასობრივი წინააღმდეგობა მწვავედ გამოჰქავენდა, კლასი კლასის წინააღმდეგ აღსდგა და საქმეს იარაღი სწყვეტდა, ი. ჯავახიშვილი ისევე კლასთა შარბონიაზე, „ჩატეხილი ხიდის“ გამართულებაზე ფიქრობდა. „...დიდი მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი, გლეხისა და თავადაზნაურის, ან შვიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუაქაცობაა, შუა-ჩადგომია მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდებაა. მოსარიგებლის მორიგებაა, შესარიგებლის შერიგებაა იმისდა მიხედვით, — ვის რა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი, ან ერთობრივი სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩეწნდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება პარტიკში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც ვინდ იყოს, იაფად არ დაუჯდება“ ... \*\*

\* „ივერია“, 1879 წ., № 1.  
 \*\* „ივერია“, 1905 წ., № 68. დამატება.



როგორც ვხედავთ, ი. ჯავახიანი, ძველი პატრიარქალური ცხოვრების, ბატონყმური ურთიერთობის მკაცრმა მხილველმა ველი პერიოდის მხატვრულ ნაწარმოებებში, უდიდესი გაუგებრობა და ჩამორჩენილობა გამოიჩინა თავისი სამწერლო მოღვაწეობის მეორე პერიოდში, როდესაც მან სისწორით ვერ გაიგო და ვერ შეაფასა სოციალური ცხოვრების საერთო ვითარება.

## 6

თავისი სამწერლო მოღვაწეობის მეორე პერიოდში ი. ჯავახიანი შექმნა ღრმა ფილოსოფიური მნიშვნელობის და მაღალი პოეტური ნაწარმოები „განდევილი“. ამ პოემას განსაკუთრებული, თავისებური ადგილი უჭირავს არა მარტო ი. ჯავახიანის სამწერლო მოღვაწეობის მეორე პერიოდში, არამედ მთელ მის შემოქმედებაში. „განდევილში“ ი. ჯავახიანი გვიჩვენა ბრძოლა ცხოვრებასა და მის უარყოფას შორის. აქ ერთმანეთს დაეტაკა იდეა სინამდვილის მიღებისა და იდეა მისგან გაქცევისა. მწყემსი-ქალი და განდევილი ამ იდეათა შეჯახების კონკრეტული სახეები არიან.

ცხოვრებას, საზოგადოებას ზურგშექცეული ადამიანი შებიზენია მყინვარის კალთებს, გამოქვამულ მონასტერში. ბრძოლის უნარსა და ძალას მოკლებულს ჩაუკლავს თავის გულში „მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი“. მთელი მისი გულისყური მიქცეულია იქეთაენ, რომ სამუდამოდ დაიფიქროს ყოველივე ამტკვენიური, მიწიერი.

საშინელი ჭარიშხლის დროს განდევილს ესმის ადამიანის ხმა, რომელიც „შესაფარებელ ბინას ითხოვდა“. განდევილი თავდაპირველად ვერ გაერკვა: მას ბოროტი „სული“ ეგონა, მაგრამ, როდესაც დარწმუნდა, რომ ადამიანი იყო, ჩაუშვა ჯაჭვი, ამოიყვანა უცნობი და შეიყვანა ბნელ საკანში. აღმოჩნდა, რომ უცნობი მწყემსი-ქალია, რომელიც ცხვრის ფარას აძოვებდა. ბუნების მოულოდნელმა მრისხანებამ მას გზები შეუკრა. იგი ჯაჭვს წააწყდა და გაახსენდა, რომ იქ მონასტერია.

განდევილმა დაანთო ცეცხლი და ცეცხლის სინათლეზე თვალწინ წარმოუდგა მშვენიერი ქალი, სავსე სიცოცხლით და სილამიზით. განდევილს ჯერ არ უნდოდა ყურადღების მიქცევა, მაგრამ თანდათან თვალი შეავლო ქალის სახეს. სიცოცხლით და სიმშვენიერით სავსე მწყემსი-ქალი განდევილში იწვევს თითქოს მიმკვდარი გრძნობის გამოცოცხლებას. მძინარე ქალის სიმშვენიერე თითქოს ეკლავ ცხოვრებისაკენ მოუწოდებს განდევილს. იგი დიდხანს ებრძოდა თავის თავს. რომ დაემშვიდებია გული, მივიდა ღვთისმშობლის ხატთან სალოცავად, მაგრამ ღვთისმშობლის ნაცვლად წარმო-



უნდა იგივე ქალი. მწყემსი-ქალის სახე მტკიცედ შეიჭრა განდევ-  
 გილში და დაარღვია მისი სულიერი მყუდროება. *მეცხეველი*  
 საგულისხმოა მწყემსი-ქალის და განდევგილის საუბარსა-  
 ნის ცხოვრების შესახებ. მწყემსი-ქალის სიტყვებში ანდერძის აცე-  
 ბაა განდევგილობისა, ასკეტიზმისა, იგი გამოყვანილია ეგოისტურ, ინ-  
 დივიდუალისტურ მისწრაფებად. მწყემსი-ქალის შეკითხვაზე, „გან-  
 ძვეყნადა შენ არაეინ გყავს, ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი“, გან-  
 დევგილი უპასუხებს: „მყვანდნენ... და ყველას გამოვეთხოვე, აქ მო-  
 ველ და ღმერთს შევეწირე თავი...“ გაკვირვებული მწყემსი-ქალი ამ  
 სიტყვების საპასუხოდ მიმართავს:

„როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა  
 ამ ყინულეში ყოფნა კაცისა?“

მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?  
 განა სწეინს ღმერთს, რომ კაცი შეჭარის  
 ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?  
 ვფიქრობდი: ნეტა, მაშ, რისთვის მორთო  
 ესე ღამაზად წუთის-სოფელი?  
 განა მისთვის, რომ ადამიანი  
 შეაჩვენოს და აილოს ხელი?

ან შენ როგორ ძლებ უწუთისოფლოდ  
 შერე იცი კი, რაჩივ ტბილია!  
 აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,  
 იქ ჭირია, იქ კი ღზინია.  
 ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი  
 ყველა გულიდამ ამოვიღია?  
 ნუთუ ნაღველი, დარდი და ჯიჯრა  
 თან არაეინს წამოვიღია?  
 არ გაკონდება არც მამა, დედა,  
 ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?  
 ნუთუ მის-დღეში არა გყოლია  
 მოკეთე, გულის შემატკივარი?

მაშ, ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წაგწუდებოი,  
 ველარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?“

მწყემსი-ქალის საღ, დაკვირვებულ და არგუმენტირებულ კით-  
 ხებს განდევგილი არსებითად ვერაფერს უპასუხებს, ვერაფერს უპი-  
 რისპირებს. ამ საუბარში მთლიანად გამომჟღავნდა ასკეტიური  
 ცხოვრების სრული უმწყობა და არარაობა.

ვინც ცხოვრებას გაორბის, ის ყოველივეს მარცხდება. ბუნებ-  
 რიობის უარყოფა და ცხოვრებისაგან განდგომა ადამიანს ყოველ-  
 თვის ჰლუპავს, — აი „განდევგილის“ დედააზრი.



საქართველოს

მწერთა კავშირი

ი. ჯავჭავაძემ თავისი შემოქმედების ძლიერი მხარე ში იპოვა, რაც მან გამოამჟღავნა თავის ადრინდელ მხატვრულ ნაწარმოებებშივე. ილიას რეალიზმი თავის დროზე ნიშნავდა მთელ ვადატრიალებას არა მარტო მხატვრულ ლიტერატურაში — პოეზიასა და პროზაში, არამედ მან ძირფესვიანად შესცვალა მანამდე გაბატონებული ესთეტიკური შეხედულებანი, ესთეტიკური შეფასების კრიტერიუმი და გემოვნება. და სწორედ ამიტომ ი. ჯავჭავაძე ჩვენთვის საყურადღებოა რეალიზმის, როგორც ფართო ლიტერატურული მიმართულების, რეალიზმის, როგორც სტილისა და მეთოდის წარმომადგენელი მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

ი. ჯავჭავაძეს სინამდვილის ჩვენებისას აღებული აქვს ფართო დიპაზონი. მისთვის დამახასიათებელია იდეების სირთულე, თემატიკური სიფართოვე და სიღრმე.

ი. ჯავჭავაძე ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელია. როგორც ცნობილია, კრიტიკული რეალიზმი ფართოდ გავრცელებული მოვლენა იყო მეცხრამეტე საუკუნის ევროპისა და რუსეთის ლიტერატურაში. დიდი მწერალი-რეალისტები უმეტეს შემთხვევაში კრიტიკულ რეალიზმთან იყვნენ დაკავშირებული. საკმარისია დავასახელოთ სტენდალი, ბალზაკი, ფლობერი, პუშკინი, გოგოლი, ტოლსტოი და სხვები. ი. ჯავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში (განსაკუთრებით პირველ პერიოდში) კრიტიკული რეალიზმის ხაზი უკანა პლანზე იყენებს მისი მსოფლმხედველობის მთელ რაც სუსტ მხარეებს. კრიტიკული რეალიზმი აძლევს ი. ჯავჭავაძის შემოქმედებას უდიდეს ძალას.

ი. ჯავჭავაძე წარმომადგენს ისეთ მწერალს, რომელიც შეუწყვეტლივ მიისწრაფის, რათა გამოხატოს კონკრეტული სინამდვილე, მისცეს თავის გამოხატვას განზოგადოებული სახე, ტიპიური ნიშნები. ილია დიდი რეალისტია ხასიათების დახატვაში. მიუხედავად ამ სახეთა კონკრეტულობისა, მწერალი მათ აძლევს ტიპოლოგიურ ხასიათს, ჰქმნის მხატვრულ განზოგადოებას. როგორც მხატვარ რეალისტს ი. ჯავჭავაძეს თავისი ნაწარმოებების სიუჟეტი, თემა უმეტეს შემთხვევაში თავის თანამედროვე ცხოვრებიდან ჰქონდა აღებული და მისი პოემებისა და მოთხრობების პერსონაჟებს ცხოვრებაში ჰყავდათ პროტოტიპები. ასეთია, მაგალითად, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“-ის მთავარი პერსონაჟი კაკო. ამის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის კოხტა აბაზი: „...რაც შეეხება მისი შემოქმედების და მისი ნაწარმოებ-



ლი თითქოს გრაფიკულია. ილიას აქვს სტილის თავისებურება, რითაც იგი თვალსაჩინოდ განსხვავდება მეცხრამეტე საუკუნის ქართველ პოეტთაგან (გრ. ორბელიანი, ა. წერეთელი და სხვ.)-გან არის ის, რასაც შეიძლება პირობითად ვუწოდოთ „რაციონალიზმი“ და სტილის სიმძიმე. ილიას ლექსებსა და პოემებში პოეტური აზრი არ ამახინჯებს პროზაულ აზრს. ამ გაგებით იგი კლასიციზმის პირდაპირი მემკვიდრეა. ილია თითქმის ყველაზე ნაკლებად სარგებლობდა მეტაფორებით, ან თუ სარგებლობდა, ეს იმ ხასიათისა იყო, რომ მათი თავისუფლად ხმარება შეიძლებოდა არა მხატვრულ ფიქრობაშია. ამავ დროს კლასიციზმისაგან განსხვავებით ილია აღწევდა უდიდეს კონკრეტულობას იმის გარეშეც, რომ ერთი საგნის მაგიერ არ ასახელებდა მეორეს, არამედ საგანს პირდაპირ გვაძლევდა. როდესაც ილია ერთ საგანს აახლოებს მეორე საგანთან, იგი ამას სხადის არა მეტაფორის, არამედ შედარების საშუალებით ისე, რომ არ ხდება ამ საგანთა ერთმანეთთან შერწყმა, პირიქით, ამ შემთხვევაშიც საგრძნობია მათი სხვადასხვაობა.

ი. ჭავჭავაძის „რაციონალიზმი“ ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ „შორეულ“ იდეათა დაახლოება არ არის პოეზიის აუცილებელი ატრიბუტი. მაღალი პოეზიის მიღწევა შეიძლება ისე, რომ აუღავშორდეთ „უბრალო“ მიდგომას ქვეყნისადმი და საგნები დავისახოთ თავის კონკრეტულ გარკვეულობაში. ილიას პოეზიის ამ მხარეს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამავ დროს ილიას „რაციონალიზმი“ არის სუსტი მხარეც. მისთვის უცხოა გრძნობისა და წარმოსახვის ის გაქანებული ენერჯია, რაც ახასიათებს, მაგალითად, გრ. ორბელიანს, ა. წერეთელს, ვაჟა-ფშაველას.

რეალისტური ხედვით არის გამსჭვალული ი. ჭავჭავაძის სტილის მთელი კომპონენტები. რეალისტურმა პრინციპებმა განსაზღვრა ილიას უდიდესი დამსახურება ქართული ლიტერატურული ენის რეფორმის საქმეში. იგი გადაჭრით იბრძოდა ლიტერატურული ენის სფეროს ვაფართოებისათვის, მისი გამდიდრებისათვის ხალხურ ენაში დაგროვილი მრავალფეროვანი მარაგით, ლიტერატურული ენის ხალხის სასაუბრო ენასთან დაახლოებისათვის. ი. ჭავჭავაძის ეს ბრძოლა მთელი სიძლიერითა და სიფართოვით გამოიმტკიცა საკუთრივ მის ლიტერატურულ პრაქტიკაში.

ბრძოლა ლიტერატურული ენის სისადავისათვის, მისი ხალხთან დაახლოებისათვის, რაც შესაძლებლობას იძლეოდა სინამდვილის არსებითი, მხარეების შედარებით სრული გამოხატვისათვის, სამუდამოდ დარჩება ი. ჭავჭავაძის დამსახურებად. თუ რამდენად წარმატებით მიმდინარეობდა ეს ბრძოლა, რამდენად ღრმად უპასუხებ-

და იგი ეპოქის მოთხოვნებს, ამას, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ ჩვენს დროშიაც, მთელი სამიშეოთხედი საუკუნის განმავლობაში შემდეგაც, ილიას მხატვრული ნაწარმოებები ისევე სიმშვენიერად ინტერესით იკითხება, როგორც მათი გამოქვეყნების დროს.


## 8

გამარჯვებული-სოციალიზმის ქვეყნის შრომელი მასების წინაშე დგას ამოცანა — შეითვისოს და კრიტიკულად შეიმცნოს იმ მწერლის შემოქმედება, რომელმაც უდიდესი ისტორიული საქმე გააკეთა და რომელიც დღემდე განაგრძობს ცხოვრებას თავის მშვენიერ მხატვრულ ნაწარმოებებში. ი. ჯავახიანი ჩვენთვის საყურადღებოა არა მარტო როგორც ისტორიული ძეგლი, არამედ, როგორც ცოცხალი კულტურული ღირებულება, როგორც იდეურ-მხატვრულ გამოცდილებიხ წყარო. დიდი ბრძოლისა და მშენებლობის წლებში არა თუ შეანელებს ინტერესი ი. ჯავახიანისადმი, არამედ, კულტურული რევოლუციის გიგანტური გაქანების შედეგად, ახალი მკითხველთა მასები მიიყვანა მის მხატვრულ შემოქმედებასთან.

ი. ჯავახიანის მნიშვნელობა სრულიად განსაკუთრებულია ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. თავისი მხატვრული შემოქმედებით მან ეპოქის პროგრესულ მოთხოვნილებებს უპასუხა. მისი ლექსები, პოემები და მოთხრობები, გამსჭვალული ღრმა საზოგადოებრივი ინტერესებით, ყოველთვის აღვიძებდნენ მკითხველთა გონებას აქტივობისა და წინსვლის შეგნებით. „პრაედა“ სამართლიანად ახასიათებს ი. ჯავახიანს, როგორც „შეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის ყველაზე უფრო პოპულარულ საზოგადო მოღვაწეს და მწერალს“.

ი. ჯავახიანის შემოქმედების გაგება შეუძლებელია ისე, თუ სათანადოდ არ გავითვალისწინებთ მისი სამწერლო-საზოგადოებრივი ევოლუციის კონკრეტული სახე. ი. ჯავახიანი განუწყვეტლივ დინამიკაში, განვითარებაში იმყოფებოდა, და თუ ანგარიშს არ გავუწევთ ამ განვითარებას, ისე ვერასოდეს ვერ გავიგებთ მისი შემოქმედების ნამდვილ ბუნებას. ამ არსებითი მომენტის გაუთვალისწინებლობის შედეგია ის, რომ ი. ჯავახიანი ერთი ნაწილისათვის თაიდან ბოლომდის დასრულებული და ჩამოყალიბებული „სოციალისტი“, „რევოლუციონერი“, ზოლო მეორე ნაწილისათვის — „ფეოდალი“ და „რეაქციონერი“.

რასაკვირველია, არავითარი საბუთი არ არსებობს იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ ი. ჯავახიანის არაკლასობრიობის შესახებ. ეს არც იქნებოდა მართალი. უდავოა, რომ ილიას მსოფლმხედველობა,



მისი რეალიზმი, მისი ესთეტიკა აღმოცენდა და განვითარდა განსაზღვრულ კლასობრივ საფუძველზე. ი. ჭავჭავაძე იყო, როგორც მწერალი პროგრესულ თავადაზნაურული ფენის, იმ პერიოდში, როდესაც ლიც სათანადოდ ითვისებდა ახალ, კაპიტალისტურ ვითარებას და იმისდამიხედვით იმუშავებდა თავის სამოქმედო პროგრამას. მაგრამ შექმნა რა მან უდიდესი მნიშვნელობის მხატვრული ნაწარმოებები, გამსჭვალული ფართე სოციალური პრობლემებით, ამით იგი გასცდა თავის ეპოქასა და კლასს.

ი. ჭავჭავაძის მდიდარი მხატვრული შემოქმედების ერთადერთი კანონიერ მემკვიდრეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასები. დიდი რეალისტი მწერალი ი. ჭავჭავაძე უაღრესად საჭიროა ჩვენი თანამედროვეობისათვის, მისი ლიტერატურისათვის და ახალი მკითხველი მასებისათვის. იმ კლასიკურ მემკვიდრეობაში, რომელსაც მშრომელი მასები იყენებენ ახალი კულტურის მშენებლობაში; ი. ჭავჭავაძეს უდავოდ ეკუთვნის საპატიო ადგილი.



ალ. ზაიზვილი

## ნიკოლოზ ოსტროვსკი

„აღვიანისათვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეა. სიცოცხლე მას ეძლევა, როდესაც უბრალოდ ერთხელ, და საჭიროა ისე იცხოვრო, რომ მწვავედ არ გტკიოდეს გული უმიზნოდ გატარებული წლებისათვის, რომ არ გწვაოდეს სირცხვილი უსინდისო და წერილმანი წარუღლისათვის, რომ სიკვდილის დროს შეგეძლოს სთქვა: მთელი ცხოვრება და მთელი ძალღონე შევალე ქვეყანაზე უღამაზეს საქმეს — კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლას. და საჭიროა გამაღებთ იცხოვრო. ხომ შეუძლია უაზრო ავადმყოფობას ან რომელიმე ტრაგიკულ შემთხვევას შეგიწყვიტოს სიცოცხლე“.

ასე ფიქრობს პაველ კორჩაგინი, ძმათა სასაფლაოს ზღუდეზე დაყრდნობილი. და ამ სიტყვებში თითქოს მოცემულია ბოლშევიკი მწერლის ნიკოლოზ ოსტროვსკის ცხოვრების პროგრამა. ეს პროგრამა მან ღირსეულად შეასრულა თავის ხანმოკლე, მაგრამ გმირული ცხოვრების მანძილზე. მართლაც მთელი ცხოვრება და ძალღონე მან შეაღია „ქვეყანაზე უღამაზეს საქმეს — კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლას.“ ამ ბრძოლაში დაპყრობა მან თავისი ჯანმრთელობა. ავადმყოფობამ მიაკრა იგი სარეცელს, მან დაკარგა მოძრაობის უნარი. მის თვალებს ბინდი გადაეფინა. მაგრამ გონების თვალი მას მაინც მუდამ ჩვენი ქვეყნის აწმყოზე და მომავალზე ჰქონდა მიპყრობილი. ოსტროვსკიმ გადასწყვიტა, ის სიცოცხლე ენერჯია, რომელიც მას კიდევ შეუნარჩუნა ავადმყოფობამ. ახალი ქვეყნის მშენებლობისათვის შეეწირა. და მან შექმნა ამ ახალგაზრდების მიერ გამოვლილი გმირული ბრძოლის ეპოპეა. ჩვენს ლიტერატურას მან შესძინა ისეთი წიგნი, რომელიც საყვარელ ნაწარმოებად გადაიქცა მთელი ჩვენი მკითხველთა მასისათვის და განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის.

ნიკოლოზ ოსტროვსკის რომანის გმირები — კორჩაგინი, სეროიუა ბრუზეაიკი, რიტა უსტინოვიჩი — ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობის საყვარელ მეგობრებად გახდნენ. პაველ კორჩაგინმა და სეროიუა ბრუზეაიკმა ბავშვობაშივე იწვინეს არსებობისათვის ბრძოლის სიმწვავე კაპიტალისტური წყობილების პირობებში — წელგაუმართავე მუშაობა მათხოვრული

ხელფასისათვის, დამცირება და გაქვლევა. მათში სტიქიურად მომზადდა პროტესტი კაპიტალისტური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ და აი მათ მივიარდნილ პროვინციულ ქალაქში შეიჭრება რევოლუციის ქარტეხილი. ისინი კლასობრივი ინსტიქტით იწყებენ მოვლენათა მდინარებაში გარკვევას. მათ ახალგაზრდულ ფანტაზიას რატომღაც აღელვებს მათთვის ახალი და უცნობი სიტყვა „ბოლშევიკი“. პარტიზანების პირველი რაზმის შესვლას ქალაქში ისინი აღტაცებული შეძახილით ხედებიან — „გაუმარჯოს ამხანაგებს!“. გუშინდელი ნორჩი ახალგაზრდები, რომელთაც დედები ტუქსაკდნენ როგორც პატარა ბავშვებს, დღეს უკვე შაშხანით მხარზე დგებიან მებრძოლთა რიგებში — პარტიის მზრუნველი ხელი ამ ახალგაზრდულ ენერგიას სწორი გზით წარმართავს. ძველი ბოლშევიკი, მეზღვაური ეუბრაი ზრდის და აწრთობს ამ ჯერ კიდევ დაუდღღობელ ჩამოუყალიბებელ ახალგაზრდებს. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი ხდება პარტიის მტკიცე დასაყრდენი ყველა ჯურის კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში. აქ არის მოცემული გმირული ეპიზოდები, როცა კომკავშირის სამაზრო კომიტეტის პლენუმი ბრძოლის ფრონტზე მიდის მთელი შემადგენლობით.

ნიკოლოზ ოსტროვსკიმ დიდი მხატვრული ოსტატობით დაგვიხატა კომკავშირის ორგანიზაციის შინაგანი ცხოვრება. მწერალმა ისე მიმზიდველად გადმოგვცა ორგანიზაციის ყოველდღიური მუშაობა, კრებები, პოლიტსწავლება, ახალგაზრდობის წრთენა ორგანიზაციულ მუშაობაში, რომ მან ამ მხრივ ბევრი ცნობილი მწერალი უკან მოიტოვა. ოსტროვსკიმ ორგანიზაციის ცხოვრების ყოველდღიურობაში იმდენი რამ ამაღელვებელი, გმირული მოგვცა, რომ მისი ნიდგომა მასალისადმი ბევრი მწერლისთვის სანიმუშოდ გამოდგება. დიდი მხატვრული ექსპრესიით არის მოცემული რომანში სამოქალაქო ომის ეპიზოდები უკრაინაში.

გერმანულ იმპერიალიზმის შემოჭრა უკრაინის მშრომელთა დამონებისა და გაძარცვის მიზნით, ოკუპანტების ყაჩაღური თარეში და ძარცვა-გლეჯა — უდიდესი მხატვრული სიძლიერით არის მოცემული ნ. ოსტროვსკის ნაწარმოებში. აქ ასახულია უკრაინის მშრომელთა გმირული ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ.

დიდის ოსტატობით აგვიწერს ავტორი პეტლურას ბატონობას უკრაინაში, ღარიბი ებრაელი მოსახლეობის რბევას. იგი გვიჩვენებს ინტერნაციონალურ სოლიდარობას, რომელიც აკავშირებს სხვა და სხვა ეროვნების მუშებს. გვიჩვენებს, თუ როგორ მალაგენ თავიანთ სახლებში რუსი მუშები ებრაელ მუშებს, როგორ იცავენ მათ პეტლურას გამხეცებულ ბანდებისაგან.

პავლე კორჩაგინი ხდება ბუდიონის სახელოვანი არმიის ლაშქრობის მონაწილე, და აქ ავტორი აგვიწერს, თუ როგორ ხდება ადამიანთა გარ-

დაქმნა, როგორ იქერს საზოგადოებრივი, კოლექტიური მოძრაობის და სათავეისოს ადგილს მის ცნობიერებაში.

გმირი იწყებს აზროვნებას, როგორც კოლექტივის წევრად. „მე“-ს და „ჩემი“-ს ნაცვლად მის ლექსიკონში შემოდის „ჩვენი“, „ჩვენი ბრიგადა“, „ჩვენი ლეგიონი“, „ჩვენი დივიზია“. იგი ამ დიდი კოლექტივის ცხოვრებით ცოცხლობს. ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ გარდაქმნის ადამიანს დიდი მიზნებისათვის ბრძოლა, როგორ ხდება ჩვეულებრივი ადამიანი გმირად: „სულ სხვაა, როცა იცი, რისთვის კვდები“, ამბობს ერთი გმირი. „მაშინ ადამიანს ძალაც აღმოაჩნდება. უქველად მოთმინებით უნდა მოკვდეს ადამიანი, თუ გრძნობს, რომ მართალია. აქედან ვლუბულობთ გმირობას. მე ერთ ბიჭს ვიცნობდი, პორიაკო ერქვა. თეთრებმა რომ დაიჭირეს ოდესაში, მარტოკა ერთი შეეჯახა მთელ ოცეულს. ვერც კი მოასწრეს ხიშტით მოეკლათ, რომ ყუშმარა ჩაიგდო ფეხქვეშ, თითონაც ნაკუწ-ნაკუწად იქცა და თეთრების გროვაც დააყენა თავის გარშემო. ისე რომ შეგებდათ, არაფერს ვაედა, არავის დაუწერია პორიაკოზე წიგნი, მაგრამ ღირდა კი, რომ დაეწერათ. ბევრია ჩვენს შორის თვალსაჩინო ხალხი“.

ეს გმირული ახალგაზრდობა, ბოლშევიკური პარტიის მიერ აღზრდილი, სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გამოვლილი, მონაწილეობას იღებს სოციალისტურ აღმშენებლობაში. სამოქალაქო ომებში ნაწრთობს, მის არც ამ ფრონტზე აკლია გმირობა. ავტორი გვიჩვენებს ახალგაზრდობის აქტიურ ბრძოლას ვიწროლიანდაგიანი რკინისგზის გასაყვანად. ფეხშიშველი, ჩაუტყველ-დაუხურავი ახალგაზრდობა საშინელ ყინვაში, ნახევრად შშიერი თავდაუზოგავად იბრძვის, რომ ქალაქი მოამარაგოს შემთ. ამ დიდ გასაჭირში ხდება ხასიათის ნამდვილი გამოწრთობა. აქ მელავნდება, ვინ არის ერთგული და თავდადებული მებრძოლი სოციალიზმის საქმისათვის. ზოგიერთი სულმოკლე უკან იხევს დაბრკოლების წინაშე, ხელიდან აგდებს კომკავშირის ბილეთს. მაგრამ ეს ვერ აჩერებს გმირულ შეტევას. გაჭირვება აასკეცებს დანარჩენთა ენერჯიას. ასეთ მძიმე პირობებში უხდებათ მათ რკინისგზის მშენებლობა, და როცა ქალაქიდან ჩამოდიან პარტორგანიზაციის ხელმძღვანელები მიტინგის მოსაწყობად, ერთი ძველი ბოლშევიკი ამბობს: აქ ავიტაცა არავის ესაჭიროება, ეს ნამდვილი პროლეტარული ახალგაზრდობაა, აქ მართლაც იწრთობა ფოლადიო.

დიდი მხატვრული ექსპრესიით და ბოლშევიკური თანმიმდევრობით არის ასახული რამანში ის ბრძოლა, რომელიც ახალგაზრდა კომკავშირმა გაუმართა კონტრრევოლუციურ ტროცკიზმს, როცა ამ უკანასკნელმა სცადა არე-დარევა შეეტანა ახალგაზრდობის რიგებში გამოყენება ის თავის მუხანათურ ბრძოლაში პარტიის წინააღმდეგ. აქ ნაჩვენებია ის გამანადგურებელი დამარცხება, რომელიც განიცადა კონტრრევოლუციურმა ტროცკიზმმა ამ თავის ცდაში. ნაჩვენებია ის ბოლშევიკური სიმტკი-

ცე, რომლითაც ახალგაზრდობა იბრძვის პარტიის გენერალური ხაზისათვის.

ნიკოლოზ ოსტროვსკის მთელი შემოქმედება აშკარად გამოხატულთავედა ციხისათვის ხასიათს ატარებს. ნაჩვენებია მთავარი გმირის პავლე კორჩაგინის მუშაობა თავდაცვით ფრონტზე მშვიდობიანობის პირობებში, პოლონეთის საზღვარზე. ნაჩვენებია ის დიდი სიყვარული, რომლითაც გარემოცულია წითელი არმია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მხრივ.

ეს წრთობა და ბოლშევიკური აღზრდა ამუშავებს გმირში ნამდვილი ახალი ადამიანის თვისებებს, იგი საზოგადოებრივს ყოველთვის უფრო შალდა აცნებს, ვიდრე პირადულს, სათავეს. თვით პირადულს განცდებში, თავის ტრფობაში თუმანოვის ქალია მამართ იგი ამ ახალი ადამიანის ფსიქოლოგიას იჩენს. ის ეუბნება თავის ყოფილ სატოფოს: მე ჯერ პარტიისა ვარ და მერე შენი და შენი გულისთვის პარტიას ვერ უღალატებო. იგი შორდება ქალს. გულიდან იგლეჯს ამ გატაცებას, რადგან ლონიამ, როგორც კორჩაგინი ამბობს, „მოახერხა მუშის შეყვარება, მაგრამ იღვისა კი ვერა“. როცა იგი ომში მიღებული ჭრილობისაგან კარგავს მარჯვენა თვალს, სანაურად მხოლოდ ის რჩება, რომ აღარ შეეძლება სამხედრო სამსახურში ყოფნა.

ნიკოლოზ ოსტროვსკის რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ მხატვრული ძატიანეა ოქტომბრის რევოლუციის მიერ გამოწრთობილი ახალგაზრდობისა, ამიტომ არის, რომ ასე გატაცებით კითხულობს ამ რომანს მთელი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა და არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ ძველი თაობაც. ამიტომ მოელოდნენ ასეთი გულისძვერით ჩვენი ქვეყნის მშრომელი მისი ახალი რომანის „ქარიშხლის ნაშობნი“-ს გამოქვეყნებას, რომელზედაც ოსტროვსკი მუშაობდა თავისი გმირული სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე და რომელიც მან მხოლოდ სიკვდილის წინ დაამთავრა.

ნიკოლოზ ოსტროვსკი, როგორც მწერალი და უდრეკი ნებისყოფის მქონე ბოლშევიკი, მუდამ მაგალითი იქნება ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობისათვის.

## ნ. ა. ოსტროვსკი

(მოკლე ბიოგრაფია)

22 დეკემბერს, 19 ს. და 50 წუთზე, მოსკოვში გარდაიცვალა ორდენოსანი მწერალი ნიკოლოზ ილექსის ძე ოსტროვსკი, ავტორი სახელგანთქმული რომანისა „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და ახლად დასრულებული წიგნისა „ქარიშხალით შობილი“.

ნ. ოსტროვსკი დაიბადა 1904 წელს, ვოლინის გუბერნიის სოფელ შეპეტროვკაში, რკინისგზული მუშის ოჯახში. მამა ადრე მოუყვდა. მისი ოჯახი განიცდიდა ძლიერ გაცირვებას. მას ჰყავდა მოხუცი დედა და უფროსი ძმა, რკინის გზის დეპოს ზეინკალი.

ჯერ კიდევ პატარა ნ. ოსტროვსკი დედამ მიაბარა სამრეწველო სკოლაში. მღვდელთან მუდმივი უსიამოვნების გამო 1915 წელს მომავალი მწერალი გამოაგდეს სასწავლებლიდან. დედა იძულებული შეიქნა მიეზარებინა თავისი 11 წლის შვილი რკინის გზის სადგურის ბუფეტში, შავ სამუშაოზე. ამ დროიდან იწყება მისი მძიმე ჯავალი უკმა პურის მოსაპოვებლად. პატარა კოლია მუშაობს მგებავეთ, საწყობის მუშად, ელსადგურზე ცეცხლფარეშის შეგირდად.

1919 წელს ნ. ოსტროვსკი შედის კომკავშირში და დგება იმ მამაც მეომართა რიგებში, რომლებიც იბრძვიან უკრაინის განთავისუფლებისათვის გერმანულ და პოლონულ ოკუპანტებისაგან. იგი მონაწილეობას იღებს სამოქალაქო ომებში კოტოვსკასა და ბუდიონის ცხენოსან ნაწილებში. ერთ-ერთ ბრძოლაში ნ. ოსტროვსკი მძიმედ იჭრება.

1921 წელს ნ. ოსტროვსკი მუშაობს კიევში, რკინისგზის მთავარ სახელმწიფოში, 1922 წლიდან-კი რკინისგზის შტოს დამკერველ მშენებლობაზე. აქ იგი ავიდა ხდება ტიფით. მისი ავადმყოფობა მეტად გართულებულ ფორმასღებულობს. განკურნების შემდეგ ნ. ოსტროვსკის გზავნიან ბერეზნოდვის მოსახლერე რაიონში შინაგანი დაცვის ჯარების ათასეულის კომისარად.

1924 წლიდან ხ. ოსტროვსკი შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში; რამდენიმე წლის განმავლობაში იგი მუშაობს კომკავშირის ხელმძღვანელ პოსტზე.

1927 წელს უკრაინის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტიღებულობს ყველა ზომებს, რათა აღადგინოს ნ. ოსტროვსკის შერყეული ჯანმრთელობა და ამით მას საშუალება მისცეს შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისა.

მაგრამ ყველა ცდა ამ მიმართულებით უშედეგო რჩება. დაღალული ხანგრძლივი ბრძოლებით, საშხადრო ცხოვრების გარემოებით, ავადმყოფობით, განუწყვეტელი და თავდაუზოგავი შრომით კომკავშირის რიგებში, კვლავ შებოკილი მძიმე ავადმყოფობით ნ. ოსტროვსკი ისევ ლოცინად ვარდება და ბოლოს ჰყარავს თავის სინათლესაც.

მაგრამ სოციალიზმისათვის თავდადებულ მებრძოლს ერთი წუთითაც არ დაღატობს ძველი ნებისყოფა, სულის სიმხნევე და მგზნებარე ენერგია. ფიზიკურად განადგურებული იგი უკვე სხვა მიმართულებით ემშება სოციალისტური ცხოვრების შექმნისა და ორგანიზაციის დიად პროცესში. 1924 წლიდან იგი ხელს კიდებს კალამს და იწყებს ლიტერატურულ მუშაობას.

თავის ცხოვრებას, ბრძოლებს სამოქალაქო ომებში, დასაბუღ მუშაობას სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე და პარტიულ-კომკავშირული მუშაობის მხატვრულ სახეებში და კინის შესანიშნავ რომანს — ეპოპეიას „მეზობელი“ წიგნით დაიწყო.

ეს წიგნი სულ მცირე ხნის განმავლობაში უსაყვარლეს და უპოპულარეს წიგნად გადაიქცა საბჭოთა კავშირის მილიონ მკითხველისათვის.

საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობამ გულწრფელად შეიყვარა ეს შესანიშნავი წიგნი; მის გმირებში მან ბუნებრივად შეიკნო ის იდეალი, რომლისკენაც უნდა ესწრაფოდეს ყოველი ჯანსაღი, თავისი სოციალისტური სამშობლოსათვის ერთგული მშრომელი ახალგაზრდა ჩვენს ქვეყანაში.

1935 წლის 1 ოქტომბერს ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ნ. ა. ოსტროვსკი დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

მთავრობის უმაღლესმა ჯილდომ მწერალს ახალი ძალები შემატა შემდგომი მუშაობისათვის.

ავადმყოფი, თვალის სინათლეს მოკლებული, იგი კვლავ უდიდესი ენერჯით განაგრძობდა ასე წარმატებით დაწყებულ ლიტერატურულ მუშაობას. ამ გულმოდგინე მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს მისი მეორე წიგნი „ქარიშხალით შობილი“; რომელიც მწერალმა სიკვდილის წინა დღეებში, დაამთავრა.

ნ. ოსტროვსკიმ თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები სოციალიზმისათვის თავდადებულ ბრძოლას შესწირა.

თავისი სამაგალითო ცხოვრებით, სამოქალაქო ომებისა და სოციალისტური მშენებლობის გმირი, ღირსეული შეილი ლენინ-სტალინის პარტიისა და დიადი სოციალისტური სამშობლოსი, სამაგალითო მოქალაქე და მწერალი — ნ. ოსტროვსკი მუდამ დაუვიწყარი დარჩება ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.



## ახალი წიგნების მიმოხილვა

**აბაშიძე გრიგოლ** — „ლექსები“, ფედერაცია.

წიგნი წარმოადგენს ცნობილი პოეტის გრიგოლ აბაშიძის რჩეულ თხზულებათა კრებულს, რომელიც შეიცავს ლირიკულ ლექსებს (1882 — 1901 წლებისას), პოემებსა და რამდენიმე თარგმანს (ლერმონტოვის „მწირი“ და სხვა). წიგნს წინ უძღვის კოკი აბაშიძის წინასიტყვაობა.

**გოგოლი** — „რევიზორი“, თარგმანი ვალერიან გუნიაისი. სახელგამი: გვ. 135. ფასი 1 მ. 80 კაპ.

დიდი რუსი მწერლის გოგოლის ცნობილი კომედია „რევიზორი“ დიდი ხანია ვადმოთარგმნილია ქართულად. ძნელია გოგოლის შეუდარებელი იუმორის ქართულად ვადმოცემა, მაგრამ ეს ვადმოცემა მაინც იძლევა ზოგად წარმოდგენას გოგოლის კომედიის შესახებ.

**საყვარელიძე პ. მ.** — „გზები და ბილიკები“, ფედერაცია. გვ. 360.

წიგნი წარმოადგენს პ. საყვარელიძის ცნობილი ეპოპეის მეექვსე ნაწილს (მას წინ უძღოდა: „დაფანტული ფურცლები“, „ეკლიან გზაზე“, „ქვა და რკინა“, „უკანასკნელი ვადასარბენი“, და „ჩატებილი ხიდი“. ეპოპეა დასრულდება უკანასკნელი, მეშვიდე წიგნით — „შემართული იალქანი“, რომელსაც ავტორი უკვე ამზადებს დასაბეჭდად.

**„სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი“** — ისტორიული ნარკვევი, ფედერაცია. გვ. 108, ფ. 2 მ. 50 კ.

წიგნს დართული აქვს გერონტი ქიქოძის წინასიტყვაობა. ეს ნარკვევი დაწერილია ლიტერატურაში სხვაფრთვ უცნობ სიკო კანდელაკის მიერ. ნარკვევში მოთხრობილია სოლომონ მეფისა და მისი ფეოდალების ბრძოლა თურქებთან და ურთიერთ შორის. ნარკვევი ცოცხლად და საინტერესოდ არის დაწერილი და, როგორც გერონტი ქიქოძე სწერს, „ამ პატარა ქრონიკის დაწერა სათაკილო არ იქნებოდა არც ერთი ვადოჩენილი მწერლისათვის.

**ხუნდაძე სიმონ** — „დიმიტრი ყიფიანი“, მონოგრაფია. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვადმოცემა.

ამ წიგნში განსვენებული სიმონ ხუნდაძე ფარფალიძე: კონობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებაზე მოქმედებას. წიგნი შეიცავს შემდეგ თავებს: დიმიტრი ყიფიანის ეპოქა, დიმიტრი ყიფიანის პიროვნება და სოციალ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა, 1832 წლის შეთქმულება და დიმიტრი ყიფიანი, დ. ყიფიანი საზოგადოებრივ და სახელმწიფო სამსახურში, ბატონყმობის საკითხი და დიმიტრი ყიფიანი, დ. ყიფიანის საბანკო პოლიტიკა, დ. ყიფიანის ლიტერატურული მოღვაწეობა, 80-იანი წლები და დიმიტრი ყიფიანი.

ჩვენის აზრით, საჭირო იყო გამომცემლობას უფრო მეტი მზრუნველობა გამოეჩინა ამ წიგნის გამოცემის საქმეში. სამწუხაროდ, წიგნი უყურადღებოდ და უგემურად არის გამოცემული. იგი სავსეა კორექტურული შეცდომებით.

**ცინცაძე პოლ.** — „ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობა და მხატვრული კონსტრუქცია“, კრიტიკული ვტიუდი. საკავშირო სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალის გამოცემა, გვ. 109, ფ. 7 მან.

წიგნში დაწერილებითაა განხილული რუსთველის მსოფლმხედველობა და პოემის მხატვრულ-იდეური შინაარსი. წიგნში შემდეგი თავებია: 1. შესავალი; 2. „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობა — შემოქმედების სოც.-ეკონომიური და იდეური ფონი; 3. ბრძენი პიროვნების იდეალი და ცხოვრების შეფასების საკითხი; 4. მიჯნურობა და ქალის პიროვნება; 5. მეგობრობა; 6. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები; 7. მოკლე ფსიქოლოგიური და მოსწირობული თქმები; 8. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ-იდეური კონსტრუქცია.

**პროფ. გ. ჩუბინაშვილი და ნ. ხევერავი** — „ქართული არქიტექტურის გზები“. მოხსენება, წაკითხული საბჭოთა არქიტექტორების სრულიად საქართველოს ყრილობაზე 1936 წლის 21 თებერვალს. გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, გვ. 179, ფ. 10 მ. (წიგნი გამოვიდა ქართულად და რუსულად).

ეს შრომა წარმოადგენს ქართული არქიტექტურის ისტორიის პირველ სრულ მიმოხილვას. წიგნში დაწერილებით არის განხილული IV; V და VI საუკუნეების არქიტექტურა, კლასიკის აყვავება, მცხეთის ჯვარი. საინტერესოა პარალელები ბიზანტიისა და სხვა ქვეყნების არქიტექტურასთან. ავტორები კვლადაკვალ მიჰყვებიან ქართული არქიტექტურის განვითარებას, აღწერილი აქვთ შრომი, ბანა და იშხანი, VIII და IX საუკუნის გარდამავალი ეპოქა, ბაროკო. ცალკეა განხილული ორამენტაციის განვითარება X-დან XV-ე საუკუნემდე. წიგნის ბოლო თავები შეიცავენ საქართველოს დამოუკიდებლობის უკანასკნელი ეპოქის (XVI და XVIII საუკუნე), XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის არქიტექტურას. უკანასკნე-

ლი თავი ეხება საბჭოთა საქართველოს არქიტექტურის მიზნებს. წიგნში ბევრი სურათი, ნახაზი და წახატია. წიგნი ეძლევა ქალაქული არქიტექტურის განვითარების სრულ სურათს და ამიტომ დღევანდლამდე.

**გიორგი ჩუბინაშვილი** — „ქართული ხელოვნების ისტორია“. ტ. I. სახელგამი. გვ. 218 ფ. 15 მ.

პროფ. გ. ჩუბინაშვილი დიდი ხანია მუშაობს ქართული ხელოვნების და კერძოდ არქიტექტურის ისტორიის შედგენაზე, მაგრამ დღემდე, ცალკეული წერილების გარდა, ამ დიდი შრომიდან გამოქვეყნებული კჰონდა მხოლოდ „რამოდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან“ და მეორე ტომი „ქართული არქიტექტურის ისტორიისა“ გერმანულ ენაზე. ამრიგად, ქართველ მკითხველს პირველად ეძლევა საშუალება გაეცნოს ქართული ხელოვნების ისტორიის ნამდვილ მეცნიერულ ისტორიას. წიგნი მთლიანად იგებულია იმ კვლევა-ძიებაზე, რომელსაც ოც წელზე მეტია აწარმოებს ავტორი.

წიგნის დედააზრს შეადგენს ის შეხედულება, რომ „ქართული ხელოვნება არის განსაკუთრებული მხატვრული მოვლენა, ბუნებრივად და შინაგანი აუცილებლობით განვითარებული და გაზრდილი ხალხის შემოქმედების ფართო საფუძველზე და არა ხელოვნურად დამყნობილი და გარედან გადმონერგული რამ“. წიგნი წარმოადგენს ქართული ხელოვნების ისტორიის პირველ ტომს და შეიცავს ძველი ქართული ხელოვნების ისტორიას შესავალში განხილულია ქართული ხელოვნების ისტორიის ამოცანების თავისებურება, ქართული ხელოვნების ცნების ფარგლები, ამ „ისტორიის“ აუცილებელი ხასიათი, დიუბუსა, კონდაკოვის, მარის, სტრიგოვსკის თეორიული შეხედულებანი ქართული ხელოვნების განვითარების საკითხების შესახებ, ქართული ხელოვნების ისტორიის განაწილება ხანებად და ლიტერატურა ქართული ხელოვნების შესახებ.

თვით ძველი ქართული ხელოვნების ისტორია შეიცავს შემდეგ თავებს:

თავი I. ძველი ქართული ხელოვნების ჩამოყალიბების ხანა (IV საუკუნის ხელოვნება, V საუკუნის ხელოვნება, ხელოვნება V და VI საუკუნეების საზღვარზე, IV VI ს. ს. ქართული ხელოვნების ისტორიის პრობლემათა და ფორმათა განხილვა, VI საუკუნის ნახევრის ხელოვნება).

თავი II. ქართული ხელოვნების აყვავების ხანა ძველ დროში და მისი პირველი ეტაპი (ხელოვნების განვითარების საერთო მსვლელობა წინა აღმოსავლეთში VI საუკუნის დასასრულამდე, ამ ხანის ძეგლების საზოგადო დახასიათება და მათი დაჯგუფება, „მცხეთის

ჯერის“ მდებარეობა, ისტორია, გეგმის დამასში შექმნილი სივრცის თვისებები, გარეგანი ფორმები დაფასადები, ფასადების დეტალური აღწერა და ნაკეთიანი რელიეფი).

**თავი 3.** „მცხეთის ჯერის“ ტიპის შენობათა ჯგუფი (მარტვილის ტაძარი ტყონდიდში, ატენის სიონის დამოკიდებულება მცხეთის ჯვართან, ვანზილული ტიპის ტაძართა ქართული და სომხური ჯგუფების ურთიერთობა).

**თავი 4.** ძველი ქართული ხელოვნების აყვავების ხანის მეორე და მესამე ეტაპი (წრომის ტაძარი — მეორე ეტაპის შთავარი ძველი, ახალი დეკორატიული პრინციპი, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების მესამე ეტაპი აყვავების ხანაში — იშხანი და ბანა, გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების სხვა ტიპის ძეგლები აყვავების ხანაში, არაგუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ძეგლები აყვავების ხანაში).

**თავი 5.** ქანდაკება და მხატვრობა ქართული ხელოვნების განვითარების ძველ ხანაში.

წიგნი კულტურულად, და სიყვარულით არის გამოცემული, შიგ მრავალი ფოტოსურათი, ნახაზი და ნახატია. წიგნი ჩასმულია მხატვრულ ყდაში.

**ჯაფარიძე ტრიფონ** — „ხალხური სიტყვიერება — გამოცანები“. ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამოცემა. ქუთაისი, 1936 წ. ფასი 5 მ.

წიგნს დართული აქვს მოკლე წინასიტყვაობა. რამდენიმე ასი გამოცანის გარდა შიგ მოთავსებულია გამოცანების ახსნა და საგნობრივი მაჩვენებელი. ეს წიგნი პირველი ცდაა ქართული გამოცანების ცოტად თუ მეტად სრული გამოცემისა. აქამდე გამოცანები მხოლოდ იაფფასიან პატარა ბროშურებად იყო გამოცემული.

**ლევან ასათიანი** — „ძველი საქართველოს პოეტიკალები“. გამოკვლევა და ტექსტები. გამოცემა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალისა. 1937 წ. ფასი 10 მ.

წიგნი შეიცავს მონოგრაფიას — „ძველი საქართველოს პოეტიკალები“ და ცალკეულ გამოკვლევებს შემდეგ პოეტებზე: ქეთევანი, მანანა, სალომე, მარიამ-მაცრინე, მიაა გაბაშვილი, მარიამი, ქეთევან ბატონიშვილი და თეკლე. ყოველ გამოკვლევას დართული აქვს აქამდე გამოუქვეყნებელი ლექსები და პოემები პოეტიკალებისა. წიგნში დამატების სახით მოცემულია ლექსიკონი, საბელების საძიებელი და ბიბლიოგრაფია.

წიგნის გაფორმება ეკუთვნის პროფ. ლადო გუდიაშვილს. გამოცემულია სუფთად და საშუალო ღირსების ჭაღალდზე.



# შ ი ნ ა ა რ ს ი

ი. ბ. სტალინი — სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ . . . . .	33-
მისი სახელი ბრძოლის დროშა („პრავდა“ 1/XII — 37 წ.) . . . . .	35

## მხატვრული ლიტერატურა

პ. გიგიბერია — სერგეი კიროვი (ლეჟი) . . . . .	39
პაველე იაშვილი — გზა მწვედობისა (პოემა) . . . . .	42
კონსტანტინე ლორთქიფანიძე — ბელორუსული მოთხრობები . . . . .	51
ტარას შევჩენკო — კატერინა (თარგმ. ს. ჩიქოვანისა) . . . . .	64
ლევო ქიაჩელი — გეადი ბიგვა (რომანი — გაგრძელება) . . . . .	85
გრიგოლ ცეცხლაძე — სამშობლო მხარე (ლეჟი) . . . . .	100
რაფაელ აღბერტი — აიდა ლაფუენტე (ლეჟი — თარგ. ვალერიან გაფრინდაშვილისა) . . . . .	102
ალიგვიერი დანტე — „სალხინებელი“ — თარგ. კონსტ. გამსახურდიასი . . . . .	104

## საერთაშორისო საკითხები

ი. ტრაინინი — ესპანელი ხალხის რევოლუციური წარსულდ . . . . .	116
-------------------------------------------------------------	-----

## კრიტიკა და კუბლიცისტიკა

ა. თათარიშვილი — ხალხთა მეგობრობის პოეზია . . . . .	138
ბ. ჟღენტი — კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ . . . . .	145

## ლიტერატურის ისტორია

შალვა რადიანი — ი. ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება . . . . .	173
---------------------------------------------------------------	-----

## ნ. ოსტროვსკის ხსოვნას

აღ. კეიშვილი — ნიკოლოზ ოსტროვსკი . . . . .	209
ნ. ოსტროვსკის ბიოგრაფია . . . . .	217

## ბიბლიოგრაფია

ახალი წიგნების მიმოხილვა . . . . .	215
------------------------------------	-----